სფფ-ის საშეჯიბრო დებულება 2026

საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატი

- ეროვნული ლიგა
- ეროვნული ლიგა 2
- ლიგა 3
- ლიგა 4
- რეგიონული ლიგა
- ქალთა ლიგა
- ქალთა ლიგა 2
- ასაკობრივი ლიგები

საქართველოს 2026 წლის თასი და სუპერთასი

- საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშება
- საქართველოს სუპერთასი

ინფრასტრუქტურული დანართი

- მოთხოვნები სტადიონებისადმი

სფფ-ის 2026 წლის სადისციპლინო კოდექსი

თბილისი, 2026

საქართველოს 2026 წლის XXXVIII ჩემპიონატი
ეროვნული ლიგა, ეროვნული ლიგა 2, ლიგა 3 და ლიგა 4

1. მიზანი და ამოცანები

1.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატი და თასის გათამაშება მიზნად ისახავს, საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას;
1.2. საქართველოს საფეხბურთო გუნდების და მოთამაშეების ოსტატობის ამაღლებას;
1.3. საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის მოთამაშეების მომზადებას;
1.4. უეფას და ფიფას ეგიდით გასამართი საერთაშორისო ტურნირების მონაწილე ქართული კლუბების გამოვლენას.

2. შეჯიბრებების ორგანიზატორი

2.1. საფეხბურთო კლუბებს შორის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში სფფ).
2.2. ჩემპიონატში მონაწილეობენ პროფესიონალური და სამოყვარულო საფეხბურთო კლუბები, რომელთაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, და ექვემდებარებიან სფფ-ის წესდებას, დებულებებს და გადაწყვეტილებებს, იხდიან სფფ-ის მიერ დაწესებულ ყველა სახის გადასახადს.
2.3. საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი წარმოადგენს სფფ-ის საკუთრებას. სფფ-ს შეუძლია არსებული კალენდრის გამოყენება სარეკლამო, კომერციული თუ სხვა მიზნით. შეჯიბრებების დრო განისაზღვრება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.
2.4. სფფ-ის წესდების 72-ე და 73-ე მუხლების თანახმად სფფ ფლობს მის იურისდიქციაში მყოფი, მის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბების ტელერადიო და ინტერნეტ-ტრანსლაციებზე ექსკლუზიურ უფლებებს (პირდაპირი ეთერის, ჩანაწერისა თუ ფრაგმენტების სახით).
2.5. სტადიონებზე სარეკლამო დაფების განთავსების უფლებას სფფ და კლუბები ინაწილებენ თანაბრად 50/50-ზე. პრიორი-

ტეტი ენიჭებათ სფფ-ის სპონსორებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ვერ ავსებს მისთვის განკუთვნილ სარეკლამო ადგილს, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია დაიკავოს თავისუფალი სარეკლამო ადგილი.

2.6. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ჩემპიონატის დაწყებამდე ან მსვლელობისას, შეამოწმოს სტადიონების მდგომარეობა და დაუშვას ან აკრძალოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩების მათზე გამართვა.

3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატი გაიმართება ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-სა და რეგიონულ ლიგაში.

3.2 . ეროვნულ ლიგაში მონაწილეობს ათი გუნდი:

1. გაგრა	**200112476**
2. დილა გორი	**418467509**
3. დინამო ბათუმი	**245622205**
4. დინამო თბილისი	**204423454**
5. იბერია 1999 თბილისი	**211389665**
6. მეშახტე ტყიბული	**219630228**
7. რუსთავი	**416319718**
8. სამგურალი წყალტუბო	**421277175**
9. სპაერი თბილისი	**406203558**
10. ტორპედო ქუთაისი	**212917183**

3.3. ეროვნული ლიგის გათამაშება ჩატარდება ოთხ წრედ (ორ-ორი მატჩი შინ და სტუმრად). კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ.

3.4. ეროვნულ ლიგაში პირველ ადგილზე გასული გუნდი გახდება საქართველოს ჩემპიონი და მიიღებს მონაწილეობას უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში; მეორე ადგილზე გასული გუნდი გახდება ვერცხლის პრიზიორი და მონაწილეობას მიიღებს უეფას კონფერენციის ლიგის გათამაშებაში. მესამე

ადგილზე გასული გუნდი გახდება ბრინჯაოს პრიზიორი (თუ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი გახდება ისეთი გუნდი, რომელიც ეროვნული ლიგის საბოლოო სატურნირო ცხრილში დაიკავებს პირველ ან მეორე ადგილს, უეფას კონფერენციის ლიგის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული გუნდი). მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე გასული გუნდები ავტომატურად შეინარჩუნებენ ეროვნულ ლიგაში ადგილს; მერვე და მეცხრე ადგილებზე გასული გუნდები ორმატჩიან პლეიოფში (IX-II და III-VIII) დაუპირისპირდებიან ეროვნულ ლიგა 2-ში მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს. პლეიოფის პირველ მატჩებს უმასპინძლებენ ეროვნული ლიგის მეცხრეადგილოსანი და ეროვნული ლიგა 2-ის მესამეადგილოსანი. ეროვნულ ლიგაში მეათე ადგილზე გასული გუნდი მომავალ სეზონში ითამაშებს ეროვნულ ლიგა 2-ში, ეროვნულ ლიგა 2-ში პირველ ადგილზე გასული გუნდი კი ითამაშებს ეროვნულ ლიგაში.

3.5. ეროვნულ ლიგა 2-ში მონაწილეობს ათი გუნდი:

1. არაგვი დუშეთი	**429323314**
2. გარეჯი საგარეჯო	**438114041**
3. გორი	**417874973**
4. თელავი	**405158975**
5. კოლხეთი 1913 ფოთი	**215137830**
6. მერანი მარტვილი	**235446754**
7. ოდიში 1919 ზუგდიდი	**420438538**
8. სამტრედია	**438735727**
9. სიონი ბოლნისი	**225376189**
10. შტურმი სართიჭალა	**406260157**

3.6. ეროვნული ლიგა 2-ის გათამაშება ჩატარდება ოთხ წრედ (ორ-ორი მატჩი შინ და სტუმრად). კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ.

3.7. ეროვნულ ლიგა 2-ში პირველ ადგილზე გასული გუნდი მოიპოვებს თამაშის უფლებას ეროვნულ ლიგაში. მეორე-მესამე ადგილებზე გასული გუნდები ორმატჩიან პლეიოფში (IX-II და III-VIII) დაუპირისპირდებიან ეროვნულ ლიგაში მერვე-მეცხრე

ადგილებზე გასულ გუნდებს. პლეიოფის პირველ მატჩებს უმასპინძლებენ ეროვნული ლიგის მეცხრეადგილოსანი და ეროვნული ლიგა 2-ის მესამეადგილოსანი. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები შეინარჩუნებენ ეროვნულ ლიგა 2-ში ადგილს, მეშვიდე და მერვე ადგილებზე გასული გუნდები კი ორმატჩიან პლეიოფში (IV-VII) და (VIII-III) დაუპირისპირდებიან ლიგა 3-ის მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულ გუნდებს. პლეიოფის პირველ მატჩებს უმასპინძლებენ ეროვნული ლიგა 2-ის მერვეადგილოსანი და ლიგა 3-ის მეოთხეადგილოსანი. ეროვნულ ლიგა 2-ში მეცხრე და მეათე ადგილზე გასული გუნდები მომავალი სეზონიდან ითამაშებენ ლიგა 3-ში.ლიგა 3-ში პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები კი ითამაშებენ ეროვნულ ლიგა 2-ში.

3.8. 2026 წლის ლიგა 3-ში მონაწილეობს თექვსმეტი გუნდი:

1.	**ბეთლემი ქედა**	**446754245**
2.	**გარდაბანი**	**426542903**
3.	**გონიო ბათუმი**	**445589006**
4.	**გურია ლანჩხუთი**	**433651461**
5.	**დიდუბე 2014 თბილისი**	**402012692**
6.	**დინამო-2 თბილისი**	**204423454**
7.	**ვიტ ჯორჯია თბილისი**	**211367545**
8.	**თბილისი 2025**	**427722752**
9.	**იბერია 1999-2 თბილისი**	**204423454**
10.	**იბერია 2010 თბილისი**	**404869335**
11.	**ივერია ხაშური**	**243916143**
12.	**კოლხეთი ხობი**	**444549892**
13.	**ლოკომოტივი თბილისი**	**202054766**
14.	**მარგვეთი 2006 ზესტაფონი**	**430026802**
15.	**მერანი თბილისი**	**400025227**
16.	**ორბი თბილისი**	**406121806**

3.9. ლიგა 3-ის გათამაშება ჩატარდება ორ წრედ (თითო მატჩი შინ და სტუმრად). კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ.

3.10. ლიგა 3-ში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები თამაშის უფლებას მოიპოვებს ეროვნულ ლიგა 2-ში. მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები ორმატჩიან პლეიოფში (IV-VII) და (VIII-III) დაუპირისპირდებიან ეროვნულ ლიგა 2-ში მეშვიდე-მერვე ადგილებზე გასულ გუნდებს. პლეიოფის პირველ მატჩებს უმასპინძლებენ ეროვნული ლიგა 2-ის მერვეადგილოსანი და ლიგა 3-ის მეოთხეადგილოსანი. მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე ადგილებზე გასული გუნდები შეინარჩუნებენ ლიგა 3-ში ადგილს. მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ადგილებზე გასული გუნდები კი მომავალი სეზონიდან ითამაშებენ ლიგა 4-ში.

3.11. 2026 წლის ლიგა 4-ში მონაწილეობს თექვსმეტი გუნდი:

1.	**ალგეთი მარნეული**	**434168116**
2.	**არაგვი-2 დუშეთი**	**429323314**
3.	**არაგველები თბილისი**	**404565083**
4.	**ბახმარო ჩოხატაური**	**441994843**
5.	**ბორჯომი**	**426110353**
6.	**გაგრა-2**	**200112476**
7.	**ვესტ ჯორჯია ბათუმი**	**445740814**
8.	**ვიტ ჯორჯია-2 თბილისი**	**211367545**
9.	**კოლხეთი 1913-2 ფოთი**	**215137830**
10.	**ლოკომოტივი-2 თბილისი**	**202054766**
11.	**მერანი-2 მარტვილი**	**235446754**
12.	**მერცხალი ოზურგეთი**	**437373067**
13.	**სამგურალი-2 წყალტუბო**	**421277175**
14.	**სამცხე ახალციხე**	**424256236**
15.	**სქური წალენჯიხა**	**442731340**
16.	**ტორპედო-2 ქუთაისი**	**212917183**

3.12. 2026 წლის ლიგა 4-ში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილები ლიგა4-ში პირველ , მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები თამაშის უფლებას მოიპოვებენ ლიგა 3-ში. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და

მეთორმეტე ადგილებზე გასული გუნდები შეინარჩუნებენ ლიგა 4-ში ადგილს, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ადგილებზე გასული გუნდები კი მომავალი სეზონიდან ითამაშებენ რეგიონულ ლიგაში.

3.13. თუკი 2027 წლის ეროვნული ლიგის დაკომპლექტებისას კლუბს (ან კლუბებს) არ ექნება შესაბამისი ლიცენზია , უარს იტყვის მონაწილეობაზე ან მოხსნილი იქნება გათამაშებიდან რაიმე მიზეზის გამო, მის ადგილს დაიკავებს ის კლუბი (ან კლუბები), რომელსაც ექნება ეროვნული ლიგის შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია, უპირატესობა მიენიჭება იმ კლუბს (ან კლუბებს) რომელსაც ექნება უკეთესი სპორტული შედეგი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით:

1-ლი ადგილი: ეროვნულ ლიგაში მე-8 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში).
მე-2 ადგილი: ეროვნულ ლიგაში მე-9 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში).
მე-3 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-2 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში).
მე-4 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-3 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში).
მე-5 ადგილი: ეროვნულ ლიგაში მე-10 ადგილი.
მე-6 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-4, მე-5 და მე-6 ადგილზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით.

3.14 თუკი 2027 წლის ეროვნულ ლიგა 2-ში კლუბს (ან კლუბებს) არ ექნება შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია, უარს იტყვის მონაწილეობაზე ან მოხსნილი იქნება გათამაშებიდან რაიმე მიზეზის გამო მის ადგილს დაიკავებს ის კლუბი (ან კლუბები), რომელსაც ექნება ეროვნული ლიგა 2-ის შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია, უპირატესობა მიენიჭება იმ კლუბს ან კლუბებს რომელსაც ექნება უკეთესი სპორტული შედეგი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით, რომელიც შედგება შემდეგი პრინციპით:

1-ლი ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-7 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-2 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-8 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-3 ადგილი: ლიგა 3-ში მე-3 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-4 ადგილი: ლიგა 3-ში მე-4 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-5 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-9 ადგილი
მე-6 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-10 ადგილი
მე-6 ადგილი: ლიგა 3-ში მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით.

3.15. თუკი 2027 წლის ლიგა 3-ში კლუბს (ან კლუბებს) არ ექნება შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია, უარს იტყვის მონაწილეობაზე ან მოხსნილი იქნება გათამაშებიდან რაიმე მიზეზის გამო, მის ადგილს დაიკავებს ის კლუბი (ან კლუბები), რომელსაც ექნება ლიგა 3-ის შესაბამისი ლიცენზია. უპირატესობა მიენიჭება იმ კლუბს (ან კლუბებს), რომელსაც ექნება უკეთესი სპორტული შედეგი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით, რომელიც შედგება შემდეგი პრინციპით:

1-ლი ადგილი ლიგა 3-ში მე-14 ადგილი
მე-2 ადგილი: ლიგა 3-ში მე-15 ადგილი
მე-3 ადგილი: ლიგა 3-ში მე-16 ადგილი
მე-4 ადგილი: ლიგა 4-ში მე-4 ადგილი
მე-5 ადგილი: ლიგა 4-ში მე-5 ადგილი

მე-6 ადგილი: ლიგა 4-ში მე-6, მე-7 ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით.

3.16 თუკი 2027 წლის ლიგა 4-ში კლუბს (ან კლუბებს) არ ექნება შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია, უარს იტყვის მონაწილეობაზე ან მოხსნილი იქნება გათამაშებიდან რაიმე მიზეზის გამო, მის ადგილს დაიკავებს ის კლუბი (ან კლუბები), რომელსაც ექნება ლიგა 4-ის შესაბამისი ლიცენზია. უპირატესობა მიენიჭება იმ კლუბს (ან კლუბებს),

რომელსაც ექნება უკეთესი სპორტული შედეგი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით, რომელიც შედგება შემდეგი პრინციპით:

1-ლი ადგილი ლიგა 4-ში მე-13 ადგილი
მე-2 ადგილი: ლიგა 4-ში მე-14 ადგილი
მე-3 ადგილი: ლიგა 4-ში მე-15 ადგილი
მე-4 ადგილი: ლიგა 4-ში მე-16 ადგილი
მე-5 ადგილი: რეგიონული ლიგის პლეი-აუტში დამარცხებული გუნდი

3.17. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბებს შეუძლიათ ჰყავდეთ ერთი ან მეტი ფარმ-გუნდი შემდეგი პრინციპით:
ეროვნული ლიგის წარმომადგენელს – ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში, რეგიონულ ლიგაში, ან რანგით კიდევ უფრო დაბალ ლიგაში; ეროვნული ლიგა 2-ის წარმომადგენელს – ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში, რეგიონულ ლიგაში, ან რანგით კიდევ უფრო დაბალ ლიგაში; ლიგა 3-ის წამომადგენელს – ლიგა 4-ში, რეგიონულ ლიგაში, ან რანგით კიდევ უფრო დაბალ ლიგაში. ლიგა 4-ის წარმომადგენელს – რეგიონულ ლიგაში, ან რანგით კიდევ უფრო დაბალ ლიგაში. ფარმ-გუნდები უნდა დაკომპლექტდნენ 2003 და მომდევნო წლებში დაბადებული ფეხბურთელებით.

3.18. კლუბს ყოველი სეზონის წინ შეუძლია შექმნას ფარმ-გუნდი, თუმცა დაუშვებელია ხელშეკრულებით ან რაიმე სხვა საშუალებით ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის, ლიგა 4-ისა და რეგიონული ლიგის არსებული მონაწილის ფარმ-გუნდად დარეგისტრირება. ნებისმიერი კლუბის ახლადშექმნილმა ფარმ-გუნდმა ასპარეზობა შეიძლება დაიწყოს რეგიონულ ლიგაში, ხოლო რანგით უფრო დაბალი ლიგის არსებობის შემთხვევაში ადგილი რეგიონულ ლიგაში უნდა მოიპოვოს სპორტული შედეგის გათვალისწინებით.
ნებისმიერი ლიგიდან ძირითადი გუნდის დაქვეითების შემთხვევაში დაუშვებელია იმავე რანგის ლიგაში ან რანგით ზედა ლიგაში მისი ფარმ-გუნდის მონაწილეობა, მიუხედავად სპორტული შედეგისა.

3.19. თუ ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის და ლიგა 3-ის დასრულებისას ძირითადი გუნდის მოხვედრა უკვე განსაზღვრულია რომელიმე ისეთ ლიგაში, სადაც ფარმ-გუნდს არ აქვს პარალელურად მონაწილეობის უფლება, მიუხედავად იმისა, ფარმ-გუნდის მიერ ცხრილში დაკავებული ადგილი იძლევა თუ არა ამავე ლიგის საგზურს ან დამატებითი მატჩების გამართვის უფლებას (პლეიოფში მონაწილეობა), ფარმ-გუნდს ჩაანაცვლებს ცხრილში მის მომდევნო ადგილზე გასული გუნდი.
იმ შემთხვევაში თუ ძირითად გუნდს უწევს დამატებითი მატჩების გამართვა ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, ხოლო ფარმ-გუნდს დაკავებული აქვს ისეთი ადგილი, რომელიც პირდაპირ ან პლეიოფის საშუალებით იძლევა ამავე ლიგის საგზურის მოპოვების საშუალებას, სადაც შეიძლება აღმოჩნდეს ძირითადი გუნდი, მოქმედებს შემდეგი პრინციპი:

ეროვნულ ლიგა 2-ში
ძირითადი გუნდის პლეიოფის მატჩში დაქვეითების შემთხვევაში, თუ იმავე ლიგის საგზური უკვე ფარმ-გუნდს აქვს მოპოვებული (ან მოიპოვებს), ფარმ-გუნდის ადგილს დაიკავებს უკეთესი სპორტული შედეგის მქონე გუნდი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება შემდეგი პრინციპის მქონე ვირტუალური ცხრილით:

1-ლი ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-7 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-2 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-8 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-3 ადგილი: ლიგა 3-ში მე-3 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-4 ადგილი: ლიგა 3-ში მე-4 ადგილი (პლეიოფში დამარცხების შემთხვევაში)
მე-5 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-9 ადგილი
მე-6 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-10 ადგილი
მე-6 ადგილი: ლიგა 3-ში მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით.

ლიგა 3-ში
ძირითადი გუნდის პლეიოფის მატჩში დაქვეითების შემთხვევაში, თუ იმავე ლიგის საგზური უკვე ფარმ-გუნდს აქვს მოპოვებული (ან მოიპოვებს), ფარმ-გუნდის ადგილს დაიკავებს უკეთესი სპორტული შედეგის მქონე გუნდი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით, რომელიც შედგება შემდეგი პრინციპით:

1-ლი ადგილი ლიგა 3-ში მე-14 ადგილი
მე-2 ადგილი: ლიგა 3-ში მე-15 ადგილი
მე-3 ადგილი: ლიგა 3-ში მე-16 ადგილი
მე-4 ადგილი: ლიგა 4-ში მე-4 ადგილი
მე-5 ადგილი: ლიგა 4-ში მე-5 ადგილი
მე-6 ადგილი: ლიგა 4-ში მე-6, მე-7 ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით.

ლიგა 4-ში
თუ ფარმ-გუნდი რეგიონული ლიგის ცხრილში იკავებს ისეთ ადგილს, რომელიც იძლევა ლიგა 4-ის საგზურს, ძირითადი გუნდის ლიგა 4-ში ყოფნის ან დაქვეითების შემთხვევაში, ფარმ-გუნდის ადგილს დაიკავებს მის ჯგუფში უკეთესი სპორტული შედეგის მქონე გუნდი. ხოლო პლეიოფში რომელიმე ეტაპზე გამარჯვების შემთხვევაში, პლეიოფში დამარცხებული გუნდი.

4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატის კალენდარი დგება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ. ჩემპიონატის კალენდრის განთავსება ხდება სრულად ან არასრულად (ტურის, ტურების ან წრის მიხედვით) ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის ოფიციალურ ვებგვერდზე erovnuliliga.ge ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კალენდრის განთავსება ხდება სრულად ან არასრულად (ტურის, ტურების ან წრის მიხედვით) ლიგა 3-ის და ლიგა 4-ის ოფიციალურ ვებგვერდზე liga.gff.ge

4.2. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულება

ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალისას. ეროვნულ ლიგასა და ეროვნულ ლიგა 2-ში გუნდები მოედანზე უნდა გამოვიდნენ ლიგის ოფიციალური ჰიმნის თანხლებით.

4.3. ჩემპიონატის ყველა ლიგაში (ეროვნული ლიგა, ეროვნული ლიგა 2, ლიგა-3, ლიგა-4) ქულათა დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა. ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში საბოლოო ცხრილი დგება – 4.4.1-დან 4.4.11 ქვეპუნქტებში მითითებული მაჩვენებლების გათვალისწინებით. ყველა ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე ცხრილის შედგენისას, მაშინ როცა გუნდებს ჯერ არ ამოუწურავთ კალენდრით გათვალისწინებული ურთიერთშეხვედრები, ორი ან ორზე მეტი გუნდის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მათი ადგილი ცხრილში განისაზღვრება 4.4.5.-დან 4.4.11. ქვეპუნქტებში მითითებული პრინციპების მიხედვით. იმ შემთხვევებში კი, როცა გუნდს ან გუნდებს ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგის გათანაბრების ან უპირატესობის მოპოვების თეორიული შანსიც აღარ აქვთ, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მათი ადგილი ცხრილში განისაზღვრება 4.4.1.-დან 4.4.11. ქვეპუნქტებში მითითებული პრინციპების მიხედვით.

4.4. იმ შემთხვევაში, როცა ეროვნულ, ეროვნულ ლიგა 2-სა, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში ორი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულას, მათი საბოლოო პოზიციის გადანაწილება ცხრილში მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

4.4.1. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები;

4.4.2. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობა;

4.4.3. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში გატანილი მეტი გოლი;

– თუ 4.4.1.-იდან 4.4.3.-ის კრიტერიუმების გამოყენების შემდეგ ორ ან მეტ გუნდს კვლავ თანაბარი პოზიცია აქვს განსახილველი გუნდების მიმართ გამოიყენება კრიტერიუმები 4.4.4.-იდან 4.4.10.-ის ჩათვლით.

4.4.4. ჩემპიონატში ბურთების უკეთესი სხვაობა.
4.4.5. ჩემპიონატში გატანილი მეტი გოლი.
4.4.6. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი მეტი გოლი
4.4.7. ჩემპიონატში მოგებების მეტი რაოდენობა.
4.4.8. ჩემპიონატში სტუმრად მოგებების მეტი რაოდენობა.
4.4.9. ჩემპიონატში დაგროვილი ნაკლები სადისციპლინო ქულა (გაძევება – 3 ქულა, ორი გაფრთხილებით გაძევება – 3 ქულა, გაფრთხილება – 1 ქულა; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს ნაკლები გაძევებით).
4.4.10. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა წილისყრა.
4.4.11. ორმატჩიანი პლეიოფის შეხვედრების ჯამში თუ გატანილი ბურთების რაოდენობა ერთნაირია (როგორც ძირითად ისე დამატებით დროში არ მოქმედებს სტუმრად გატანილი გოლის წესი), დაინიშნება ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი.

• იმ შემთხვევაში თუ დამატებით დრო დამთავრდა ფრედ, ინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (ფიფას წესებით).

• ყველა ლიგის კლუბს საპლეიოფო მატჩის მასპინძლობა შეუძლია იმავე ლიგაში დაშვებულ სტადიონზე, რომელ ლიგასაც თავად წარმოადგენს.

4.5. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 60 წუთით ადრე მატჩის ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 20 მოთამაშე. ყოველ მოთამაშეს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომრები მაისურზე.
4.6. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარ-მომადგენელი.
4.7. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები (11 მოთამაშე), სათადარიგო შემადგენლობის მოთამაშეები (მაქსიმუმ 9 მოთამაშე) – სავალდებულოა გუნდის კაპიტნის მითითება პირობითი ნიშნით – ©, ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა): მთავარი მწვრთნელი, მწვრთნელის ასისტენტები, ექიმი, პერსონალი – არაუმეტეს 10 პირი. ზემოთჩამოთვლილ

ოფიციალურ პირებს, ისევე როგორც ფეხბურთელებს, ყველა ოფიციალურ თამაშზე თან უნდა ჰქონდეთ სფფ-ის მიერ დამოწმებული მონაწილის ბარათი, რომელიც გაიცემა სფფ-ის ბაზაში მათი რეგისტრაციის საფუძველზე (კლუბი ვალდებულია მოახდინოს მასზე გაცემული ბარათების ლამინირება), წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთჩამოთვლილი ოფიციალური პირები სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში არ დაიშვებიან. თუ გუნდს ჰყავს დამატებითი ექიმი ან სხვა ტექნიკური პერსონალი (სპორტული დირექტორი, მენეჯერი) მატჩის დელეგატთან ან მსაჯთა დამკვირვებელთან შეთანხმებით, გუნდს ტექნიკური ზონის გვერდით გამოეყოფა 7 დამატებითი ადგილი სათადარიგო სკამიდან 5 მეტრის მოშორებით. დამატებით ადგილებზე მჯდომ პირებს ყველა ოფიციალურ მატჩზე თან უნდა ჰქონდეთ სფფ-ის მიერ დამოწმებული ბარათები რომელიც გაიცემა სფფ-ის ბაზაში მათი რეგისტრაციის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთჩამოთვლილი პირები ტექნიკურ ზონაში, ან დამატებით ადგილებზე არ დაიშვებიან. ტექნიკურ ზონაში ოფიციალური პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 17-ს (ტექნიკური ზონის მიმდებარედ გამოყოფილი დამატებითი 7 ადგილის ჩათვლით). კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები განთავსდებიან საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილებზე. დისკვალიფიცირებულ პირებს (მოთამაშეები, მწვრთნელები, პერსონალი), რომლებსაც ამავე ან წინა მატჩებში გაძევების ან სხვა დარღვევის გამო მატჩში მონაწილეობის უფლება არა აქვთ, ასევე ეკრძალებათ მატჩამდე და მატჩის მიმდინარეობისას (შესვენების დროსაც) გუნდის გასახდელში, სათადარიგოთა სკამზე, სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში, ან სათამაშო მოედნის სიახლოვეს ყოფნა და მითითებების მიცემა.

4.8. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის ორგანიზებაში მონაწილე პირები უზრუნველყოს სპეციალური საშვებით. ამასთანავე მასპინძელმა კლუბმა უნდა გამოყოს საშვთა სისტემის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. ამასთანავე კლუბმა უნდა უზრუნველყოს სფფ-ის სპეციალური საშვის (ყველგან გასვლის უფლებით) მქონე პირთა მატჩზე დაშვება

და საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილზე მათი განთავსება.

4.9. სათანადოდ შევსებულ და ხელმოწერილ ოქმში თამაშის დაწყებამდე დაუშვებელია ცვლილებების შეტანა გარდა შემდეგი შემთხვევისა:

- თუ ოქმში მყოფი პირველი 11 მოთამაშიდან მატჩის ფაქტიურ დაწყებამდე რომელიმეს არ შეუძლია თამაშში მონაწილეობის მიღება გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გამო, იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს მატჩის ოქმში მყოფი ნებისმიერი სათადარიგო მოთამაშით. ასეთ შემთხვევაში ცვლილებათა ლიმიტი უცვლელი რჩება, ხოლო ძირითადი შემადგენლობიდან ამოღებულ მოთამაშეს უფლება არ აქვს გადაინაცვლოს სათადარიგო შემადგენლობაში და მოგვიანებით მიიღოს მატჩში მონაწილეობა. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს გამოკლებულ მოთამაშეს დოპინგზე შემოწმების ვალდებულებისგან.

4.10. თუ რომელიმე გუნდში მოედანზე არის 7-ზე ნაკლები მოთამაშე თამაში არ დაიწყება. თუ რაიმე მომენტში სხვადასხვა მიზეზით რომელიმე გუნდში მოედანზე დარჩება 7-ზე ნაკლები მოთამაშე – თამაში შეწყდება. საკითხი განსახილველად სადისციპლინო კომიტეტს.

4.11. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის მასპინძელი გუნდი ვალდებულია ჩაწეროს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ყველა მატჩი DVD დისკზე. მატჩის გადაღება უნდა მოხდეს შემაღლებული ადგილიდან, სათამაშო მოედნის ცენტრალური ხაზის გასწვრივ შტატივზე დამაგრებული, უძრავი და მაღალი გარჩევადობის მქონე ციფრული კამერით. მატჩის გადაღება უნდა მოხდეს სრულად, პაუზების გარეშე. ამავე დროს გადაღება არ უნდა შეწყდეს, თუ საფინალო სასტვენის შემდეგ ადგილი აქვს რაიმე ინციდენტს. მატჩის დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მატჩის ამსახველი ვიდეო მასალის ჩატვირთვა კომპიუტერში და DVD დისკზე მისი ჩაწერა. უნდა დამზადდეს DVD დისკის 2 ასლი. DVD დისკის დამზადებისთანავე ერთი ასლი უნდა გადაეცეს მატჩის დელეგატს ან მსაჯების დამკვირვებელს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში წარსადგენად, ხოლო მეორე ასლი უნდა

გადაეცეს მატჩის მთავარ მსაჯს. ამის პარალელურად ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-სა და ლიგა 3-ში მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის დასრულებიდან 24 საათში ატვირთოს სფფ-ის მიერ მითითებულ სერვერზე მატჩის უწყვეტი ვიდეოჩანაწერი.

4.12. მატჩის მსაჯები ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების მოთამაშის მონაწილის ბარათები. იმ შემთხვევაში, თუკი მოთამაშის მონაწილის ბარათი რაიმე მიზეზით ვერ წარ-მოადგინა გუნდმა, მატჩზე მისი დაშვების საკითხი შეთანხმდება საშეჯიბრო განყოფილებასთან. მსაჯები მატჩის დაწყებამდე ამოწმებენ მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, წინამდებარე დებულების შესაბამისად ფორმა უნდა გამოიცვალოს სტუმართა გუნდმა. ჩემპიონატის და თასის მატჩებზე ფორმის ფერს ირჩევს მასპინძელი გუნდი, რის შესახებაც ჩემპიონატის დაწყებამდე წერილობით ყველა კლუბმა სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში უნდა წარადგინოს საშინაო ფორმის ფერები.

4.13. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 8 სათამაშო ბურთი. მასპინ-ძელი გუნდი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს მატჩისას არანაკლებ ბურთის მიმწოდებელი ბავშვის ყოფნა არანაკლებ ათისა.მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, რომლებიც უნდა იმყოფებოდნენ მოედნის პერიმეტრზე მთელი მატჩის განმავლობაში. ბურთებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

1. FIFA APPROVED ან/და FIFA QUALITY PRO
2. FIFA INSPECTED ან/და FIFA QUALITY
3. IMS _ INTERNATIONAL MATCH STANDARD

4.14. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კალენდარულ მატჩებში ნებადართულია ხუთ-ხუთი მოთამაშის შეცვლა სამი შეჩერებით. მხოლოდ მატჩის ძირითადი დროის ტაიმებს შორის შესვენებაზე განხორციელებული ცვლილება არ ითვლება შეჩერებად. მატჩის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს (ტრავმა, უამინდობა, უწესრიგობები მოედანზე ან ტრიბუნაზე,

განათების სისტემის გაუმართაობა და ა.შ), განხორციელებული ცვლილება ითვლება შეჩერებად.პლეიოფის მატჩებში დამატებითი დროის დანიშვნა არ ანიჭებს გუნდებს მეოთხე შეჩერების გამოყენების უფლებას.

4.15. ტექნიკური ზონა სათადარიგოთა სკამის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან თითო მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო საფეხბურთო მოედნის გვერდითა ხაზიდან – არაუმეტეს 1 მეტრით. მოედნის ცენტრალური ხაზიდან ტექნიკური ზონები სიმეტრიულად უნდა იყოს დაცილებული 5-5 მეტრით.

4.16. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე (ერთდროულად 5-5 მოთამაშე თითო გუნდიდან). დასაშვებია თითოეული გუნდის მოთამაშეებს თან ახლდეთ თითო-თითო ფიზმომზადების მწვრთნელი.

4.17. თამაშის დროს პირით ხაზს მიღმა, სარეკლამო ბანერის უკან დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპონდენტებს და ტელეოპერატორებს (რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია და მიღებული აქვთ გადასაცმელი) და ბურთის მომწოდებელ ბავშვებს.

4.18. მატჩის გადაღების უფლების მქონე ტელევიზიის ტელეოპერატორები განლაგდებიან მათთვის ხელსაყრელ და მატჩისთვის უსაფრთხო ადგილზე დელეგატთან შეთანხმებით.

4.19. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის გუნდებს თამაშის გადატანის მოთხოვნა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულია მათ განაცხადში მყოფი 3 ან მეტი მოთამაშე და 21-წლამდელთა ნაკრებში 5 ან მეტი მოთამაშე.

4.20. მონაწილე კლუბები ვალდებულნი არიან სფფ-ის ანგარიშზე ჩარიცხონ საწევრო შესატანი შემდეგი ოდენობით: ეროვნული ლიგა – 72 ათასი ლარი, ეროვნული ლიგა 2 – 48 ათასი ლარი, ლიგა 3 – 30 ათასი ლარი, ლიგა 4 – 18 ათასი ლარი. საწევრო შესატანის გადახდა ეროვნულ ლიგაში და ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში და ლიგა 4-ში უნდა მოხდეს 2026 წლის 1 მარტამდე.

4.21. სფფ-ის მიმართ ყველა სახის გადასახადი (დავალიანება) დაფარული უნდა იყოს სფფ-ის მიერ დადგენილ ვადაში.

გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.

4.22. **სფფ-ის რეკვიზიტებია: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის №GE88BG0000000120626001 საიდენტიფიკაციო კოდი 201990079.**

4.23. მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თამაშის წინა დღეს სტუმარი გუნდის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს სავარჯიშო მოედანი მატჩის გამართვის ადგილიდან არაუმეტს 45 კილომეტრის დაშორებით , რომლის საფარი (ყველა ლიგაში შესაძლებელია ხელოვნური საფარი) და გასახდელი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს.

4.24. ყველა ლიგაში მაისურის უკანა მხარეს მოთამაშეს უნდა ეწეროს სათამაშო ნომერი, ასევე მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი კლუბის ლოგო, რომელიც დამოწმებულია სეზონისწინა განაცხადის მიღებისას. თუ მაისური ზოლიანია, მაისურზე ნომრები უნდა იყოს აღნიშნული ერთგვაროვან ფონზე.

ეროვნულ ლიგასა და ეროვნულ ლიგა 2-ში მოთამაშის მაისურის მარჯვენა მკლავზე უნდა განთავსდეს საქართველოს ეროვნული დროშა, მარცხენა მკლავზე კი ეროვნული ლიგის ლოგო. ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის გუნდების მაისურზე სავალდებულოა გვარების მითითება ქართულ ენაზე. ეროვნულ ლიგასა და ეროვნულ ლიგა 2-ში დაუშვებელია სათამაშო ნომრის გამოცვლა სეზონის მიმდინარეობის განმავლობაში. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდში, იმ შემთხვევაში თუკი კლუბიდან წასული ფეხბურთელის ნომერს დაეუფლება ახალწვეული.

ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის კლუბები ვალდებულნი არიან, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ფეხბურთელს მაისურზე დააწერონ მხოლოდ და მხოლოდ გვარი, ხოლო ლეგიონერების შემთხვევაში გვარ-სახელის დაწერის ფორმა აუცილებლად შეუთანხმონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებას.

ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში კლუბის ძირითად განაცხადში მყოფი ფეხ-

ბურთელებისთვის და ასევე იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც შესაძლებელია ასაკობრივი ან ფარმ-გუნდებიდან მოხვდნენ ძირითადი გუნდის მატჩის განაცხადში, ნომრების თავისუფალი არჩევანია 1-დან 40-მდე. განაცხადში შეყვანილი ყოველი ახალი ფეხბურთელი აიღებს მხოლოდ დარჩენილ თავისუფალ ნომერს, ხოლო სეზონის განმავლობაში ფეხბურთელთა რაოდენობის 40-ზე გადაჭარბების შემთხვევაში იმოქმედებს რიგითობის პრინციპი: 41, 42, 43 და ა.შ.

ეროვნული ლიგის კლუბები ვალდებულნი არიან ჩემპიონატის დაწყებამდე სფფ-ის შესაბამის განყოფილებას ელექტრონულად წარუდგინოს გუნდური ფოტო, იმ სათამაშო ფორმით რომლითაც გამართავს საშინაო მატჩებს,სტაფის და ფეხბურთელების ინდივიდუალური ფოტოები (უნდა იყოს სტუდიური,დამუშავებული, ფონის გარეშე)

4.25. გუნდს უნდა გააჩნდეს სამი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა. მეკარის ფორმა მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯთა ფორმის ფერებისაგან.

4.26. ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე სტადიონზე იყოლიოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის მანქანა აღჭურვილი იქნება შესაბამისად და ლიცენზირებული იქნება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ. იმ შენმთხევევაში თუ მატჩის დაწყების განსაზღვრულ დროის შემდეგ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა 65 წუთზე მეტს აგვიანებს სტადიონზე გამოცხადებას მატჩის არბიტრი დელეგატთან (დელეგატის არ ყოფნის შემთხვევაში ერთპიროვნულად) შეთანხმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მატჩის არ დაწყების შესახებ. ხოლო საკითხი გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო სამსახურს.

ეროვნულ ლიგაში მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე სტადიონზე იყოლიოს სახანძრო მანქანაც. ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში სახანძრო მანქანის ყოლა აუცილებელია კონკრეტულ მატჩზე სფფ-ის მოთხოვნის შემთხვევაში.

მასპინძელი გუნდი ასევე ვალდებულია მატჩის დაწყებამდე

1 საათით ადრე სტადიონზე უზრუნველყოს შესაბამისი ლიცენზიის მქონე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა და/ან მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელთა საჭირო რაოდენობა.

მატჩის დელეგატის მოთხოვნისთანავე სავალდებულოა, რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა, სახანძრო მანქანის ეკიპაჟის წარმომადგენელმა, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხიმსგებელი ორგანიზაციის ან მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელმა ხელი მოაწერონ მატჩის დელეგატის პატაკში.

4.27. კლუბი ვალდებულია გუნდიდან განთავისუფლებული მოთამაშის მონაწილის ბარათი 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს სფფ-ის შესაბამის სამსახურს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს სფფ-ს ამ მოთამაშის გუნდიდან წასვლის შესახებ.

4.28. მატჩში მონაწილე გუნდები ვალდებული არიან საათნახევრით ადრე გამოცხადნენ სტადიონზე. დელეგატი (მსაჯთა დამკვირვებელი) და არბიტრი საჭიროების შემთხვევაში მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ატარებენ თათბირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი სტრუქტურის თანამშრომელი, მსაჯები, სტადიონის პასუხისმგებელი პირი, მასპინძელი გუნდის უსაფრთხოების ოფიერი.

4.29. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს სფფ და ატყობინებს მონაწილეებს და მედიას მათ ჩატარებამდე 3 დღით ადრე. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მატჩის თარიღისა და დროის შეცვლის ან სხვა სტადიონზე გამართვის შესახებ. გუნდებს, სფფ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ მატჩები ჩაატარონ ხელოვნური განათების ქვეშ (ამის შესახებ მასპინძელმა უნდა აცნობოს სფფ-ს სამი დღით ადრე). იმ შემთხვევაში, როცა დაგეგმილია მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ან ტრანსლიაცია ინტერნეტში, სფფ უფლებას იტოვებს მისი დაწყების დრო დააკორექტიროს მატჩის წინა დღეს.

4.30. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროს რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მთავარი მსაჯი

ვალდებულია შეამოწმოს მატჩზე მოსული გუნდის მოთამაშეთა ბარათები, ამის შემდეგ დამსწრე გუნდი და მსაჯები ვალდებული არიან სათამაშო ფორმით გავიდნენ მოედანზე და დააფიქსირონ თამაშისთვის მზადყოფნა.

4.31. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევაში გადაწყვეტილებას მატჩის გამართვის, დასაწყისის გადავადების (მაქსიმუმ 65 წუთი) იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება. 65 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო სამსახურს.

4.32. მატჩის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ მოთამაშეები ვალდებული არიან ხელი ჩამოართვან ერთმანეთს და მსაჯებს, მიესალმონ და დაემშვიდობონ მაყურებლებს.

4.33. მატჩის მიმდინარეობის დროს და შესვენებისას ოქმში მყოფ მოთამაშეებს, მწვრთნელებს და კლუბის სხვა ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ ტელეფონით სარგებლობის ან სათამაშო ეპიზოდის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტება.

4.34. დაუშვებელია უარის თქმა ეროვნულ ლიგასა და ეროვნულ ლიგა-2-ში სფფ-ის მიერ პერიოდული მონიტორინგის მიზნით დაგეგმილ EPTS აღჭურვილობის გამოყენებაზე მონაწილე გუნდებისა თუ მოთამაშეთა მხრიდან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კლუბს აქვს მსგავსი ელექტრონული სისტემის გამოყენების სურვილი, მატჩამდე მინიმუმ სამი დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას. უშუალოდ მატჩის წინ ზემოთაღნიშნული სისტემის თავსებადობის შემოწმებას საერთაშორისო სტანდარტთან ახორციელებენ მატჩის არბიტრი და დელეგატი.

4.35. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მატჩის დელეგატს (მსაჯთა დამკვირვებელს) უფლება აქვს არ ჩაატაროს მატჩი, შეადგინოს შესაბამისი ოქმი, საკითხი კი განსახილველად გადასცეს სადისციპლინო კომიტეტს.

4.36. თუ ჩემპიონატიდან მოხსნილმა გუნდმა ჩაატარა ჩემპიონატის ყველა თამაშის ნახევარზე (არ ითვლება პლეიოფის მატჩები) ნაკლები, მისი შედეგები გაუქმდება და გუნდი ამოღებული იქნება გათამაშების ცხრილიდან. მატჩების ნახევრის ან

მეტის ჩატარების შემთხვევაში გუნდს ყველა დარჩენილ თამაშში ჩაეთვლება წაგება 0:3 (მოწინააღმდეგეს მოგება 3:0) – ასეთი გუნდი დაგროვილი ქულებით დარჩება გათამაშების ცხრილში. ჩემპიონატიდან მოხსნილი გუნდი მომდევნო ჩემპიონატში დაქვეითდება ქვედა ლიგაში.

როცა ჩემპიონატის ფორმატი მოიცავს ერთზე მეტ ეტაპს, მოხსნილი გუნდის ნაჩვენები შედეგები ძალაში რჩება იმ შეთხვევაშიც თუ გუნდს ნათამაშები აქვს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩების ნახევარი ან მეტი.

4.37. ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში, რეგიონულ ლიგასა და ასაკობრივ ლიგებში მოთამაშეები ყოველი 4 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ მომდევნო ტურის ერთ შეხვედრას, ხოლო მწვრთნელები და სხვა დამატებითი პერსონალი ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ(მწვრთნელების და პერსონალის ბარათების დაჯამება ხდება მიუხედავად იმისა თუ რომელ ლიგაში იქნა მიღებული). საქართველოს თასის გათამაშებაში მოთამაშები,მწვრთნელები და დამატებითი პერსონალი ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ თასის გათამაშების მომდევნო ერთ შეხვედრას. მოთამაშე მწვრთნელების ბარათები აღირიცხება მატჩის ოქმში მითითებული სტატუსის მიხედვით (სხვადასხვა სტატუსის დროს მიღებული ბარათები არ ჯამდება)

იმ შემთხვევაში, როცა მოთამაშე თასის რომელიმე ეტაპზე იღებს მეორე გაფრთხილებას, ის მომდევნო ეტაპის მატჩს ტოვებს როგორც ძირითად გუნდში, ასევე ფარმ-გუნდში.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მიღებული გაფრთხილებები არ ვრცელდება საქართველოს თასის გათამაშების მატჩებში და პირიქით. თუ მატჩი არ ჩატარდა და დაფიქსირდა ტექნიკური შედეგი, მოთამაშის დისკვალიფიკაციის ვადა უცვლელი რჩება.

ყველა ლიგაში მიღებული ყვითელი და წითელი, ასევე საქართველოს თასზე მიღებული წითელი ბარათები უცვლელად ვრცელდება პლეიოფის მატჩებზეც.

4.38. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბების ძირითადი გუნდის და მათი ფარმ-გუნდის მოთამაშეების მიერ მიღებული ყვითელი ბარათები მოქმედებს მხოლოდ იმ გათამაშებაში, რომლებშიც ისინი

იქნა მიღებული (არ ჯამდება), ხოლო ყვითელი ბარათებით გამოწვეული სანქციის (არ გადადის მომავალ სეზონზე), წითელი ბარათის და სხვა დისციპლინარული სასჯელის მიღების შემთხვევაში, კლუბების პირველი გუნდის, ფარმ-გუნდის ან ასაკობრივი გუნდების მოთამაშე ტოვებს თამაშს ყველა გუნდში, სანამ არ გაუვა სასჯელის ვადა იმ გუნდში, რომელ გუნდშიც დაუწესდა სანქცია.

იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის, ლიგა 4-ის, რეგიონული ლიგის და ასაკობრივი ლიგის გათამაშება სრულდება ან შეწყდება რაიმე მიზეზის გამო, ან ზემოთხსენებულ ლიგებში იმაზე ადრე იწყება საზაფხულო პაუზა, ან რაიმე სხვა სახის პაუზა, ან ეროვნული ლიგის ან/და ეროვნული ლიგა 2-ის განახლება ხდება უფრო ადრე ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ლიგების სადაც მონაწილეობს ძირითადი გუნდი, ფეხბურთელი დისკვალიფიკაციას იხდის ძირითად გუნდში. ხოლო, როცა ფეხბურთელს მომავალ სეზონში გადაყვება დაკისრებული სანქცია, დისკვალიფიკაციას მო-იხდის იმ გუნდში, სადაც იქნება დარეგისტრირებული.

4.39. ჩემპიონატის მსვლელობისას ეროვნულ, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას, წინა გუნდში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში რჩება . მიუხედავად იმისა თუ კლუბის რომელ გუნდში დარეგისტრირდება ფეხბურთელი,ძირითად გუნდში მიღებული ბარათები გადაჰყვება ძირითად გუნდში, ფარმგუნდში მიღებული გადაჰყვება ფარმგუნდში, ასაკობრივი ლიგაში მიღებული გადაჰყვება შესაბამის ასაკობრივ გუნდში. იმ შემთხვევაში როცა ფეხბურთელის მიმღებ კლუბს არ ჰყავს ფარმ-გუნდი ან შესაბამისი ასაკობრივი გუნდი, ფეხბურთელს ძირითად გუნდში გადაჰყვება მხოლოდ ის ბარათები რომელიც მიღებული ქონდა იმ ლიგაში რომელსაც წარმოადგენს მისი ახალი გუნდი,ხოლო თუ ფეხბურთელს იმ ლიგაში არა აქვს ყვითელი ბარათი მიღებული რო-მელშიც გადადის, გადაჰყვება იმ გუნდში მიღებული ბარათები რომელშიც იყო რეგისტრირებული. იმ შემ თხვევაში როცა ფეხბურთელის წინა კლუბს არ ყავდა ფარმგუნდი, ხოლო ფეხბურთელის რეგისტრაცია ხდება ახალი კლუბის ფარმგუნდში, ფეხბურთელს წინა გუნდში

მიღებული ბარათები გადაჰყვება ძირითად გუნდში გარდა იმ შეთხვევისა როცა ყოფილი გუნდი და მარეგისტრირებელი ფარმგუნდი წარმოადგენენ ერთ ლიგას, ასეთ შემთხვევაში ბარათები გადაჰყვება მარეგისტრირებელ ფარმგუნდში. რეგიონული ლიგისა და მასში მონაწილე ფარმ-გუნდის მოთამაშეებისთვის მოქმედებს განსხვავებული წესი:

1. რეგიონული ლიგის გუნდიდან ყველა სხვა ლიგის გუნდში ან ყველა სხვა ლიგის გუნდიდან რეგიონული ლიგის გუნდში გადასულ მოთამაშეს მიღებული ყვითელი ბარათები არ გადაჰყვება, ხოლო რეგიონული ლიგის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში დარჩება.

2. იმ შემთხვევებში, როცა რეგიონულ ლიგაში მონაწილე ფარმ-გუნდში ხდება რანგით უფრო მაღალი ლიგიდან გადმოსული მოთამაშის რეგისტრაცია წინა გუნდში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში დარჩება.

4.40. 2027 წლის ეროვნული ლიგის, სასტარტო ცხრილი (ცხრილში მითითებული ნომრები შეიძლება გამოყენებულ იქნას საშე-ჯიბრო განყოფილების მიერ კალენდრის შედგენისას) განი-საზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

პირველი ადგილიდან მე-7 ადგილის ჩათვლით 2026 წლის ეროვნული ლიგის საბოლოო ცხრილის მიხედვით

მე-8 ადგილი, 2026 წლის ეროვნულ ლიგა-2-ში გამარჯვე-ბული გუნდი, ხოლო მე-9 და მე-10 ადგილების განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით:

1-ლი ადგილი: ეროვნულ ლიგაში მე-8 ადგილზე გასული გუნდი (პლეიოფში გამარჯვების შემთხვევაში)

მე-2 ადგილი: ეროვნულ ლიგაში მე-9 ადგილზე გასული გუნდი (პლეიოფში გამარჯვების შემთხვევაში)

მე-3 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-2 ადგილზე გასული გუნდი (პლეიოფში გამარჯვების შემთხვევაში)

მე-4 ადგილი: ეროვნულ ლიგა 2-ში მე-3 ადგილზე გასული გუნდი (პლეიოფში გამარჯვების შემთხვევაში)

იგივე პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნულ ლიგა 2-შიც.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5.1. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის და ლიგა 4-ის გუნდების განაცხადების მიღებას და მონაწილეთა დამტკიცებას უზრუნველყოფს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

5.2. კლუბიდან კლუბში მოთამაშეთა გადასვლას აღრიცხავს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება, ხოლო სადავო საკითხებს განიხილავს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება სფფ-ის წესდების შესაბამისად შეიძლება სფფ-ის საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში.

5.3. გუნდების განაცხადები მიიღება მას შემდეგ, რაც კლუბები წარმოადგენენ სარეგისტრაციო საბუთებს.

5.4. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან დადგენილი განრიგის მიხედვით სფფ-ში წარმოადგინონ:

- სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული წესდების ასლი და ბოლო 10 დღის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
- საფეხბურთო კლუბის იურიდიული მისამართი რეესტრის ამონაწერის მიხედვით და ბანკის რეკვიზიტები (კლუბის ოფისის, სტადიონის და ბაზის ტელეფონის, ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი).
- საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, სპორტული დირექტორი, პასუხისმგებელი მდივანი, მწვრთნელები, უსაფრთხოების ოფიცერი, პრეს-ატაშე და სხვა), მათი მისამართები და ტელეფონები.
- ხელშეკრულება სტადიონის მფლობელის ან იჯარის (მინიმუმ ერთი საფეხბურთო სეზონი) შესახებ.
- საფეხბურთო კლუბის ხელშეკრულებები საზოგადოებრივი წესრიგის დამცავ სტრუქტურებთან მატჩების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ.
- ხელშეკრულება იმ სამედიცინო დაწესებულებასთან, რომელმაც მოახდინა კლუბის ფეხბურთელების შემოწმება.
- კლუბმა დებულების 4.20 მუხლში მითითებული თარიღის შესაბამისად უნდა წარადგინოს ბანკის მიერ დამოწმებული

საგადასახადო დავალება სფფ-ის ანგარიშზე ჩემპიონატის ამ დებულებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის შესახებ.

• კლუბის ოფიციალურად დადასტურებული წერილი საშინაო თამაშებზე ფორმის კომპლექტის (მაისური, ტრუსი, გეტრი, მეკარის ფორმის მაისური, ტრუსი, გეტრი) შესახებ. თუ სეზონის მსვლელობისას გუნდი იცვლის საშინაო ფორმის ფერებს, ამის შესახებ დამატებით უნდა ჰქონდეს გაგზავნილი სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში ოფიციალურად დადასტურებული წერილი. სეზონის მსვლელობისას შეცვლილი ფორმის ფერი წინაამღდეგობაში არ უნდა მოდიოდეს კონკრეტულ ტურში, სტუმარი გუნდის ფორმის ფერებთან. დამთხვევის შემთხვევაში ფორმის ფერს ცვლის მასპინძელი.

• გუნდის განაცხადი 3 ეგზემპლარად(რომელიც მოიცავს სამედიცინო შემოწმების დადასტურებას და შეჯიბრებაზე დაშვებას).

• მოთამაშეთა და მწვრთნელთა კონტრაქტები, გაფორმებული მინიმუმ 2026 წლის სეზონის ბოლომდე. იმ მოთამაშეთა კონტრაქტების მოქმედების ვადა შესაძლებელია იყოს განსხვავებული, რომელიც 2025 წელს უკვე იყო რეგისტრირებული სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში ასევე საიჯარო ხელშეკრულებები. გუნდის მთავარ მწვრთნელს უნდა გააჩნდეს იმ ლიგის შესაბამის ლიცენზია რაც მოთხოვნილია ლიცენზირების დებულებით. შრომითი ანაზღაურება არ უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

• პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლები;

• მოთამაშეთა ახალი ბარათები სურათით.

• ეროვნული ლიგის კლუბებმა უნდა წარმოადგინონ გუნდის ფერადი ფოტოსურათი (ზომით 18X12 სმ), ფეხბურთელების, პრეზიდენტის და მთავარი მწვრთნელის თითო ფერადი სურათი.

• ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის გუნდებს ეკრძალებათ სახელის გადარქმევა და ლოგოს გამოცვლა სეზონის მიმდინარეობისას. კლუბის ლოგოს დამოწმება ხდება სეზონის დასაწყისში განაცხადის მიღებისას სფფ-ის შესაბამისი სამსახურის მიერ.

5.5. ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-სა და ლიგა 3-ში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან გააფორმონ მხოლოდ პროფესიონალური კონტრაქტები:

5.6. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის ჩემპიონატის მსვლელობისას, ყველა ლიგაში თითოეული გუნდის განაცხადში შეიძლება შეყვანილი იყოს 30 მოთამაშე. თუ გუნდი დაამტკიცებს 30-ზე მეტ მოთამაშეს, იგი ვალდებულია გადაიხადოს ყოველ დამატებულ მოთამაშეზე: ეროვნულ ლიგაში – 4500, ეროვნულ ლიგა 2-ში – 3500, ლიგა 3-ში – 2000 ლარი, ხოლო ლიგა 4-ში 1500 ლარი.

ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში ძირითადი გუნდის განაცხადში უნდა იყოს რეგისტრირებული კლუბის გაწვრთნილი მინიმუმ 5 ფეხბურთელი. ფეხბურთელი ითვლება კლუბის გაწვრთნილად, თუ იგი 15-დან 21 წლის ასაკამდე, მინიმუმ, სამი საფეხბურთო სეზონის ან სამი კალენდარული წლის განმავლობაში (საერთო ჯამში 36 თვე) იყო რეგისტრირებული აღნიშნულ კლუბში. კლუბი ვალდებულია სათანადოდ მიუთითოს ამ ფეხბურთელების ვინაობა განაცხადში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითად გუნდში ასეთი ფეხბურთელების რაოდენობა 5-ზე ნაკლებია, ამ გუნდში ფეხბურთელების უფასოდ რეგისტრაციის ზედა ზღვარი შემცირდება კლუბის გაწვრთნილი ფეხბურთელების დანაკლისის პროპორციულად, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

კლუბის გაწვრთნილი ფეხბურთელების რაოდენობა ძირითად გუნდში	**ძირითად გუნდში ფეხბურთელების უფასოდ რეგისტრაციის მაქსიმალური რაოდენობა**
5	**35**
4	**34**
3	**33**
2	**32**
1	**31**

5.7. განაცხადში მოთამაშის ადგილი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მას გაიწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში

ან იმყოფება თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების დაწესებულებაში.

5.8. ნებისმიერ ლიგაში ნებისმიერ დროს ყველა გუნდისთვის ნებადართულია ბავშვთა სკოლიდან მოთამაშეთა დამტკიცება.

5.9. გუნდის განაცხადი მოწმდება კლუბის უფლებამოსილი პირის, სამედიცინო დაწესებულების ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით.

5.10. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბებს უფლება აქვთ ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანონ თავისი ფარმ-გუნდიდან და ასაკობრივი ლიგებიდან 20 მოთამაშე.

5.11. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბებს უფლება აქვთ თავიანთ ფარმ-გუნდებში ათამაშონ ძირითად გუნდში დარეგისტრირებული არაუმეტეს ორი მოთამაშისა. შეზღუდვა არ ვრცელდება ასაკობრივი ლიგების მოთამაშეებზე.

5.12. ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის კლუბები ვალდებულნი არიან სფფ-ის მიერ ორგანიზებულ, 19-წლამდელთა, 17-წლამდელთა და 15-წლამდელთა ასაკობრივი ლიგის თითოეულ გათამაშებაში გამოიყვანონ მინიმუმ ერთი გუნდი.

5.13. კლუბს შეუძლია ჰყავდეს მოთამაშე-მწვრთნელი.

5.14. კლუბის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანილი ოფიციალური პირები (რომლებიც ჩამოთვლილია 4.7. პუნქტში) აუცილებლად უნდა იქნენ შეყვანილი მატჩის ოქმში, გარდა იმ შემთხვევებისა თუ რომელიმე ოფიციალური პირის არყოფნა მატჩზე გამოწვეულია რაიმე საპატიო მიზეზით. კლუბი ვალდებულია ამის თაობაზე განუმარტოს მატჩის დელეგატს. დარღვევის დადგენის შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხება სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულებებით განსაზღვრულ კადრებს, იგი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა სფფ-ის კლუბების ლიცენზირების ორგანოებს.

6. მოთამაშეების ტრანსფერი

6.1. მოთამაშე, რომელსაც სურს სფფ-ის ეგიდით გამართულ ნებისმიერ შეჯიბრებაში მონაწილეობა და შეყვანილია კლუბის განაცხადში, რეგისტრირდება სფფ-ში.

6.2. სფფ-ის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სფფ-ის მიერ დაწესებულ სატრანსფერო პერიოდებში:
სფფ-ის მიერ დადგენილი სატრანსფერო პერიოდებია: პირველი პერიოდი – 2026 წლის 1 იანვრიდან – 2026 წლის 11 მარტის ჩათვლით.
მეორე პერიოდი – 2026 წლის 22 ივნისიდან – 2026 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით;
საერთაშორისო ტრანსფერისას გათვალისწინებული იქნება იმ ქვეყნის სატრანსფერო პერიოდები, რომლის კლუბთანაც ხორციელდება ტრანსფერი.

6.3. საფეხბურთო სეზონის განმავლობაში მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სამ კლუბში, ოფიციალურ მატჩებში (ევროტურნირების მატჩების ჩათვლით) ორ კლუბში მონაწილეობის უფლებით. მატჩის ოქმში მოთამაშის შეყვანა არ ნიშნავს მონაწილეობას (ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესების მუხლი 5, პუნქტი 3-ის თანახმად).

6.4. დაუშვებელია კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტა საფეხბურთო სეზონის მსვლელობისას (ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესების მუხლი 16).

6.5. კლუბს და მოთამაშეს შეუძლიათ გააუქმონ არსებული სამუშაო კონტრაქტი დასაქმების პირველი სეზონის გასვლამდე, თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება ორივე მხარის მიერ, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს ახალ კლუბში სფფ-ის მიერ ხელახლა გახსნილ სარეგისტრაციო პერიოდში.

6.6. მოთამაშის გადასვლა ერთი კლუბიდან მეორეში იჯარის წესით ითვლება ერთ გადასვლად, ხოლო იჯარის ვადის დასრულების შემდეგ მოთამაშის დაბრუნება ძველ კლუბში გადასვლად არ ითვლება. შესაბამისად მოთამაშის იჯარით გადაცემის ვადა შეიძლება იყოს მეორე სატრანსფერო პერიოდამდე. აღნიშნული განმარტება არ ვრცელდება იმ შემთხვევისათვის, როცა იჯარის შესაბამისად მოთამაშე არ უბრუნდება თავის კლუბს და გადადის მესამე კლუბში. ეს შემთხვევა მოთამაშეს ჩაეთვლება მეორე გადასვლად.კლუბს უფლება აქვს სხვა ასოციაციის წარმომადგენელი კლუბებიდან

იჯარით აიყვანოს არაუმეტეს 6 ფეხბურთელი (კონკრეტული კლუბიდან მხოლოდ 3 ფეხბურთელი).კლუბს უფლება აქვს სფფ-ის მიერ ორგანიზებულ ლიგების სხვადასხვა კლუბში გაუშვას მოთამაშე იჯარით, მაგრამ არაუმეტეს სამი მოთამაშისა იმავე ლიგის კლუბში (ყოველ სატრანსფერო პერიოდამდე). იჯარით გასხვისებულ მოთამაშეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მეპატრონე კლუბის წინააღმდეგ თამაში, თუ კლუბი წარმოადგენს, ფეხბურთელის მფლობელი კლუბის წერილობით თანხმობას.

6.7. სფფ-ის მიერ დაწესებული სატრანსფერო სარეგისტრაციო პერიოდის გარდა, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყველა ის მოთამაშე, რომლებმაც იპოვეს კლუბი სადაც უნდა გაიარონ რეგისტრაცია, თუ ისინი არ იყვნენ დაკავებული შრომითი კონტრაქტით სატრანსფერო პერიოდის ვადის დამთავრების შემდეგ.

6.8. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბებს უფლება აქვთ სარეგისტრაციო პერიოდებში საქართველოს საზღვრებს გარედან მოიწვიონ და ძირითადი გუნდის განაცხადში შეიყვანონ მოთამაშეები, რომლებზეც სფფ-ს მიღებული ექნება შესაბამისი ქვეყნის ფედერაციის ნებართვა (სერთიფიკატი) საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის.

6.9. უცხოეთიდან მოწვეულ მოთამაშეებზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. ლეგიონერების ჩემპიონატში მონაწილეობაზე მოქმედებს შემდეგი ლიმიტი: ეროვნული ლიგა – კლუბს მიეცეს უფლება სეზონის განმავლობაში განაცხადში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) უცხო ქვეყნის მოქალაქისა, 5 (ხუთი) ლეგიონერის რეგისტრაცია ხდება გადასახადის გარეშე, 6-დან 10-ის ჩათვლით რეგისტრირებისას კლუბმა თითოეულ ფეხბურთელზე უნდა გადაიხადოს 10 (ათი) ათასი ლარი, ხოლო 11-ის შემდგომ ყველა ლეგიონერის რეგისტრირებისას კლუბმა თითოეულ ფეხბურთელზე უნდა გადაიხადოს 15 (თხუთმეტი) ათასი ლარი. ლეგიონერის ჩანაცვლება სხვა ლეგიონერით შესაძლებელია მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდში (ლეგიონერად ჩაითვლება ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არა აქვს მნიშვნელობა

ფეხბურთელი გასულ სეზონებში ირიცხებოდა თუ არა ქართულ კლუბებში); ჩანაცვლება ეხება მხოლოდ ლეგიონერების ლიმიტს და არ მოქმედებს გადასახდელ თანხაზე, კლუბი შესაბამის თანხას იხდის ყოველი ახალი ფეხბურთელის რეგისტრაციაში. ეროვნული ლიგის კლუბს უფლება აქვს ჩემპიონატის მსვლელობისას მატჩის ოქმში შეიყვანოს მხოლოდ ის ლეგიონერები, რომელებიც განაცხადში არიან ეროვნულ ლიგაში, ეროვნული ლიგა 2-ის და ლიგა 3-ის მონაწილე ფარმ-გუნდში ან ასაკობრივი ლიგის გუნდში.

ძირითად გუნდში, ფარმ-გუნდში და ასაკობრივ ლიგაში ერთდროულად განაცხადში ლეგიონერების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 15-ს(თხუთმეტს).

ეროვნული ლიგა 2 – კლუბს მიეცეს უფლება სეზონის განმავლობაში ერთდროულად განაცხადში ჰყავდეს არაუმეტეს12 (თორმეტი) უცხო ქვეყნის მოქალაქისა, 12-დან მაქსიმუმ 7 შეიძლება იყო ის რაოდენობა რომელიც კლუბს შეუძლია დაარეგისტრიროს 2026 წლის სატრანსფერო პერიოდებში ხოლო დანარჩენი 5 შეიძლება იყო ის ლეგიონერები რომლებსაც გააჩნდათ 2025 წელს ან უფრო ადრე სფფ-ში რეგისტრირებული მიმდინარე კონტრაქტი იმ კლუბთან რომელშიც 2026 წელს აგრძელებენ ასპარეზობას. ლეგიონერის ჩანაცვლება სხვა ლეგიონერით შესაძლებელია მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდში (ლეგიონერად ჩაითვლება ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არა აქვს მნიშვნელობა ფეხბურთელი გასულ სეზონებში ირიცხებოდა თუ არა ქართულ კლუბებში); ეროვნული ლიგა 2-ის კლუბს უფლება აქვს ჩემპიონატის მსვლელობისას მატჩის ოქმში შეიყვანოს მხოლოდ ის ლეგიონერები, რომელებიც განაცხადში არიან ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ის მონაწილე ფარმ-გუნდში ან ასაკობრივი ლიგის გუნდში.

ძირითად გუნდში, ფარმ-გუნდში და ასაკობრივ ლიგაში ერთდროულად განაცხადში ლეგიონერების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს თორმეტს.

ლიგა 3 – კლუბს მიეცეს უფლება სეზონის განმავლობაში ერთდროულად განაცხადში და მატჩის ოქმში ჰყავდეს არაუმეტეს 3 (სამი) უცხო ქვეყნის მოქალაქისა. ლეგიონერის

ჩანაცვლება სხვა ლეგიონერით შესაძლებელია მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდში (ლეგიონერად ჩაითვლება ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არა აქვს მნიშვნელობა ფეხბურთელი გასულ სეზონებში ირიცხებოდა თუ არა ქართულ კლუბებში); ლიგა 3-ის კლუბს უფლება აქვს ჩემპიონატის მსვლელობისას მატჩის ოქმში შეიყვანოს მხოლოდ ის ლეგიონერები, რომელებიც განაცხადში არიან ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-სა და ლიგა 3-ში ან ასაკობრივი ლიგის გუნდში.ლიგა 3-ში მონაწილე ფარმ გუნდს მატჩის ოქმში შეუძლია ყავდეს (არაუმეტეს 3 უცხო ქვეყნის მოქალაქისა) ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში და ლიგა 3-ში დარეგისტრირებული ლეგიონერი.

ძირითად გუნდსა და ასაკობრივ ლიგაში ერთდროულად განაცხადში ლეგიონერების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს სამს. ლიგა 4-ის მონაწილე გუნდებისთვის დაუშვებელია უცხო ქვეყნის მოქალაქის მოწვევა და დარეგისტრირება. ლეგიონერების გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ ფარმ-გუნდებს, ისეთ შემთხვევაში, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე განაცხადშია ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-სა და ლიგა 3-ში მონაწილე ძირითად გუნდში, ან ასაკობრივი ლიგის გუნდში. ფარმ-გუნდის მატჩის ოქმში დასაშვებია მაქსიმუმ ორი ლეგიონერის შეყვანა.

6.10. კონტრაქტი და აგრეთვე ყველა შესაძლო ცვლილება და დამატება აუცილებლად უნდა იყოს აღრიცხული სფფ-ში. ამ მიზნით წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) კონტრაქტის სამი ორიგინალი ყველა ცვლილებით და დამატებით, რომელზედაც კეთდება სფფ-ის შესაბამისი რეგისტრაცია;

ბ) კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი ცვლილებებით და დამატებებით რჩება სფფ-ში.

6.11. სფფ-ის შესაბამისი ორგანოების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვისას გამოყენებული იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსი, ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების დებულება.

6.12. მოთამაშეების ტრანსფერთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურ-

თელთა სტატუსისა და ტრანსფერის დროებით დებულებაში.

6.13. კლუბები ვალდებულნი არიან ყოველი ფეხბურთელის, მწვრთნელის და საფეხბურთო ფუნქციონერის რეგისტრაციის შემდეგ მაქსიმუმ 48 საათის განმავლობაში შეჯიბრებების მართვის ელეტრონული სისტემის განყოფილებას ელექტრონული ფორმით (ელ-ფოსტაზე: competition@gff.ge), შესაბამისი ფორმატით მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტები:

1. პირადობის დამადასტურბელი მოწმობა ან პასპორტი (PDF)
2. ფოტო 3X4
3. გუნდის საერთო განაცხადი (PDF)
4. ფეხბურთელების და მწვრთნელების ასევე განაცხადში მყოფი ყველა პირის კონტრაქტები (PDF)
5. მწვრთნელთა ლიცენზიები
6. გათავისუფელბის ფურცელი არსებობის შემთხვევაში
7. საერთაშორისო სატრარსფერო სერთიფიკატი. აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები იყოს წაკითხვადი, ცალ-ცალკე ფაილად დასკანრებული და დასახელებაში მიეთითოს იმ პირის ვინაობა ვისაც ეკუთვნის დოკუმენტი.

6.14 კლუბი ვალდებულია ახალი ფეხბურთელის რეგისტრირებისას ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოს აცნობოს ნებისმიერი ფეხბურთელის ყოფილის კლუბის ან კლუბების სასარგებლოდ გადახდილი სატრანსფერო თანხა ასევე წვრთნისა და აღრზდის კომპენსანციის ოდენობა.

7. შეჯიბრების ჩატარების ადგილი

7.1. სტადიონების მიღება ხდება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ ნებისმიერ დროს. ეროვნულ ლიგაში ყველა მატჩი იმართება ბუნებრივსაფარიან მოედანზე. ფორსმაჟორულ სიტუაციაში საშეჯიბრო განყოფილებამ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი და ეროვნული ლიგის მატჩი ჩატარდეს ალტერნატიულ საფარზე.

7.2. სტადიონზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, გამოფენილი უნდა იყოს საქართველოს დროშა.

7.3. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების თანხმობით კალენდარული მატჩი შეიძლება გადატანილ იქნას სხვა სტადიონზე. შესაბამისი თანხმობის მისაღებად საფეხბურთო კლუბმა

სფფ-ს უნდა მიმართოს მატჩამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

7.4. სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო გუნდი მომდევნო მატჩს/მატჩებს ჩაატარებს სფფ-ის მიერ მიღებულ სხვა სტადიონზე, რომლის შესახებაც გუნდმა სფფ-ს უნდა აცნობოს მომდევნო თამაშამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე. იურიდიული ორგანოს მიერ სტადიონის დისკვსლიფიკაციის და მატჩის უმაყურებლოდ გამართვის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მატჩს შეიძლება მაქსიმუმ დაესწროს 90 პირი , რაოდენობა თანაბრად ნაწილდება ორივე გუნდზე.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო მინდორი ან სტადიონი, რომელზეც კლუბი ატარებს საშინაო თამაშებს, არ შეესაბამება სფფ-ის მოთხოვნებს, კლუბმა უნდა წარმოადგინოს ალტერ-ნატიული სტადიონი, რომელიც მიღებულია სფფ-ის მიერ.

7.6. თუ რომელიმე გუნდს გააჩნია პრეტენზია სათამაშო მოედნის მდომარეობის ან მისი ხარისხის გამო (საფარი, დახაზვა, კარის ზომა და ა.შ.) იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობოს მატჩის არბიტრს, დელეგატს და მსაჯთა დამკვირვებელს თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 90 წუთით ადრე (გარდა ფორსმაჟორული შემთხვევებისა). თამაშის ჩატარება-არჩატარების საკითხს, მიუხედავად რომელიმე გუნდის პრეტენზიისა, წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი მატჩის დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯების დამკვირვებელთან) კონსულტაციის შედეგად.

7.7. მასპინძელ გუნდს შეუძლია სტუმარი გუნდის თანხმობის გარეშე მიიღოს მოედნის მორწყვის გადაწყვეტილება. მოედანი უნდა მოირწყას მთლიანად. მორწყვა უნდა დამთავრდეს თამაშის დაწყებამდე 60 წუთით ადრე. მსაჯის თანხმობის შემთხვევაში, მასპინძელ გუნდს ასევე სტუმარი გუნდის თანხმობის გარეშე შეუძლია მოედნის მორწყვა თამაშის დაწყებამდე 10-დან 5 წუთამდე ინტერვალშიც და შესვენების დროს მაქსიმუმ 5 წუთის განმავლობაში.

7.8. კლუბი, რომელიც მოითხოვს ხელოვნური განათების ქვეშ თამაშს, ვალდებულია იქონიოს ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყარო ან დამატებითი ენერგო კვების ბლოკი (გენერატორი), რომელსაც ექნება შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ვარგისიანობის სერტიფიკატი.

7.9. მატჩის მსვლელობისას განათების გამორთვის შემთხვევაში, მასპინძელი კლუბი მთავარი მსაჯისა და მატჩის დელეგატისა მითითებების გათვალისწინებით, ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს პრობლემის მოსაგვარებლად. თუ განათების ჩართვა ვერ მოხერხდა 65 წუთის განმავლობაში არბიტრი დელეგატთან (დელეგატის არ ყოფნის შემთხვევაში ერთპიროვნულად) შეთანხმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მატჩის შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს მატჩის განახლების, სრული ან დარჩენილი დროის სხვა დღეს ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება. სტუმარ გუნდს მივლინების ხარჯებს აუნაზღაურებს მასპინძელი გუნდი. იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი გუნდი ვალდებულებას იღებს, რომ სტუმარი გუნდი განათავსოს მის მიერ მოძიებულ სასტუმროში, სასტუმროს ვარგისიანობას აფასებს მატჩის დელეგატი.

7.10. საფეხბურთო კარის დაზიანების შემთხვევაში, მასპინძელი გუნდი ვალდებულია 65 წუთის განმავლობაში შეცვალოს სრულფასოვნად აღჭურვილი კარით და გაგრძელდეს მატჩი. 65 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო სამსახურს.

7.11. დაწყებული მატჩის შეწყვეტა და შემდგომში გადატანა (გაგრძელება) შესაძლებელია, მასპინძელი კლუბის მიერ უსაფრთხოების სათანადო ნორმების ვერუზრუნველყოფის შემთხვევაში; სტუმარი კლუბის იდენტიფიცირებული გულშემატკივრის უმართავი ქმედებების შემთხვევაში, რომლის პრევენცია აღემატება მასპინძელი კლუბის მიერ დაქირავებული დაცვის სამსახურისა და სამართალდამცავთა ძალებს, ასევე ფორსმაჟორული მდგომარეობისას, რომლის წინასწარ გათვალისწინება (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი მოვლენები) შეუძლებელია, ასევე სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას, რომლებიც მატჩის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად მოხდება (საგანგებო მდგომარეობა) და სხვა მიზეზების გამო, რომელიც არბიტრის, დელეგატის ან მსაჯთა დამკვირვებლის აზრით, საშიშროებას წარმოადგენს მოთამაშეთა ჯანმრთელობისათვის.

7.12. მატჩის დელეგატი, მსაჯთა დამკვირვებელი და არბიტრი ვალდებულნი არიან ყველა ღონე იხმარონ მატჩის ჩასატარებლად, რის შესახებაც მათ უნდა აცნობონ სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

7.13. მატჩის გაგრძელებაზე, გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

7.14. თუ თამაში შეწყდა 7.9 და 7.11. ან სხვა პუნქტში ნახსენები მდგომარეობების გამო და იმ დღეს მისი გაგრძელება ვერ მოხერხდა, მატჩი გაგრძელდება მეორე ან მესამე დღეს და იგი განახლდება იმ წუთიდან (ანგარიში, სადისციპლინო სანქციები – წითელი, ყვითელი ბარათი ძალაშია) რომელ ეპიზოდშიც (პენალტი, ჯარიმა, კუთხური, აუტი, სადაო და ა.შ.) შეწყდა მატჩი.

• გაგრძელებულ მატჩში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ შეწყვეტილი მატჩის ოქმში.

• თუ შეწყვეტილი მატჩის გაგრძელება მეორე დღეს ვერ მოხერხდა, სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დაინიშნება მატჩის გაგრძელების თარიღი. ამ შემთხვევაში: გუნდებს შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ მოახდინონ შემადგენლობის დაკომპლექტება ხოლო ყველა სხვა დანარჩენი პირობა იქნება ძალაში.

• თუ შეწყვეტილი მატჩის ოქმში მყოფი მოთამაშე (მწვრთნელი ა.შ.), შეწყვეტილი მატჩის ჩატარებამდე სხვა მატჩში მიიღებს დისკვალიფიკაციას, მას აქვს განახლებულ მატჩში მონაწილეობის უფლება, ხოლო დისკვალიფიკაცია გადავა მომდევნო თამაშებში.

7.15. მასპინძელი კლუბი, რომლის მინდორზეც ტარდება შეხვედრა, ვალდებულია:

• გამოყოს პასუხისმგებელი პირი (მატჩის მენეჯერი), რომელიც უზრუნველყოფს მსაჯთა, მსაჯთა დამკვირვებლის და დელეგატის უსაფრთხოებას;

• მიაცილოს მსაჯთა ბრიგადა გასახდელიდან მინდვრამდე და მინდვრიდან გასახდელამდე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პირთა თანხლებით, ყველანაირად დაიცვას ისინი;

• გამორიცხოს მსაჯთა ოთახში ნებისმიერი პირის შესვლა ან

ყოფნა. მსაჯების გარდა, რომლებიც ემსახურებიან მატჩს, ოთახში შესვლის უფლება აქვთ მატჩის დელეგატს, მსაჯთა დამკვირვებელს, სფფ-ის წარმომადგენლებს, რომლებიც ატარებენ ამ მატჩს და იმ პირებს, რომლებსაც მიიწვევს მსაჯი, მსაჯთა დამკვირვებელი ან მატჩის დელეგატი.

• უზრუნველყოს მატჩის ჩატარება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნებით;

• უზრუნველყოს მაყურებელთა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება.

• უზრუნველყოს სტუმართა გუნდის თხოვნა მატჩის ბილეთების შესაძენად (სტადიონის მთლიანი ტევადობის 5 %-ის რაოდენობით) და გამოყოს ცალკე სექტორი სტუმართა გუნდის გულშემატკივრებისათვის.

7.16. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს სტადიონი სფფ-ის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად:

• საფეხბურთო მოედანი, მინდვრის კარგი ხარისხის საფარით, რომლის შეფასება ხდება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ, საინფორმაციო ტაბლოთი, გასახდელი ორივე გუნდისათვის, რომლებიც მოწყობილია სათანადო რაოდენობის ავეჯით (სკამებით, მაგიდებით, სარკეებით, ტანსაცმლის საკიდით, სამედიცინო ტახტით და სხვა), საფეხბურთო მინდვრის მაკეტით, საშხაპე ცხელი წყლით (არანაკლებ 5 წერტილი) და საპირფარეშოთი;

• სპეციალური ოთახი მსაჯებისათვის, რომელიც მოწყობილია საშხაპეთი, საპირფარეშოთი, აუცილებელი ინვენტარით და დოკუმენტაციით (მატჩის ოქმი), საფეხბურთო მოედნის მაკეტით, ბურთის ასაწონი სასწორით, გვერდითი მსაჯებისათვის სამი კომპლექტი მკვეთრი ფერის დროშებით (ზომა 30X40 სმ, ტარის ზომა 45 სმ, დიამეტრი 15 სმ), ფეხბურთელთა შეცვლების მანიშნებელი ელექტრო ან მექანიკური ტაბლო (კლუბი ვალდებულია იქონიოს სარეზერვო ვარიანტიც მექანიკური ტაბლოს სახით).

• ცალკე ოთახი მატჩის ოქმის გასაფორმებლად, სპეციალურად განკუთვნილი ადგილები ვიპ-ლოჟაში სფფ-ის დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლისათვის შესაბამისი აღნიშვნებით;

• ჩაი, მინერალური წყალი მოთამაშეებისათვის, მსაჯების,

დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლისათვის (მასპინძელი გუნდის ხარჯზე);

• მინიმუმ 14 ადგილი სათადარიგოთა სკამზე – განკუთვნილი გუნდების პერსონალისა და სათადარიგო მოთამაშეთათვის;

• სპეციალური ოთახი – მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენციისათვის.

• სანიტარული საკაცე, ორი მომსახურე პერსონალით;

• უზრუნველყოს მატჩის დელეგატისთვის და მსაჯთა დამკვირვებლისთვის შეუფერხებელი მოძრაობა (თამაშამდე, თამაშის დროს, თამაშის შემდეგ);

• გამოყოს ადგილები ვიპ-ლოჟის პირველ რიგში ოფიციალური პირებისათვის და სფფ-ის წარმომადგენლებისათვის;

• სპეციალურად მოწყობილი ადგილი პრესის მუშაკთათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა დაფაზე – „პრესა“;

• ჟურნალისტებისათვის სამუშაო პირობების შექმნა (უკაბელო ინტერნეტი, უწყვეტი ელექტროენერგიის წყარო, სამუშაო მაგიდა).

7.17. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის მსვლელობის დროს გამორიცხოს განცხადება რადიოთი მოთამაშეთა რაიმე პრიზებით დაჯილდოვების ან ფულადი პრემიების შესახებ. ამის შესახებ მაყურებელი უნდა იყოს ინფორმირებული მატჩის დაწყებამდე ან დამთავრების შემდეგ. გუნდების შემადგენლობის გამოცხადება უნდა მოხდეს მატჩის დაწყებამდე.

7.18. კლუბებს უფლება აქვთ სათამაშო მოედანზე გამართონ ვარჯიში მხოლოდ მატჩის წინა დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება უფლებამოსილია, საკითხი განსახილველად გადასცეს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.

8. მსაჯობა

8.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატების თამაშებს მოემსახურებიან სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ რეკომენდებული და სფფ-ის სამსაჯო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მსაჯები. მსაჯობა ხორ-

ციელდება ფეხბურთის თამაშის წესების (2025/2026 წლების გამოცემა) და ფიფას და უეფას სამსაჯო კომიტეტების მიერ გამოცემული ინსტრუქციების და სფფ-ის შესაბამისი დებულების და რეგლამენტის მიხედვით.

8.2. მატჩებზე მსაჯების დანიშვნას უზრუნველყოფს და ამტკიცებს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილება.

8.3. ფიფას „რეგლამენტი ეროვნულ ასოციაციებში მსაჯობის ორგანიზების შესახებ“ და უეფას სამსაჯო კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად დაუშვებელია დანიშვნის პროცესში მთავრობის, კლუბების, ლიგის ან ფედერაციის რომელიმე სხვა ორგანოს (სუბიექტის) მონაწილეობა.

8.4. დანიშვნის ოქმი გამოქვეყნდება მატჩამდე (ტურამდე) ერთი დღით ადრე.

8.5. მატჩზე მთავარი მსაჯის გამოუცხადებლობის ან მატჩის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს:

• ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში – სათადარიგო მსაჯი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბრიგადას შეიძლება დაემატოს ადგილობრივი მსაჯი, რომელიც უნდა იყოს დამტკიცებული სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ.

• 6-მსაჯიანი ბრიგადის მთავარი მსაჯის გამოუცხადებლობის ან მატჩის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს:

• მსაჯის პირველი დამატებითი ასისტენტი, რომლის ფუნქციასაც შეასრულებს სათადარიგო მსაჯი. ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბრიგადას შეიძლება დაემატოს ადგილობრივი მსაჯი, რომელიც უნდა იყოს დამტკიცებული სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ.

8.6. მატჩზე მსაჯთა ბრიგადის დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შეხვედრის დელეგატმა (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯთა დამკვირვებელმა) ამის შესახებ უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებებს, რის შემდეგაც აღნიშნული სამსახურები მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

8.7. მატჩზე დანიშნული მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია დაესწროს მატჩისწინა თათბირს (ჩატარების შემთხვევაში თამაშამდე საათნახევრით ადრე).

8.8. თამაშის დაწყებამდე მსაჯთა ბრიგადა (სფფ-ის დელეგატთან და მსაჯების დამკვირვებელთან ერთად) ვალდებულია შეამოწმოს მინდვრის საფარი (ხარისხი, ბალახის სიმაღლე, დახაზვა), კარების კონსტრუქცია და სიმაღლე, კარის ბადეები, კუთხურის ალმები, შეაფასოს ხუთბალიანი სისტემით, რაც უნდა ჩაიწეროს მატჩის ოქმში. ასევე ვალდებულია, მატჩის დაწყებამდე შეამოწმოს სათამაშო ბურთების მდგომარეობა.

8.9. თუ გუნდი არ გამოცხადდა დანიშნულ მატჩზე, მსაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო და სამსაჯო განყოფილებებს.

8.10. მსაჯი ვალდებულია მატჩის ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გოლები და შეცვლები, გაფრთხილების ან მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით, დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით და ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში წარადგინოს მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით (მსაჯის მოხსენებით ბარათს თან უნდა ერთვოდეს გაძევებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი), ხოლო მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას.

8.11. მთავარი მსაჯი ვალდებულია უზრუნველჰყოს მატჩის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მატჩის ოქმის გამოგზავნა სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების ელექტრონულ მისამართზე – refereereports@gff.ge ხოლო დამთავრებიდან 30 წუთში შეავსოს მატჩის ოქმი და ასლი გაგზავნოს იმავე მისამართზე. ოქმის ორიგინალი კი 48 საათის განმავლობაში უნდა მიაწოდოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას. ოქმის შევსების ხარისხზე პასუხისმგებელია მატჩის მთავარი მსაჯი.

8.12. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის ან შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების საკითხს წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი

დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯთა დამკვირვებელთან) კონსულტაციის შემდეგ.

8.13. მსაჯებმა საჭიროების შემთხვევაში მასპინძელ გუნდს უნდა შეატყობინონ ჩასვლის თარიღი, ხოლო მასპინძელმა გუნდმა შეტყობინების საფუძველზე დაჯავშნოს სასტუმრო და უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

8.14. მატჩის მომსახურე მსაჯებს უფლება აქვთ მატჩის წინა დღეს ივარჯიშონ იმ მოედანზე, სადაც ჩატარდება მატჩი.

8.15. 2026 წლის ჩემპიონატის მიმდინარეობისას საშეჯიბრო განყოფილების მიერ შერჩეულ მატჩებზე შეიძლება გამოყენებული იქნას ვიდეო ასისტენტ რეფერი ფიფას და უეფას სამსაჯო კომიტეტების გამოცემული დებულებების და ინსტრუქციების შესაბამისად

8.16. მატჩებზე მსაჯების მომსახურების თანხას იხდის სფფ.

9. დელეგატი

9.1. ეროვნული ჩემპიონატის ლიგებში მატჩების უკეთ ორგანიზებისა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ისა და ლიგა 3-ის მატჩებზე (საჭიროების შემთხვევაში სხვა მატჩებზეც) მსაჯთა დამკვირვებელთან ერთად, ინიშნება მატჩის დელეგატი.

9.2. მატჩის დელეგატს ნიშნავს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

9.3. მატჩის დელეგატი საჭიროების შემთხვევაში მთავარ მსაჯთან ერთად ატარებს მატჩისწინა თათბირს (თამაშამდე საათნახევრით ადრე), რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწროს მსაჯთა დამკვირვებელი, მონაწილე გუნდების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სამედიცინო, სახანძრო და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები, სტადიონის დირექტორი.

9.4. მატჩის დელეგატი პასუხისმგებელია მატჩის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლზე. იგი უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან და სტადიონის დირექტორთან ან სტადიონის პასუხისმგებელ პირთან, ასევე მასპინძელი კლუბის შესაბამის სამსახურთან.

9.5. თუ გუნდი არ გამოცხადდა დანიშნულ მატჩზე, დელეგატი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

9.6. მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ დელეგატმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

9.7. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის შემთხვევაში დელეგატი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია მატჩის მთავარ მსაჯთან მატჩის შეწყვეტის ან შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე.

9.8. მატჩის წინ დელეგატი ვალდებულია შეამოწმოს მასპინძელი გუნდის მიერ ვიდეოჩანაწერის მომზადების საკითხი და გაუწიოს დახმარება სტუმართა გუნდს ვიდეოფირის ჩაწერაში. თამაშის შემდეგ მატჩის ვიდეოფირი (DVD) წარმოადგინოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში 24 საათის განმავლობაში.

9.9. მატჩის დელეგატი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და გადაწყვიტოს თამაშის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და ნებართვა გასცეს თამაშის ჩატარების შესახებ.

9.10. მატჩის დელეგატი ვალდებულია აცნობოს I და II ტაიმების დამთავრებისთანავე მატჩის შედეგი სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას, პატაკის ასლი 24 საათის განმავლობაში გაგზავნოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების ელექტრონულ მისამართზე – delegatereports@gff.ge პატაკის ორიგინალი კი ფიზიკურად წარადგინოს 48 საათის განმავლობაში.

9.11. მატჩის დელეგატს თანხას უხდის სფფ.

9.12. მატჩის დელეგატი ვალდებულია დააფიქსიროს დელეგატის პატაკში პრესკონფერენციის ჩატარება-არჩატარების ფაქტი.

10. მსაჯთა დამკვირვებელი

10.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატის ლიგებში მსაჯების დაკვირვებას ახორციელებს სფფ-ის მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სფფ-ის სამსაჯო კომიტეტის მიერ.

10.2. მსაჯების დამკვირვებელთა დანიშვნების პროექტს ამზადებს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილება.

10.3. მატჩზე დანიშნული მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლებს თამაშზე გამგზავრებას, ვალდებულია ამის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინოს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას.

10.4. მსაჯთა დამკვირვებელმა საჭიროების შემთხვევაში მასპინძელ გუნდს უნდა შეატყობინოს ჩასვლის თარიღი, ხოლო მასპინძელმა გუნდმა შეტყობინების საფუძველზე დაუჯავშნოს სასტუმრო და უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

10.5. მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მატჩის წინა თათბირზე (მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე).

10.6. მსაჯთა დამკვირვებელი უნდა იყოს მსაჯებთან ერთად მატჩამდე და მატჩის შემდეგ, სტადიონის ტერიტორიის დატოვებამდე. მხოლოდ მსაჯთა დამკვირვებელია პასუხისმგებელი მსაჯების დაკვირვებაზე და შეფასებაზე, მატჩის ორგანიზაციასთან და სხვა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მსაჯთა დამკვირვებელი ემორჩილება მატჩის დელეგატს.

10.7. მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულია აცნობოს პირველი და მეორე ტაიმების დამთავრებისთანავე მატჩის შედეგი მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას, ხოლო მსაჯის დამკვირვებლის პატაკი 24 საათის განმავლობაში გაგზავნოს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების ელექტრონულ მისამართზე _ geo.refereeing@gff.ge

10.8. მატჩებზე მსაჯთა დამკვირვებლის მომსახურების თანხას იხდის სფფ.

10.9. მატჩებზე დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მატჩის დელეგატის ფუნქციებს ითავსებს მსაჯთა დამკვირვებელი.

11. ურთიერთობა მედიასთან

11.1. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს ტრიბუნის ცენტრალურ ნაწილში გადახურულ ადგილას სპეციალურად მოწყობილი მინიმუმ 10 ადგილი პრესის წარმომადგენელთათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ

და ინგლისურ ენებზე წარწერა დაფაზე – „პრესა“; შეუქმნას ჟურნალისტებს სამუშაო პირობები (უკაბელო ინტერნეტი, უწყვეტი ელექტროენერგიის წყარო, სამუშაო მაგიდა). მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჟურნალისტთა სიჭარბის შემთხვევაში კლუბის მედია-ოფიცერი მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მედიის მოთხოვნები დამატებითი ადგილების მოძიების ხარჯზე, როგორც ეს ხდება საერთაშორისო მატჩების დროს.

11.2. მასპინძელი კლუბის მედია-ოფიცერი ვალდებულია მატჩამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე (ან ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე) გამოაქვეყნოს მედია-აკრედიტაციის გაცემის პირობები.

11.3. მასპინძელი გუნდის მედია-ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის ჩატარება.

11.4. მასპინძელი კლუბის მედია-ოფიცერი ვალდებულია მატჩისწინა თათბირზე შეატყობინოს მატჩის დელეგატს, სად გაიმართება მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია.

11.5. სავალდებულოა ეროვნული ლიგის სატელევიზიო პროექტის ფარგლებში ყოველი მატჩის შემდეგ ფლეშინტერვიუს ჩასაწერად გამოცხადდეს ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი.

11.6. სტადიონზე აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი ადგილი ფოტო და ტელერეპორტიორებისათვის. ეს არის სივრცე კარს უკან, პირით ხაზს მიღმა, რომელიც შესაძლოა იყოს გაყოფილი სარეკლამო დაფით.

11.7. ჟურნალისტებს კატეგორიულად ეკრძალებათ ფეხბურთელებთან გასახდელში შესვლა.

11.8. მასპინძელი კლუბის პრესსამსახური ვალდებულია პირველ რიგში მატჩის დელეგატს ან/და მსაჯთა დამკვირვებელს მატჩის დაწყებამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე წარუდგინოს გუნდის დანომრილი შემადგენლობა (ტაქტიკური განლაგებითურთ) ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე განსათავსებლად. ასევე მატჩის დელეგატს ან/და მსაჯთა დამკვირვებელსა და ჟურნალისტებს თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 15 წუთით ადრე წარუდგინოს მატჩის ოქმის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება სადისციპლონო კოდექსის შესაბამისად. კლუბის მედია-ოფიცერი ასევე ვალდებულია მატჩის ოქმით დააკმაყოფილოს ვიპ-ლოჟაში მსხდომი

სტუმრები და მატჩზე დასწრების შემთხვევაში – საფეხბურთო სკაუტები.

11.9. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მოამზადოს მატჩის შემდგომი კომენტარების ჩასაწერი ადგილი (1. ელვა ინტერვიუსთვის – მინდვრის კიდესთან, 2. მატჩის შემდგომი ინტერვიუსთვის – შერეული ზონაში), სადაც განთავსებული იქნება სფფ-ის ფლეშ-ბანერი სპონსორების ლოგოებით. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

11.10. მასპინძელი კლუბის პრეს-სამსახური ვალდებულია მედიის მოთხოვნით უზრუნველყოს მატჩის შემდგომი ნებისმიერი სატელევიზიო კომენტარის ჩაწერა სფფ-ის ფლეშ-ბანერის ფონზე. დარღვევის შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

11.11. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის შესვენებაზე უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლები და სკაუტები სასმელებით: წყალი/ჩაი/ყავა.

12. დაჯილდოება

12.1. საქართველოს ჩემპიონატში ეროვნული ლიგის გამარჯვებულ გუნდს ენიჭება საქართველოს ჩემპიონის წოდება და ჯილდოვდება ჩემპიონის გარდამავალი ფარით.

საქართველოს 2026 წლის დავით ყიფიანის სახელობის თასის XXXVII გათამაშება

1. საქართველოს 2026 წლის დავით ყიფიანის სახელობის თასის **XXXVII** გათამაშებაში სავალდებულოა ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის ყველა გუნდების მონაწილეობა. ასევე მონაწილეობენ რეგიონული ლიგისა და მოყვარულთა ლიგების გუნდები.
2. საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა ხდება ჩემპიონატში წარმოდგენილი გუნდის განაცხადის შესაბამისად, ასევე გათამაშების მატჩებს ეხება ჩემპიონატის დებულების ყველა ის მუხლი, რომელიც შესაბამისობაში შეიძლება იყოს თასის გათამაშებასთან.
3. საქართველოს თასის გათამაშება შედგება 8 ეტაპისგან – პირველი, მეორე, მესამე, მეთქვესმეტეფინალური, მერვედფინალური, მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური. თითოეულ ეტაპზე გამარჯვებული გუნდი ვლინდება ერთმატჩიანი დაპირისპირებით. თასის გათამაშების ყველა ეტაპზე მასპინძელ გუნდს (გარდა ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის გუნდებისა) მხოლოდ იმ ლიგის ან ერთი რანგით დაბალი ლიგის სტადიონზე აქვს მატჩის ჩატარების უფლება, რომელიც დაშვებულია მეტოქე გუნდის ლიგაში, ხოლო ეროვნული ლიგის და ეროვნული ლიგა 2-ის წარმომადგენელ კლუბებს შეუძლიათ მეტოქეს უმასპინძლონ ისეთ სტადიონზე, რომელიც დაშვებულია იმ ლიგაში, რომელსაც თავად წარმოადგენენ.
4. საქართველოს თასის 2026 წლის გათამაშებაში მონაწილეობს 80 გუნდი რომლებიც საშეჯიბრო განყოფილების მიერ განითესებიან 2025 წელს ნაჩვენები სპორტული მიღწევებით და ლიგებში დაკავებული ადგილების მიხედვით. ყველა გუნდს აქვს თავისი შესაბამისი ნომერი 1-დან 48-ის ჩათვლით და ასევე თითოეულ მატჩს ენიჭება უნიკალური ნომერი მატჩი 1 – მატჩი 79 (შემდეგში M1 – M79). მატჩის გამარჯვებული აღინიშნება შესაბამისი ნიშნით გამარჯვებული 1 – გამარჯვებული 78 (შემდეგში W1-W78).

5. მონაწილე გუნდები და რეიტინგი

გუნდებს რეიტინგი ენიჭება 1-დან 48-ის ჩათვლით:

1—10: ეროვნული ლიგა (2026) -10 გუნდი

11—20: ეროვნული ლიგა 2 (2026) – 10 გუნდი

21—36: ლიგა 3 (2026) – 16 გუნდი

37—48: ლიგა 4 (2026) წლის – 12 გუნდი (აღზევებულების გარდა)

1.იბერია 1999
2.დილა
3.ტორპედო
4.დინამო თბ
5.გაგრა
6.დინამო ბთ
7.სამგურალი
8.რუსთავი
9.სპაერი
10.მეშახტე
11.თელავი
12.გარეჯი
13.კოლხეთი 1913
14.მერანი მრ
15.სიონი
16.სამტრედია
17.შტურმი
18.გორი
19.ოდიში 1919
20.არაგვი
21.ლოკომოტივი
22.იბერია 1999 -2
23.გონიო
24.დინამო თბ -2
25.თბილისი 2025
26.ვიტ ჯორჯია
27.ორბი
28.დიდუბე
29.მერანი თბ
30.ბეთლემი
31.გარდაბანი
32.მარგვეთი 2006
33.კოლხეთი ხობი
34.იბერია 2010
35.ივერია
36.გურია
37.ლოკომოტივი-2
38.ბორჯომი
39.ბახმარო
40.არაგველები
41.სქური
42.ალგეთი
43.მერანი მრ -2
44.კოლხეთი 1913 -2
45.ვიტ ჯორჯია – 2
46.გაგრა-2
47.მერცხალი
48.სამგურალი-2

49-დან 80-ის ჩათვლით ურეიტინგო გუნდები: აბული; არაგვი-2; ბასა; გარდაბანი-2; გორი-2; დინამო ბთ-2; დინამო სხ; დმანისი; ვესტ ჯორჯია; ზანა; ზესტაფონი; ზოოვეტი; თბილისი 2025-2; იმერეთი; იუჯი 35; ლიახვი აჩ; ნორჩი დინამო 2016; მაღაროელი; მაჭახელა; მერანი თბ-2; მეშახტე-2; ოდიში 1919-2; ორბი-2; რუსთავი-2; სამცხე; საპოვნელა; სპაერი-2; სულორი; ტორპედო-2; ქარელი; ცხუმი; ჯვარი.

6. განთესვის პრინციპი

6.1 განთესვა ეფუძნება გუნდების რეიტინგს.

6.2. რეიტინგის №1 და №4 გუნდები განთავსებულია ერთ ნახევარში, სხვადასხვა მეოთხედში.

6.3 რეიტინგის №2 და №3 გუნდები განთავსებულია მეორე ნახევარში, სხვადასხვა მეოთხედში.

6.4 №1 და №4 შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს მხოლოდ ნახევარ-ფინალში.

6.5 №2 და №3 შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს მხოლოდ ნახევარ-ფინალში.

6.6 №1 და №2 შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს მხოლოდ ფინალში.

6.7 რეიტინგის №1-დან №8-ის ჩათვლით გუნდები 1/4 ფინალამდე ერთმანეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ.

6.8 რეიტინგის №1-დან №16-ის ჩათვლით გუნდები 1/8 ფინალამდე ერთმანეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ.

7. ბადის ფიქსაცია და წილისყრის პრინციპი

7.1 ტურნირის ბადე იქმნება მე-2 ეტაპიდან გათამაშების დაწყებამდე. ბადე მოქმედებს ფინალის ჩათვლით და ცვლილება დაუშვებელია. თითოეულმა გუნდმა ყველა ეტაპზე წინასწარ იცის შესაძლო ოპონენტი.

7.2 1-ელ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს უპირიპირდებიან ბრმა წილისყრით. 1-ელ ეტაპზე, როცა რანგით დაბალი ლიგის გუნდი ხვდება რანგით მაღალი ლიგის გუნდს, მასპინძელი იქნება რანგით დაბალი ლიგის გუნდი, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთი და იგივე ლიგის წარმომადგენლები და შეადგენენ წყვილს, მატჩის მასპინძელი ხდება ის გუნდი რომელიც ბრმა წილისყრისას ვლინდება პირველად. მე-2 ეტაპიდან ფინალის ჩათვლით წილისყრა ჩატარდება მხოლოდ კონკრეტულ წყვილში მასპინძლის გამოსავლენად.

7.3 მეორე და მესამე ეტაპზე მასპინძელი გუნდების გამოსარკვევი წილისყრა მოეწყობა შემდეგნაირად: დოლურაში მოთავსდება 32 ბურთულა, რომელთაგან 16-ში განთავსებული იქნება ციფრი-1 რომლის ამოღებაც ნიშნავს რომ სატურნირო ბადეში მარცხნივ მყოფი გუნდი იქნება მასპინძელი, ხოლო დანარჩენ 16-ში ციფრი-2, რომლის ამოღებაც ნიშნავს რომ სატურნირო ბადეში მარჯვნივ მყოფი გუნდი იქნება მასპინძელი. დოლურიდან პირველად ამოღებული ბურთულა განსაზღვრავს **M17**-ის წყვილის მასპინძელს, მორე ბურთულა **M18**-ის წყვილის მასპინძელს და ა.შ **M48**-ის ჩათვლით.

• მეთექვემეტეფინალიდან ფინალის ჩათვლით მასპინძელი გუნდების გასარკვევი წილისყრა მოეწყობა შემდეგანაირად: დოლურაში მოთავსდება 32 ბურთულა სადაც 16-ში განთავსებული იქნება ციფრი – 1, რომლის ამოღებაც ნიშნავს რომ სატურნირო ბადეში მარცხნივ მყოფი გუნდი იქნება მასპინძელი ხოლო დანარჩენ 16-ში ციფრი – 2, რომლის ამოღებაც ნიშნავს რომ სატურნირო ბადეში მარჯვნივ მყოფი გუნდი იქნება მასპინძელი. დოლურიდან პირველად ამოღებული ბურთულა განსაზღვრავს **M49**-ის წყვილის მასპინძელს, მეორე ბურთულა **M50**-ის წყვილის მასპინძელს და ა.შ **M79**-ის ჩათვლით. ყველა ეტაპზე, როცა რანგით დაბალი ლიგის გუნდი ხვდება რანგით მაღალი ლიგის გუნდს, მასპინძელი იქნება რანგით დაბალი ლიგის გუნდი მიუხედავად იმისა, თუ რას განსაზღვრავს წილისყრა. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს როცა, ეროვნული ლიგის და ეროვნული ლიგა 2-ის წარმომადგენლები შეადგენენ წყვილს, ასეთ შემთხვევაში მატჩის მასპინძელი ხდება ის გუნდი რომელიც განისაზღვრება წილისყრით.

• გათამაშების პირველ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება 2025 წლის რეგიონული ლიგის „ა“ ჯგუფის, „ბ“ ჯგუფის და „გ“ ჯგუფის საუკეთესო ცხრა-ცხრა გუნდი, მოყვარულთა ლიგის წარმომადგენელი და 2025 წლის ლიგა 4-დან დაქვეითებული 4 გუნდი, გუნდები დაწყვილდებიან ბრმა წილისყრით, 1-ლი წყვილის გამარჯვებულს მიენიჭება ნომერი **W1**, მე-2 წყვილის გამარჯვებულს **W2** და ა.შ **W16** ის-ჩათვლით

• გათამაშების მეორე ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება პირველი ეტაპის 16 გამარჯვებული გუნდი და 2025 წლის ლიგა 4-ის მონაწილე 12 გუნდი (დაქვეითებული ოთხი გუნდის გამოკლებით) და 2025 წლის ლიგა 3-ში მე-13,მე-14,მე-15 და მე-16 ადგილზე გასული გუნდები.

M17: 33.კოლხეთი ხობი vs W1 → W17
M18: 34.იბერია 2010 vs W2 → W18
M19: 35.ივერია vs W3 → W19
M20: 36.გურია vs W4 → W20
M21: 37.ლოკომოტივი-2 vs W5 → W21
M22: 38.ბორჯომი vs W6 → W22
M23: 39.ბახმარო vs W7 → W23
M24: 40.არაგველები vs W8 → W24

M25: 41.სქური vs W9 → W25
M26: 42.ალგეთი vs W10 → W26
M27: 43.მერანი მრ -2 vs W11 → W27
M28: 44.კოლხეთი 1913 -2 vs W12 → W28
M29: 45.ვიტ ჯორჯია – 2 vs W13 → W29
M30: 46.გაგრა-2 vs W14 → W30
M31: 47.მერცხალი vs W15 → W31
M32: 48.სამგურალი-2 vs W16 → W32

- გათამაშების მესამე ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება მეორე ეტაპის 16 გამარჯვებული , 2025 წლის ლიგა 3-ის 1-დან მე-12 ადგილზე გასული გუნდები და 2025 წლის ეროვნული ლიგა 2-ის მე-7 ადგილიდან მე-10 ადგილზე გასული გუნდები.

M33: 17.შტურმი vs W32 → W33
M34: 18.გორი vs W31 → W34
M35: 19.ოდიში 1919 vs W30 → W35
M36: 20.არაგვი vs W29 → W36
M37: 21.ლოკომოტივი vs W28 → W37
M38: 22.იბერია 1999 -2 vs W27 → W38
M39: 23.გონიო vs W26 → W39
M40: 24.დინამო თბ -2 vs W25 → W40
M41: 25.თბილისი 2025 vs W24 → W41
M42: 26.ვიტ ჯორჯია vs W23 → W42
M43: 27.ორბი vs W22 → W43
M44: 28.დიდუბე vs W21 → W44
M45: 29.მერანი თბ vs W20 → W45
M46: 30.ბეთლემი vs W19 → W46
M47: 31.გარდაბანი vs W18 → W47
M48: 32.მარგვეთი 2006 vs W17 → W48

- საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მესამე ეტაპის 16 გამარჯვებული გუნდი, 2025 წლის ეროვნული ლიგა 2-ს 1-დან მე-6 ადგილზე გასული გუნდები და 2025 წლის ეროვნული ლიგის 10 გუნდი

M49: 1.იბერია 1999 vs W48 → W49
M50: 16.სამტრედია vs W33 → W50
M51: 8.რუსთავი vs W41 → W51
M52: 9.სპაერი vs W40 → W52

M53: 4.დინამო თბ vs W45 → W53
M54: 13.კოლხეთი 1913 vs W36 → W54
M55: 5.გაგრა vs W44 → W55
M56: 12.გარეჯი vs W37 → W56

M57: 2.დილა vs W47 → W57
M58: 15.სიონი vs W34 → W58
M59: 7.სამგურალი vs W42 → W59
M60: 10.მეშახტე vs W39 → W60

M61: 3.ტორპედო vs W46 → W61
M62: 14.მერანი მრ vs W35 → W62
M63: 6.დინამო ბთ vs W43 → W63
M64: 11.თელავი vs W38 → W64

- საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალურ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება მეთექვესმეტედფინალის 16 გამარჯვებული

M65: W49 vs W50 → W65
M66: W51 vs W52 → W66

M67: W53 vs W54 → W67
M68: W55 vs W56 → W68

M69: W57 vs W58 → W69
M70: W59 vs W60 → W70

M71: W61 vs W62 → W71
M72: W63 vs W64 → W72

- საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალურ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება მერვედფინალის 8 გამარჯვებული

M73: W65 vs W66 → W73
M74: W67 vs W68 → W74
M75: W69 vs W70 → W75
M76: W71 vs W72 → W76

- საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალურ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდება მეოთხედფინალის 4 გამარჯვებული

M77: W73 vs W74 → W77
M78: W75 vs W76 → W78

- საქართველოს თასის ნებისმიერ ეტაპზე, თუ რომელიმე გუნდი წილისყრისას დარჩება მეტოქის გარეშე, ის ავტომატურად მოიპოვებს შემდეგი ეტაპის საგზურს.

M79: W77 vs W78 → თასის მფლობელი

8. თასის გათამაშების ყველა ეტაპზე ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით დროში არ გამოვლინდა გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (ფიფას წესებით).
9. თასის ფინალური შეხვედრის თარიღს და ჩატარების ადგილს დაადგენს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.
10. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბებს უფლება აქვთ ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანონ თავისი ფარმ-გუნდიდან და ასაკობრივი ლიგებიდან 20 მოთამაშე, ხოლო ფარმ-გუნდს შეუძლია ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს ძირითადი გუნდის მხოლოდ 2 მოთამაშე და ასაკობრივი ლიგის მონაწილე გუნდების მოთამაშეები განუსაზღვრელი რაოდენობით. ლიგა 3-ში მონაწილე ფარმგუნდს მატჩის განაცხადში შეუძლია მაქსიმუმ 3 ლეგიონერის შეყვანა ხოლო ლიგა 4-ში და რეგიონულ ლიგაში მონაწილე ფარმ-გუნდის მატჩის განაცხადში დასაშვებია მაქსიმუმ ორი ლეგიონერის შეყვანა.
    ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის, ლიგა 4-ის და რეგიონული ლიგის გუნდებს უფლება აქვთ საქართველოს თასის გათამაშების ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანონ ოც-ოცი მოთამაშე.

ამასთანავე, თასის გათამაშების ერთსა და იმავე ეტაპზე მოთამაშეს მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ერთ მატჩში (ძირითადი გუნდის ან ფარმგუნდის შემადგენლობაში).

11. საქართველოს თასის მატჩებში ნებადართულია ხუთ-ხუთი მოთამაშის შეცვლა სამი შეჩერებით. მხოლოდ მატჩის ძირითადი დროის ტაიმებს შორის შესვენებაზე განხორციელებული ცვლილება არ ითვლება შეჩერებად. მატჩის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს (ტრავმა, უამინდობა, უწესრიგობები მოედანზე ან ტრიბუნაზე, განათების სისტემის გაუმართაობა და ა.შ) განხორციელებული ცვლილება ითვლება შეჩერებად. დამატებითი დროის დანიშვნა არ ანიჭებს გუნდებს მეოთხე შეჩერების გამოყენების უფლებას.
12. თასის სხვადასხვა ეტაპის მატჩში მიღებული ყვითელი ბარათები და მათგან გამოწვეული სანქცია არ იმოქმედებს ფინალურ მატჩზე.
13. საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარის თქმის ან თამაშზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გუნდი მოიხსნება თასის გათამაშებიდან, ხოლო მისი საკითხი დამატებით განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.
14. საქართველოს 2026 წლის თასის მფლობელი ჯილდოვდება გარდამავალი თასით.
15. ფინალურ შეხვედრაზე სავალდებულოა შესრულდეს საქართველოს ჰიმნი.
16. საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების გამარჯვებული გუნდი ავტომატურად მოიპოვებს უეფას კონფერენციის ლიგის საგზურს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თასის გათამაშების გამარჯვებული ხდება ჩემპიონი. ასეთ დროს უეფას კონფერენციის ლიგის საგზური გადაეცემა ეროვნული ლიგის მესამე ადგილზე გასულ გუნდს. იმ შემთხვევაშიც, თუ თასის გამარჯვებული ხდება ეროვნულ ლიგაში მეორე ადგილზე გასული გუნდი, უეფას კონფერენს ლიგის საგზური გადაეცემა ეროვნული ლიგის მესამე ადგილზე გასულ გუნდს.
17. თუ თასის მფლობელი ხდება ფარმ-გუნდი, უეფას კონფერენციის ლიგის საგზური გადაეცემა იმ კლუბის ძირითად გუნდს, რომელსაც წარმოადგენს ფარმ-გუნდი.თუ ძირითად გუნდს უკვე მოპოვებული აქვს ევროტურნირზე თამაშის უფლება , მე-3 ადგილზე გასულ გუნდს გადაეცემა საგზური.

18. როცა საქართველოს თასის გამარჯვებული ხდება ისეთი გუნდი, რომელიც ვერ მოიპოვებს უეფას ლიცენზიას, კონფერენციის ლიგის გათამაშების საგზური გადაეცემა ეროვნული ლიგის მესამე ადგილზე გასულ გუნდს.

საქართველოს სუპერთასი

2026 წლის საქართველოს სუპერთასის მატჩში მონაწილეობას იღებს 2025 წლის საფეხბურთო სეზონის ჩემპიონი, მე-2 ადგილზე, მე-3 ადგილზე გასული გუნდები და თასის მფლობელი. გათამაშება გაიმართება ორ ეტაპად, გუნდები შეადგენენ ორ ნახევარფინალურ წყვილს.

1) ჩემპიონი – მე-4 ადგილი

2) თასის მფლობელი – მე-3 ადგილი

წყვილში გამარჯვებულები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან სუპერთასის ფინალში ხოლო დამარცხებულები მე-3 ადგილისთვის მატჩში. მატჩების ჩატარების დროს და ადგილს განსაზღვრავს სფფ. სუპერთასის მატჩამდე მიღებული ყვითელი და წითელი ბარათები არ მოქმედებს სუპერთასის მატჩზე. სუპერთასის მატჩი მოთამაშეს/მწვრთნელს არ ეთვლება სასჯელის მოხდაში.

- სუპერთასის მატჩის დროს მიღებული მხოლოდ წითელი ბარათები გადადის ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში.
- სუპერთასის მატჩების ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები.
- 2027 წლის სუპერთასის მატჩში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის ჩემპიონი და 2026 წლის თასის მფლობელი, იმ შემთხვევაში თუ ორივე ტურნირის გამარჯვებული გახლავთ ერთი და იგივე გუნდი , ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდება ჩემპიონი და მე-2 ადგილზე გასული გუნდი.

რეგიონული ლიგა

1. მიზანი და ამოცანები

საქართველოს 2026 წლის რეგიონული ლიგის ჩემპიონატი მიზნად ისახავს:

1.1. საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას;

1.2. საქართველოს საფეხბურთო გუნდების და მოთამაშეების ოსტატობის ამაღლებას;

1.3. საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის მოთამაშეების მომ-ზადებას;

1.4. რანგით მაღალ ლიგაში გადამსვლელი კლუბების გამოვლენას.

2. შეჯიბრებების ორგანიზატორი

2.1. საფეხბურთო კლუბებს შორის შეჯიბრებას ხელმძღვანელობენ და ორგანიზებას უწევენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და რეგიონული ფეხბურთის ფედერაციები (შემდგომში სფფ და რფფ).

2.2. ჩემპიონატში მონაწილეობენ პროფესიონალური და სამოყვარულო საფეხბურთო კლუბები, რომელთაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, და ექვემდებარებიან ფიფა-ს, უეფა-ს და სფფ-ს წესდებებს, დებულებებს და გადაწყვეტილებებს, იხდიან სფფ-ის მიერ დაწესებულ ყველა გადასახადს.

2.3. რეგიონული ლიგის კალენდარი წარმოადგენს სფფ-ის საკუთ-რებას. სფფ-ს შეუძლია არსებული კალენდრის გამოყენება სარეკლამო, კომერციული და სხვა მიზნით. შეჯიბრებების დრო განისაზღვრება სფფ-ის და რფფ-ების საშეჯიბრო განყოფილებების მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.

2.4. სფფ-ის წესდების 72-ე და 73-ე მუხლების თანახმად სფფ ფლობს მის იურისდიქციაში მყოფი კლუბების ტელე და რადიო ტრანსლაციებზე ექსკლუზიურ უფლებებს შიდა ჩემპიონატში (პირდაპირი ეთერის, ჩანაწერის და ფრაგმენტების სახით).

3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატი გაიმართება ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-სა და რეგიონულ ლიგაში.

3.2. რეგიონულ ლიგაში მონაწილეობს პროფესიონალური და სამოყვარულო საფეხბურთო კლუბები.

3.3. რეგიონული ლიგის გათამაშება ჩატარდება ერთ ეტაპად.

3.4. აღმოსავლეთის „ა“ – „ბ“ და დასავლეთის „გ“ ჯგუფებში გუნდები გადანაწილდებიან როგორც გეოგრაფიული პრინციპით ასევე ბრმა წილისყრით.

3.5. ჩემპიონატის ყველა ჯგუფში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ.

„ა“ ჯგუფი

1. რუსთავი-2	416319718
2. გარდაბანი-2	426542903
3. დმანისი	228928364
4. გარეჯი-2	438114041
5. თელავი-2	405158975
6. მერანი-2 თბ	400025227
7. თბილისი 2025-2	427722752
8. დინამო სოხუმი	404984497
9. დინამო გაგრა	402297171
10. უშბა თბილისი	405677511
11. 35-ე სკოლა	205245153
12. ზოოვეტი თბილისი	402258631
13. ავაზა 1970 თბილისი	405008904
14. იუნკერი თბილისი	444554992
15. იუჯი-35 თბილისი	405521127

„ბ“ ჯგუფი

1. აბული ახალქალაქი	423353230
2. გორი-2	417874973
3. ქარელი	440885115
4. კასპი 1936	432549236
5. არაგვი 1954 დუშეთი	429320745
6. ზესტაფონი	230091664
7. მეშახტე-2	219630228
8. მაღაროელი	215613192
9. ივერია-2 ხაშირო	243916143
10. ლიახვი აჩაბეთი	222014521
11. ცხუმი სოხუმი	404476296
12. სპაერი-2 თბილისი	406203558
13. ნორჩი დინამო 2016	405162666
14. იბერია 2010-2 თბ.	404869335
15. ორბი-2 თბილისი	406121806
16. უქიმერიონი თბილისი	418475126

„გ“ ჯგუფი

1. სულორი ვანი	229660168
2. ზანა აბაშა	422431513
3. მაჭახელა ხელვაჩაური	448392310
4. დინამო-2 ბთ	245622205
5. საპოვნელა თერჯოლა	431948039
6. ჯვარი	442731340
7. ოდიში 1919-2	419985582
8. საირმე ბაღდათი	225068039
9. იმერეთი ხონი	244973739
10. ეგრისი სენაკი	439861106
11. კოლხეთი-2 ხობი	444549892
12. შუქურა 1960	447009291

3.6.აღმოსავლეთის „ა“, „ბ“ და დასავლეთის „გ“ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები აღზევდებიან 2027 წლის ლიგა 4-ში. 2027 წლის ლიგა 4-ის მე-4 საგზურის მოსაპოვებლად:

- აღმოსავლეთის „ა“ და „ბ“ ჯგუფებში მე-2 ადგილზე გასული გუნდები ერთმატჩიან პლეი-ოფში გამოავლენენ გამარჯვებულს.

- აღმოსავლეთის „ა“ და „ბ“ ჯგუფების მე-2 ადგილოსნებს შორის გამარჯვებული და დასავლეთის „გ“ ჯგუფის მე-2 ადგილზე გასულ გუნდი ასევე ერთმატჩიან პლეი-ოფში გამოავლენენ იმ გუნდს რომელიც მოიპოვებს 2027 წლის ლიგა 4-ის გათამაშების საგზურს. ორივე მატჩის მასპინძელი იქნება ისეთი გუნდი რომელიც 2026 წლის რეგიონული ლიგის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე საკუთარ ჯგუფში საბოლოო ცხრილში მოიპოვებს უფრო მეტ ქულას. მე-10 და უფრო ქვედა ადგილებზე გასულ გუნდებთან აღებული ქულები და სხვა დამატებითი მაჩვენებლები გათვალისწინებული არ იქნება).თანაბარი ქულების დაგროვების შეთხვევაში უკეთესი გუნდი გამოვლინდება 4.4.1-დან 4.4.7-მდე მუხლების მიხედვით. პლეიოფის მატჩების ფრედ დასრულების შემთხვევაში დაინიშნება ორი 15 წუთიანი დამატებით ტაიმი, ხოლო თუ დამატებით ტაიმების დასრულებისას არ გამოვლინდა გამარჯვებული დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (ფიფას წესებით.) რეგულარული სეზონის დროს მიღებული ყვითელი და წითელი ბარათების ასევე თასის გათამაშებაში მიღებული წითელი ბარათები უცვლელად ვრცელდება პლეიოფის მატჩებზე.

4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატის კალენდარი დგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის და რფფ-ების საშეჯიბრო განყოფილებების მიერ.

4.2. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან, უზრუნველჰყონ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულება ჩემპიონატის გახსნითი მატჩის წინ.

4.3. რეგიონულ ლიგაში ქულების დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა.

4.4. იმ შემთხვევაში, როცა რეგიონული ლიგაში ორი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულას, მათი საბოლოო პოზიციის გადანაწილება ცხრილში მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

4.4.1. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები;

4.4.2. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობა;

4.4.3. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში გატანილი მეტი გოლი;

– თუ 4.4.1.-იდან 4.4.3.-ის კრიტერიუმების გამოყენების შემდეგ ორ ან მეტ გუნდს კვლავ თანაბარი პოზიცია აქვს განსახილველი გუნდების მიმართ გამოიყენება კრიტერიუმები 4.4.4.-იდან 4.4.10.-ის ჩათვლით.

4.4.4. ჩემპიონატში ბურთების უკეთესი სხვაობა.

4.4.5. ჩემპიონატში გატანილი მეტი გოლი.

4.4.6. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი მეტი გოლი

4.4.7. ჩემპიონატში მოგებების მეტი რაოდენობა.

4.4.8. ჩემპიონატში სტუმრად მოგებების მეტი რაოდენობა.

4.4.9. ჩემპიონატში დაგროვილი ნაკლები სადისციპლინო ქულა (გაძევება – 3 ქულა, ორი გაფრთხილებით გაძევება – 3 ქულა, გაფრთხილება – 1 ქულა; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს ნაკლები გაძევებით).

4.4.10. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა წილისყრა.

4.5. ყველა ლიგაში, ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები დაიწყება ერთდროულად. იმ შემთხვევაში, როცა დაგეგმილია მატჩის პირდაპირი ტელე რეპორტაჟი, რომელიმე თამაში ან თამაშები ერთამანეთზე არ არის დამოკიდებული, მისი დაწყების დრო შეიძლება დაკორექტირდეს მატჩის წინა დღეს.

4.6. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 60 წუთით ადრე მატჩის ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 20 მოთამაშე. ყოველ მოთამაშეს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომრები მაისურზე.სავალდებულოა გუნდის კაპიტნის მითითება პირობითი ნიშნით – © თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.7. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები (11 მოთამაშე), სათადარიგო შემადგენლობის მოთამაშეები (9 მოთამაშე), ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა): მთავარი მწვრთნელი, მწვრთნელის ასისტენტები, ექიმი, პერსონალი – არაუმეტეს 7 პირი. ზემოთჩამოთვლილ ოფიციალურ პირებს, ისევე როგორც ფეხბურთელებს, ყველა ოფიციალურ თამაშზე თან უნდა ჰქონდეთ სფფ-ის ან რფფ-ის მიერ დამოწმებული მონაწილის ბარათი, რომელიც გაიცემა სფფ-ის ან რფფ-ის ბაზაში მათი რეგისტრაციის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილი ოფიციალური პირები სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში არ დაიშვებიან. თუ გუნდს ჰყავს დამატებითი ექიმი ან სხვა ტექნიკური პერსონალი (სპორტული დირექტორი, მენეჯერი) მატჩის დელეგატთან ან მსაჯთა დამკვირვებელთან შეთანხმებით, გუნდს ტექნიკური ზონის გვერდით გამოეყოფა 5 დამატებითი ადგილი სათადარიგო სკამიდან 5 მეტრის მოშორებით. დამატებით ადგილებზე მჯდომ პირებს ყველა ოფიციალურ მატჩზე თან უნდა ჰქონდეთ სფფ-ის მიერ დამოწმებული ბარათები რომელიც გაიცემა სფფ-ის ან რფფ-ის ბაზაში მათი რეგისტრაციის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთჩამოთვლილი პირები ტექნიკურ ზონაში, ან დამატებით ადგილებზე არ დაიშვებიან. ტექნიკურ ზონაში ოფიციალური პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12-ს (ტექნიკური ზონის მიმდებარედ გამოყოფილი დამატებითი 5 ადგილის ჩათვლით). კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები განთავსდებიან საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილებზე. დისკვალიფიცირებულ პირებს (მოთამაშეები, მწვრთნელები, პერსონალი), რომლებსაც ამავე ან წინა მატჩებში გაძევების ან სხვა დარღვევის გამო მატჩში მონაწილეობის უფლება არა აქვთ, ასევე ეკრძალებათ მატჩამდე და მატჩის მიმდინარეობისას (შესვენების დროსაც) გუნდის გასახდელში, სათადარიგოთა სკამზე, სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში, ან სათამაშო მოედნის სიახლოვეს ყოფნა და მითითებების მიცემა.

4.8. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის ორგანიზებაში მონაწილე პირები უზრუნველყოს სპეციალური საშვებით. ამას-

თანავე მასპინძელმა კლუბმა უნდა გამოყოს საშვთა სისტემის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. ამასთანავე კლუბმა უნდა უზრუნველყოს სფფ-ის სპეციალური საშვის (ყველგან გასვლის უფლებით) მქონე პირთა მატჩზე დაშვება.

4.9. სათანადოდ შევსებულ და ხელმოწერილ ოქმში თამაშის დაწყებამდე დაუშვებელია ცვლილებების შეტანა გარდა შემდეგი შემთხვევისა:

თუ ოქმში მყოფი პირველი 11 მოთამაშიდან მატჩის ფაქტიურ დაწყებამდე რომელიმეს არ შეუძლია თამაშში მონაწილეობის მიღება გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გამო, იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს მატჩის ოქმში მყოფი ნებისმიერი სათადარიგო მოთამაშით. ასეთ შემთხვევაში ცვლილებათა ლიმიტი უცვლელი რჩება, ხოლო ძირითადი შემადგენლობიდან ამოღებულ მოთამაშეს უფლება არა აქვს გადაინაცვლოს სათადარიგო შემადგენლობაში და მოგვიანებით მიიღოს მატჩში მონაწილეობა. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს გამოკლებულ მოთამაშეს დოპინგზე შემოწმების ვალდებულებისგან.

4.10. თუ რომელიმე გუნდში მოედანზე არის 7-ზე ნაკლები მოთამაშე თამაში არ დაიწყება. თუ რაიმე მომენტში სხვადასხვა მიზეზით რომელიმე გუნდში მოედანზე დარჩება 7-ზე ნაკლები მოთამაშე – თამაში შეწყდება. საკითხი განსახილველად გადაეცემა ჩამტარებელ ორგანიზაციას.

4.11. რეგიონული ლიგის მასპინძელი გუნდი ვალდებულია ჩაწეროს ჩემპიონატის გათამაშების ყველა მატჩი და მოთხოვ-ნისთანავე წარადგინოს სფფ-ში.

4.12. მატჩის მსაჯები ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების მოთამაშეთა მონაწილის ბარათები. იმ შემთხვევაში, თუკი მოთამაშის მონაწილის ბარათი რაიმე მიზეზით ვერ წარმოადგინა გუნდმა, მატჩზე მისი დაშვების საკითხი შეთანხმდება სფფ-ის ან რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებასთან. მსაჯები მატჩის დაწყებამდე ამოწმებენ მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, წინამდებარე დებულების შესაბამისად ფორმა უნდა გამოიცვალოს სტუმართა გუნდმა. ჩემპიონატის და თასის მატჩებზე ფორმის ფერს ირჩევს მასპინძელი გუნდი, რის შესახებაც ჩემპიონატის დაწყებამდე წერილობით ყველა კლუბმა შესაბამისი რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს საშინაო ფორმის ფერები.

4.13. რეგიონულ ლიგაში მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 4 სათამაშო ბურთისა. მასპინძელი გუნდი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს მატჩისას არანაკლებ 6 ბურთის მიმწოდებელი ბავშვის ყოფნა მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, რომლებიც უნდა იმყოფებოდნენ მოედნის პერიმეტრზე მთელი მატჩის განმავლობაში. ბურთებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

1. FIFA APPROVED და/ან FIFA QUALITY PRO
2. FIFA INSPECTED და/ან FIFA QUALITY
3. IMS _ INTERNATIONAL MATCH STANDARD

4.14. რეგიონული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში ნებადართულია ხუთ-ხუთი მოთამაშის შეცვლა სამი შეჩერებით. მხოლოდ მატჩის ძირითადი დროის ტაიმებს შორის შესვენებაზე განხორციელებული ცვლილება არ ითვლება შეჩერებად. მატჩის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს (ტრავმა, უამინდობა, უწესრიგობები მოედანზე ან ტრიბუნაზე, განათების სისტემის გაუმართაობა და ა.შ), განხორციელებული ცვლილება ითვლება შეჩერებად.პლეიოფის მატჩებში დამატებითი დროის დანიშვნა არ ანიჭებს გუნდებს მეოთხე შეჩერების გამოყენების უფლებას.

სამ-სამი მოთამაშის შეცვლა.

4.15. ტექნიკური ზონა სათადარიგოთა სკამის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან თითო მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო საფეხბურთო მოედნის გვერდითა ხაზიდან – არაუმეტეს 1 მეტრით. მოედნის ცენტრალური ხაზიდან ტექნიკური ზონები სიმეტრიულად უნდა იყოს დაცილებული 5-5 მეტრით.

4.16. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე (ერთდროულად 5-5 მოთამაშე თითო გუნდიდან). დასაშვებია თითოეული გუნდის მოთამაშეებს თან ახლდეთ თითო-თითო ფიზმომზადების მწვრთნელი).

4.17. თამაშის დროს პირით ხაზს მიღმა, სარეკლამო ბანერის უკან დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპონდენტებს და ტელეოპერატორებს (რომელთაც გავლილი აქვთ აკრე-დიტაცია და მიღებული აქვთ გადასაცმელი) და ბურთის მომწოდებელ ბავშვებს.

4.18. მატჩის გადაღების უფლების მქონე ტელევიზიის ტელეოპერატორები განლაგდებიან მათთვის ხელსაყრელ და მატჩისთვის უსაფრთხო ადგილზე დელეგატთან შეთანხმებით.

4.19. რეგიონული ლიგის გუნდებს თამაშის გადატანის მოთხოვნა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულია მათ განაცხადში მყოფი 3 ან მეტი მოთამაშე და 21-წლამდელთა ნაკრებში 5 ან მეტი მოთამაშე.

4.20. კლუბები ვალდებულნი არიან სფფ-ში ოფიციალურად წერილობით განაცხადონ თანხმობა ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

4.21. რეგიონული ლიგის კლუბებმა სფფ-ში უნდა ჩარიცხონ საწევრო შესატანი 8400 (რვაათასოთხასი) ლარის ოდენობით, საწევრო შესატანის დაფარვა უნდა მოხდეს 2026 წლის 1 აპრილამდე, ხოლო იმ გუნდებმა რომლებიც არ მონაწილეობდნენ 2025 წლის სეზონში სფფ-ში უნდა ჩარიცხონ 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს 2026 წლის 1 აპრილამდე.

სფფ-ის მიმართ ყველა სახის გადასახადი (დავალიანება) დაფარული უნდა იყოს სფფ-ის მიერ დადგენილ ვადაში. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში გუნდი არ დაიშვება კალენდარულ თამაშებზე და მოიხსნება მიმდინარე გათამაშებიდან.

4.22. სფფ-ის რეკვიზიტებია: **სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის № GE88BG0000000120626001 საიდენტიფიკაციო კოდი 201990079.**

4.23. მასპინძელი გუნდი ვალდებულია თამაშის წინა დღეს სტუმარი გუნდი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველჰყოს სავარჯიშო მოედნით, რომლის საფარი და გასახდელი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს.

4.24. მოთამაშეს რეგიონულ ლიგაში მაისურზე მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი კლუბის ლოგო, რომელიც დამოწმებულია სეზონისწინა განაცხადის მიღებისას სფფ-ის შესაბამისი სამსახურის მიერ. მაისურზე ნომრის ზომებია: სიმაღლე – 25 სმ, ხაზის სიგანე – 3 სმ. თუ მაისური ზოლიანია, მაისურზე ნომრები ერთგვაროვან ფონზე უნდა იყოს აღნიშნული. მეკარის ფორმა მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯთა ფორმის ფერებისაგან.

4.25. გუნდს უნდა გააჩნდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა.

4.26. მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე სტადიონზე იყოლიოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის მანქანა აღჭურვილი იქნება შესაბამისად და ლიცენზირებული იქნება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ.მასპინძელი გუნდი ასევე ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე სტადიონზე უზრუნველყოს შესაბამისი ლი-ცენზიის მქონე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა და/ან მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელთა საჭირო რაოდენობა, სულ მცირე 5 პირის შემადგენლობით.

მატჩის დელეგატის ან მსაჯთა დამკვირვებლის მოთხოვნისთანავე სავალდებულოა, რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა, უსაფრთხოებაზე პასუხიმსგებელი ორგანიზაციის ან მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელმა ხელი მოაწერონ მატჩის დელეგატის ან მსაჯთა დამკვირვებლის პატაკში.

4.27. კლუბი ვალდებულია გუნდიდა განთავისუფლებული მოთა-მაშის მონაწილის ბარათი 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს რფფ-ის შესაბამის სამსახურს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს რფფ-ის ამ მოთამაშის გუნდიდან წასვლის შესახებ.

4.28. მატჩში მონაწილე გუნდები ვალდებული არიან საათნახევრით ადრე გამოცხადდნენ სტადიონზე. დელეგატი (მსაჯთა დამკვირვებელი) და არბიტრი ვალდებული არიან მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ჩაატარონ თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი სტრუქტურის თანამშრომელი, მსაჯები, სტადიონის პასუხისმგებელი პირი, მასპინძელი გუნდის უსაფრთხოების ოფიცერი. მატჩის წინა თათბირზე გუნდის წარმომადგენლის დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

4.29. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს რფფ და ატყობინებს მონაწილეებს და მედიას მათ ჩატარებამდე 3 დღით ადრე. გუნდებს, სფფ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ მატჩები ჩაატარონ ხელოვნური განათების ქვეშ (ამის შესახებ მასპინძელმა უნდა აცნობოს სფფ-ს სამი დღით ადრე).

4.30. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მთავარი მსაჯი ვალდებულია შეამოწმოს მატჩზე მოსული გუნდის მოთამაშის ბარათები, ამის შემდეგ დამსწრე გუნდი და მსაჯები ვალდებული არიან სათამაშო ფორმით გავიდნენ მოედანზე და დააფიქსირონ თამაშისთვის მზადყოფნა. გუნდის საპატიო მიზეზით დაგვიანების შემთხვევაში დალოდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

4.31. მატჩის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ მოთამაშეები ვალდებული არიან ხელი ჩამოართვან ერთმანეთს და მსაჯებს, მიესალმონ და დაემშვიდობონ მაყურებლებს.

4.32. მატჩის მიმდინარეობის დროს და შესვენებისას ოქმში მყოფ მოთამაშეებს, მწვრთნელებს და კლუბის სხვა ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ ტელეფონით სარგებლობა, ან სათამაშო ეპიზოდის ვიდეოჩანაწერის ნახვა.

4.33. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მატჩის დელეგატს (მსაჯთა დამკვირვებელს) უფლება აქვს არ ჩაატაროს მატჩი, შეადგინოს შესაბამისი ოქმი დამსწრეთა ხელმოწერით. საკითხი განსახილველად გადაეცემა სადისციპლინო კომიტეტს.

4.34. თუ ჩემპიონატიდან მოხსნილმა გუნდმა ჩაატარა ჩემპიონატის ყველა თამაშის ნახევარზე ნაკლები, მისი შედეგები გაუქმდება და გუნდი ამოღებული იქნება გათამაშების ცხრილიდან. მატჩების ნახევრის ან მეტის ჩატარების შემთხვევაში გუნდს ყველა დარჩენილ თამაშში ჩაეთვლება წაგება 0:3 (მოწინააღმდეგეს მოგება 3:0) – ასეთი გუნდი დაგროვილი ქულებით დარჩება გათამაშების ცხრილში. ჩემპიონატიდან მოხსნილი გუნდი მომდევნო ჩემპიონატში დაქვეითდება ქვედა ლიგაში.

როცა ჩემპიონატის ფორმატი მოიცავს ერთზე მეტ ეტაპს, მოხსნილი გუნდის ნაჩვენები შედეგები ძალაში რჩება იმ შეთხვევაშიც თუ გუნდს ნათამაშები აქვს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩების ნახევარი ან მეტი.

4.35. ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში, რეგიონულ ლიგასა და ასაკობრივ ლიგებში მოთამაშეები ყოველი 4 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ მომდევნო ტურის ერთ შეხვედრას, ხოლო მწვრთნელები ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ. საქართველოს თასის გათამაშებაში მოთამაშები და მწვრთნელები

ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ თასის გათამაშების მომდევნო ერთ შეხვედრას. მოთამაშე მწვრთნელების ბარათები აღირიცხება მატჩის ოქმში მითითებული სტატუსის მიხედვით (სხვადასხვა სტატუსის დროს მიღებული ბარათები არ ჯამდება)

იმ შემთხვევაში, როცა მოთამაშე თასის რომელიმე ეტაპზე იღებს მეორე გაფრთხილებას, ის მომდევნო ეტაპის მატჩს ტოვებს როგორც ძირითად გუნდში, ასევე ფარმ-გუნდში.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მიღებული გაფრთხილებები არ ვრცელდება საქართველოს თასის გათამაშების მატჩებში და პირიქით. თუ მატჩი არ ჩატარდა და დაფიქსირდა ტექნიკური შედეგი, მოთამაშის დისკვალიფიკაციის ვადა უცვლელი რჩება.

ყველა ლიგაში მიღებული ყვითელი და წითელი, ასევე საქართველოს თასზე მიღებული წითელი ბარათები უცვლელად ვრცელდება პლეიოფის მატჩებზეც.

4.36. ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ისა და ლიგა 4-ის კლუბების ძირითადი გუნდის და მათი ფარმ-გუნდის მოთამაშეების მიერ მიღებული ყვითელი ბარათები მოქმედებს მხოლოდ იმ გათამაშებაში, რომლებშიც ისინი იქნა მიღებული (არ ჯამდება), ხოლო ყვითელი ბარათებით გამოწვეული სანქციის (არ გადადის მომავალ სეზონზე), წითელი ბარათის და სხვა დისციპლინარული სასჯელის მიღების შემთხვევაში, კლუბების პირველი გუნდის, ფარმ-გუნდის ან ასაკობრივი გუნდების მოთამაშე ტოვებს თამაშს ყველა გუნდში, სანამ არ გაუვა სასჯელის ვადა იმ გუნდში, რომელ გუნდშიც დაუწესდა სანქცია.

იმ შემთხვევაში, როცა ლიგა 3-ის, ლიგა 4-ის, რეგიონული ლიგის და ასაკობრივი ლიგის გათამაშება სრულდება ან შეწყდება რაიმე მიზეზის გამო, ან ზემოთხსენებულ ლიგებში იმაზე ადრე იწყება საზაფხულო პაუზა, სადაც მონაწილეობს ძირითადი გუნდი, ფეხბურთელი დისკვალიფიკაციას იხდის ძირითად გუნდში. ხოლო, როცა ფეხბურთელს მომავალ სეზონში გადაყვება დაკისრებული სანქცია, დისკვალიფიკაციას მოიხდის იმ გუნდში, სადაც იქნება დარეგისტრირებული.

4.37. ჩემპიონატის მსვლელობისას ეროვნულ, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას, წინა გუნდში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში რჩება . მიუხედავად იმისა თუ კლუბის

რომელ გუნდში დარეგისტრირდება ფეხბურთელი ,ძირითად გუნდში მიღებული ბარათები გადაჰყვება ძირითად გუნდში, ფარმ-გუნდში მიღებული გადაჰყვება ფარმ-გუნდში, ასაკობრივი ლიგაში მიღებული გადაჰყვება შესაბამის ასაკობრივ გუნდში. იმ შემთხვევაში როცა ფეხბურთელის მიმღებ კლუბს არ ჰყავს ფარმ-გუნდი ან შესაბამისი ასაკობრივი გუნდი, ფეხბურთელს ძირითად გუნდში გადაჰყვება მხოლოდ იმ გუნდში მიღებული ბარათები რომელშიც იყო რეგისტრირებული.

რეგიონული ლიგისა და მასში მონაწილე ფარმ-გუნდის მოთამაშეებისთვის მოქმედებს განსხვავებული წესი:

1. რეგიონული ლიგის გუნდიდან ყველა სხვა ლიგის გუნდში ან ყველა სხვა ლიგის გუნდიდან რეგიონული ლიგის გუნდში გადასულ მოთამაშეს მიღებული ყვითელი ბარათები არ გადაჰყვება, ხოლო რეგიონული ლიგის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში დარჩება.

2. იმ შემთხვევებში, როცა რეგიონულ ლიგაში მონაწილე ფარმ-გუნდში ხდება რანგით უფრო მაღალი ლიგიდან გადმოსული მოთამაშის რეგისტრაცია წინა გუნდში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში დარჩება.

ხოლო ეროვნულ, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ლიგა 4-ში ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას, წინა გუნდში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში რჩება. ამასთანავე მოთამაშის ფარმ-გუნდში დამტკიცების შემთხვევაში რეგიონულ ლიგაში ან რანგით დაბალ ლიგაში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში დარჩება.

4.38. სფფ უფლებამოსილია სპეციალური კომისიის მეშვეობით, ნებისმიერ დროს ჩემპიონატის დაწყებამდე ან მსვლელობისას შეამოწმოს სტადიონების მდგომარეობა, ხოლო დებულების (მათ შორის დანართი 1.-ის) მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში აკრძალოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩების გამართვა ასეთ სტადიონზე.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5.1. რეგიონული ლიგის გუნდების განაცხადების მიღებას და მოთამაშის დამტკიცებას აწარმოებს რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

5.2. კლუბიდან კლუბში მოთამაშეთა გადასვლას აღრიცხავს სფფ-ის და რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება, ხოლო სადავო საკითხებს განიხილავს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება სფფ-ის წესდების შესაბამისად შეიძლება სფფ-ის სააპელაციო კომიტეტში.

5.3. გუნდების განაცხადების მიღება იწარმოებს მას შემდეგ, რაც კლუბები წარმოადგენენ სარეგისტრაციო საბუთებს.

5.4. რეგიონული ლიგის ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან დადგენილი განრიგის მიხედვით რფფ-ში წარმოადგინონ:

– სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული წესდების ასლი და ბოლო 10 დღის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

– საფეხბურთო კლუბის იურიდიული მისამართი რეესტრის ამონაწერის მიხედვით და ბანკის რეკვიზიტები (კლუბის ოფისის, სტადიონის და ბაზის ტელეფონის, ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი).

– საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, სპორტული დირექტორი, პასუხისმგებელი მდივანი, მწვრთნელები, უსაფრთხოების ოფიცერი, პრეს-ატაშე და სხვა), მათი მისამართები და ტელეფონები.

– ხელშეკრულება სტადიონის მფლობელის ან იჯარის (მინიმუმ ერთი საფეხბურთო სეზონით) შესახებ.

– საფეხბურთო კლუბის ხელშეკრულებები საზოგადოებრივი წესრიგის დამცავ სტრუქტურებთან მატჩების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ.

– ბანკის მიერ დამოწმებული საგადასახადო დავალება სფფ-ის ანგარიშზე ჩემპიონატის ამ დებულებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის შესახებ.

– კლუბის ოფიციალურად დადასტურებული წერილი საშინაო თამაშებზე ფორმის კომპლექტის (მაისური, ტრუსი,

გეტრი, მეკარის ფორმის მაისური, ტრუსი, გეტრი) შესახებ. თუ სეზონის მსვლელობისას გუნდი იცვლის საშინაო ფორმის ფერებს, ამის შესახებ დამატებით უნდა ჰქონდეს გაგზავნილი რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში ოფიციალურად დადასტურებული წერილი.

– გუნდის განაცხადი 3 ეგზემპლარად;

– მოთამაშეთა და მწვრთნელთა კონტრაქტები, გაფორმებული მინიმუმ სეზონის ბოლომდე;

– მოთამაშეთა პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლები;

– მოთამაშეთა ახალი ბარათები სურათით.

– რეგიონული ლიგის კლუბებმა უნდა წარმოადგინონ გუნდის ფერადი ფოტოსურათი (ზომით 18X12 სმ), ფეხბურთელების, პრეზიდენტის და მთავარი მწვრთნელის თითო ფერადი სურათი.

– რეგიონული ლიგის გუნდებს ეკრძალებათ სახელის გადარქმევა და ლოგოს გამოცვლა სეზონის მიმდინარეობისას. კლუბის ლოგოს დამოწმება ხდება სეზონის დასაწყისში განაცხადის მიღებისას სფფ-ის შესაბამისი სამსახურის მიერ.

5.5. რეგიონული ლიგის ჩემპიონატის მსვლელობისას თითოეული გუნდის განაცხადში შეიძლება შეყვანილი იყოს 30 მოთამაშე. თუ გუნდი დაამტკიცებს 30-ზე მეტ მოთამაშეს, იგი ვალდებულია გადაიხადოს ყოველ დამატებულ მოთამაშეზე 250 ლარი.

5.6. განაცხადში მოთამაშის ადგილი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მას გაიწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან იმყოფება თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების დაწესებულებაში.

5.7. რეგიონულ ლიგაში ნებისმიერ დროს ყველა გუნდისთვის ნებადართულია ბავშვთა სკოლიდან მოთამაშეთა დამტკიცება.

5.8. გუნდის განაცხადი მოწმდება კლუბის უფლებამოსილი პირის, სამედიცინო დაწესებულების ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით.

5.9. რეგიონული ლიგის კლუბები უნდა დაკომპლექტდნენ 2003 და მომდევნო წლებში დაბადებული ფეხბურთელებით. გუნდს შეუძლია სეზონის განაცხადში ერთდროულად დარეგისტრირებული ჰყავდეს მხოლოდ 10 უფროსი მოთამაშე (მათი ჩანაცვლება სხვა უფროსი მოთამაშით შესაძლებელია მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდებში), რომელთაგან ყველას

შეუძლია მატჩში მონაწილეობის მიღება. რაც შეეხება რეგიონული ლიგის მონაწილე ფარმ-გუნდებს, მათ სეზონის განაცხადში უნდა შეიყვანონ მხოლოდ 2003 და მომდევნო წლებში დაბადებული ფეხბურთელები.

5.10. რეგიონული ლიგის გუნდებს უფლება აქვთ ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს თავისი ასაკობრივი გუნდების მოთამაშეები განუსაზღვრელი რაოდენობით. თუ ეს მოთამაშეები დარეგისტრირებულები არიან სფფ-ის ეგიდით ჩატარებულ 19, 17, და 15-წლამდელთა ჩემპიონატებში.

5.11. რეგიონული ლიგის მონაწილე ფარმ-გუნდებს შეუძლიათ მატჩის ოქმში შეიყვანონ ძირითადი გუნდის არაუმეტეს ორი მოთამაშისა. რეგიონულ ლიგაში მონაწილე მე-3 ფარმ-გუნდებს მატჩის ოქმში შეუძლიათ შეიყვანონ როგორც ძირითად გუნდში ასევე მე-2 ფარმ გუნდში რეგისტრირებული ფეხბურთელი, მაგრამ დამატებული ფეხბურთელების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ორს ხოლო ძირითად გუნდს და მე-2 ფარმგუნდს მატჩის ოქმში შეუძლია შეიყვანოს მე-3 ფარმგუნდში დარეგისტრირებული მაქსიმუმ 20 მოთამაშე.

5.12. კლუბს შეუძლია ჰყავდეს მოთამაშე-მწვრთნელი.

6. მოთამაშის ტრანსფერი

6.1. მოთამაშე, რომელსაც სურს სფფ-ის ეგიდით გამართულ ნებისმიერ შეჯიბრებაში მონაწილეობა და შეყვანილია კლუბის განაცხადში, რეგისტრირდება სფფ-ში.

6.2. სფფ-ის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სფფ-ის მიერ დაწესებულ სატრანსფერო პერიოდებში. პირველი პერიოდი: 2026 წლის 1 იანვრიდან – 2026 წლის 11 მარტის ჩათვლით.

მეორე პერიოდი – 2026 წლის 22 ივნისიდან – 2026 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით;

საერთაშორისო ტრანსფერისას გათვალისწინებული იქნება იმ ქვეყნის სატრანსფერო პერიოდები, რომლის კლუბთანაც ხორციელდება ტრანსფერი.

6.3. საფეხბურთო სეზონის განმავლობაში მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სამ კლუბში, ოფიციალურ მატჩებში (ევროტურნირების მატჩების ჩათვლით) ორ კლუბში მონაწილეობის

უფლებით. მატჩის ოქმში მოთამაშის შეყვანა არ ნიშნავს მონაწილეობას (ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესების მუხლი 5, პუნქტი 3-ის თანახმად).

6.4 დაუშვებელია კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტა საფეხ-ბურთო სეზონის მსვლელობის დროს (ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესების მუხლი 16).

6.5. კლუბს და მოთამაშეს შეუძლიათ გააუქმონ არსებული სამუშაო კონტრაქტი დასაქმების პირველი სეზონის გასვლამდე, თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება ორივე მხარის მიერ, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს ახალ კლუბში სფფ-ის ხელახლა გახსნილ სარეგისტრაციო პერიოდში.

6.6. მოთამაშის გადასვლა ერთი კლუბიდან მეორეში იჯარის პირობებით ითვლება ერთ გადასვლად, ხოლო იჯარის ვადის დასრულების შემდეგ მოთამაშის დაბრუნება ძველ კლუბში გადასვლად არ ითვლება. შესაბამისად მოთამაშის იჯარით გადაცემის ვადა შეიძლება იყოს მეორე სატრანსფერო პერიოდამდე. აღნიშნული განმარტება არ ვრცელდება იმ შემთხვევისათვის, როცა იჯარის შესაბამისად მოთამაშე არ უბრუნდება თავის კლუბს და გადადის მესამე კლუბში. ეს შემთხვევა მოთამაშეს ჩაეთვლება მეორე გადასვლად.

6.7. სფფ-ის მიერ დაწესებული სატრანსფერო სარეგისტრაციო პერიოდის გარდა, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყველა ის მოთამაშე, რომლებმაც იპოვეს კლუბი სადაც უნდა გაიარონ რეგისტრაცია, თუ ისინი არ იყვნენ დაკავებული შრომითი კონტრაქტით სატრანსფერო პერიოდის ვადის დამთავრების შემდეგ.

6.8. ნებისმიერი ლიგის გუნდს უფლება აქვს სარეგისტრაციო პერიოდებში საქართველოს საზღვრებს გარედან მოიწვიოს და განაცხადში შეიყვანოს მოთამაშეები.

6.9. კონტრაქტი და აგრეთვე ყველა შესაძლო ცვლილება და დამატება აუცილებლად უნდა იყოს აღრიცხული რფფ-ში. ამ მიზნით წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) კონტრაქტის 3 ორიგინალი ყველა ცვლილებით და დამატებით, რომელზეც კეთდება სფფ-ის შესაბამისი რეგისტრაცია;

ბ) კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი ცვლილებებით და დამატებებით რჩება რფფ-ში.

6.10. სფფ-ის შესაბამისი ორგანოების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვისას გამოყენებული იქნება მხოლოდ ის კონტრაქტები, მათი დანართები და ყველა სხვა იურიდიული დოკუმენტაცია, რომლებიც დარეგისტრირებული იქნება სფფ-ში. ორივე მხარის ხელმოწერილი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლის არსებობა სფფ-ისთვის უცნობია, არ განიხილება.

6.11. მოთამაშეების ტრანსფერთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დროებით დებულებაში.

6.12. კლუბს უფლება აქვს სხვადასხვა კლუბში გაუშვას მოთამაშე იჯარით, მაგრამ არაუმეტეს ორი მოთამაშისა იმავე ლიგის კლუბში (ყოველ სატრანსფერო პერიოდამდე). იჯარით გასხვისებულ მოთამაშეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მეპატრონე კლუბის წინააღმდეგ თამაში, თუ კლუბი წარმოადგენს, ფეხბურთელის მფლობელი კლუბის წერილობით თანხმობას.

6.13. რეგიონულ ლიგაში მონაწილე გუნდებისთვის დაუშვებელია უცხო ქვეყნის მოქალაქის მოწვევა და დარეგისტრირება. ლეგიონერების გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ ფარმ-გუნდებს, ისეთ შემთხვევაში, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე დარეგისტრირებულია ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-სა და ლიგა 3-ში მონაწილე ძირითად გუნდში, ან ასაკობრივი ლიგის გუნდში. ფარმ-გუნდის მატჩის განაცხადში დასაშვებია მაქსიმუმ ორი ლეგიონერის შეყვანა.

7. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

7.1. სტადიონების მიღება ხდება ნებისმიერ დროს სფფ-ის და რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ.

7.2. სტადიონზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, გამოფენილი უნდა იყოს საქართველოს დროშა.

7.3. რფფ-ის ხელმძღვანელობის თანხმობით განსაკუთრებულ შემთხვევაში კალენდარული მატჩი შეიძლება გადატანილ იქნას სხვა სტადიონზე. შესაბამისი თანხმობის მისაღებად საფეხბურთო კლუბმა რფფ-ს უნდა მიმართოს მატჩამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

7.4. სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო გუნდი მომდევნო მატჩს/მატჩებს ჩაატარებს სფფ-ის მიერ მიღებულ სხვა სტადიონზე, რომლის შესახებაც გუნდმა სფფ-ს უნდა აცნობოს მომდევნო თამაშამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო მინდორი ან სტადიონი, რომელზეც კლუბი ატარებს საშინაო თამაშებს, არ შეესაბამება რფფ-ის მოთხოვნებს, კლუბმა უნდა წარმოადგინოს ალტერნატიული სტადიონი, რომელიც მიღებულია რფფ-ის მიერ.

7.6. თუ რომელიმე გუნდს გააჩნია პრეტენზია სათამაშო მოედნის მდგომარეობის ან მისი ხარისხის გამო (საფარი, დახაზვა, კარის ზომა და ა.შ.) იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობოს მატჩის არბიტრს, დელეგატს და მსაჯთა დამკვირვებელს თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 90 წუთით ადრე (გარდა ფორსმაჟორული შემთხვევებისა). თამაშის ჩატარება-არჩატარების საკითხს, მიუხედავად რომელიმე გუნდის პრეტენზიისა, წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი მატჩის დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯების დამკვირვებელთან) კონსულტაციის შედეგად.

7.7. მასპინძელ გუნდს შეუძლია სტუმარი გუნდის თანხმობის გარეშე მიიღოს მოედნის მორწყვის გადაწყვეტილება. მოედანი უნდა მოირწყას მთლიანად. მორწყვა უნდა დამთავრდეს თამაშის დაწყებამდე 60 წუთით ადრე. მსაჯის თანხმობის შემთხვევაში, მასპინძელ გუნდს ასევე სტუმარი გუნდის თანხმობის გარეშე შეუძლია მოედნის მორწყვა თამაშის დაწყებამდე 10-დან 5 წუთამდე ინტერვალშიც და შესვენების დროს მაქსიმუმ 5 წუთის განმავლობაში.

7.8. კლუბი, რომელიც მოითხოვს ხელოვნური განათების ქვეშ თამაშს, ვალდებულია იქონიოს ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყარო ან დამატებითი ენერგო კვების ბლოკი (გენერატორი), რომელსაც ექნება შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ვარგისიანობის სერტიფიკატი.

7.9. მატჩის მსვლელობისას განათების გამორთვის შემთხვევაში, მასპინძელი კლუბი მთავარი მსაჯისა და მატჩის დელეგატისა მითითებების გათვალისწინებით, ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს პრობლემის მოსაგვარებლად. თუ განათების ჩართვა ვერ მოხერხდა 65 წუთის განმავლობაში არბიტრი დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში ერთპიროვნულად) შეთანხმების

საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მატჩის შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს მატჩის განახლების, სრული ან დარჩენილი დროის სხვა დღეს ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება. სტუმარ გუნდს მივლინების ხარჯებს აუნაზღაურებს მასპინძელი გუნდი. იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი გუნდი ვალდებულებას იღებს, რომ სტუმარი გუნდი განათავსოს მის მიერ მოძიებულ სასტუმროში, სასტუმროს ვარგისიანობას აფასებს მატჩის დელეგატი.

7.10. საფეხბურთო კარის დაზიანების შემთხვევაში, მასპინძელი გუნდი ვალდებულია 65 წუთის განმავლობაში შეცვალოს სრულფასოვნად აღჭურვილი კარით და გაგრძელდეს მატჩი, წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება წაგება 0:3, სტუმართა გუნდს მიეკუთვნება მოგება 3:0, ხოლო თუ მასპინძელი გუნდი თამაშს აგებდა სამი ან მეტი ბურთის სხვაობით, მატჩის შედეგი ძალაში რჩება.

7.11. დაწყებული მატჩის შეწყვეტა და შემდგომში გადატანა (გაგრძელება) შესაძლებელია, მასპინძელი კლუბის მიერ უსაფრთხოების სათანადო ნორმების ვერუზრუნველყოფის შემთხვევაში; სტუმარი კლუბის იდენტიფიცირებული გულშემატკივრის უმართავი ქმედებების შემთხვევაში, რომლის პრევენცია აღემატება მასპინძელი კლუბის მიერ დაქირავებული დაცვის სამსახურისა და სამართალდამცავთა ძალებს, ასევე ფორსმაჟორული მდგომარეობისას, რომლის წინასწარ გათვალისწინება (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი მოვლენები) შეუძლებელია, ასევე სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას, რომლებიც მატჩის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად მოხდება (საგანგებო მდგომარეობა) და სხვა მიზეზების გამო, რომელიც არბიტრის, დელეგატის ან მსაჯთა დამკვირვებლის აზრით, საშიშროებას წარმოადგენს მოთამაშეთა ჯანმრთელობისათვის.

7.12. მატჩის დელეგატი, მსაჯთა დამკვირვებელი და არბიტრი ვალდებულნი არიან ყველა ღონე იხმარონ მატჩის ჩასატარებლად, რის შესახებაც მათ უნდა აცნობონ სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

7.13. მატჩის გაგრძელებაზე, გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

7.14. თუ თამაში შეწყდა 7.9 და 7.11. ან სხვა პუნქტში ნახსენები მდგომარეობების გამო და იმ დღეს მისი გაგრძელება ვერ მოხერხდა, მატჩი გაგრძელდება მეორე ან მესამე დღეს და იგი განახლდება იმ წუთიდან (ანგარიში, სადისციპლინო სანქციები – წითელი, ყვითელი ბარათი ძალაშია) რომელ ეპიზოდშიც (პენალტი, ჯარიმა, კუთხური, აუტი, სადაო და ა.შ.) შეწყდა მატჩი.

• გაგრძელებულ მატჩში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ შეწყვეტილი მატჩის ოქმში.

• თუ შეწყვეტილი მატჩის გაგრძელება მეორე დღეს ვერ მოხერხდა, სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დაინიშნება მატჩის გაგრძელების თარიღი. ამ შემთხვევაში: გუნდებს შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ მოახდინონ შემადგენლობის დაკომპლექტება ხოლო ყველა სხვა დანარჩენი პირობა იქნება ძალაში.

• თუ შეწყვეტილი მატჩის ოქმში მყოფი მოთამაშე (მწვრთნელი ა.შ.), შეწყვეტილი მატჩის ჩატარებამდე სხვა მატჩში მიიღებს დისკვალიფიკაციას, მას აქვს განახლებულ მატჩში მონაწილეობის უფლება, ხოლო დისკვალიფიკაცია გადავა მომდევნო თამაშებში.

7.15. მასპინძელი კლუბი, რომლის მინდორზეც ტარდება შეხვედრა, ვალდებულია:

• გამოყოს პასუხისმგებელი პირი (მატჩის მენეჯერი), რომელიც უზრუნველყოფს მსაჯთა, მსაჯთა დამკვირვებლის და დელეგატის უსაფრთხოებას;

• მიაცილოს მსაჯთა ბრიგადა გასახდელიდან მინდვრამდე და მინდვრიდან გასახდელამდე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პირთა თანხლებით, ყველანაირად დაიცვას ისინი;

• გამორიცხოს მსაჯთა ოთახში ნებისმიერი პირის შესვლა ან ყოფნა. მსაჯების გარდა, რომლებიც ემსახურებიან მატჩს, ოთახში შესვლის უფლება აქვთ მატჩის დელეგატს, მსაჯთა დამკვირვებელს, სფფ-ის წარმომადგენლებს, რომლებიც ატარებენ ამ მატჩს და იმ პირებს, რომლებსაც მიიწვევს მსაჯი, მსაჯთა დამკვირვებელი ან მატჩის დელეგატი.

• უზრუნველყოს მატჩის ჩატარება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნებით;

• უზრუნველყოს მაყურებელთა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება.

• უზრუნველყოს სტუმართა გუნდის თხოვნა მატჩის ბილეთების შესაძენად (სტადიონის მთლიანი ტევადობის 5 %-ის რაოდენობით) და გამოყოს ცალკე სექტორი სტუმართა გუნდის გულშემატკივრებისათვის.

7.16. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს სტადიონი სფფ-ის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად:

• საფეხბურთო მოედანი, მინდვრის კარგი ხარისხის საფარით, რომლის შეფასება ხდება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ, საინფორმაციო ტაბლოთი, გასახდელი ორივე გუნდისათვის, რომლებიც მოწყობილია სათანადო რაოდენობის ავეჯით (სკამებით, მაგიდებით, სარკეებით, ტანსაცმლის საკიდით, სამედიცინო ტახტით და სხვა), საფეხბურთო მინდვრის მაკეტით, საშხაპე ცხელი წყლით (არანაკლებ 5 წერტილი) და საპირფარეშოთი;

• სპეციალური ოთახი მსაჯებისათვის, რომელიც მოწყობილია საშხაპეთი, საპირფარეშოთი, აუცილებელი ინვენტარით და დოკუმენტაციით (მატჩის ოქმი), საფეხბურთო მოედნის მაკეტით, ბურთის ასაწონი სასწორით, გვერდითი მსაჯებისათვის სამი კომპლექტი მკვეთრი ფერის დროშებით (ზომა 30X40 სმ, ტარის ზომა 45 სმ, დიამეტრი 15 სმ), ფეხბურთელთა შეცვლების მანიშნებელი ელექტრო ან მექანიკური ტაბლო (კლუბი ვალდებულია იქონიოს სარეზერვო ვარიანტიც მექანიკური ტაბლოს სახით).

• ცალკე ოთახი მატჩის ოქმის გასაფორმებლად, სპეციალურად განკუთვნილი ადგილები ვიპ-ლოჟაში სფფ-ის დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლისათვის შესაბამისი აღნიშვნებით;

• ჩაი, მინერალური წყალი მოთამაშეებისათვის, მსაჯების, დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლისათვის (მასპინძელი გუნდის ხარჯზე);

• მინიმუმ 14 ადგილი სათადარიგოთა სკამზე – განკუთვნილი გუნდების პერსონალისა და სათადარიგო მოთამაშეთათვის;

• სპეციალური ოთახი – მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენციისათვის.

• სანიტარული საკაცე, ორი მომსახურე პერსონალით;

• უზრუნველყოს მატჩის დელეგატისთვის და მსაჯთა დამკვირვებლისთვის შეუფერხებელი მოძრაობა (თამაშამდე, თამაშის დროს, თამაშის შემდეგ);

• გამოყოს ადგილები ვიპ-ლოჟის პირველ რიგში ოფიციალური პირებისათვის და სფფ-ის წარმომადგენლებისათვის;

• სპეციალურად მოწყობილი ადგილი პრესის მუშაკთათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა დაფაზე – „პრესა“;

• ჟურნალისტებისათვის სამუშაო პირობების შექმნა (უკაბელო ინტერნეტი, უწყვეტი ელექტროენერგიის წყარო, სამუშაო მაგიდა).

7.17. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის მსვლელობის დროს გამორიცხოს განცხადება რადიოთი მოთამაშეთა რაიმე პრიზებით დაჯილდოვების ან ფულადი პრემიების შესახებ. ამის შესახებ მაყურებელი უნდა იყოს ინფორმირებული მატჩის დაწყებამდე ან დამთავრების შემდეგ. გუნდების შემადგენლობის გამოცხადება უნდა მოხდეს მატჩის დაწყებამდე.

7.18. კლუბებს უფლება აქვთ სათამაშო მოედანზე გამართონ ვარჯიში მხოლოდ მატჩის წინა დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება უფლებამოსილია, საკითხი განსახილველად გადასცეს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.

8. მსაჯობა

8.1. საქართველოს 2026 წლის რეგიონული ლიგის ჩემპიონატის მატჩებს მოემსახურებიან სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ რეკომენდებული და სფფ-ის სამსაჯო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მსაჯები. მსაჯობა ხორციელდება ფეხბურთის თამაშის წესების (2025/2026 წლების გამოცემა) და ფიფას და უეფას სამსაჯო კომიტეტების მიერ გამოცემული ინსტრუქციების და სფფ-ის შესაბამისი დებულების და რეგლამენტის მიხედვით.

8.2. მატჩებზე მსაჯების დანიშვნას უზრუნველყოფს და ამტკიცებს სფფ-ის ან რფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილება.

8.3. ფიფას „რეგლამენტი ეროვნულ ასოციაციებში მსაჯობის ორგანიზების შესახებ“ და უეფას სამსაჯო კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად დაუშვებელია დანიშვნის პროცესში

მთავრობის, კლუბების, ლიგის ან ფედერაციის რომელიმე სხვა ორგანოს (სუბიექტის) მონაწილეობა.

8.4. დანიშვნის ოქმი გამოქვეყნდება მატჩამდე (ტურამდე) ერთი დღით ადრე.

8.5. მატჩზე მთავარი მსაჯის გამოუცხადებლობის ან მატჩის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს:

– რეგიონულ ლიგაში – პირველი ასისტენტი ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბრიგადას შეიძლება დაემატოს ადგილობრივი მსაჯი, რომელიც უნდა იყოს დამტკიცებული სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ.

8.6. მატჩზე მსაჯთა ბრიგადის დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შეხვედრის დელეგატმა (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯთა დამკვირვებელმა) ამის შესახებ უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებებს, ასევე რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას, რის შემდეგაც აღნიშნული სამსახურები მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

8.7. მატჩზე დანიშნული მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია ჩატარების შემთხვევაში დაესწროს მატჩისწინა თათბირს (თამაშამდე საათნახევრით ადრე).

8.8. თამაშის დაწყებამდე მსაჯთა ბრიგადა (რფფ-ის დელეგატთან და მსაჯების დამკვირვებელთან ერთად) ვალდებულია შეამოწმოს მინდვრის საფარი (ხარისხი, ბალახის სიმაღლე, დახაზვა), კარების კონსტრუქცია და სიმაღლე, კარის ბადეები, კუთხურის ალმები, შეაფასოს ხუთბალიანი სისტემით, რაც უნდა ჩაიწეროს მატჩის ოქმში.

8.9. თუ გუნდი არ გამოცხადდა დანიშნულ მატჩზე, მსაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სფფ-ის, რფფ–ის საშეჯიბრო და სამსაჯო განყოფილებებს.

8.10. მსაჯი ვალდებულია მატჩის ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გოლები და შეცვლები, გაფრთხილების ან მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით, დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით და ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში წარადგინოს მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით (მსაჯის მოხსენებით ბარათს თან უნდა ერთვოდეს გაძევებული ფეხბურთელის მონაწილის

ბარათი), ხოლო მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს სფფ-ის, რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას.

8.11. მთავარი მსაჯი ვალდებულია, მატჩის დამთავრებისთანავე შეავსოს მატჩის ოქმი და ასლი გააგზავნოს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების ელექტრონულ მისამართზე – refereereports@gff.ge ხოლო ოქმის ორიგინალი 48 საათის განმავლობაში მიაწოდოს რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას. ოქმის შევსების ხარისხზე პასუხისმგებელია მატჩის მთავარი მსაჯი.

8.12. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის ან შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების საკითხს წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯთა დამკვირვებელთან) კონსულტაციის შემდეგ.

8.13. მსაჯებმა საჭიროების შემთხვევაში მასპინძელ გუნდს უნდა შეატყობინონ ჩასვლის თარიღი, ხოლო მასპინძელმა გუნდმა შეტყობინების საფუძველზე დაჯავშნოს სასტუმრო და უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

8.14. მატჩის მომსახურე მსაჯებს უფლება აქვთ მატჩის წინა დღეს ივარჯიშონ იმ მოედანზე, სადაც ჩატარდება მატჩი.

8.15. მატჩებზე მსაჯების მომსახურების თანხას იხდის სფფ.

9. დელეგატი

9.1. რეგიონული ლიგის ჩემპიონატის მატჩების უკეთ ორგანიზებისა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რეგიონული ლიგის მატჩებზე (საჭიროების შემთხვევაში) მსაჯთა დამკვირვებელთან ერთად, ინიშნება მატჩის დელეგატი.

9.2. მატჩის დელეგატს ნიშნავს რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

9.3. მატჩის დელეგატი ვალდებულია მთავარ მსაჯთან ერთად ჩაატაროს მატჩისწინა თათბირი (თამაშამდე საათნახევრით ადრე), რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ მსაჯები, მსაჯთა დამკვირვებელი, მონაწილე გუნდების წარმომადგენლები,

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სამედიცინო, სახანძრო და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები, სტადიონის დირექტორი.

9.4. მატჩის დელეგატი პასუხისმგებელია მატჩის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლზე. იგი უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წარმომადგენლებთან და სტადიონის დირექტორთან ან სტადიონის პასუხისმგებელ პირთან, ასევე მასპინძელი კლუბის შესაბამის სამსახურთან.

9.5. თუ გუნდი არ გამოცხადდა დანიშნულ მატჩზე, დელეგატი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

9.6. მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ დელეგატმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს რფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

9.7. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის შემთხვევაში დელეგატი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია მატჩის მთავარ მსაჯთან მატჩის შეწყვეტის ან შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე.

9.8. მატჩის წინ დელეგატი ვალდებულია შეამოწმოს მასპინძელი გუნდის მიერ ვიდეოჩანაწერის მომზადების საკითხი და გაუწიოს დახმარება სტუმართა გუნდს ვიდეოფირის ჩაწერაში.

9.9. მატჩის დელეგატი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და გადაწყვიტოს თამაშის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და ნებართვა გასცეს თამაშის ჩატარების შესახებ.

9.10. მატჩის დელეგატი ვალდებულია აცნობოს პირველი და მე-ორე ტაიმების დამთავრებისთანავე მატჩის შედეგი სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას, პატაკის ასლი 24 საათის განმავლობაში გაგზავნოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების შემ-დეგ ელექტრონულ მისამართზე – delegatereports@gff.ge ხოლო პატაკის ორიგინალი კი ფიზიკურად წარადგინოს 48 საათის განმავლობაში.

9.11. მატჩის დელეგატს თანხას უხდის სფფ.

9.12. მატჩის დელეგატი ვალდებულია დააფიქსიროს დელეგატის პატაკში პრესკონფერენციის ჩატარება-არჩატარების ფაქტი.

10. მსაჯთა დამკვირებელი

10.1. საქართველოს 2026 წლის რეგიონული ლიგის ჩემპიონატის მატჩებზე მსაჯების დაკვირვებას ახორციელებს სფფ-ის მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სფფ-ის ან რფფ-ის სამსაჯო კომიტეტის მიერ.

10.2. მსაჯთა დამკვირვებელთა დანიშვნების პროექტს ამზადებს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილება.

10.3. მატჩზე დანიშნული მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლებს თამაშზე გამგზავრებას, ვალდებულია, ამის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინოს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას.

10.4. მსაჯთა დამკვირვებელმა საჭიროების შემთხვევაში მასპინ-ძელ გუნდს უნდა შეატყობინოს ჩასვლის თარიღი, ხოლო მასპინძელმა გუნდმა შეტყობინების საფუძველზე დაუჯავშნოს სასტუმრო და უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

10.5. მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მატჩის წინა თათბირზე (მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე).

10.6. მსაჯთა დამკვირვებელი უნდა იყოს მსაჯებთან ერთად მატჩამდე და მატჩის შემდეგ, სტადიონის ტერიტორიის დატოვებამდე. მხოლოდ მსაჯთა დამკვირვებელია პასუხისმგებელი მსაჯების დაკვირვებაზე და შეფასებაზე, მატჩის ორგანიზაციასთან და სხვა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მსაჯთა დამკვირვებელი ემორჩილება მატჩის დელეგატს.

10.7. მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულია აცნობოს I და II ტაიმების დამთავრებისთანავე მატჩის შედეგი მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას, ხოლო მსაჯის დამკვირვებლის პატაკის ასლი წარმოადგინოს სფფ-ში 24 საათის განმავლობაში, ორიგინალი კი – 48 საათის განმავლობაში.

10.8. მატჩებზე მსაჯთა დამკვირვებლის მომსახურების თანხას ყველა ლიგაში, ასევე დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მატჩებზე იხდის სფფ.

10.9. მატჩებზე დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მატჩის დელეგატის ფუნქციებს ასრულებს მსაჯთა დამკვირვებელი.

11. ურთიერთობა მედიასთან

11.1. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს ტრიბუ-ნის ცენტრალურ ნაწილში გადახურულ ადგილას სპეცია-ლურად მოწყობილი მინიმუმ 10 ადგილი პრესის წარმო-მადგენელთათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა დაფაზე – „პრესა"; შეუქმნას ჟურნალისტებს სამუშაო პირობები (უკაბელო ინტერნეტი, უწყვეტი ელექტროენერგიის წყარო, სამუშაო მაგიდა). მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჟურნალისტთა სიჭარბის შემთხვევაში კლუბის მედია-ოფიცერი მაქსიმა-ლურად დააკმაყოფილოს მედიის მოთხოვნები დამატებითი ადგილების მოძიების ხარჯზე, როგორც ეს ხდება საერ-თაშორისო მატჩების დროს.

11.2. მასპინძელი კლუბის მედია-ოფიცერი ვალდებულია მატჩამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე (ან ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე) გამოაქვეყნოს მედია-აკრედიტაციის გაცემის პირობები.

11.3. მასპინძელი გუნდის მედია-ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის ჩატარება.

11.4. მასპინძელი კლუბის მედია-ოფიცერი ვალდებულია მატჩისწინა თათბირზე შეატყობინოს მატჩის დელეგატს, სად გაიმართება მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია.

11.5. სავალდებულოა ეროვნული ლიგის სატელევიზიო პროექტის ფარგლებში ყოველი მატჩის შემდეგ ფლეშინტერვიუს ჩასაწერად გამოცხადდეს ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი.

11.6. სტადიონზე აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი ადგილი ფოტო და ტელერეპორტიორებისათვის. ეს არის სივრცე კარს უკან, პირით ხაზს მიღმა, რომელიც შესაძლოა იყოს გაყოფილი სარეკლამო დაფით.

11.7. ჟურნალისტებს კატეგორიულად ეკრძალებათ ფეხბურთელებთან გასახდელში შესვლა.

11.8. მასპინძელი კლუბის პრესსამსახური ვალდებულია პირველ რიგში მატჩის დელეგატს ან/და მსაჯთა დამკვირვებელს მატჩის დაწყებამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე წარუდგინოს გუნდის დანომრილი შემადგენლობა (ტაქტიკური განლაგებითურთ) ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე განსათავს-ებლად. ასევე მატჩის დელეგატს ან/და მსაჯთა დამკვირვებელსა და ჟურნალისტებს

თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 15 წუთით ადრე წარუდგინოს მატჩის ოქმის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება სადისციპლონო კოდექსის შესაბამისად. კლუბის მედია-ოფიცერი ასევე ვალდებულია მატჩის ოქმით დააკმაყოფილოს ვიპ-ლოჟაში მსხდომი სტუმრები და მატჩზე დასწრების შემთხვევაში – საფეხბურთო სკაუტები.

11.9. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მოამზადოს მატჩის შემდგომი კომენტარების ჩასაწერი ადგილი (1. ელვა ინტერვიუსთვის – მინდვრის კიდესთან, 2. მატჩის შემდგომი ინტერვიუსთვის – შერეული ზონაში), სადაც განთავსებული იქნება სფფ-ის ფლეშ-ბანერი სპონსორების ლოგოებით. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

11.10. მასპინძელი კლუბის პრეს-სამსახური ვალდებულია მედიის მოთხოვნით უზრუნველყოს მატჩის შემდგომი ნებისმიერი სატელევიზიო კომენტარის ჩაწერა სფფ-ის ფლეშ-ბანერის ფონზე. დარღვევის შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

11.11. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის შესვენებაზე უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლები და სკაუტები სასმელებით: წყალი/ჩაი/ყავა.

ქალთა ეროვნული ლიგა და ქალთა ეროვნული ლიგა 2

1. მიზანი და ამოცანები

1.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატი მიზნად ისახავს, საქართველოში ქალთა ფეხბურთის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას;

1.2. საქართველოს საფეხბურთო გუნდების და მოთამაშეების ოსტატობის ამაღლებას;

1.3. საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის მოთამაშეების მომზადებას;

1.4. უეფას და ფიფას ეგიდით გასამართი საერთაშორისო ტურნირების მონაწილე ქართული კლუბების გამოვლენას.

2. შეჯიბრებების ორგანიზატორი

2.1. საფეხბურთო კლუბებს შორის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში სფფ) და ქალთა ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში ქფფ).

2.2. ჩემპიონატში მონაწილეობენ პროფესიონალური და სამოყვარულო საფეხბურთო კლუბები, რომელთაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, და ექვემდებარებიან სფფ-ის წესდებას, დებულებებს და გადაწყვეტილებებს,
იხდიან სფფ-ის მიერ დაწესებულ ყველა სახის გადასახადს.

2.3. საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი წარმოადგენს სფფ-ის საკუთრებას. სფფ-ს შეუძლია არსებული კალენდრის გამოყენება სარეკლამო, კომერციული თუ სხვა მიზნით.
შეჯიბრებების დრო განისაზღვრება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.

2.4. სფფ-ის წესდების 72-ე და 73-ე მუხლების თანახმად სფფ ფლობს მის იურისდიქციაში მყოფი, მის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბების ტელერადიო და ინტერნეტტრანსლაციებზე ექსკლუზიურ უფლებებს (პირდაპირი ეთერის, ჩანაწერისა თუ ფრაგმენტების სახით).

2.5. სტადიონებზე სარეკლამო დაფების განთავსების უფლებას სფფ და კლუბები ინაწილებენ თანაბრად 50/50-ზე. პრიო-

რიტეტი ენიჭებათ სფფ-ის სპონსორებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ვერ ავსებს მისთვის განკუთვნილ სარეკლამო ადგილს, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია დაიკავოს თავისუფალი სარეკლამო ადგილი.

2.6. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ჩემპიონატის დაწყებამდე ან მსვლელობისას, შეამოწმოს სტადიონების მდგომარეობა და დაუშვას ან აკრძალოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩების მათზე გამართვა.

3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატი გაიმართება ქალთა ეროვნულ ლიგაში და ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში.

3.2. ქალთა ეროვნულ ლიგაში მონაწილეობს 10 გუნდი:

1. ბათუმი	**245602110**
2. დინამო სოხუმი	**402297171**
3. ელიტა	**406350826**
4. ვერე	**400338853**
5. თეთრიწყარო	**430804533**
6. კვარტალი	**405169473**
7. ლანჩხუთი	**433649493**
8. მართვე	**412272714**
9. ნიკე ლუსო	**405254554**
10. რაჭა	**422937460**

ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში მონაწილეობს 14 გუნდი:

1. ახალგორი	**436040810**
2. გორი იუნაიტედი	**418469963**
3. დინამო გაგრა	**402297171**
4. დ10 აკადემია	**400368311**
5. ეძანი წალკა	**443123497**
6. ივერია ხაშური	**243916143**
7. კოლხეთი ხობი	**444549892**
8. მერცხალი ოზურგეთი	**437372095**
9. ნორჩები	**400377971**
10. ნორჩი დინამო	**400025227**

11. რუსთავი	**416319718**
12. ქსკ ვინგსი თბილისი	**405747964**
13. სპაერი თბილისი	**406203558**
14. შტორმი ბათუმი	**445795202**

3.3. ქალთა ეროვნული ლიგის გათამაშება ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი გაიმართება ორ წრედ (თითო მატჩი შინ და სტუმრად – 18 ტური). კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ . ქალთა ეროვნული ლიგის გათამაშების მეორე ეტაპზე, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 ადგილზე გასული გუნდები შეადგენენ „ზედა“ ოთხ გუნდიან ჯგუფს, ზედა ჯგუფის გათამაშება ჩატარდება ოთხ წრედ. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ადგილზე გასული გუნდები შეადგენენ „ქვედა“ ექსვგუნდიან ჯგუფს, ქვედა ჯგუფის გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. გათამაშების მეორე ეტაპზე „ზედა“ და „ქვედა“ ჯგუფებში გუნდებს გადმოყვებათ ყველა ქულა და სხვა მაჩვენებლები რომლებიც მოპოვებული აქვთ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე. გათამაშების ორივე ეტაპზე კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან საშეჯიბრო განყოფილების მიერ.

ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის გათამაშება ჩატარდება ერთ ეტაპად. ჩემპიონატი გაიმართება ორ წრედ (ერთ-ერთი მატჩი შინ და სტუმრად-26 ტური). კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით, გუნდები დაინომრებიან სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ

3.4. ქალთა ეროვნული ლიგის „ზედა“ ჯგუფის პირველ ადგილზე გასული გუნდი გახდება საქართველოს ჩემპიონი და მიიღებს მონაწილეობას უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში; მეორე ადგილზე გასული გუნდი გახდება ვერცხლის პრიზიორი, მესამე ადგილზე გასული გუნდი გახდება ბრინჯაოს პრიზიორი. „ზედა“ ჯგუფის მეოთხე, „ქვედა“ ჯგუფის პირველი, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები ავტომატურად შეინარჩუნებენ ქალთა ეროვნულ ლიგაში ადგილს. ხოლო „ქვედა“ ჯგუფის მე-4, მე-5 და მე-6

ადგილზე გასული გუნდი დატოვებს ქალთა ეროვნულ ლიგას. ლიგა 2-ში პირველ ადგილზე გასული გუნდი ითამაშებს 2027 წლის ქალთა ეროვნულ ლიგაში. 2027 წლის ქალთა ეროვნულ ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი

3.5. თუკი 2026 წლის ქალთა ეროვნული ლიგის დაკომპლექტებისას კლუბს (ან კლუბებს) არ ექნება შესაბამისი ლიცენზია, უარს იტყვის მონაწილეობაზე ან მოხსნილი იქნება გათამაშებიდან რაიმე მიზეზის გამო, მის ადგილს დაიკავებს ის კლუბი (ან კლუბები), რომელსაც ექნებათ ქალთა ეროვნული ლიგის შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია, უპირატესობა მიენიჭება იმ კლუბს (ან კლუბებს) რომელსაც ექნება უკეთესი სპორტული შედეგი. სპორტული შედეგის განსაზღვრა მოხდება ვირტუალური ცხრილით:

1-ლი ადგილი: ქალთა ეროვნულ ლიგა-ში მე-2 ადგილზე გასული გუნდი

მე-2 ადგილი: ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ადგილზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით.

3.6. ქალთა ეროვნული ლიგის გუნდებს შეიძლება ჰყავდეთ ფარმ-გუნდები შემდეგი პრინციპით:

ქალთა ეროვნული ლიგის წარმომადგენელს – ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში, ფარმ-გუნდები უნდა დაკომპლექტდნენ 2005 და მომდევნო წლებში დაბადებული ფეხბურთელებით.

3.7. კლუბს ყოველი სეზონის წინ შეუძლია შექმნას ფარმ-გუნდი, თუმცა დაუშვებელია ხელშეკრულებით ან რაიმე სხვა საშუალებით ეროვნული ლიგა 2-ში არსებული მონაწილის ფარმ-გუნდად დარეგისტრირება. ნებისმიერი კლუბის ახლადშექმნილმა ფარმ-გუნდმა ასპარეზობა შეიძლება დაიწყოს ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში.ნებისმიერი ლიგიდან ძირითადი გუნდის დაქვეითების შემთხვევაში დაუშვებელია იმავე რანგის ლიგაში ან რანგით ზედა ლიგაში მისი ფარმ-გუნდის მონაწილეობა, მიუხედავად სპორტული შედეგისა.

3.8. თუ ქალთა ეროვნული ლიგის დასრულებისას ძირითადი გუნდის მოხვედრა უკვე განსაზღვრულია ქალთა ეროვნულ ლიგა2-ში, სადაც ფარმ-გუნდს არ აქვს პარალელურად მონაწილეობის უფლება, მიუხედავად იმისა, ფარმ-გუნდის მიერ ცხრილში დაკავებული ადგილი იძლევა თუ არა ამავე

ლიგის საგზურს ან დამატებითი მატჩების გამართვის უფლებას (ფლეიოფში მონაწილეობა), ფარმ-გუნდს ჩაანაცვლებს ცხრილში მის მომდევნო ადგილზე გასული გუნდი.

4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატის კალენდარი დგება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ.
ჩემპიონატის კალენდრის განთავსება ხდება სრულად ან არასრულად (ტურის, ტურების ან წრის მიხედვით) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიაცილურ ვებგვერდზე womensleague.ge

4.2. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან, უზრუნველჰყონ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულება ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალისას. ქალთა ეროვნულ ლიგასა და ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში გუნდები მოედანზე უნდა გამოვიდნენ ლიგის ოფიციალური ჰიმნის თანხლებით.

4.3. ჩემპიონატის ყველა ლიგაში ქულათა დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა. ქალთა ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, საბოლოო ცხრილი დგება – 4.4.1-დან 4.4.10 ქვეპუნქტებში მითითებული მაჩვენებლების გათვალისწინებით. ყველა ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე ცხრილის შედგენისას, მაშინ როცა გუნდებს ჯერ არ ამოუწურავთ კალენდრით გათვალისწინებული ურთიერთშეხვედრები, ორი ან ორზე მეტი გუნდის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მათი ადგილი ცხრილში განისაზღვრება 4.4.5.-დან 4.4.10. ქვეპუნქტებში მითითებული პრინციპების მიხედვით. იმ შემთხვევებში კი, როცა გუნდს ან გუნდებს ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგის გათანაბრების ან უპირატესობის მოპოვების თეორიული შანსიც აღარ აქვთ, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მათი ადგილი ცხრილში განისაზღვრება 4.4.1.-დან 4.4.10. ქვეპუნქტებში მითითებული პრინციპების მიხედვით.

4.4. იმ შემთხვევაში, როცა ქალთა ეროვნულ ლიგასა (3.3 მუხლის შესაბამისად) და ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში, ორი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულას, მათი საბოლოო პოზიციის გადანაწილება ცხრილში მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

4.4.1. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები;

4.4.2. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობა;

4.4.3. განსახილველ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში გატანილი მეტი გოლი;

– თუ 4.4.1.-იდან 4.4.3.-ის კრიტერიუმების გამოყენების შემდეგ ორ ან მეტ გუნდს კვლავ თანაბარი პოზიცია აქვს განსახილველი გუნდების მიმართ გამოიყენება კრიტერიუმები 4.4.4.-იდან 4.4.10.-ის ჩათვლით..

4.4.4. ჩემპიონატში ბურთების უკეთესი სხვაობა.

4.4.5. ჩემპიონატში გატანილი მეტი გოლი.

4.4.6. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი მეტი გოლი

4.4.7. ჩემპიონატში მოგებების მეტი რაოდენობა.

4.4.8. ჩემპიონატში სტუმრად მოგებების მეტი რაოდენობა.

4.4.9. ჩემპიონატში დაგროვილი ნაკლები სადისციპლინო ქულა (გაძევება – 3 ქულა, ორი გაფრთხილებით გაძევება – 3 ქულა, გაფრთხილება – 1 ქულა; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს ნაკლები გაძევებით).

4.4.10. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა წილისყრა.

4.4.11. ერთმატჩიანი პლეიოფის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, დაინიშნება ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი.

• იმ შემთხვევაში, თუ დამატებით დროც მორჩება ფრედ ინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (ფიფას წესებით).

• ყველა ლიგის კლუბს საპლეიოფო მატჩის მასპინძლობა შეუძლია იმავე ლიგაში დაშვებულ სტადიონზე, რომელ ლიგასაც თავად წარმოადგენს.

4.5. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 60 წუთით ადრე მატჩის ოქმში შეიყვანოს

არაუმეტეს 20 მოთამაშე. ყოველ მოთამაშეს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომრები მაისურზე.

4.6. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.7. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები (11 მოთამაშე), სათადარიგო შემადგენლობის მოთამაშეები (მაქსიმუმ 9 მოთამაშე) – სავალდებულოა გუნდის კაპიტნის მითითება პირობითი ნიშნით – ©, ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა): მთავარი მწვრთნელი, მწვრთნელის ასისტენტები, ექიმი, პერსონალი – არაუმეტეს 8 პირი. ზემოთჩამოთვლილ ოფიციალურ პირებს, ისევე როგორც ფეხბურთელებს, ყველა ოფიციალურ თამაშზე თან უნდა ჰქონდეთ სფფ-ის მიერ დამოწმებული მონაწილის ბარათი, რომელიც გაიცემა სფფ-ის ბაზაში მათი რეგისტრაციის საფუძველზე (კლუბი ვალდებულია მოახდინოს მასზე გაცემული ბარათების ლამინირება), წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთჩამოთვლილი ოფიციალური პირები სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში არ დაიშვებიან. თუ გუნდს ჰყავს დამატებითი ექიმი ან სხვა ტექნიკური პერსონალი (სპორტული დირექტორი, მენეჯერი) მატჩის დელეგატთან ან მსაჯთა დამკვირვებელთან შეთანხმებით, გუნდს ტექნიკური ზონის გვერდით გამოეყოფა 7 დამატებითი ადგილი სათადარიგო სკამიდან 5 მეტრის მოშორებით. დამატებით ადგილებზე მჯდომ პირებს ყველა ოფიციალურ მატჩზე თან უნდა ჰქონდეთ სფფ-ის მიერ დამოწმებული ბარათები რომელიც გაიცემა სფფ-ის ბაზაში მათი რეგისტრაციის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთჩამოთვლილი პირები ტექნიკურ ზონაში, ან დამატებით ადგილებზე არ დაიშვებიან. ტექნიკურ ზონაში ოფიციალური პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს (ტექნიკური ზონის მიმდებარედ გამოყოფილი დამატებითი 7 ადგილის ჩათვლით). კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები განთავსდებიან საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილებზე. დისკვალიფიცირებულ პირებს (მოთამაშეები,

მწვრთნელები, პერსონალი), რომლებსაც ამავე ან წინა მატჩებში გაძევების ან სხვა დარღვევის გამო მატჩში მონაწილეობის უფლება არა აქვთ, ასევე ეკრძალებათ მატჩამდე და მატჩის მიმდინარეობისას (შესვენების დროსაც) გუნდის გასახდელში, სათადარიგოთა სკამზე, სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში, ან სათამაშო მოედნის სიახლოვეს ყოფნა და მითითებების მიცემა.

4.8. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის ორგანიზებაში მონაწილე პირები უზრუნველყოს სპეციალური საშვებით. ამასთანავე მასპინძელმა კლუბმა უნდა გამოყოს საშვთა სისტემის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. ამასთანავე კლუბმა უნდა უზრუნველყოს სფფ-ის სპეციალური საშვის (ყველგან გასვლის უფლებით) მქონე პირთა მატჩზე დაშვება და საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილზე მათი განთავსება.

4.9. სათანადოდ შევსებულ და ხელმოწერილ ოქმში თამაშის დაწყებამდე დაუშვებელია ცვლილებების შეტანა გარდა შემდეგი შემთხვევისა:

- თუ ოქმში მყოფი პირველი 11 მოთამაშიდან მატჩის ფაქტიურ დაწყებამდე რომელიმეს არ შეუძლია თამაშში მონაწილეობის მიღება გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გამო, იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს მატჩის ოქმში მყოფი ნებისმიერი სათადარიგო მოთამაშით. ასეთ შემთხვევაში ცვლილებათა ლიმიტი უცვლელი რჩება, ხოლო ძირითადი შემადგენლობიდან ამოღებულ მოთამაშეს უფლება არ აქვს გადაინაცვლოს სათადარიგო შემადგენლობაში და მოგვიანებით მიიღოს მატჩში მონაწილეობა. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს გამოკლებულ მოთამაშეს დოპინგზე შემოწმების ვალდებულებისგან.

4.10. თუ რომელიმე გუნდში მოედანზე არის 7-ზე ნაკლები მოთამაშე თამაში არ დაიწყება. თუ რაიმე მომენტში სხვადასხვა მიზეზით რომელიმე გუნდში მოედანზე დარჩება 7-ზე ნაკლები მოთამაშე – თამაში შეწყდება. საკითხი განსახილველად სადისციპლინო კომიტეტს.

4.11. ქალთა ეროვნული ლიგის მასპინძელი გუნდი ვალდებულია ჩაწეროს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ყველა მატჩი DVD დისკზე. მატჩის გადაღება უნდა მოხდეს შემაღლებული

ადგილიდან, სათამაშო მოედნის ცენტრალური ხაზის გასწვრივ შტატივზე დამაგრებული, უძრავი და მაღალი გარჩევადობის მქონე ციფრული კამერით. მატჩის გადაღება უნდა მოხდეს სრულად, პაუზების გარეშე. ამავე დროს გადაღება არ უნდა შეწყდეს, თუ საფინალო სასტვენის შემდეგ ადგილი აქვს რაიმე ინციდენტს. მატჩის დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მატჩის ამსახველი ვიდეო მასალის ჩატვირთვა კომპიუტერში და DVD დისკზე მისი ჩაწერა. უნდა დამზადდეს DVD დისკის 2 ასლი. DVD დისკის დამზადებისთანავე ერთი ასლი უნდა გადაეცეს მატჩის დელეგატს ან მსაჯების დამკვირვებელს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში წარსადგენად, ხოლო მეორე ასლი უნდა გადაეცეს მატჩის მთავარ მსაჯს.

4.12. მატჩის მსაჯები ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების მოთამაშის მონაწილის ბარათები. იმ შემთხვევაში, თუკი მოთამაშის მონაწილის ბარათი რაიმე მიზეზით ვერ წარმოადგინა გუნდმა, მატჩზე მისი დაშვების საკითხი შეთანხმდება საშეჯიბრო განყოფილებასთან. მსაჯები მატჩის დაწყებამდე ამოწმებენ მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, წინამდებარე დებულების შესაბამისად ფორმა უნდა გამოიცვალოს სტუმართა გუნდმა. ჩემპიონატის და თასის მატჩებზე ფორმის ფერს ირჩევს მასპინძელი გუნდი, რის შესახებაც ჩემპიონატის დაწყებამდე წერილობით ყველა კლუბმა სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში უნდა წარადგინოს საშინაო ფორმის ფერები.

4.13. ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 8 სათამაშო ბურთი. მასპინ-ძელი გუნდი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს მატჩისას არანაკლებ მინიმუმ 4 ბურთის მიმწოდებელი ბავშვის ყოფნა მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, რომლებიც უნდა იმყოფებოდნენ მოედნის პერიმეტრზე მთელი მატჩის განმავლობაში. ბურთებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

1. FIFA APPROVED და/ან FIFA QUALITY PRO
2. FIFA INSPECTED და/ან FIFA QUALITY
3. IMS _ INTERNATIONAL MATCH STANDARD

4.14. ქალთა ეროვნული ლიგის კალენდარულ მატჩებში ნება-დართულია ხუთ-ხუთი მოთამაშის შეცვლა სამი შეჩერებით ხოლო ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის კალენდარულ მატჩებში ნებადართული შვიდ-შვიდი მოთამაშის შეცვლა სამი შეჩერებით. მხოლოდ მატჩის ძირითადი დროის ტაიმებს შორის შესვენებაზე განხორციელებული ცვლილება არ ითვლება შეჩერებად. მატჩის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს (ტრავმა, უამინდობა, უწესრიგობები მოედანზე ან ტრიბუნაზე, განათების სისტემის გაუმართაობა და ა.შ), განხორციელებული ცვლილება ითვლება შეჩერებად. პლეიოფის მატჩებში დამატებითი დროის დანიშვნა არ ანიჭებს გუნდებს მეოთხე შეჩერების გამოყენების უფლებას.

4.15. ტექნიკური ზონა სათადარიგოთა სკამის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან თითო მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო საფეხბურთო მოედნის გვერდითა ხაზიდან – არაუმეტეს 1 მეტრით. მოედნის ცენტრალური ხაზიდან ტექნიკური ზონები სიმეტრიულად უნდა იყოს დაცილებული 5-5 მეტრით.

4.16. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე (ერთდროულად 5-5 მოთამაშე თითო გუნდიდან). დასაშვებია თითოეული გუნდის მოთამაშეებს თან ახლდეთ თითო-თითო ფიზმომზადების მწვრთნელი.

4.17. თამაშის დროს პირით ხაზს მიღმა, სარეკლამო ბანერის უკან დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპონდენტებს და ტელეოპერატორებს (რომელთაც გავლილი აქვთ აკრე-დიტაცია და მიღებული აქვთ გადასაცმელი) და ბურთის მომ-წოდებელ ბავშვებს.

4.18. მატჩის გადაღების უფლების მქონე ტელევიზიის ტელე-ოპერატორები განლაგდებიან მათთვის ხელსაყრელი და მატჩისთვის უსაფრთხო ადგილზე დელეგატთან შეთანხმებით.

4.19. ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის კლუბებს შეუძლიათ მოითხოვონ თამაშის გადადება, თუ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამო-ძახებულია მათ განაცხადში მყოფი 3 ან მეტი მოთამაშე და ახალგაზრდულ ნაკრებეში 5 ან მეტი მოთამაშე.

4.20. სფფ-ის მიმართ ყველა სახის გადასახადი (დავალიანება) დაფარული უნდა იყოს სფფ-ის მიერ დადგენილ ვადაში. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.

4.21. **სფფ-ის რეკვიზიტებია: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის №GE88BG0000000120626001 საიდენტიფიკაციო კოდი 201990079.**

4.22. ყველა ლიგაში მაისურის უკანა მხარეს მოთამაშეს უნდა ეწეროს სათამაშო ნომერი, ასევე მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი კლუბის ლოგო რომელიც დამოწმებულია სეზონისწინა განაცხადის მიღებისას. თუ მაისური ზოლიანია, მაისურზე ნომრები უნდა იყოს აღნიშნული ერთგვაროვან ფონზე. მარჯვენა მკლავზე უნდა განთავსდეს საქართველოს ეროვნული დროშა, მარცხენა მხარეს კი ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის ლოგო.

4.23. გუნდს უნდა გააჩნდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა. მეკარის ფორმა მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯთა ფორმის ფერებისაგან.

4.24. ქალთა ეროვნულ ლიგაში და ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში, მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე სტადიონზე იყოლიოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის მანქანა აღჭურვილი იქნება შესაბამისად და ლიცენზირებული იქნება სამედიცინო საქმია-ნობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ. მასპინძელი გუნდი ასევე ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე სტადიონზე უზრუნველყოს შესაბამისი ლიცენზიის მქონე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა და/ან მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელთა საჭირო რაოდენობა. მატჩის დელეგატის მოთხოვნისთანავე სავალდებულოა, რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა, სახანძრო მანქანის ეკიპაჟის წარმომადგენელმა, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ან მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელმა ხელი მოაწერონ მატჩის დელეგატის პატაკში.

4.25. კლუბი ვალდებულია გუნდიდან განთავისუფლებული მოთამაშის მონაწილის ბარათი 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს სფფ-ის შესაბამის სამსახურს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს სფფ-ს ამ მოთამაშის გუნდიდან წასვლის შესახებ.

4.26. მატჩში მონაწილე გუნდები ვალდებული არიან საათნახევრით ადრე გამოცხადნენ სტადიონზე. დელეგატი (მსაჯთა დამკვირვებელი) და არბიტრი საჭიროების შემთხვევაში მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ატარებენ თათბირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი სტრუქტურის თანამშრომელი, მსაჯები, სტადიონის პასუხისმგებელი პირი, მასპინძელი გუნდის უსაფრთხოების ოფიერი.

4.27. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს სფფ და ატყობინებს მონაწილეებს და მედიას მათ ჩატარებამდე 3 დღით ადრე. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მატჩის თარიღისა და დროის შეცვლის ან სხვა სტადიონზე გამართვის შესახებ. გუნდებს, სფფ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ მატჩები ჩაატარონ ხელოვნური განათების ქვეშ (ამის შესახებ მასპინძელმა უნდა აცნობოს სფფ-ს სამი დღით ადრე). იმ შემთხვევაში, როცა დაგეგმილია მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ან ტრანსლიაცია ინტერნეტში, სფფ უფლებას იტოვებს მისი დაწყების დრო დააკორექტიროს მატჩის წინა დღეს.

4.28. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროს რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მთავარი მსაჯი ვალდებულია შეამოწმოს მატჩზე მოსული გუნდის მოთამაშეთა ბარათები, ამის შემდეგ დამსწრე გუნდი და მსაჯები ვალდებული არიან სათამაშო ფორმით გავიდნენ მოედანზე და დააფიქსირონ თამაშისთვის მზადყოფნა.

4.29. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევაში გადაწყვეტილებას მატჩის გამართვის, დასაწყისის გადავადების (მაქსიმუმ 30 წუთი) ან სხვა დღეს გადატანასთან დაკავშირებით იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

4.30. მატჩის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ მოთამაშეები ვალდებული არიან ხელი ჩამოართვან ერთმანეთს და მსაჯებს, მიესალმონ და დაემშვიდობონ მაყურებლებს.

4.31. მატჩის მიმდინარეობის დროს და შესვენებისას ოქმში მყოფ მოთამაშეებს, მწვრთნელებს და კლუბის სხვა ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ ტელეფონით სარგებლობის ან სათამაშო ეპიზოდის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტება..

4.32. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მატჩის დელეგატს (მსაჯთა დამკვირვებელს) უფლება აქვს არ ჩაატაროს მატჩი, შეადგინოს შესაბამისი ოქმი, საკითხი კი განსახილველად გადასცეს სადისციპლინო კომიტეტს.

4.33. თუ ჩემპიონატიდან მოხსნილმა გუნდმა ჩაატარა ჩემპიონატის ყველა თამაშის ნახევარზე ნაკლები, მისი შედეგები გაუქმდება და გუნდი ამოღებული იქნება გათამაშების ცხრილიდან. მატჩების ნახევრის ან მეტის ჩატარების შემთხვევაში გუნდს ყველა დარჩენილ თამაშში ჩაეთვლება წაგება 0:3 (მოწინააღმდეგეს მოგება 3:0) – ასეთი გუნდი დაგროვილი ქულებით დარჩება გათამაშების ცხრილში. ჩემპიონატიდან მოხსნილი გუნდი მომდევნო ჩემპიონატში დაქვეითდება ქვედა ლიგაში. როცა ჩემპიონატის ფორმატი მოიცავს ერთზე მეტ ეტაპს, მოხსნილი გუნდის ნაჩვენები შედეგები ძალაში რჩება იმ შეთხვევაშიც თუ გუნდს ნათამაშები აქვს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩების ნახევარი ან მეტი.

4.34. ქალთა ეროვნულ ლიგაში და ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში მოთამაშეები ყოველი 4 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ მომდევნო ტურის ერთ შეხვედრას, ხოლო მწვრთნელები ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ. საქართველოს თასის გათამაშებაში მოთამაშები და მწვრთნელები ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ თასის გათამაშების მომდევნო ერთ შეხვედრას. იმ შემთხვევაში, როცა მოთამაშე თასის რომელიმე ეტაპზე იღებს მეორე გაფრთხილებას, ის მომდევნო ეტაპის მატჩს ტოვებს როგორც ძირითად გუნდში, ასევე ფარმ-გუნდში.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მიღებული გაფრთხილებები არ ვრცელდება საქართველოს

თასის გათამაშების მატჩებში და პირიქით. თუ მატჩი არ ჩატარდა და დაფიქსირდა ტექნიკური შედეგი, მოთამაშის დისკვალიფიკაციის ვადა უცვლელი რჩება.

ყველა ლიგაში მიღებული ყვითელი და წითელი, ასევე საქართველოს თასზე მიღებული წითელი ბარათები უცვლელად ვრცელდება პლეიოფის მატჩებზეც.

4.35. ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის ასევე თასის გათამაშების

მსვლელობისას კლუბების ძირითადი გუნდის და მათი ფარმ-გუნდის მოთამაშეების მიერ მიღებული ყვითელი ბარათები მოქმედებს მხოლოდ იმ გათამაშებაში, რომლებშიც ისინი იქნა მიღებული (არ ჯამდება), ხოლო ყვითელი ბარათებით გამოწვეული სანქციის (არ გადადის მომავალ სეზონზე), წითელი ბარათის და სხვა დისციპლინარული სასჯელის მიღების შემთხვევაში, კლუბების პირველი გუნდის და ფარმ-გუნდის მოთამაშე ტოვებს თამაშს ყველა გუნდში, სანამ არ გაუვა სასჯელის ვადა იმ გუნდში, რომელ გუნდშიც დაუწესდა სანქცია.

იმ შემთხვევაში, როცა ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ის გათამაშება სრულდება, ან ზემოთხსენებულ ლიგაში იმაზე ადრე იწყება საზაფხულო პაუზა, სადაც მონაწილეობს ძირითადი გუნდი, ფეხბურთელი დისკვალიფიკაციას იხდის ძირითად გუნდში. ხოლო, როცა ფეხბურთელს მომავალ სეზონში გადაყვება დაკისრებული სანქცია, დისკვალიფიკაციას მოიხდის იმ გუნდში, სადაც იქნება დარეგისტრირებული.

4.36. ჩემპიონატის მსვლელობისას ქალთა ეროვნულ და ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას, წინა გუნდში მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში რჩება.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5.1. ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის, უზრუნველყოფს სფფ-ის და ქფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება. ქალთა ეროვნულ ლიგაში მოქმედებს შემდეგი ასაკობრივი შეზღუდვა: კლუბები კომპლექტდებიან 2011 წელს დაბადებული და უფროსი ფეხბურთელებით, კლუბებს

შეუძლიათ საჩემპიონატო განაცხადში ერთდოულად ყავდეთ (მატჩში მონაწილეობის უფლებით) 2012 წელს დაბადებული ხუთ-ხუთი ფეხბურთელი . ქალთა ეროვნულ ლიგა 2-ში მოქმედებს შემდეგი ასაკობრივი შეზღუდვა: კლუბები კომპლექტდებიან 2005-დან 2011 წლის ჩათვლით დაბადებული ფეხბურთელებით. კლუბებს შეუძლიათ საჩემპიონატო განაცხადში ერთდოულად ყავდეთ (მატჩში მონაწილეობის უფლებით) 2005 წლამდე დაბადებული ათი ფეხბურთელი და 2012 წელს დაბადებული 5 ფეხბურთელი.

5.2. კლუბიდან კლუბში მოთამაშეთა გადასვლას აღრიცხავს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება, ხოლო სადავო საკითხებს განიხილავს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება სფფ-ის წესდების შესაბამისად შეიძლება სფფ-ის საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში.

5.3. გუნდების განაცხადები მიიღება მას შემდეგ, რაც კლუბები წარმოადგენენ სარეგისტრაციო საბუთებს.

5.4. ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის, მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან დადგენილი განრიგის მიხედვით სფფ-ში წარმოადგინონ:

• სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული წესდების ასლი და ბოლო 10 დღის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

• საფეხბურთო კლუბის იურიდიული მისამართი რეესტრის ამონაწერის მიხედვით და ბანკის რეკვიზიტები (კლუბის ოფისის, სტადიონის და ბაზის ტელეფონის, ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი).

• საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, სპორტული დირექტორი, პასუხისმგებელი მდივანი, მწვრთნელები, უსაფრთხოების ოფიცერი, პრეს-ატაშე და სხვა), მათი მისამართები და ტელეფონები.

• ხელშეკრულება სტადიონის მფლობელის ან იჯარის (მინიმუმ ერთი საფეხბურთო სეზონი) შესახებ.

• საფეხბურთო კლუბის ხელშეკრულებები საზოგადოებრივი წესრიგის დამცავ სტრუქტურებთან მატჩების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ.

• ხელშეკრულება იმ სამედიცინო დაწესებულებასთან, რომელმაც მოახდინა კლუბის ფეხბურთელების შემოწმება.
• კლუბის ოფიციალურად დადასტურებული წერილი საშინაო თამაშებზე ფორმის კომპლექტის (მაისური, ტრუსი, გეტრი, მეკარის ფორმის მაისური, ტრუსი, გეტრი) შესახებ. თუ სეზონის მსვლელობისას გუნდი იცვლის საშინაო ფორმის ფერებს, ამის შესახებ დამატებით უნდა ჰქონდეს გაგზავნილი სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში ოფიციალურად დადასტურებული წერილი.
• გუნდის განაცხადი 3 ეგზემპლარად; (რომელიც მოიცავს სამედიცინო შემოწმების დადასტურებას)
• მოთამაშეთა და მწვრთნელთა კონტრაქტები(არსებობის შემთხვევაში) გაფორმებული მინიმუმ 2026 წლის სეზონის ბოლომდე. იმ მოთამაშეთა კონტრაქტების მოქმედების ვადა შესაძლებელია იყოს განსხვავებული, რომელიც 2025 წელს უკვე იყო რეგისტრირებული სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში ასევე საიჯარო ხელშეკრულებები.
• პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლები;
• მოთამაშეთა ახალი ბარათები სურათით.
• ქალთა ეროვნული ლიგის კლუბებმა უნდა წარმოადგინონ გუნდის ფერადი ფოტოსურათი (ზომით 18X12 სმ), ფეხბურთელების, პრეზიდენტის და მთავარი მწვრთნელის თითო ფერადი სურათი.
• ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის გუნდებს ეკრძალებათ სახელის გადარქმევა და ლოგოს გამოცვლა სეზონის მიმდინარეობისას. კლუბის ლოგოს დამოწმება ხდება სეზონის დასაწყისში განაცხადის მიღებისას სფფ-ის შესაბამისი სამსახურის მიერ.

5.5. განაცხადში მოთამაშის ადგილი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ იმყოფება თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების დაწე-სებულებაში.

5.6. ნებისმიერ ლიგაში ნებისმიერ დროს ყველა გუნდისთვის ნებადართულია ბავშვთა სკოლიდან მოთამაშეთა დამ-ტკიცება.

5.7. გუნდის განაცხადი მოწმდება კლუბის უფლებამოსილი პირის, სამედიცინო დაწესებულების ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით.

5.8. ქალთა ეროვნული ლიგის და ეროვნული ლიგა 2-ის კლუბებს უფლება აქვთ ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანონ 20 მოთამაშე, როგორც ძირითადი გუნდის, ასევე თავისი ფარმ-გუნდის ან ასაკობრივი ლიგის განაცხადიდან. ასევე უფლება აქვთ ასაკობრივ გუნდებში ათამაშონ ყველა ისეთი ფეხბურთელები რომელთა ასაკი შეესაბამება ასაკობრივ ლიგას.

5.9. ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის კლუბებს უფლება აქვთ თავიანთ ფარმ-გუნდებში ათამაშონ ძირითად გუნდში დარეგისტრირებული არაუმეტეს ორი მოთამაშისა.

5.10. კლუბს უფლება აქვს სხვადასხვა კლუბში გაუშვას მოთამაშე იჯარით, მაგრამ არაუმეტეს ორი მოთამაშისა იმავე ლიგის კლუბში (ყოველ სატრანსფერო პერიოდამდე).
იჯარით გასხვისებულ მოთამაშეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მეპატრონე კლუბის წინააღმდეგ თამაში, თუ კლუბი წარმოადგენს, ფეხბურთელის მფლობელი კლუბის წერილობით თანხმობას.

5.11. კლუბს შეუძლია ჰყავდეს მოთამაშე-მწვრთნელი.

5.12. კლუბის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანილი ოფიციალური პირები (რომლებიც ჩამოთვლილია 4.7. პუნქტში) აუცილებლად უნდა იქნენ შეყვანილი მატჩის ოქმში, გარდა იმ შემთხვევებისა თუ რომელიმე ოფიციალური პირის არყოფნა მატჩზე გამოწვეულია რაიმე საპატიო მიზეზით. კლუბი ვალდებულია ამის თაობაზე განუმარტოს მატჩის დელეგატს. დარღვევის დადგენის შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხება სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულებებით განსაზღვრულ კადრებს, იგი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა სფფ-ის კლუბების ლიცენზირების ორგანოებს.

6. მოთამაშეების ტრანსფერი

6.1. მოთამაშე, რომელსაც სურს სფფ-ის ეგიდით გამართულ ნებისმიერ შეჯიბრებაში მონაწილეობა და შეყვანილია კლუბის განაცხადში, რეგისტრირდება სფფ-ში.

6.2. სფფ-ის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სფფ-ის მიერ დაწესებულ სატრანსფერო პერიოდებში:

სფფ-ის მიერ დადგენილი სატრანსფერო პერიოდებია: პირველი პერიოდი – 2026 წლის 1 იანვრიდან – 2026 წლის 11 მარტის ჩათვლით.

მეორე პერიოდი – 2026 წლის 22 ივნისიდან – 2026 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით;

საერთაშორისო ტრანსფერისას გათვალისწინებული იქნება იმ ქვეყნის სატრანსფერო პერიოდები, რომლის კლუბთანაც ხორციელდება ტრანსფერი.

6.3. საფეხბურთო სეზონის განმავლობაში მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სამ კლუბში, ოფიციალურ მატჩებში (ევროტურნირების მატჩების ჩათვლით) ორ კლუბში მონაწილეობის უფლებით. მატჩის ოქმში მოთამაშის შეყვანა არ ნიშნავს მონაწილეობას (ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესების მუხლი 5, პუნქტი 3-ის თანახმად).

6.4. დაუშვებელია კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტა საფეხბურთო სეზონის მსვლელობისას (ფიფას პროფესიონალ ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესების მუხლი 16).

6.5. კლუბს და მოთამაშეს შეუძლიათ გააუქმონ არსებული სამუშაო კონტრაქტი დასაქმების პირველი სეზონის გასვლამდე, თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება ორივე მხარის მიერ, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს ახალ კლუბში სფფ-ის მიერ ხელახლა გახსნილ სარეგისტრაციო პერიოდში.

6.6. მოთამაშის გადასვლა ერთი კლუბიდან მეორეში იჯარის წესით ითვლება ერთ გადასვლად, ხოლო იჯარის ვადის დასრულების შემდეგ მოთამაშის დაბრუნება ძველ კლუბში გადასვლად არ ითვლება. შესაბამისად მოთამაშის იჯარით გადაცემის ვადა შეიძლება იყოს მეორე სატრანსფერო პერიოდამდე. აღნიშნული განმარტება არ ვრცელდება იმ შემთხვევისათვის, როცა იჯარის შესაბამისად მოთამაშე არ უბრუნდება თავის კლუბს და გადადის მესამე კლუბში. ეს შემთხვევა მოთამაშეს ჩაეთვლება მეორე გადასვლად.

6.7. სფფ-ის მიერ დაწესებული სატრანსფერო სარეგისტრაციო პერიოდის გარდა, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყველა ის მოთამაშე, რომლებმაც იპოვეს კლუბი სადაც უნდა გაიარონ

რეგისტრაცია, თუ ისინი არ იყვნენ დაკავებული შრომითი კონტრაქტით სატრანსფერო პერიოდის ვადის დამთავრების შემდეგ.

6.8. ქალთა ეროვნული ლიგის და ქალთა ეროვნული ლიგა 2-ის კლუბებს უფლება აქვთ სარეგისტრაციო პერიოდებში საქართველოს საზღვრებს გარედან მოიწვიონ და ძირითადი გუნდის განაცხადში შეიყვანონ მოთამაშეები, რომლებზეც სფფ-ს მიღებული ექნება შესაბამისი ქვეყნის ფედერაციის ნებართვა (სერთიფიკატი) საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის.

6.9. უცხოეთიდან მოწვეულ მოთამაშეებზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. ლეგიონერების ჩემპიონატში მონაწილეობაზე მოქმედებს შემდეგი ლიმიტი: ეროვნული ლიგა – კლუბს მიეცეს უფლება სეზონის განმავლობაში განაცხადში და მატჩის ოქმში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 10 (ათი) უცხო ქვეყნის მოქალაქისა, ხოლო მოედანზე არაუმეტეს შვიდისა. ქალთა ეროვნულ ლიგაში ლეგიონერთა ჯამი ძირითად, ფარმგუნდსა და ასაკობრივ გუნდებში არ უნდა აღემატებოდეს ათს ხოლო ქალთა ეროვნულ ლიგაში ხუთს. ლეგიონერის ჩანაცვლება სხვა ლეგიონერით შესაძლებელია მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდში (ლეგიონერად ჩაითვლება ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არა აქვს მნიშვნელობა ფეხბურთელი გასულ სეზონებში ირიცხებოდა თუ არა ქართულ კლუბებში); ეროვნული ლიგა 2 – კლუბს მიეცეს უფლება სეზონის განმავლობაში ერთდროულად განაცხადში ჰყავდეს არაუმეტეს 5 (ხუთი) უცხო ქვეყნის მოქალაქისა. ლეგიონერის ჩანაცვლება სხვა ლეგიონერით შესაძლებელია მხოლოდ ღია სატრანსფერო პერიოდში (ლეგიონერად ჩაითვლება ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არა აქვს მნიშვნელობა ფეხბურთელი გასულ სეზონებში ირიცხებოდა თუ არა ქართულ კლუბებში);

6.10. კონტრაქტი და აგრეთვე ყველა შესაძლო ცვლილება და დამატება აუცილებლად უნდა იყოს აღრიცხული სფფ-ში. ამ მიზნით წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) კონტრაქტის სამი ორიგინალი ყველა ცვლილებით და

დამატებით, რომელზედაც კეთდება სფფ-ის შესაბამისი რეგისტრაცია;

ბ) კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი ცვლილებებით და დამატებებით რჩება სფფ-ში.

6.11. სფფ-ის შესაბამისი ორგანოების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვისას გამოყენებული იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსი, ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების დებულება.

6.12. მოთამაშეების ტრანსფერთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურ-თელთა სტატუსისა და ტრანსფერის დროებით დებულებაში.

7. შეჯიბრების ჩატარების ადგილი

7.1. სტადიონების მიღება ხდება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ ნებისმიერ დროს.

7.2. სტადიონზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, გამოფენილი უნდა იყოს საქართველოს დროშა.

7.3. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების თანხმობით კალენდარული მატჩი შეიძლება გადატანილ იქნას სხვა სტადიონზე. შესაბამისი თანხმობის მისაღებად საფეხბურთო კლუბმა სფფ-ს უნდა მიმართოს მატჩამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

7.4. სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო გუნდი მომდევნო მატჩს/მატჩებს ჩაატარებს სფფ-ის მიერ მიღებულ სხვა სტადიონზე, რომლის შესახებაც გუნდმა სფფ-ს უნდა აცნობოს მომდევნო თამაშამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო მინდორი ან სტადიონი, რომელზეც კლუბი ატარებს საშინაო თამაშებს, არ შეესაბამება სფფ-ის მოთხოვნებს, კლუბმა უნდა წარმოადგინოს ალტერნატიული სტადიონი, რომელიც მიღებულია სფფ-ის მიერ.

7.6. თუ რომელიმე გუნდს გააჩნია პრეტენზია სათამაშო მოედნის მდომარეობის ან მისი ხარისხის გამო (საფარი, დახაზვა, კარის ზომა და ა.შ.) იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობოს მატჩის არბიტრს, დელეგატს და მსაჯთა

დამკვირვებელს თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 90 წუთით ადრე (გარდა ფორსმაჟორული შემთხვევებისა). თამაშის ჩატარება-არჩატარების საკითხს, მიუხედავად რომელიმე გუნდის პრეტენზიისა, წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი მატჩის დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯების დამკვირვებელთან) კონსულტაციის შედეგად.

7.7. მასპინძელ გუნდს შეუძლია სტუმარი გუნდის თანხმობის გარეშე მიიღოს მოედნის მორწყვის გადაწყვეტილება. მოედანი უნდა მოირწყას მთლიანად. მორწყვა უნდა დამთავრდეს თამაშის დაწყებამდე 60 წუთით ადრე. მსაჯის თანხმობის შემთხვევაში, მასპინძელ გუნდს ასევე სტუმარი გუნდის თანხმობის გარეშე შეუძლია მოედნის მორწყვა თამაშის დაწყებამდე 10-დან 5 წუთამდე ინტერვალშიც და შესვენების დროს მაქსიმუმ 5 წუთის განმავლობაში.

7.8. კლუბი, რომელიც მოითხოვს ხელოვნური განათების ქვეშ თამაშს, ვალდებულია იქონიოს ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყარო ან დამატებითი ენერგო კვების ბლოკი (გენერატორი), რომელსაც ექნება შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ვარგისიანობის სერტიფიკატი.

7.9. ატჩის მსვლელობისას განათების გამორთვის შემთხვევაში, მასპინძელი კლუბი მთავარი მსაჯისა და მატჩის დელეგატისა მითითებების გათვალისწინებით, ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს პრობლემის მოსაგვარებლად. თუ განათების ჩართვა ვერ მოხერხდა 45 წუთის განმავლობაში არბიტრი დელეგატთან (დელეგატის არ ყოფნის შემთხვევაში ერთპიროვნულად) შეთანხმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მატჩის შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს მატჩის განახლების, სრული ან დარჩენილი დროის სხვა დღეს ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება. სტუმარ გუნდს მივლინების ხარჯებს აუნაზღაურებს მასპინძელი გუნდი. იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი გუნდი ვალდებულებას იღებს, რომ სტუმარი გუნდი განათავსოს მის მიერ მოძიებულ სასტუმროში, სასტუმროს ვარგისიანობას აფასებს მატჩის დელეგატი.

7.10. საფეხბურთო კარის დაზიანების შემთხვევაში, მასპინძელი გუნდი ვალდებულია 45 წუთის განმავლობაში შეცვალოს სრულფასოვნად აღჭურვილი კარით და გაგრძელდეს მატჩი,

წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება წაგება 0:3, სტუმართა გუნდს მიეკუთვნება მოგება 3:0, ხოლო თუ მასპინძელი გუნდი თამაშს აგებდა სამი ან მეტი ბურთის სხვაობით, მატჩის შედეგი ძალაში რჩება.

7.11. დაწყებული მატჩის შეწყვეტა და შემდგომში გადატანა (გაგრძელება) შესაძლებელია, მასპინძელი კლუბის მიერ უსაფრთხოების სათანადო ნორმების ვერუზრუნველყოფის შემთხვევაში; სტუმარი კლუბის იდენტიფიცირებული გულშემატკივრის უმართავი ქმედებების შემთხვევაში, რომლის პრევენცია აღემატება მასპინძელი კლუბის მიერ დაქირავებული დაცვის სამსახურისა და სამართალდამცავთა ძალებს, ასევე ფორსმაჟორული მდგომარეობისას, რომლის წინასწარ გათვალისწინება (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი მოვლენები) შეუძლებელია, ასევე სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას, რომლებიც მატჩის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად მოხდება (საგანგებო მდგომარეობა) და სხვა მიზეზების გამო, რომელიც არბიტრის, დელეგატის ან მსაჯთა დამკვირვებლის აზრით, საშიშროებას წარმოადგენს მოთამაშეთა ჯანმრთელობისათვის.

7.12. მატჩის დელეგატი, მსაჯთა დამკვირვებელი და არბიტრი ვალდებულნი არიან ყველა ღონე იხმარონ მატჩის ჩასატარებლად, რის შესახებაც მათ უნდა აცნობონ სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

7.13. მატჩის გაგრძელებაზე, გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

7.14. თუ თამაში შეწყდა 7.9., 7.11. ან სხვა პუნქტში ნახსენები მდგომარეობების გამო და იმ დღეს მისი გაგრძელება ვერ მოხერხდა, მატჩი გაგრძელდება მეორე ან მესამე დღეს და იგი განახლდება იმ წუთიდან (ანგარიში, სადისციპლინო სანქციები – წითელი, ყვითელი ბარათი ძალაშია) რომელ ეპიზოდშიც (პენალტი, ჯარიმა, კუთხური, აუტი, სადაო და ა.შ.) შეწყდა მატჩი.

- გაგრძელებულ მატჩში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ შეწყვეტილი მატჩის ოქმში.

• თუ შეწყვეტილი მატჩის გაგრძელება მეორე ან მესამე დღეს ვერ მოხერხდა, სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დაინიშნება მატჩის გაგრძელების თარიღი. ამ შემთხვევაში: გუნდებს შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ მოახდინონ შემადგენლობის დაკომპლექტება ხოლო ყველა სხვა დარჩენი პირობა იქნება ძალაში.

• თუ შეწყვეტილი მატჩის ოქმში მყოფი მოთამაშე (მწვრთნელი ა.შ.), შეწყვეტილი მატჩის ჩატარებამდე სხვა მატჩში მიიღებს დისკვალიფიკაციას, მას აქვს განახლებულ მატჩში მონაწილეობის უფლება, ხოლო დისკვალიფიკაცია გადავა მომდევნო თამაშებში.

7.15. მასპინძელი კლუბი, რომლის მინდორზეც ტარდება შეხვედრა, ვალდებულია:

• გამოყოს პასუხისმგებელი პირი (მატჩის მენეჯერი), რომელიც უზრუნველყოფს მსაჯთა, მსაჯთა დამკვირვებლის და დელეგატის უსაფრთხოებას;

• მიაცილოს მსაჯთა ბრიგადა გასახდელიდან მინდვრამდე და მინდვრიდან გასახდელამდე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პირთა თანხლებით, ყველანაირად დაიცვას ისინი;

• გამორიცხოს მსაჯთა ოთახში ნებისმიერი პირის შესვლა ან ყოფნა. მსაჯების გარდა, რომლებიც ემსახურებიან მატჩს, ოთახში შესვლის უფლება აქვთ მატჩის დელეგატს, მსაჯთა დამკვირვებელს, სფფ-ის წარმომადგენლებს, რომლებიც ატარებენ ამ მატჩს და იმ პირებს, რომლებსაც მიიწვევს მსაჯი, მსაჯთა დამკვირვებელი ან მატჩის დელეგატი.

• უზრუნველყოს მატჩის ჩატარება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნებით;

• უზრუნველყოს მაყურებელთა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება.

• უზრუნველყოს სტუმართა გუნდის თხოვნა მატჩის ბილეთების შესაძენად (სტადიონის მთლიანი ტევადობის 5 %-ის რაოდენობით) და გამოყოს ცალკე სექტორი სტუმართა გუნდის გულშემატკივრებისათვის.

7.16. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს სტადიონი სფფ-ის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად:

• საფეხბურთო მოედანი, მინდვრის კარგი ხარისხის საფარით, რომლის შეფასება ხდება სფფ-ის საშეჯიბრო

განყოფილების მიერ, საინფორმაციო ტაბლოთი, გასახდელი ორივე გუნდისათვის, რომლებიც მოწყობილია სათანადო რაოდენობის ავეჯით (სკამებით, მაგიდებით, სარკეებით, ტანსაცმლის საკიდით, სამედიცინო ტახტით და სხვა), საფეხბურთო მინდვრის მაკეტით, საშხაპე ცხელი წყლით (არანაკლებ 5 წერტილი) და საპირფარეშოთი;

• სპეციალური ოთახი მსაჯებისათვის, რომელიც მოწყობილია საშხაპეთი, საპირფარეშოთი, აუცილებელი ინვენტარით და დოკუმენტაციით (მატჩის ოქმი), საფეხ-ბურთო მოედნის მაკეტით, ბურთის ასაწონი სასწორით, გვერდითი მსაჯებისათვის სამი კომპლექტი მკვეთრი ფერის დროშებით (ზომა 30X40 სმ, ტარის ზომა 45 სმ, დიამეტრი 15 სმ), ფეხბურთელთა შეცვლების მანიშნებელი ელექტრო ან მექანიკური ტაბლო (კლუბი ვალდებულია იქონიოს სარეზერვო ვარიანტიც მექანიკური ტაბლოს სახით).

• ცალკე ოთახი მატჩის ოქმის გასაფორმებლად, სპეციალურად განკუთვნილი ადგილები ვიპ-ლოჟაში სფფ-ის დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლისათვის შესაბამისი აღნიშვნებით;

• ჩაი, მინერალური წყალი მოთამაშეებისათვის, მსაჯების, დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლისათვის (მასპინძელი გუნდის ხარჯზე);

• მინიმუმ 14 ადგილი სათადარიგოთა სკამზე – განკუთვნილი გუნდების პერსონალისა და სათადარიგო მოთამაშეთათვის;

• სპეციალური ოთახი – მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენციისათვის.

• სანიტარული საკაცე, ორი მომსახურე პერსონალით;

• უზრუნველყოს მატჩის დელეგატისთვის და მსაჯთა დამკვირვებლისთვის შეუფერხებელი მოძრაობა (თამაშამდე, თამაშის დროს, თამაშის შემდეგ);

• გამოყოს ადგილები ვიპ-ლოჟის პირველ რიგში ოფიციალური პირებისათვის და სფფ-ის წარმომადგენლებისათვის;

• სპეციალურად მოწყობილი ადგილი პრესის მუშაკთათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა დაფაზე – „პრესა“;

• ჟურნალისტებისათვის სამუშაო პირობების შექმნა (უკა-ბელო ინტერნეტი, უწყვეტი ელექტროენერგიის წყარო, სამუშაო მაგიდა).

7.17 მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის მსვლელობის დროს გამორიცხოს განცხადება რადიოთი მოთამაშეთა რაიმე პრიზებით დაჯილდოვების ან ფულადი პრემიების შესახებ. ამის შესახებ მაყურებელი უნდა იყოს ინფორმირებული მატჩის დაწყებამდე ან დამთავრების შემდეგ. გუნდების შემადგენლობის გამოცხადება უნდა მოხდეს მატჩის დაწყებამდე.

7.18. კლუბებს უფლება აქვთ სათამაშო მოედანზე გამართონ ვარჯიში მხოლოდ მატჩის წინა დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება უფლებამოსილია, საკითხი განსახილველად გადასცეს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხ-ბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.

8. მსაჯობა

8.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატების თამაშებს მოემსახურებიან სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ რეკომენდებული და სფფ-ის სამსაჯო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მსაჯები. მსაჯობა ხორციელდება ფეხბურთის თამაშის წესების (2025/2026 წლების გამოცემა) და ფიფას და უეფას სამსაჯო კომიტეტების მიერ გამოცემული ინსტრუქციების და სფფ-ის შესაბამისი დებულების და რეგლამენტის მიხედვით.

8.2. მატჩებზე მსაჯების დანიშვნას უზრუნველყოფს და ამტკიცებს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილება.

8.3. ფიფას „რეგლამენტი ეროვნულ ასოციაციებში მსაჯობის ორგანიზების შესახებ“ და უეფას სამსაჯო კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად დაუშვებელია დანიშვნის პროცესში მთავრობის, კლუბების, ლიგის ან ფედერაციის რომელიმე სხვა ორგანოს (სუბიექტის) მონაწილეობა.

8.4. დანიშვნის ოქმი გამოქვეყნდება მატჩამდე (ტურამდე) ერთი დღით ადრე.

8.5. მატჩზე მთავარი მსაჯის გამოუცხადებლობის ან მატჩის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს:

- ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში სათადარიგო მსაჯი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბრიგადას შეიძლება დაემატოს ადგილობრივი მსაჯი, რომელიც უნდა

იყოს დამტკიცებული სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ.

• 6-მსაჯიანი ბრიგადის მთავარი მსაჯის გამოუცხადებლობის ან მატჩის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს:

• მსაჯის პირველი დამატებითი ასისტენტი, რომლის ფუნქციასაც შეასრულებს სათადარიგო მსაჯი. ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბრიგადას შეიძლება დაემატოს ადგილობრივი მსაჯი, რომელიც უნდა იყოს დამტკიცებული სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების მიერ.

8.6. მატჩზე მსაჯთა ბრიგადის დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შეხვედრის დელეგატმა (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯთა დამკვირვებელმა) ამის შესახებ უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებებს, რის შემდეგაც აღნიშნული სამსახურები მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

8.7. მატჩზე დანიშნული მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია დაესწროს მატჩისწინა თათბირს (ჩატარების შემთხვევაში თამაშამდე საათნახევრით ადრე).

8.8. თამაშის დაწყებამდე მსაჯთა ბრიგადა (სფფ-ის დელეგატთან და მსაჯების დამკვირვებელთან ერთად) ვალდებულია შეამოწმოს მინდვრის საფარი (ხარისხი, ბალახის სიმაღლე, დახაზვა), კარების კონსტრუქცია და სიმაღლე, კარის ბადეები, კუთხურის ალმები, შეაფასოს ხუთბალიანი სისტემით, რაც უნდა ჩაიწეროს მატჩის ოქმში. ასევე ვალდებულია, მატჩის დაწყებამდე შეამოწმოს სათამაშო ბურთების მდგომარეობა.

8.9. თუ გუნდი არ გამოცხადდა დანიშნულ მატჩზე, მსაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო და სამსაჯო განყოფილებებს.

8.10. მსაჯი ვალდებულია მატჩის ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გოლები და შეცვლები, გაფრთხილების ან მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით, დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით და ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში წარადგინოს მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით (მსაჯის მოხსენებით ბარათს თან უნდა ერთვოდეს გაძევებული

ფეხბურთელის მონაწილის ბარათი), ხოლო მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას.

8.11. მთავარი მსაჯი ვალდებულია უზრუნველჰყოს მატჩის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მატჩის ოქმის გამოგზავნა სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილების ელექტრონულ მისამართზე – refereereports@gff.ge ხოლო დამთავრებიდან 30 წუთში შეავსოს მატჩის ოქმი და ასლი გაგზავნოს იმავე მისამართზე. ოქმის ორიგინალი კი 48 საათის განმავლობაში უნდა მიაწოდოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას. ოქმის შევსების ხარისხზე პასუხისმგებელია მატჩის მთავარი მსაჯი.

8.12. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის ან შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების საკითხს წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯთა დამკვირვებელთან) კონსულტაციის შემდეგ.

8.13. მსაჯებმა საჭიროების შემთხვევაში მასპინძელ გუნდს უნდა შეატყობინონ ჩასვლის თარიღი, ხოლო მასპინძელმა გუნდმა შეტყობინების საფუძველზე დაჯავშნოს სასტუმრო და უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

8.14. მატჩის მომსახურე მსაჯებს უფლება აქვთ მატჩის წინა დღეს ივარჯიშონ იმ მოედანზე, სადაც ჩატარდება მატჩი.

8.15. მატჩებზე მსაჯების მომსახურების თანხას იხდის სფფ.

9. დელეგატი

9.1. ეროვნული ჩემპიონატის ლიგებში მატჩების უკეთ ორგანიზებისა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ისა და ლიგა 3-ის მატჩებზე (საჭიროების შემთხვევაში სხვა მატჩებზეც) მსაჯთა დამკვირვებელთან ერთად, ინიშნება მატჩის დელეგატი.

9.2. მატჩის დელეგატს ნიშნავს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

9.3. მატჩის დელეგატი საჭიროების შემთხვევაში მთავარ მსაჯთან ერთად ატარებს მატჩისწინა თათბირს (თამაშამდე საათნახევრით ადრე), რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწროს მსაჯთა დამკვირვებელი, მონაწილე გუნდების

წარმომადგენლები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სამედიცინო, სახანძრო და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები, სტადიონის დირექტორი.

9.4. მატჩის დელეგატი პასუხისმგებელია მატჩის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლზე. იგი უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან და სტადიონის დირექტორთან ან სტადიონის პასუხისმგებელ პირთან, ასევე მასპინძელი კლუბის შესაბამის სამსახურთან.

9.5. თუ გუნდი არ გამოცხადდა დანიშნულ მატჩზე, დელეგატი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

9.6. მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ დელეგატმა იმავე დღეს ტელეფონით უნდა აცნობოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

9.7. ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის შემთხვევაში დელეგატი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია მატჩის მთავარ მსაჯთან მატჩის შეწყვეტის ან შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე.

9.8. მატჩის წინ დელეგატი ვალდებულია შეამოწმოს მასპინძელი გუნდის მიერ ვიდეოჩანაწერის მომზადების საკითხი და გაუწიოს დახმარება სტუმართა გუნდს ვიდეოფირის ჩაწერაში. თამაშის შემდეგ მატჩის ვიდეოფირი (DVD) წარმოადგინოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებაში 24 საათის განმავლობაში.

9.9. მატჩის დელეგატი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და გადაწყვიტოს თამაშის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და ნებართვა გასცეს თამაშის ჩატარების შესახებ.

9.10. მატჩის დელეგატი ვალდებულია აცნობოს I და II ტაიმების დამთავრებისთანავე მატჩის შედეგი სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას, პატაკის ასლი 24 საათის განმავლობაში გაგზავნოს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების ელექტრონულ მისამართზე – delegatereports@gff.ge პატაკის ორიგინალი კი ფიზიკურად წარადგინოს 48 საათის განმავლობაში.

9.11. მატჩის დელეგატს თანხას უხდის სფფ.

9.12. მატჩის დელეგატი ვალდებულია დააფიქსიროს დელეგატის პატაკში პრესკონფერენციის ჩატარება-არჩატარების ფაქტი.

10. მსაჯთა დამკვირვებელი

10.1. საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატის ლიგებში მსაჯების დაკვირვებას ახორციელებს სფფ-ის მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სფფ-ის სამსაჯო კომიტეტის მიერ.

10.2. მსაჯების დამკვირვებელთა დანიშვნების პროექტს ამზადებს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილება.

10.3. მატჩზე დანიშნული მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლებს თამაშზე გამგზავრებას, ვალდებულია ამის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინოს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას.

10.4. მსაჯთა დამკვირვებელმა საჭიროების შემთხვევაში მასპინ-ძელ გუნდს უნდა შეატყობინოს ჩასვლის თარიღი, ხოლო მასპინძელმა გუნდმა შეტყობინების საფუძველზე დაუჯავშნოს სასტუმრო და უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

10.5. მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მატჩის წინა თათბირზე (მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე).

10.6. მსაჯთა დამკვირვებელი უნდა იყოს მსაჯებთან ერთად მატჩამდე და მატჩის შემდეგ, სტადიონის ტერიტორიის დატოვებამდე. მხოლოდ მსაჯთა დამკვირვებელია პასუ-ხისმგებელი მსაჯების დაკვირვებაზე და შეფასებაზე, მატჩის ორგანიზაციასთან და სხვა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მსაჯთა დამკვირვებელი ემორჩილება მატჩის დელეგატს.

10.7. მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულია აცნობოს პირველი და მეორე ტაიმების დამთავრებისთანავე მატჩის შედეგი მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა განყოფილებას, ხოლო მსაჯის დამკვირვებლის პატაკი 24 საათის განმავლობაში გაგზავნოს სფფ-ის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა

განყოფილების ელექტრონულ მისამართზე – geo.refereeing@gff.ge

10.8. მატჩებზე მსაჯთა დამკვირვებლის მომსახურების თანხას იხდის სფფ.

10.9. მატჩებზე დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მატჩის დელეგატის ფუნქციებს ითავსებს მსაჯთა დამკვირვებელი.

11. ურთიერთობა მედიასთან

11.1. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს ტრიბუნის ცენტრალურ ნაწილში გადახურულ ადგილას სპეციალურად მოწყობილი მინიმუმ 10 ადგილი პრესის წარმომადგენელთათვის, სადაც მკაფიოდ უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა დაფაზე – „პრესა"; შეუქმნას ჟურნალისტებს სამუშაო პირობები (უკაბელო ინტერნეტი, უწყვეტი ელექტროენერგიის წყარო, სამუშაო მაგიდა). მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჟურნალისტთა სიჭარბის შემთხვევაში კლუბის მედია-ოფიცერი მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მედიის მოთხოვნები დამატებითი ადგილების მოძიების ხარჯზე, როგორც ეს ხდება საერ-თაშორისო მატჩების დროს.

11.2. მასპინძელი კლუბის მედია-ოფიცერი ვალდებულია მატჩამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე (ან ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე) გამოაქვეყნოს მედია-აკრედიტაციის გაცემის პირობები.

11.3. მასპინძელი გუნდის მედია-ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის ჩატარება.

11.4. მასპინძელი კლუბის მედია-ოფიცერი ვალდებულია მატჩისწინა თათბირზე შეატყობინოს მატჩის დელეგატს, სად გაიმართება მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია.

11.5. სავალდებულოა ეროვნული ლიგის სატელევიზიო პროექტის ფარგლებში ყოველი მატჩის შემდეგ ფლეშინტერვიუს ჩასაწერად გამოცხადდეს ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი.

11.6. სტადიონზე აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი ადგილი ფოტო და ტელერეპორტიორებისათვის. ეს არის სივრცე კარს უკან, პირით ხაზს მიღმა, რომელიც შესაძლოა იყოს გაყოფილი სარეკლამო დაფით.

11.7. ჟურნალისტებს კატეგორიულად ეკრძალებათ ფეხბურთელებთან გასახდელში შესვლა.

11.8. მასპინძელი კლუბის პრესსამსახური ვალდებულია პირველ რიგში მატჩის დელეგატს ან/და მსაჯთა დამკვირვებელს მატჩის დაწყებამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე წარუდგინოს გუნდის დანომრილი შემადგენლობა (ტაქტიკური განლაგებითურთ) ლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განსათავს-ებლად. ასევე მატჩის დელეგატს ან/და მსაჯთა დამკვირვებელსა და ჟურნალისტებს თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 15 წუთით ადრე წარუდგინოს მატჩის ოქმის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება სადისციპლონო კოდექსის შესაბამისად. კლუბის მედია-ოფიცერი ასევე ვალდებულია მატჩის ოქმით დააკმაყოფილოს ვიპ-ლოჟაში მსხდომი სტუმრები და მატჩზე დასწრების შემთხვევაში – საფეხბურთო სკაუტები.

11.9. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მოამზადოს მატჩის შემდგომი კომენტარების ჩასაწერი ადგილი (1. ელვა ინტერვიუსთვის – მინდვრის კიდესთან, 2. მატჩის შემდგომი ინტერვიუსთვის – შერეული ზონაში), სადაც განთავსებული იქნება სფფ-ის ფლეშ-ბანერი სპონსორების ლოგოებით. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

11.10. მასპინძელი კლუბის პრეს-სამსახური ვალდებულია მედიის მოთხოვნით უზრუნველყოს მატჩის შემდგომი ნებისმიერი სატელევიზიო კომენტარის ჩაწერა სფფ-ის ფლეშ-ბანერის ფონზე. დარღვევის შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.

11.11. მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩის შესვენებაზე უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლები და სკაუტები სასმელებით: წყალი/ჩაი/ყავა.

12. დაჯილდოება

12.1. საქართველოს ჩემპიონატში ქალთა ეროვნული ლიგის გამარჯვებულ გუნდს ენიჭება საქართველოს ჩემპიონის წოდება და ჯილდოვდება ჩემპიონის გარდამავალი თასით.

19, 17 და 15–წლამდელთა ასაკობრივი ლიგების 2026 წლის გათამაშება

1. მიზანი და ამოცანები

1.1. ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია.
1.2. ეროვნული ჩემპიონატის კლუბებისთვის რეზერვების მომზადება.
1.3. საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის ფეხბურთელების შერჩევა.
1.4. გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

2.1. საფეხბურთო კლუბებს (გუნდებს) შორის ჩემპიონატს ხელმძღვანელობს სფფ.
2.2. ჩატარების ორგანიზაცია ევალება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.
2.3. თამაშები ჩატარდება სფფ-ის მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით სფფ-ის შესაბამისი სამსახურის მიერ მიღებულ სტადიონებზე.

3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ საფეხბურთო კლუბების, ასევე საფეხბურთო სკოლების ასაკობრივი გუნდები.
3.2. მატჩების ხანგრძლივობა: 19-წლამდე (2008-ში და შემდგომ წლებში დაბადებულები, 2007 წელს დაბადებული სამი ფეხბურთელის მატჩის ოქმში შეყვანის და მონაწილეობის უფლებით) – 90 წუთი (ორი 45-წუთიანი ტაიმი), მათ შორის 15-წუთიანი შესვენებით; 17-წლამდე (2009-ში და შემდგომ წლებში დაბადებულები) – 90 წუთი (ორი 45-წუთიანი ტაიმი), მათ შორის 15-წუთიანი შესვენებით; ხოლო 15-წლამდე (2011-ში და შემდგომ წლებში დაბადებულები) – 80 წუთი (ორი 40-წუთიანი ტაიმი), მათ შორის 15-წუთიანი შესვენებით.
3.3. 19-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 24

გუნდი. გუნდები გადანაწილდებიან 2025 წლის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტებულ 10 გუნდიან ოქროს ლიგაში და დანარჩენი 14 გუნდიან ვერცხლის ლიგაში. ოქროს ლიგა გაიმართება ორ ეტაპად, როგორც პირველ ასევე მეორე ეტაპზე ოქროს ლიგის გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გათამაშების მეორე ეტაპზე ოქროს ლიგაში 1-ელ , მე-2, მე-3 და მე-4 და ადგილზე გასული გუნდები შექმნიან „ზედა“ ჯგუფს ხოლო მე-5, მე-6, მე-7,მე-8 და მე-9 და მე-10 ადგილზე გასული გუნდები „ქვედა“ ჯგუფს,გუნდებს ყველა მაჩვენებელი, მათ შორის სადისციპლინო სანქციები გადაყვებათ მეორე ეტაპზე. ვერცხლის ლიგაში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ.

ოქროს ლიგა		**ვერცხლის ლიგა**	
1. დინამო თბ	**204423454**	**1. სამგურალი**	**421277175**
2. იბერია 1999	**211389665**	**2. თელავი**	**405158975**
3. ინტერი	**202058110**	**3. სიონი**	**225376189**
4. ლოკომოტივი თბ	**202054766**	**4. რუსთავი**	**416319718**
5. ვიტ ჯორჯია	**211367545**	**5. სამტრედია**	**438735727**
6. ტორპედო	**212917183**	**6. გარეჯი**	**438114041**
7. დინამო ბთ	**245622205**	**7. არაგვი**	**429323314**
8. გაგრა	**200112476**	**8. მეშახტე**	**219630228**
9. კოლხეთი 1913	**215137830**	**9. მერანი მრ**	**235446754**
10. დილა	**418467509**	**10. სპაერი**	**406203558**
		11. პლატო	**405412049**
		12. გორი	**417874973**
		13. ოდიში 1919	**420438538**
		14. შტურმი	**406260157**

3.4. 2027 წლის 19-წლამდელთა ასაკობრივი ლიგის გათამაშება გაიმართება 2026 წლის ანალოგიური ფორმატით. ლიგა გაიყოფა ორ ნაწილად. რანგით მაღალ 10-გუნდიან ოქროს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში ოქრო ლიგის „ზედა“ ჯგუფში I-II-III-IV ადგილზე გასული გუნდები, ოქროს ლიგის „ქვედა“ ჯგუფში I-II-III-IV ადგილებზე

გასული გუნდები და ვერცხლის ლიგის „ზედა“ ჯგუფის I-II ადგილზე გასული გუნდები. ხოლო რანგით დაბალ ლიგაში მონაწილეობას მიიღებენ 2026 წლის 19-წლამდე ასაკობრივი ლიგის ყველა დანარჩენი მონაწილე. თუ 2027 წლის 10-გუნდიან ლიგაში რომელიმე გუნდი (ან გუნდები) ვერ მიიღებს მონაწილეობას, მას ჩაანაცვლებს 2026 წლის გათამაშების ვერცხლის ლიგის საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მომდევნო გუნდი ან გუნდები შემდეგი პრინციპით: 2027 წლის ოქროს ლიგაში – 2026 წლის ვერცხლის ლიგის III, IV, V, VI ადგლზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ლიგების რეორგანიზაცია და მისი გაზრდა, დასამატებელ გუნდებს უპირატესობა მიენიჭება შემდეგი პრინციპით 2027 წლის ოქროს ლიგაში – 2026 წლის ვერცხლის ლიგის III, IV, V, VI ადგლზე გასული გუნდები შესაბამისი მიმდევრობით

3.5. 17-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 40 გუნდი, გუნდები გადანაწილდებიან 2025 წლის შედეგების და აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით დაკომპლექტებულ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ლიგაში. ოქროს და ვერცხლის ლიგაში ჩემპიონატი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ოქროს და ვერცხლის ლიგაში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გათამაშების მეორე ეტაპზე ოქროს ლიგაში 1-ელ , მე-2, მე-3 და მე-4 ადგილზე გასული გუნდები შექმნიან „ზედა“ ჯგუფს ხოლო მ-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 და მე-10 ადგილზე გასული გუნდები „ქვედა“ ჯგუფს. ვერცხლის ლიგაში 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ადგილზე გასული გუნდები შექმნიან 5 გუნდიან „ზე-და“ ჯგუფს ხოლო მე-6, მე-7,მე-8 მე-9 და მე-10 ადგილზე გასული გუნდები „ქვედა“ ჯგუფს. მეორე ეტაპზე ოქროს და ვერცხლის „ზედა“ და „ქვედა“ ჯგუფებში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გუნდებს ყველა მაჩვენებელი, მათ შორის სადისციპლინო სანქციები გადაყვებათ მეორე ეტაპზე. ბრინჯაოს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 17 გუნდი, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გუნდები ბრმა წილისყრით და გეოგრაფიული პრინციპით გაიყოფიან სამ ჯგუფად სადაც მატჩები

გაიმართება ორ წრედ დასავლეთის ,,ა" , აღმოსავლეთის ,,ბ" და აღმოსავლეთის ,,გ" ჯგუფში. გათამაშების მეორე ეტაპზე ჯგუფებში 1-ელ , მე-2, და მე-3 ადგილზე გასული გუნდები შექმნიან 9 გუნდიან ბრინაჯაოს ზედა ჯგუფს ხოლო სხვა დანარჩენი გუნდები ბრინჯაოს ,,ქვედა" ჯგუფს.მეორე ეტაპზე ბრინჯაოს „ზედა" და „ქვედა" ჯგუფებში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გუნდებს არცერთი მაჩვენებელი გარდა სადისციპლინო სანქციებისა არ გადაყვებათ მეორე ეტაპზე. ბრინაჯაოს ზედა ჯგუფში ლიგაში 1-ელ და მე-2 ადგილზე გასული გუნდების მოიპოვებენ 2027 წლის გათამაშების ვერცხლის ლიგის საგზურს.

ოქროს ლიგა		ვერცხლის ლიგა	
1. დინამო-1 თბ	204423454	1. გაგრა	200112476
2. იბერია 1999	211389665	2. მერანი მრ	235446754
3. ლოკომოტივი თბ	202054766	3. სელერო	402155378
4. ტორპედო	212917183	4. სამგურალი	421277175
5. დინამო-2 თბ	204423454	5. ტორპედო-2	212917183
6. იბერია 1999-2	211389665	6. დინამო ბთ	245622205
7. 35-ე სკოლა-1	205245153	7. 35-ე სკოლა 2	205245153
8. ინტერი-1	202058110	8. გლდანი	400228008
9. ინტერი-2	202058110	9. კოლხეთი 1913	215137830
10. ვიტ ჯორჯია	211367545	10. სპაერი	406203558

ბრინჯაოს ლიგა			
1. ოდიში 1919	420438538	11. კოლხეთი ხბ	444549892
2. მერანი თბ	400025227	12. არაგვი	429323314
3. გარეჯი	438114041	13. დილა	418467509
4. შტურმი	406260157	14. გორი	417874973
5. მეშახტე	219630228	15. მართვე	412677269
6. სამტრედია	438735727	16. ალგეთი	201990079
7. სიონი	225376189	17. სერვალი	412764496
8. რუსთავი	416319718		
9. თელავი	405158975		
10. თ.ს.ს. აკადემია	204909153		

2027 წლის 17-წლამდელთა ასაკობრივი ლიგის გათამაშება გაიმართება ანალოგიური ფორმატით. ლიგა გაიყოფა სამ ნაწილად. 2027 წლის რანგით მაღალ ოქროს 10-გუნდიან ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში

ოქროს ზედა“ ჯგუფში I-II-III-IV ადგილზე გასული გუნდები, ოქროს ლიგის „ქვედა“ ჯგუფში I-II-III-IV ადგილებზე გუნდები და „ვერცხლის“ ზედა ჯგუფში I-II ადგილებზე გასული გუნდები. 2027 წლის რანგით მეორე 10-გუნდიან ვერცხლის ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში „ოქროს“ ქვედა ჯგუფში IV-V ადგილზე გასული გუნდები, 2025 წლის „ვერცხლის“ ზედა ჯგუფში III-IV-V ადგილებზე გასული გუნდები, „ვერცხლის“ ქვედა ჯგუფში I-II-III და „ბრინჯაოს“ ჯგუფში I-II ადგილებზე გასული გუნდები. 2027 წლის რანგით მესამე 10-გუნდიან (ან მეტი) ბრინჯაოს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში „ვერცხლის“ ქვედა ჯგუფში IV-V ადგილზე გასული გუნდები და 2026 წლის „ბრინჯაოს“ ლიგის ყველა სხვა გუნდი. თუ 2027 წლის 10-გუნდიან ლიგებში რომელიმე გუნდი (ან გუნდები) ვერ მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა მიზეზით მათ შორის მე-2 გუნდების აკრძალვასთან დაკავშირებით, მას ჩაანაცვლებს 2026 წლის გათამაშების ჯგუფების საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მომდევნო გუნდი ან გუნდები შემდეგი პრინციპით: 2027 წლის ოქროს ლიგაში – 2026 წლის ვერცხლის ლიგის ზედა ჯგუფის III,IV, V და ვერცხლის ლიგის ქვედა ჯგუფის I-II-III-III,IV და V შესაბამისი მიმდევრობით; 2027 წლის ვერცხლის ლიგაში – 2026 წლის ბრინჯაოს ლიგის III,IV, V, VI და ა.შ შესაბამისი მიმდევრობით.იმ შემთხვევაში თუ მოხდება ლიგების რეორგანიზაცია და მისი გაზრდა, დასამატებელ გუნდებს უპირატესობა მიენიჭება შემდეგი პრინციპით : 2027 წლის ოქროს ლიგაში – 2026 წლის ვერცხლის ლიგის ზედა ჯგუფის III,IV, V და ვერცხლის ლიგის ქვედა ჯგუფის I-II-III-III,IV და V შესაბამისი მიმდევრობით; 2027 წლის ვერცხლის ლიგაში – 2026 წლის ბრინჯაოს ლიგის III,IV, V, VI და ა.შ შესაბამისი მიმდევრობით. 2027 წლის 17 წლამდელთა ლიგებში იკრძალება მეორე გუნდებით მონაწილეობის მიღება, უკვე არსებული ყველა მეორე გუნდი სურვილის და ასაკობრივი შესაბამისობის შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს ახალ 2027 წლის 16 წლამდელთა ჩემპიონატში.

3.6. 15-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 43 გუნდი, გუნდები გადანაწილდებიან 2025 წლის შედეგების და აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების

გათვალისწინებით დაკომპლექტებულ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ლიგაში. ოქროს და ვერცხლის ლიგაში ჩემპიონატი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ოქროს და ვერცხლის ლიგაში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გათამაშების მეორე ეტაპზე ოქროს ლიგაში 1-ელ , მე-2, მე-3 და მე-4 ადგილზე გასული გუნდები შექმნიან „ზედა“ ჯგუფს ხოლო მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მე-10 და მე-11 ადგილზე გასული გუნდები „ქვედა“ ჯგუფს. ვერცხლის ლიგაში 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ადგილზე გასული გუნდები შექმნიან 5 გუნდიან „ზედა“ ჯგუფს ხოლო მე-6, მე-7,მე-8, მე-9 და მე-10 ადგილზე გასული გუნდები „ქვედა“ ჯგუფს. მეორე ეტაპზე ოქროს „ზედა“ ჯგუფში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. მეორე ეტაპზე ოქროს „ქვედა“ ჯგუფში გათამაშება ჩატარდება ერთ წრედ. კალენდარი შედგება ბერეგერის ცხრილის მიხედვით, გუნდებს ნომრები მიენიჭება 1-ელ ეტაპზე დაკავებული ადგილების მიხედვით მე-5 ადგილი -№1 , მე-6 ადგილი-№2 და ა.შ. გუნდებს ყველა მაჩვენებელი, მათ შორის სადისციპლინო სანქციები გადაყვებათ მეორე ეტაპზე. მეორე ეტაპზე ვერცხლის „ზედა“ და „ქვედა“ ჯგუფებში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გუნდებს ყველა მაჩვენებელი, მათ შორის სადისციპლინო სანქციები გადაყვებათ. ბრინჯაოს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 22 გუნდი, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გუნდები გეოგრაფიული პრინციპით და ბრმა წილისყრით გაიყოფიან სამ ჯგუფად სადაც მატჩები გაიმართება ერთ წრედ დასავლეთის ,,ა”, აღმოსავლეთის ,,ბ” და აღმოსავლეთის ,,გ” ჯგუფში ,კალენდარი შედგება ბერგერის ცხრილის მიხედვით , გუნდებს ნომრები მიენიჭება ბრმა წილისყრით. გათამაშების მეორე ეტაპზე ჯგუფებში 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4 ადგილზე გასული გუნდები შექმნიან 12 გუნდიან ბრინჯაოს ზედა ჯგუფს ხოლო სხვა დანარჩენი გუნდები ბრინჯაოს „ქვედა“ ჯგუფს.მეორე ეტაპზე ბრინჯაოს „ზედა“ და „ქვედა“ ჯგუფებში გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. კალენდარი შედგება საშეჯიბრო განყოფილების მიერ. გუნდებს არცერთი მაჩვენებელი გარდა სადისციპლინო

სანქციებისა არ გადაყვებათ მეორე ეტაპზე. ბრინავჯაოს ზედა ჯგუფში ლიგაში 1-ელ და მე-2 ადგილზე გასული გუნდების მოიპოვებენ 2027 წლის გათამაშების ვერცხლის ლიგის საგზურს.

ოქროს ლიგა		ვერცხლის ლიგა	
1. დინამო-1 თბ	204423454	1. 35-ე სკოლა	205245153
2. იბერია 1999	211389665	2. დინამო ბთ	245622205
3. ინტერი	202058110	3. კოლხეთი 1913	215137830
4. ტორპედო-1	212917183	4. რუსთავი	416319718
5. სფფ ზუგ	201990079	5. ტორპედო-2	212917183
6. დინამო-2 თბ	204423454	6. თ.ს.ს. აკადემია	204909153
7. გლდანი	400228008	7. ავაზა	405008904
8. ლოკომოტივი	202054766	8. მერანი თბ	400025227
9. სელერო	402155378	9. პორტუსი	445588338
10. მერანი მრ	235446754	10. გორი	417874973
11. სფფ ქუთ	201990079		

ბრინჯაოს ლიგა			
1. ოდიში 1919	420438538	12. ალგეთი	434168116
2. სამგურალი	421277175	13. დილა	418467509
3. სამტრედია	438735727	14. კოლხეთი ხბ	444549892
4. მართვე	412677269	15. მეშახტე	219630228
5. სპაერი	406203558	16. ლოკომოტივი სმ	238771432
6. სიონი	225376189	17. იუვენტუსი	442736981
7. შტურმი	406260157	18. თბილისი 2025	427722752
8. არაგვი	429323314	19. ვიკინგები	406235765
9. გაგრა	200112476	20. ინტერი 2	202058110
10.გარეჯი	438114041	21. ვესტ ჯორჯია	445740814
11. თელავი	405158975	22. ატლეტიკი	405642167

2027 წლის 15-წლამდელთა ასაკობრივი ლიგის გათამაშება გაიმართება ანალოგიური ფორმატით. ლიგა გაიყოფა სამ ნაწილად. 2027 წლის რანგით მაღალ ოქროს 10-გუნდიან ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში ოქროს ზედა“ ჯგუფში I-II-III-IV ადგილზე გასული გუნდები, ოქროს ლიგის „ქვედა“ ჯგუფში I-II-III-IV ადგილებზე გუნდები და „ვერცხლის“ ზედა ჯგუფში I-II ადგილებზე გასული გუნდები. 2027 წლის რანგით მეორე 10-გუნდიან ვერცხლის ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში „ოქროს“ ქვედა ჯგუფში V-VI-VII ადგილზე გასული გუნდები, 2025 წლის „ვერცხლის“ ზედა ჯგუფში III-IV-V ადგილებზე

გასული გუნდები, „ვერცხლის“ ქვედა ჯგუფში I-II და „ბრინჯაოს“ ჯგუფში I-II ადგილებზე გასული გუნდები. 2027 წლის რანგით მესამე 10-გუნდიან (ან მეტი) ბრინჯაოს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 2026 წლის გათამაშებაში „ვერცხლის“ ქვედა ჯგუფში III-IV-V ადგილზე გასული გუნდები და 2026 წლის „ბრინჯაოს“ ლიგის ყველა სხვა გუნდი. თუ 2027 წლის 10-გუნდიან ლიგებში რომელიმე გუნდი (ან გუნდები) ვერ მიიღებს მონაწილეობას, მას ჩაანაცვლებს 2026 წლის გათამაშების ჯგუფების საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მომდევნო გუნდი ან გუნდები შემდეგი პრინციპით: 2027 წლის ოქროს ლიგაში – 2026 წლის ვერცხლის ლიგის ზედა ჯგუფის III,IV, V და ვერცხლის ლიგის ქვედა ჯგუფის I-II-III-III,IV და V შესაბამისი მიმდევრობით; 2027 წლის ვერცხლის ლიგაში – 2026 წლის ბრინჯაოს ლიგის III,IV, V, VI და ა.შ შესაბამისი მიმდევრობით.იმ შემთხვევაში თუ მოხდება ლიგების რეორგანიზაცია და მისი გაზრდა, დასამატებელ გუნდებს უპირატესობა მიენიჭება შემდეგი პრინციპით : 2027 წლის ოქროს ლიგაში – 2026 წლის ვერცხლის ლიგის ზედა ჯგუფის III,IV, V და ვერცხლის ლიგის ქვედა ჯგუფის I-II-III-III,IV და V შესაბამისი მიმდევრობით; 2027 წლის ვერცხლის ლიგაში – 2026 წლის ბრინჯაოს ლიგის III,IV, V, VI და ა.შ შესაბამისი მიმდევრობით.

4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება სფფ-ის მიერ დამტკიცებული დებულებისა და კალენდრის შესაბამისად.

4.2. მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს სფფ, კალენდრის მიწოდებასთან ერთად გუნდებს ეცნობება მატჩების დაწყების ფიქსირებული დრო თვეების მიხედვით. თამაშის თარიღისა და დაწყების დროის შეცვლა ერთპიროვნულად შეუძლია საშეჯიბრო განყოფილებას, ხოლო კლუბებს შორის შეთანხმების შემთხვევაში, მხოლოდ სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების დადასტურების შემდეგ.

4.3. ჯგუფურ ეტაპზე ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა.

4.4. იმ შემთხვევაში, როცა ასაკობრივ ლიგებში ორი ან მეტი გუნდი

დააგროვებს თანაბარ ქულას, მათი საბოლოო პოზიციის გადანაწილება ცხრილში მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით ქვემოთჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

4.4.1 ჩემპიონატში ბურთების უკეთესი სხვაობა.

4.4.2. ჩემპიონატში გატანილი მეტი გოლი.

4.4.3. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი მეტი გოლი

4.4.4. ჩემპიონატში მოგებების მეტი რაოდენობა.

4.4.5. ჩემპიონატში სტუმრად მოგებების მეტი რაოდენობა.

4.4.6. ჩემპიონატში დაგროვილი ნაკლები სადისციპლინო ქულა (გაძევება – 3 ქულა, ორი გაფრთხილებით გაძევება – 3 ქულა, გაფრთხილება – 1 ქულა; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს ნაკლები გაძევებით).

4.4.7. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა წილისყრა.

4.5. სათანადოდ შევსებულ და ხელმოწერილ ოქმში თამაშის დაწყებამდე დაუშვებელია ცვლილებების შეტანა, გარდა შემთხვევისა, როდესაც ოქმში მყოფი პირველი 11 მოთამაშიდან რომელიმეს აღარ შეუძლია თამაშში მონაწილეობის მიღება გაუთვალისწინებელი ფიზიკური მდგომარეობის გამო, იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს მატჩის ოქმში მყოფი ნებისმიერი სათადარიგო მოთამაშით. ასეთ შემთხვევაში ცვლილებათა ლიმიტი უცვლელი რჩება. ხოლო გამოკლებულ მოთამაშეს უფლება აღარ აქვს მიიღოს მატჩში მონაწილეობა და იმყოფებოდეს სათადარიგოთა სკამზე. თუ რომელიმე გუნდში მოედანზე არის 7-ზე ნაკლები მოთამაშე, თამაში არ დაიწყება. თუ რაიმე მომენტში სხვადასხვა მიზეზით რომელიმე გუნდში მოედანზე დარჩება 7-ზე ნაკლები მოთამაშე – თამაში შეწყდება. საკითხი განსახილველად გადაეცემა შეჯიბრის ორგანიზატორს.

4.6. მატჩის მსაჯები ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მოთამაშის ბარათები. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ და ფეხბურთელის შეცვლის დროს, მოედანზე მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია მოახდინოს მოთამაშის ბარათის და ფეხბურთელის ვიზუალური შედარება.

4.7. 19-წლამდელთა ჩემპიონატში ნებადართულია 7 მოთამაშის შეცვლა; 17-წლამდელთა ჩემპიონატში ნებადართულია 7 მოთამაშის შეცვლა; 15-წლამდელთა ჩემპიონატში ნება-

დართულია 7 მოთამაშის შეცვლა. სამივე ასაკობრივ ლიგაში მატჩის მიმდინარეობისას თითოეულ გუნდს შეცვლების გამოყენება შეუძლია მხოლოდ სამ-სამი შეჩერებით. შესვენებისას განხორციელებული ცვლილება შეჩერებების ლიმიტზე არ აისახება.

სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე (ერთდროულად მაქსიმუმ 5-5 მოთამაშე თითო გუნდიდან).

4.8. სათამაშო მოედნის სიგრძის დასაშვები ზომაა 90 მეტრიდან – 105 მეტრამდე და სიგანე 50 მეტრიდან – 68 მეტრამდე.

4.9. გუნდს უნდა გააჩნდეს 2 მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს სფფ-ს განაცხადის შეტანის დროს. მსაჯები აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯების მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა. ფეხბურთელებს ეკრძალებათ წვივსაფრის გარეშე თამაში.

4.10. მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშზე მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი.

4.11. მასპინძელი გუნდი ვალდებულია: შეტყობინების საფუძველზე, სტუმართა გუნდს მატჩამდე ერთი დღით ადრე სასტუმროში დაუჯავშნოს არანაკლებ 25 ადგილი (თითო ასაკობრივ გუნდზე); დაეხმაროს მას კვებისა თუ შინ გამგზავრების ორგანიზებაში; მოთხოვნის შემთხვევაში, თამაშის წინა დღეს მისცეს სტუმარ გუნდს ვარჯიშის საშუალება.

4.12. 19,17 და 15 დაწლამდელთა ასაკობრივ ლიგაში მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე სტადიონზე იყოლიოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის მანქანა აღჭურვილი იქნება შესაბამისად და ლიცენზირებული იქნება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ.

სამივე ასაკობრივ ლიგაში მასპინძელი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა (არანაკლებ დაცვის 5 თანამშრომელი).

4.13. მატჩის გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება ევალება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

4.14. გუნდებს კალენდარული მატჩის გადატანაზე მოთხოვნა

შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში (საკვალიფიკაციო ციკლი, ელიტ-რაუნდი, ფინალური ეტაპი, ანდა ამხანაგურ მატჩები) გამოძახებულია მათ განაცხადში მყოფი 5 ან მეტი ფეხბურთელი.

4.15. ასაკობრივი ლიგების ჩემპიონატის მონაწილე კლუბებმა სფფ-ის ანგარიშზე უნდა ჩარიცხონ საწევრო თანხა: 19-წლამდელთა ჩემპიონატი – 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით, 17-წლამდელთა ჩემპიონატი – 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, 15-წლამდელთა ჩემპიონატი – 6000 (ექსვი ათასი) ლარის ოდენობით. საწევრო შესატანის პირველი ნახევრის გადახდა ასაკობრივ ლიგებში უნდა მოხდეს 2026 წლის 1 მარტამდე, ხოლო მეორე ნახევრისა 2026 წლის 15 ივლისამდე ხოლო იმ გუნდებმა რომლებიც არ მონაწილეობდნენ 2025 წლის სეზონის იმავე ლიგაში რომელშიც 2026-ში იღებენ მონაწილეობას (გარდა იმ კლუბებისა რომლებიც ვალდებულნი არიან საშეჯიბრო დებულებით) 19-წლამდელთა ჩემპიონატი —20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, 17-წლამდელთა ჩემპიონატი – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, 15-წლამდელთა ჩემპიონატი – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

სფფ-ის რეკვიზიტებია: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის №GE88BG0000000120626001 საიდენტიფიკაციო კოდი 201990079.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5.1. ასაკობრივი ლიგის ჩემპიონატისთვის გუნდების განაცხადის მიღებას და მოთამაშეთა დამტკიცებას აწარმოებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება.

5.2. გუნდის განაცხადი მოწმდება კლუბის პრეზიდენტის ან დირექტორის ხელმოწერით და სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდით.

5.3. ასაკობრივ ლიგაში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან, არაუგვიანეს 2026 წლის 1 მარტიდან სფფ-ში წარადგინონ:

- გუნდის განაცხადი 2 ეგზემპლარად.
- მოთამაშეთა პირადობის მოწმობის ასლი.
- გუნდების ხელმძღვანელობის შემადგენლობა (მთავარი

მწვრთნელი, თანაშემწეები, ექიმი, მასაჟისტი, გუნდის ადმინისტრატორი და ა.შ.) დამტკიცებული კლუბის პრეზიდენტის ან კლუბის სხვა ხელმძღვანელის ბრძანებით.

- გუნდების მოთამაშეთა და ხელმძღვანელთა ბარათები სურათით, რომელიც დამტკიცების შემდეგ უნდა იყოს ლამინირებული.

5.4. ასაკობრივი ლიგის გუნდს შეუძლია საერთო განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 30 მოთამაშისა, ხოლო სატრანსფერო პერიოდში შეუძლია მაქსიმუმ 5 მათგანის ჩანაცვლება. დამატებით გუნდს შეუძლია ახალი მოთამაშის დამტკიცება ისეთი მოთამაშის ნაცვლად, რომელსაც მიმდინარე სეზონში თავისი კლუბის სხვა გუნდებში (ეროვნულ, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში რეგიონულ ლიგასა და ასაკობრივ ლიგაში) არა აქვს არცერთ მატჩში მონაწილეობა მიღებული (ფეხბურთელის მხოლოდ ოქმში ან განაცხადში ყოფნა, არ ითვლება მატჩში მონაწილეობად). აგრეთვე განაცხადში მოთამაშის ადგილი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მას გაიწვევენ სამხედრო სამსახურში და გუნდი წარმოადგენს ამის დამადასტურებელ საბუთს ან სფფ გასცემს საერთაშორისო სანტრასფერო სერთიფიკატს.

5.5. ასაკობრივი ლიგის გუნდის მოთამაშეს უფლება ეძლევა, ასაკობრივი ლიგის მონაწილის ბარათით ითამაშოს თავისი კლუბის სხვა გუნდში, რომელიც მონაწილეობს ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-სა ან რეგიონულ ლიგაში. ამავე და ასაკობრივ ლიგებში დამტკიცებულ ფეხბურთელებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ასაკობრივი ლიგების მატჩებში, თუ მათი ასაკი შესაბამისობაშია ან ნაკლებია ასაკობრივ ლიგის მოთხოვნებთან.

5.6. რეგიონალური ფედერაციების მიერ ასაკობრივ ჩემპიონატებში დამტკიცებულ ფეხბურთელებს უფლება არა აქვთ ითამაშონ ასაკობრივი ლიგის გათამაშებაშიბ (სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების სპეციალური ნებართვის გარეშე).

5.7. სფფ-ის ეგიდით გამართულ ასაკობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მოთამაშე შეიძლება დარეგისტრირდეს სფფ-ის მიერ დაწესებულ სატრანსფერო პერიოდებში: პირველი პერიოდი – 2026 წლის 1 იანვრიდან – 2026 წლის 11 მარტის ჩათვლით.

მეორე პერიოდი – 2026 წლის 22 ივნისიდან – 2026 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით;

იმ საფეხბურთო სკოლების გუნდებიდან, რომლებიც არ მონაწილეობენ ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებულ ასაკობრივ ლიგებში გადმოსულ ფეხბურთელებს ნებისმიერ დროს უფლება აქვთ დამტკიცდნენ თავიანთი ასაკის შესაბამის ლიგაში.

5.8. ეროვნულ, ეროვნულ ლიგა 2-სა და ლიგა 3-ში დამტკიცებულ უცხოელ მოთამაშეს უფლება აქვს, მიიღოს ასაკობრივ ლიგებში მონაწილეობა, თუ მისი ასაკი შესაბამისია ასაკობრივ ლიგასთან. კლუბებს უფლება აქვთ ასაკობრივ ლიგებში დაარეგისტრირონ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე 1 ფეხბურთელი, რომელსაც გააჩნია დროებითი ბინადრობის მოწმობა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დროებითი პასპორტი ან ბინადრობის უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი).
ძირითად გუნდში, ფარმ-გუნდში და ასაკობრივ ლიგაში ერთდროულად დარეგისტრირებული ლეგიონერების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც დაშვებულია ძირითადი გუნდის ლიგაში.

5.9. სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დამტკიცებული მონაწილის ბარათის გარეშე ფეხბურთელი მატჩზე დაიშვება მხოლოდ საშეჯიბრო განყოფილების გადაწყვეტილებით.

6. შეჯიბრების ჩატარების ადგილი

6.1. ჩემპიონატის თამაშები ჩატარდება სფფ-ის მიერ მიღებულ სტადიონებზე. თუ რომელიმე გუნდს გააჩნია პრეტენზია სათამაშო მოედნის მდგომარეობის გამო (საფარი, დახაზვა, კარების ზომები და ა.შ.) იგი ვალდებულია, ამის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობოს მატჩის არბიტრს და მსაჯთა დამკვირვებელს თამაშის დაწყებამდე მინიმუმ 90 წუთით ადრე (გარდა ფორსმაჟორული შემთხვევებისა). თამაშის ჩატარება-არჩატარების საკითხს, მიუხედავად რომელიმე გუნდის პრეტენზიისა, წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი მატჩის დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯების დამკვირვებელთან) კონსულტაციის შედეგად.

6.2. მატჩის მსვლელობისას განათების გამორთვის შემთხვევაში, მასპინძელი კლუბი მთავარი მსაჯისა და მატჩის დელეგატისა მითითებების გათვალისწინებით, ვალდებულია ყველა ღონე

იხმაროს პრობლემის მოსაგვარებლად. თუ განათების ჩართვა ვერ მოხერხდა 45 წუთის განმავლობაში არბიტრი დელეგატთან (დელეგატის არყოფნის შემთხვევაში მსაჯების დამკვირვებელთან) შეთანხმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მატჩის შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს მატჩის განახლების, სრული ან დარჩენილი დროის სხვა დღეს მატჩის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილება. სტუმარ გუნდს მივლინების ხარჯებს აუნაზღაურებს მასპინძელი გუნდი.

6.3. საფეხბურთო კარის დაზიანების დროს, მასპინძელი გუნდი ვალდებულია, 45 წუთის განმავლობაში შეცვალოს კარი და გაგრძელდეს მატჩი, წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება წაგება 0:3, სტუმართა გუნდს მიეკუთვნება მოგება 3:0, ხოლო თუ მასპინძელი თამაშს აგებდა სამი ან მეტი ბურთის სხვაობით, მატჩის შედეგი ძალაში დარჩება.

6.4. დაწყებული მატჩის შეწყვეტა და შემდგომში გადატანა (გაგრძელება) შესაძლებელია, მასპინძელი კლუბის მიერ უსაფრთხოების სათანადო ნორმების ვერუზრუნველყოფის შემთხვევაში; სტუმარი კლუბის იდენტიფიცირებული გულშემატკივრის უმართავი ქმედებების შემთხვევაში, რომლის პრევენცია აღემატება მასპინძელი კლუბის მიერ დაქირავებული დაცვის სამსახურისა და სამართალდამცავთა ძალებს, ასევე ფორსმაჟორული მდგომარეობისას, რომლის წინასწარ გათვალისწინება (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი მოვლენები) შეუძლებელია, ასევე სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას, რომლებიც მატჩის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად მოხდება (საგანგებო მდგომარეობა) და სხვა მიზეზების გამო, რომელიც არბიტრის, დელეგატის ან მსაჯთა დამკვირვებლის აზრით, საშიშროებას წარმოადგენს მოთამაშეთა ჯანმრთელობისათვის.

6.5. მატჩის არბიტრი და მსაჯთა დამკვირვებელი ვალდებულნი არიან, ყველა ღონე იხმარონ მატჩის ჩასატარებლად, რის შესახებაც მათ უნდა აცნობონ სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

6.6. მატჩის გადატანაზე, თარიღის შეცვლაზე, გადაწყვეტილების მიღება ევალება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებას.

6.7. თუ თამაში შეწყდა და იმ დღეს მისი გაგრძელება ვერ მოხერხდა, მატჩი გაგრძელდება მეორე დღეს და განახლდება

იმ წუთიდან (ანგარიში, სადისციპლინო სანქციები-წითელი, ყვითელი ბარათი ძალაშია) რომელ ეპიზოდშიც (პენალტი, ჯარიმა, კუთხური, აუტი, სადაო და ა.შ.) შეწყდა მატჩი.

- გაგრძელებულ მატჩში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ შეწყვეტილი მატჩის ოქმში.
- თუ შეწყვეტილი მატჩის გაგრძელება მეორე დღეს ვერ მოხერხდა, სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების მიერ დაინიშნება მატჩის გაგრძელების ახალი თარიღი. ამ შემთხვევაში:
- თუ შეწყვეტილი მატჩის ოქმში მყოფი მოთამაშე (მწვრთნელი და ა.შ.), შეწყვეტილი მატჩის ჩატარებამდე სხვა მატჩში მიიღებს დისკვალიფიკაციას, მას აქვს განახლებულ მატჩში მონაწილეობის უფლება, ხოლო დისკვალიფიკაცია გადავა მომდევნო თამაშებში.
- სხვადასხვა მიზეზის გამო თუ მოთამაშეს არ შეუძლია გაგრძელებულ მატჩში მონაწილეობის მიღება, გუნდს აქვს უფლება შეცვალოს იგი შეწყვეტილი მატჩის ოქმში მყოფი სათადარიგო მოთამაშით, რაც არ ჩაითვლება ცვლილებად.

6.8. მასპინძელი გუნდი ვალდებულია:

– გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მსაჯთა, მსაჯთა დამკვირვებლის და დელეგატის უსაფრთხოებას;

– მიაცილოს მსაჯთა ბრიგადა გასახდელიდან მინდვრამდე და მინდვრიდან გასახდელამდე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პირების თანხლებით, ყველანაირად დაიცვას ისინი;

– გამორიცხოს მსაჯთა ოთახში ნებისმიერი პირის შესვლა ან ყოფნა. მსაჯების გარდა, რომლებიც ემსახურებიან მატჩს, ოთახში შესვლის უფლება აქვთ მატჩის დელეგატს, მსაჯთა დამკვირვებელს, სფფ-ის წარმომადგენლებს, რომლებიც ატარებენ ამ მატჩს და იმ პირებს, რომლებსაც მიიწვევს მსაჯი, მსაჯთა დამკვირვებელი ან მატჩის დელეგატი.

– უზრუნველყოს მატჩის ჩატარება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნებით;

– უზრუნველყოს მაყურებელთა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება.

– უზრუნველყოს მატჩის დელეგატისთვის და მსაჯთა დამკვირვებლისთვის შეუფერხებელი მოძრაობა (თამაშამდე, თამაშის დროს, თამაშის შემდეგ).

საქართველოს 2026 წლის 19 წლამდელთა თასის გათამაშება

1. საქართველოს 19 წლამდელთა თასის გათამაშებაში სავალ-დებულოა ოქროს და ვერცხლის ლიგების წარმომადგენლების მონაწილეობა .თასის გათამაშებაში მონაწილეობა ხდება ჩემპიონატში წარმოდგენილი გუნდის განაცხადის შესაბამისად, ასევე გათამაშების მატჩებს ეხება ჩემპიონატის დებულების ყველა ის მუხლი, რომელიც შესაბამისობაში შეიძლება იყოს თასის გათამაშებასთან.
   - გათამაშების პირვე ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს ვერ-ცხლის ლიგის 14 და ოქროს ლიგაში 2026 წელს აღზევებული 2 გუნდი რომლებიც ბრმა წილისყრით შეადგენენ 8 წყვილს.
   - საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალურ ეტაპზე მონაწილეობს პირველი ეტაპის 8 გამარჯვებული და 2026 ოქროს ლიგის 8 გუნდი. მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან ბრმა წილისყრით.
   - საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალურ ეტაპზე მონაწილეობს მერვედფინალური ეტაპის 8 გამარჯვე-ბული. მეოთხედფინალურ ეტაპზე გუნდები დაწყვილდებიან ბრმა წილისყრით.
   - საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალურ ეტაპ-ზე მონაწილეობს მეოთხედფინალური ეტაპის 4 გამარჯვებუ-ლი. ნახევარფინალურ ეტაპზე გუნდები დაწყვილდებიან ბრმა წილისყრით (წილისყრისას მსვლელობისას პირველად გამოვ-ლენილი ნახევარფინალური წყვილის გამარჯვებული პირო-ბითი მასპინძელი იქნება თასის ფინალურ მატჩში).
   - საქართველოს თასის ფინალში მონაწილეობს ნახევარფი-ნალური ეტაპის 2 გამარჯვებული. ფინალი გაიმართება სფფ-ის მიერ არჩეულ ნეიტრალურ სტადიონზე.
   - საქართველოს თასის ნებისმიერ ეტაპზე, თუ რომელიმე გუნდი წილისყრისას დარჩება მეტოქის გარეშე, ის ავტომატუ-რად მოიპოვებს შემდეგი ეტაპის საგზურს.
5. თასის გათამაშების ყველა ეტაპზე ფრედ დამთავრების შემ-თხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით დროში არ გამოვლინდა გამარ-ჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (ფიფას წესებით).

6. **ფინალურ მატჩამდე მიღებული ყვითელი ბარათები არ იმოქმედებს ფინალურ მატჩზე.**
7. საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარის თქმის ან თამაშზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გუნდი მოიხსნება თასის გათამაშებიდან, ხოლო მისი საკითხი დამატებით განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს.

   ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდები ჯილდოვდებიან გივი ჩოხელის (19-წლამდელები), მიხეილ მესხის (17-წლამდელები) და სლავა მეტრეველის (15-წლამდელები) სახელობის გარდამავალი თასებით და ოქროს მედლებით (30 ცალი).

დამტკიცებულია სფფ-ის აღმასკომის მიერ 2026 წელს

დანართი 1

მოთხოვნები ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის და ლიგა 4-ის კლუბების სტადიონებისადმი

პრეამბულა

ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები ინფრასტრუქტურის მიმართ სიმკაცრის მიხედვით იყოფა 3 თანრიგად:

A: სავალდებულო – ამ თანრიგის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტადიონზე თამაში არ ჩატარდება.

B: აუცილებელი – ამ თანრიგის მოთხოვნების შეუსრულებლობამ, შესაძლოა, არ გამოიწვიოს ავტომატური უარი სტადიონზე მატჩების ჩატარების შესახებ, თუმცა კლუბს დაუწესდება სფფ-ის სადისციპლინო კოდქსით განსაზღვრული ფინანსური სანქცია.

C: გასათვალისწინებელი – ამ თანრიგის მოთხოვნების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ავტომატურად ფინანსურ სანქციებს, თუმცა ისინი უნდა იქნეს მაქსიმალურიად გათვალისწინებული სტადიონების მშენებლობის, რეკონსტრუქციის თუ დაგეგმვის პროცესში, რადგან მომავალში, შესაძლოა, მოთხოვნა გამკაცრდეს და გახდეს უფრო მაღალი თანრიგის.

კრიტერიუმები

პარაგრაფი 1 / A – უსაფრთხოების სერტიფიკატი

1. სტადიონის გამოყენების საკითხის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ მისი სტრუქტურისა და ტექნიკური პირობების საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების ნორმებთან, კანონებთან და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებსა თუ ინსტრუქციებთან შესაბამისობის შემთხვევაში. ამ მიზნით, სტადიონს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატი, რომელიც გაცემული იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ (გაცემის თარიღისა და ადგილის, ასევე მისი გამცემი ორგანოს, ხელმომწერი პირის თანამდებობისა და ვინაობის მითითებით).
2. სტადიონის უსაფრთხოების სერტიფიკატს გასცემს ადგილობრივი მუნიციპალური ორგანო, საქართველოში მოქმედი ნორმების შესაბამისი უფლების მქონე საჯარო ორგანოების (კომპანიების) მიერ აღნიშნული სტადიონის ინსპექტირების აქტების საფუძველზე ვადით არაუმეტეს 12 თვისა.

3. უსაფრთხოების სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგზე:
   - სტადიონის დასახელება და მისამართი
   - სტადიონის მფლობელის დასახელება და მისამართი
   - დამტკიცებული ტევადობა (გადახურვის ქვეშ ადგილების მითითებით)
   - სტადიონის კონსტრუქციის უსაფრთხოება
   - სახანძრო უსაფრთხოება
   - ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობების უსაფრთხოება
   - სამედიცინო სათავსოების შესაბამისობა ჯანდაცვის მოთხოვნებთან.
   - განათება
   - სათადარიგო გენერატორის სიმძლავრე
   - სანიტარული მდგომარეობა
   - საევაკუაციო კონცეფცია
   - მაყურებელთა განთავსება
   - მაყურებელთა მოძრაობის ზონების შესაბამისობა უსაფრთხოების ნორმებთან.

სერტიფიკატში უნდა იყოს მითითებული შემმოწმებელი ორგანოს დასახელება, შემოწმების თარიღი და შენიშვნები(თუკი არსებობს)

პარაგრაფი 2 /B – უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგია

1. სტადიონზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხოება და წესრიგი. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების სერტიფიკატს თან უნდა ერთვოდეს სტადიონის გეგმა, აგრეთვე გეგმა მიმდებარე ტერიტორიების ჩვენებით, საევაკუაციო გეგმა, სტადიონზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია და სტადიონზე ქცევის წესები.
2. უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგია უნდა მოიცავდეს საფეხბურთო მატჩის ორგანიზების ყველა ასპექტს, როგორიც არის ბილეთების განაწილების სისტემა, მაყურებელთა შემოწმება, მოწინააღმდეგე გუნდების ქომაგთა გამოყოფის სტრატეგია, ხალხის ნაკადის დაშლის სტრატეგია, სამედიცინო მომსახურება, ხანძრის, ელექტროენერგიის გათიშვის ან ნებისმიერ სხვა საგანგებო სიტუაციაში გასატარებელი ღონისძიებები.
3. სფფ-ში უნდა იქნეს წარმოდგენილი სტადიონის გეგმა, რომელზეც მითითებული იქნება წინამდებარე დებულების ინფრასტრუქტურული მოთხოვნებით გათვალისწინებული ყველა არსებული ობიექტი/სათავსო (მაგ., გასახდელები, ავტოსადგომები, საპატიო სტუმართა ზონები და სხვ.).

4. ამას გარდა, უნდა იყოს წარმოდგენილი სათანადო საჯარო ორგანოების მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა. ევაკუციის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთელი სტადიონის დაცლა საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, მოქმედი ეროვნული კანონის შესაბამისად.
5. მაყურებელთა უსაფრთხოებისა და ადვილად ორიენტირების მიზნით, სტადიონზე სათანადოდ უნდა იყოს მითითებული წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ყველა ობიექტი (საერთაშორისო მატჩებისთვის განკუთვნილ სტადიონებზე უნდა გაკეთდეს ორენოვანი – ქართულ-ინგლისური წარწერები). ასევე უნდა გაკეთდეს საერთაშორისო გასაგები მიმთითებლები და პიქტოგრამები (მაგ., საევაკუაციო გასასვლელები, სამედიცინო პუნქტისა და საპირფარეშოსკენ მიმართულების მაჩვენებლები და სხვ.).
6. იმისთვის, რომ მოხდეს მინდორზე და სტადიონის სხვა ტერიტორიაზე მყოფი პირების მეხისგან განმუხტვა, სტადიონი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უსაფრთხოების მოწყობილობით (მეხამრიდით), რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი დოკუმენტით.
7. მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიების ორგანიზატორებს და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს შეეძლოს მაყურებლებთან დაკავშირება როგორც სტადიონის შიგნით, ისე მის გარეთ შეტყობინების საკმარისად მძლავრი და სანდო სისტემის, ტაბლოს და/ან ვიდეო ეკრანის საშუალებით.
8. სტადიონზე რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს სათანადოდ დამტკიცებული ქცევის წესები და გაკონტროლდეს მისი დაცვა.

პარაგრაფი 3 /B/ A – სათამაშო მოედანი – ზომები

1. (**B**) სათამაშო მოედანი უნდა იყოს 105მ. სიგრძის და 68მ. სიგანის.
2. (**A**) თუ არ კმაყოფილდება ზემოთ 3.1 პირობა, სავალდებულოა დაცული იყოს შემდეგი ზღვრები:
- სიგრძე: 95მ.-105მ.
- სიგანე: 60მ.-68მ.

   რეგიონული ლიგისთვის, 15 და 17 წლამდელებისთვის დასაშვებია 50მ.-90მ.
3. (**B**) სათამაშო მოედანი უნდა იყოს აღჭურვილი დაწრეტის სისტემით, რათა არ გახდეს სათამაშოდ გამოუსადეგარი დატბორვის გამო.
4. (**B**) ამას გარდა, უსაფრთხოების მიზნით, მანძილი გვერდითი და კარის ხაზებიდან მოედნის შემოღობვამდე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ზომებსა და მოთხოვნებს:
   - მანძილი გვერდითი ხაზიდან შემოღობვამდე: 6მ.

- მანძილი კარის ხაზიდან შემოღობვამდე: 7,5მ.
- მანძილი სარეკლამო დაფებამდე: გვერდითი ხაზებიდან – მინ. 4 მ., კარის ხაზს უკან – 3 მ. (კუთხეებთან), 5 მ. (ცენტრში)

მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლუბმა წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს პასუხისმგებლობის აღება ფეხბურთელების თუ სხვა პირთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

პარაგრაფი 4 /A – სათამაშო მოედანი – საფარი

1. სათამაშო მოედანზე უნდა იყოს ბუნებრივი (ეროვნული ლიგა) ან ხელოვნური საფარი.
2. სათამაშო მოედანი უნდა იყოს სწორი, თანაბარი და სათამაშოდ ვარგისი სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში. ის უნდა იყოს სათანადოდ მოვლილი სეზონის განმავლობაში.

პარაგრაფი 5 /A – კარები და სათადარიგო კარი

1. კარის ძელებს შორის მანძილი უნდა იყოს 7,32მ., ხოლო მანძილი ხარიხას ქვედა კიდიდან მიწამდე: 2,44მ.
2. კარის ძელები და ხარიხა უნდა იყოს დამზადებული ალუმინის ან მსგავსი მასალისგან, მრგვალი ან ელიფსური ფორმის, 120 მმ დიამეტრის, თეთრი ფერის და არ წარმოადგენდეს საფრთხეს მოთამაშეებისთვის.
3. სტადიონის ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს სტანდარტული ზომის სათადარიგო კარი, რომელიც შეიძლება ადვილად დამონტაჟდეს, თუკი გარემოებები ამას მოითხოვს.

პარაგრაფი 6 /B – სათადარიგოთა სკამი და ტექნიკური ზონა და პერიმეტრი

1. სტადიონი უნდა იყოს აღჭურვილი გადახურული და კარგ მდგომარეობაში მყოფი სათადარიგოთა 2 სკამით მოედნის დონეზე ან უფრო მაღლა, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:
   - ადგილების რაოდენობა: 14-14
   - მანძილი გვერდითი ხაზიდან: მინ. 3მ.
   - ურთიერთდაშორება: 10მ., ზუსტად 5-5მ. შუახაზის ორივე მხარეს
2. ტექნიკური ზონა უნდა იყოს მითითებული სათანადოდ: 1მ-ით დაცილებული გვერდითი ხაზიდან და 1მ. მანძილზე სათადარიგოთა სკამების გვერდებიდან.
3. მოედნის პერიმეტრზე კი, მინიმუმ სამი მხრიდან, განლაგდეს 40 ცალი სარეკლამო დაფა 90 გრადუსიანი დახრით, ზომებით 1მX6მ.

პარაგრაფი 7 / B – მოთელვის ზონა

1. სათადარიგოთა ფეხბურთელთათვის უნდა არსებობდეს მოთელვის ადგილი გვერდითი ხაზების გასწვრივ ან კარს უკან განთავსებულ სარეკლამო დაფებს მიღმა.

პარაგრაფი 8 / C – ალმები

1. სტადიონი უნდა იყოს აღჭურვილი მინიმუმ 3 ძელით ალმებისთვის ან სხვა სახის საშუალებით სტადიონზე ალმების აღსამართად.

პარაგრაფი 9 – გასახდელები

9.1. / B – ფეხბურთელების გასახდელი

1. სტადიონზე უნდა იყოს მინ. 2 გასახდელი გუნდებისთვის, რომელთაგან თითოეული უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
   - ადგილების რაოდენობა/ფართი: 23 (საკიდით) / მინიმუმ 50 კვ.მ.
   - ტუალეტები: 2
   - ნიჟარა ცივი/ცხელი წყლით: 1
   - საშხაპეები: 5
   - ტაქტიკური დაფა: 1
   - საწერი მაგიდა: 1
   - სამასაჟო მაგიდა: 1

9.2. / B – მსაჯების გასახდელი

1. 1. სტადიონზე უნდა იყოს მინ. 1 გასახდელი მსაჯებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
   - ადგილების რაოდენობა / ფართი: 6 სკამი (საკიდით) / მინიმუმ 20 კვ.მ.
   - ტუალეტები: 1
   - ნიჟარა ცივი/ცხელი წყლით: 1
   - საშხაპეები: 1
   - ტაქტიკური დაფა: 1
   - საწერი მაგიდა: 1
   - სამასაჟო მაგიდა: 1

9.3. /B – გასახდელების მდებარეობა და უსაფრთხოება

1. მსაჯების გასახდელი უნდა იყოს ფეხბურთელთა გასახდელების უშუალო სიახლოვეს (რეკომენდებულია, მათ შორის).

2. სტადიონებზე გუნდებისა და მსაჯების უსაფრთხოების მიზნით, უნდა იყოს უზრუნველყოფილი პირდაპირი, მხოლოდ მათთვის განკუთვნილი და დაცული მისასვლელი გასახდელებიდან სათამაშო მოედანზე და, აგრეთვე, სტადიონზე უსაფრთხო მისვლა/დატოვება.

პარაგრაფი 10 / B – დელეგატის ოთახი

1. სტადიონზე უნდა იყოს მინიმუმ 15 კვ.მ. ფართის მქონე დელეგატის ოთახი, აღჭურვილი მაგიდით, სკამებით, საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფაქსი, კომპიუტერი, ინტერნეტით) და მდებარეობდეს გუნდების და მსაჯთა გასახდელებთან უშუალო სიახლოვეს, მათთან ადვილად მისასვლელით.

პარაგრაფი 11 / B – პირველადი დახმარებისა და მკურნალობის საშუალებები მოთამაშეთა და ოფიციალურ პირთათვის

1. სტადიონებზე უნდა იყოს მოთამაშეთა და ოფიციალურ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მკურნალობისთვის განკუთვნილი მინ. 1 ოთახი, რომელიც აკმაყოფილებს ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნებს.

პარაგრაფი 12 / C – განათება

1. საღამოს საათებში მატჩების ჩატარების უზრუნველსაყოფად, სტადიონზე უნდა იყოს დამონტაჟებული განათების სისტემა მინ. 500 ლუქსი (E_3(lx)) განათებულობით, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით.

პარაგრაფი 13 / B— ავტომანქანების სადგომები

1. სტადიონზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადოდ აღნიშნული (დახაზული) და მაჩვენებლებით მითითებული შემდეგი რაოდენობის ავტოსადგომების ადგილები:
   - გუნდებისა და ოფიციალურ პირთა 2 ავტობუსისთვის
   - გუნდებისა და ოფიციალურ პირთა 10 მსუბუქი მანქანისთვის
   - საპატიო სტუმართა (VIP) 20 მსუბუქი მანქანისთვის დაცულ და უსაფრთხო ზონაში

პარაგრაფი 14 / B / C – ტრიბუნები და მაყურებელთა სათავსოები

1. (B) სტადიონზე უნდა იყოს მხოლოდ ინდივიდუალური, მყარად ფიქსირებული, ერთმანეთისგან გამოცალკევებული, საჭირო ფორ-

მის, დანომრილი, არაადვილად მტვრევადი/აალებადი მასალისგან დამზადებული დასაჯდომი ადგილები, რომელთაც უნდა გააჩნდეს დასაჯდომიდან მინიმუმ 30სმ. სიმაღლის საზურგე.

2. (B) ნებისმიერი სახის გრძელ ხის სკამებზე დაჯდომა აკრძალულია, ისინი არ შედის სტადიონის ტევადობაში და ასეთი ზონები მატჩის დროს უნდა დაიკეტოს.
3. (C) სტადიონი უნდა იყოს აღჭურვილი კვების და მომარაგების წერტილებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტადიონის ყველა სექტორის მაყურებლისთვის.

პარაგრაფი 15 / B – მაყურებელთა ტევადობა

1. მაყურებელთა ტევადობის თვალსაზრისით, სტადიონზე უნდა იყოს მინ. 400 ინდივიდუალური ადგილი, ეროვნულ ლიგა 2-ში 200
2. უნდა იყოს გადახურული, მინიმუმ, საპატიო სტუმართა და მას-მედიის ადგილები:
   - 10 – მაღალი რანგის სტუმართათვის
   - 20 – საპატიო სტუმართათვის, მათ შორის, 10 – სტუმარი გუნ-დისთვის

   ეს ადგილები უნდა მდებარეობდეს მთავარ ტრიბუნაზე და საჯარიმო მოედნებს შორის, შუახაზთან რაც შეიძლება ახლოს.
3. საერთო ტევადობა და გადახურვის ქვეშ ადგილების რაოდენობა დამტკიცებული უნდა იყოს კომპეტენტური ადგილობრივი ორგანოების მიერ და მიეთითოს უსაფრთხოების სერტიფიკატში.

პარაგრაფი 16 / B – სტუმარი მაყურებლები

1. სტადიონის მთლიანი ტევადობის სულ ცოტა 5% უნდა იყოს განსაზღვრული სტუმარი მაყურებლებისთვის, სტადიონზე საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას.

პარაგრაფი 17 / C – მაყურებელთა შესვლა და გამოსვლა

1. სტადიონზე მაყურებელთა შესვლა/გამოსვლა და ტერიტორიაზე ყოფნა უნდა იყოს უსაფრთხო და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
   - შესასვლელი ჭიშკრები და/ან ტურნიკეტები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჭყლეტა და უზრუნველყოს მასების ნაკადის ნორმალური შესვლა.
   - საზოგადოებრივი დანიშნულების ყველა გასასვლელი და კიბე მაყურებელთა ზონაში უნდა იყოს შეფერილი მკვეთრ ფერებში ისევე, როგორც მაყურებელთა ზონიდან სათამაშო მოედანზე და სტადიონიდან გარეთ გასასვლელი ყოველი კარი და ჭიშკარი.

- სტადიონზე არსებული და აგრეთვე მაყურებელთა ზონიდან სათამაშო მოედანზე გასასვლელი ყოველი კარი და ჭიშკარი:
    - ◆ უნდა იყოს აღჭურვილი ისეთი ჩამკეტი მოწყობილობით, რომელიც ნებისმიერს შეუძლია, გასასვლელი კარებისა და ჭიშკრების შემთხვევაში, იოლად და სწრაფად გახსნას შიგნიდან, ხოლო, სათამაშო მოედანზე გასასვლელი კარების შემთხვევაში, როგორც შიგნიდან, ისე გარედან;
    - ◆ უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ ჩაუკეტავი დარჩეს, სანამ მაყურებლები სტადიონზე არიან.
- სტადიონზე მისასვლელები უნდა იყოს მითითებული სათანადოდ (მაგალითად, პიქტოგრამების საშუალებით), რათა მიანიშნოს მაყურებლებს თავიანთი სექტორისკენ. აგრეთვე, ყველა ტურნიკეტები, შესასვლელი და გასასვლელი კარები და ჭიშკრები უნდა ფუნქციონირებდეს და ასევე ნათლად იყოს აღნიშნული სიმბოლოებით, რომელიც არის ყველასთვის გასაგები.

2. სტადიონზე შესასვლელად უნდა იყოს 3-4 ფართე ჭიშკარი, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულება უნდა განისაზღვროს უსაფრთხოების სტარტეგიის შესბმისად.
3. მატჩზე ბილეთების გაყიდვის მიზნით, სტადიონის ტერიტორიაზე უნდა იყოს, მინიმუმ, 1 სალარო.

პარაგრაფი 18 / B – სანიტარული წერტილები მაყურებელთათვის

1. სტადიონის ტერიტორიაზე უნდა იყოს ჰიგიენურად სუფთა ტუალეტები ორივე სქესის მაყურებელთათვის შეფარდებით 4/1, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტადიონის ყველა სექტორის მაყურებლისთვის ადგილებთან შემდეგი თანაფარდობით:
    - ტუალეტები: 1:250
    - პისუარები: 1:125

პარაგრაფი 19 / C – პირველადი დახმარების საშუალებები მაყურებლებისთვის

1. სტადიონის ყოველი სექტორის მაყურებლისთვის მისაწვდომ ადგილას უნდა არსებობდეს კომპეტენტური ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებული სრულად აღჭურვილი და ჰიგიენურად სუფთა პირველადი დახმარების მინ. 1 სათავსო, რომელზეც მიმაგრებული იქნება ექიმი.
2. ეს ადგილები უნდა იყოს მკაფიოდ აღნიშნული და მათთან მისასვლელი – გარკვევით მითითებული.

პარაგრაფი 20 / C – კონტროლის ოთახი

1. სტადიონზე უნდა იყოს მინიმუმ 12 კვ.მ. კონტროლის ოთახი, რომელიც აღჭურვილია მაგიდითა და სკამებით, კომუნიკაციის საშუალებებით.
2. კონტროლის ოთახი უნდა უზრუნველყოფდეს სტადიონის შიდა მთლიან ხედს.

პარაგრაფი 21 / B – საჯარო მიმართვის სისტემა

1. სტადიონი უნდა იყოს აღჭურვილი საჯარო მიმართვის სისტემით. საჯარო მიმართვის სისტემის ენერგოკვება უნდა იყოს დამოუკიდებელი ძირითადი ენერგოკვების წყაროსგან.

პარაგრაფი 22 / C – განათების სათადარიგო სისტემა

1. უსაფრთოების უზრუნველყოფისა და მაყურებელთა მიმართვის მიზნით, სტადიონი უნდა იყოს აღჭურვილი კომპეტენტური ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებული განათების სათადარიგო სისტემით, რომელიც გამოიყენება საერთო განათების ავარიის შემთხვევაში სტადიონზე მყოფი მაყურებლებისთვის განკუთვნილ ყველა ზონაში ელექტროენერიგიის მისაწოდებლად.

პარაგრაფი 23 / B – პრეს-ლოჟა

1. სტადიონს უნდა ჰქონდეს პრეს-ლოჟა მედიის წარმომადგენლებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
   - 10 ჟურნალისტზე გათვლილი გადახურული მაგიდიანი ადგილი.
   - პრეს-ლოჟა უნდა მდებარეობდეს მთავარი ტრიბუნის მხარეს.

პარაგრაფი 24 / B – მედიის სამუშაო და საკონფერენციო ოთახი

1. მედიის წარმომადგენლებისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი მინიმუმ 20 კვ.მ. ერთი 8-ადგილიანი ოთახი მაინც, რომელიც აღჭურვილია სამუშაო მაგიდებით და საკომუნიკაციო საშუალებებით.

პარაგრაფი 25 / B – კამერების ადგილები

1. სტადიონზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ძირითადი კამერის 1 პლატფორმა ფართით 6 მ^2. ის უნდა იყოს განლაგებული ცენტრში და მოედნიდან ისეთ სიმაღლეზე, რომელიც იძლევა სურათის ოპტიმალურ ხარისხის მიღების გარანტიას.

2. მთავარი კამერა უნდა იყოს ზუსტად შუახაზის გასწვრივ ისეთ სიმაღლეზე, რომელიც ქმნის 15-20° კუთხეს ცენტრის ნიშნულამდე. ასევე უნდა იყოს გამოყოფილი დამატებით 3 ადგილი მოედნის დონეზე.
3. ამას გარდა, უნდა იყოს 4 წერტილი დამხმარე კამერებისთვის (მათ შორის, მოედნის დონეზე).
4. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს სფფ-ის მიერ აღიარებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა ტელეკამერების პოზიციების შესახებ.
5. ყველა სტადიონის ორივე მხარეს აუცილებელია მოეწყოს სამ-სამი ადგილი სატელევიზიო კამერებისთვის, სფფ-თან წინასწარ შეთანხმებული შესაბამისი ზომების (სიმაღლე, ფართობი) დაცვით.

პარაგრაფი 26 / B – სატელევიზიო და რადიო საკომენტატოროების ადგილები

1. სტადიონზე უნდა იყოს მინიმუმ 2 გადახურული 2-ადგილიანი სატელევიზიო და რადიო საკომენტატოროები.
2. საკომენტატორო უნდა მდებარეობდეს ცენტრალურ პოზიციაზე.

პარაგრაფი 27 / B – ტელემაუწყებლობის მანქანების ზონა

1. სტადიონს უნდა ჰქონდეს პირდაპირი ჩართვების მანქანის მინიმუმ 100 $მ^2$ ზონა, რომელიც უნდა მდებარეობდეს მთავარი კამერის პლატფორმის და საკომენტატოროების მხარეს.

დამტკიცებულია სფფ-ის აღმასკომის მიერ 2026 წელს

სფფ-ის სადისციპლინო კოდექსი

I ნაწილი. შესავალი
I თავი. წინამდებარე კოდექსის რეგულირების სფერო და საქმიანობა

მუხლი 1. მიზანი

ეს კოდექსი მოიცავს სფფ-ს წესდებისა და დებულებების შესაძლო დარღვევების ჩამონათვალს, განსაზღვრავს სანქციებს, არეგულირებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მუშაობას და ფუნქციებს და ამ ორგანოების მიერ გასატარებელ პროცედურებს, ასევე იურიდიული ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს.

მუხლი 2. მოქმედების სფერო – არსი

წინამდებარე კოდექსი მიესადაგება სფფ-ის ეგიდით ორგანიზებულ ყველა მატჩს და შეჯიბრებას და მათ შორის სფფ-ის წევრი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ოფიციალურ ჩემპიონატებს რომლის თანაორგანიზატორიც არის სფფ. იგი აგრეთვე მოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ მატჩის ოფიციალურ პირებს მიადგება რაიმე ზიანი, ან სფფ-ს წესდებით განსაზღვრული მიზნები იქნა დარღვეული, განსაკუთრებით კი სიყალბესთან, კორუფციასთან და დოპინგთან დაკავშირებულ შემთხვევებში. ასევე სფფ-ს დებულებების ნებისმიერი სახით დარღვევისას, რომელიც არ წარმოადგენს, სხვა რომელიმე ორგანოს იურისდიქციას.

მუხლი 3. მოქმედების სფერო – ფიზიკური და იურიდიული პირები

წინამდებარე კოდექსის მოქმედება ვრცელდება:

ა. სფფ-ს წევრ ფედერაციებზე, ასოციაციებზე, ლიგებზე;
ბ. კლუბებზე;
გ. ოფიციალურ პირებზე;
დ. ფეხბურთელებზე;
ე. მატჩის ოფიციალურ პირებზე;
ვ. მატჩის და ფეხბურთელების ლიცენზირებულ აგენტებზე;

ზ. მატჩებზე, შეჯიბრებებზე თუ სხვა ღონისძიებებზე სფფ-ს მიერ უფლებამოსილ პირებზე;
თ. მაყურებლებზე.

მუხლი 4. მოქმედების დრო

წინამდებარე კოდექსი გამოიყენება იმ ფაქტებზე, რომლებიც წარმოიშვა მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 5. განსაზღვრებები

1. **ფიფა:** საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია.
2. **უეფა:** ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი.
3. **სფფ:** საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.
4. **იურიდიული ორგანოები:** სფფ-ს სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტები.
5. **შეჯიბრება:** საქართველოს ჩემპიონატი უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებში, საქართველოს თასის გათამაშება, ასევე ასაკობრივი ჩემპიონატები და სხვა ტურნირები, რომლებიც ტარდება სფფ-ს ეგიდით მათ შორის სფფ-ის წევრი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ჩემპიონატებიც.
6. **კლუბი (გუნდი):** სპორტული საფეხბურთო კლუბი (გუნდი), რომელიც ემორჩილება ფიფას, უეფას და სფფ-ს ნორმებს და წესებს, სფფ-ს ეგიდით ორგანიზებული შეჯიბრებების მონაწილე.
7. **მოთამაშე:** სფფ-ში ან მის წევრ ორგანიზაციაში დარეგისტრირებული ფეხბურთელი, თუ სხვა არ არის დადგენილი ფიფას, უეფას და სფფ-ს ნორმებით.
8. **მატჩის წინ:** დრო სტადიონის ტერიტორიაზე გუნდების მისვლიდან და მსაჯის მიერ მატჩის დაწყების აღმნიშვნელ სასტვენამდე.
9. **მატჩის მიმდინარეობა:** დრო მატჩის დაწყებამდე და მის დამთავრებამდე (გამოიხატება მსაჯის სასტარტო და ფინალური სასტვენით);
10. **მატჩის შემდეგ:** მსაჯის მიერ მატჩის დასრულების აღმნიშვნელ ფინალურ სასტვენსა და სტადიონის ტერიტორიიდან გუნდების გასვლას შორის დრო;

11. **საერთაშორისო მატჩი:** მატჩი სხვადასხვა ასოციაციის ორ გუნდს შორის.
12. **ამხანაგური მატჩი:** საფეხბურთო ორგანიზაციის, კლუბის ან სხვა პირის მიერ ორგანიზებული მატჩი.
13. **ოფიციალური მატჩი:** მატჩი, რომელიც ორგანიზებულია სფფ-ს ეგიდით და რომლის შედეგზეც დამოკიდებულია სხვა ტურნირებში მონაწილეობა.
14. **ოფიციალური პირი:** ნებისმიერი პირი, ფეხბურთელების გარდა, რომელიც ეწევა ფეხბურთთან დაკავშირებულ საქმიანობას სფფ-ში, ასოციაციაში, ლიგაში, ფედერაციაში, კლუბში, მისი თანამდებობის, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობის მიუხედავად, კერძოდ მენეჯერები, მწვრთნელები, სამედიცინო და დამხმარე პერსონალი.
15. **კლუბის ოფიციალური პირი:** ნებისმიერი თანამდებობრივი პირი, რომელიც ასრულებს ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს კლუბში, მათ შორის ხელმძღვანელები, მწვრთნელები და კლუბის სხვა მუშაკები, რომლებიც წარდგენილი არიან კლუბის მიერ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.
16. **მატჩის ოფიციალური პირი:** არბიტრი, არბიტრის ასისტენტები, არბიტრის დამატებითი ასისტენტები, მეოთხე ოფიციალური პირი, მატჩის დელეგატი, მსაჯების დამკვირვებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და სფფ-ს მიერ დანიშნული ნებისმიერი სხვა პირი, რომელმაც უნდა შეასრულოს მატჩთან დაკავშირებული ვალდებულებები.
17. **მატჩის მონაწილე:** პირი, რომელიც კლუბის მიერ შეყვანილია მატჩის ოქმში.
18. **შეჯიბრების მონაწილე:** კლუბი, რომელიც იღებს მონაწილეობას შეჯიბრებებში, ასევე მოთამაშეები და კლუბის ოფიციალური პირები, რომლებიც კლუბის მიერ წარდგენილი არიან შეჯიბრებებში.
19. **თამაშის წესები:** ფეხბურთის თამაშის წესები, მიღებული საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო საბჭოს მიერ.

20. **მაყურებელი:** პირი, რომელიც სტადიონზეა მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, რომელიც არ მიეკუთვნება მოთამაშეებს, კლუბის ოფიციალურ პირებს, მატჩის ოფიციალურ პირებს და სტადიონის მომსახურე პერსონალს.
21. **გარიგებული მატჩი:** საფეხბურთო მატჩი, რომელიც ტარდება სფფ-ს ეგიდით, რომელშიც დადგენილია მატჩის შედეგის გამიზნული მანიპულაცია, მატერიალური და სხვა სარგებლის მიღების მიზნით.
22. **სფფ-ს დებულებები:** სფფ-ს წესდება, დებულებები, დირექ-ტივები და ცირკულარები.

მუხლი 6. რიცხვი

პირობები, რომლებიც მოცემულია მხოლობით რიცხვში მიესადა-გება მრავლობითსაც და პირიქით.

II ნაწილი. ზოგადი ნაწილი
II თავი. პიროგები სანქციებისათვის

მუხლი 7. დამნაშავეობა

1. დისციპლინარული დარღვევის განხორციელებაში დამნაშავედ ითვლება პირი მიუხედავად იმისა, განზრახ ჩაიდინა დარღვევა თუ გაუფრთხილებლობით.
2. გარკვეულ შემთხვევაში, მატჩი შეიძლება ჩატარდეს მაყურებლების გარეშე ან ნეიტრალურ სტადიონზე.
3. გარკვეულ სტადიონზე შეიძლება აიკრძალოს მატჩის ჩატარება უსაფრთხოების მიზნით, ყოველგვარი დარღვევის ჩადენის გარეშე.

მუხლი 8. დარღვევის მცდელობა

1. დარღვევის მცდელობად ითვლება პირის გამიზნული მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა
2. დარღვევის მცდელობის ქმედების დროს, იურიდიულმა ორგანომ შესაძლოა შეამციროს სანქცია, რომელიც შესაბამისად გათვალისწინებულია შესაბამისი რეალური დარღვევისათვის. იგი განსაზღვრავს შემცირების მასშტაბს,

რომელიც მიესადაგება ამ ქმედებას, მაგრამ არ უნდა იყოს ჯარიმის ქვედა ზღვარს ქვევით.

მუხლი 9. დარღვევაში თანამონაწილეობა

1. დისციპლინარულ დარღვევაში თანამონაწილეებად მიიჩნევა ორი ან მეტი პირის მონაწილეობა დისციპლინარული დარღვევის შესრულებაში.
2. პირი, რომელიც გამიზნულად მიიღებს მონაწილეობას დარღვევაში, როგორც ინიციატორი ან თანამონაწილე, ექვემდებარება დასჯას.
3. იურიდიული ორგანო ითვალისწინებს თანამონაწილე მხარის დარღვევის ხარისხს და შეიძლება შეამციროს სანქცია, მაგრამ იგი არ უნდა დავიდეს ჯარიმის ქვედა ზღვარს ქვევით.

III თავი. სპორტული სანქციები

მუხლი 10. სპორტული სანქციების მნიშვნელობა

1. სპორტულ სანქციად ითვლება იურიდიული ორგანოს მიერ დადგენილი დისციპლინარული დარღვევისათვის მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო წინამდებარე კოდექსის გათვალისწინებულ შემთხვევებში – მსაჯის გადაწყვეტილებით, მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ.
2. პირის მიმართ, რომელმაც განახორციელა დისციპლინარული დარღვევა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინამდებარე თავით გათვალისწინებული სპორტული სანქცია.
3. დისციპლინარული დარღვევის განხორციელებისთვის გამოყენებული სპორტული სანქციების სახეები, მითითებულია წინამდებარე კოდექსის მე-11-13 მუხლებში.

მუხლი 11. სპორტული სანქციები ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ

ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპორტული სანქციები:

α. შენიშვნა;

β. ჯარიმა;

გ. ჯილდოს ჩამორთმევა.

მუხლი 12. სპორტული სანქციები ფიზიკური პირების მიმართ

შემდეგი სპორტული სანქციები მიესადაგება მხოლოდ ფიზიკურ პირებს:

ა. გაფრთხილება;
ბ. გაძევება;
გ. დისკვალიფიკაცია თამაშების გარკვეული რაოდენობით, ან გარკვეული დროით;
დ. გასახდელ ოთახში შესვლის ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა;
ე. სტადიონზე შესვლის აკრძალვა;
ვ. საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა.

მუხლი 13. სპორტული სანქციები იურიდიული პირების მიმართ

შემდეგი სანქციები მიესადაგება მხოლოდ იურიდიულ პირებს:

ა. ტრანსფერების აკრძალვა;
ბ. მატჩის ჩატარება მაყურებლის გარეშე;
გ. მატჩის ჩატარება სხვა ქალაქში – ნეიტრალურ სტადიონზე;
დ. მატჩის შედეგის გაუქმება;
ე. დამარცხების მინიჭება;
ვ. ქულების დაკლება;
ზ. შეჯიბრებიდან გარიცხვა;
თ. დაბალ ლიგაში დაქვეითება.

მუხლი 14. შენიშვნა

1. შენიშვნა არის სპორტული სანქცია, რომელსაც აწესებს იურიდიული ორგანო და გამოხატულია პირისთვის წერილობითი შეტყობინების სახით, წესების დაცვის აუცილებლობის მნიშვნელობის შესახებ, მომავალში დარღვევის განხორციელების შემთხვევაში უფრო მკაცრი სანქციის გამოყენების მუქარით.
2. შენიშვნა გამოიყენება იურიდიული ორგანოს მიერ, იმ პირის მიმართ, რომელმაც პირველად განახორციელა უმნიშვნელო დისციპლინური დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს სანქციას მხოლოდ ჯარიმის სახით და არ აღემატება 500 ლარს.

მუხლი 15. ჯარიმა

1. ჯარიმა არის სპორტული სანქცია, რომელსაც აწესებს იურიდიული ორგანო, გამოხატული ფულად გადასახადში და გამოიყენება განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის წინააღმდეგ. ჯარიმის დაწესება და გადახდა ხდება ლარებში.
2. ჯარიმის მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები:
   - უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის – 100 ლარზე;
   - დანარჩენი ლიგის კლუბებისთვის – 50 ლარზე;
   - ფიზიკური პირებისთვის – 50 ლარზე.
3. ჯარიმის მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:
   - უმაღლეს ლიგის კლუბებისთვის – 50 000 ლარს;
   - დანარჩენი ლიგის კლუბებისთვის – 20 000 ლარს;
   - ფიზიკური პირებისთვის – 20 000 ლარს.

ამასთან, ჯარიმის მითითებული მაქსიმალური რაოდენობა არ გამოიყენება წინამდებარე კოდექსის 122-ე მუხლის მიმართ.

4. იურიდიული ორგანოს მიერ დაწესებული ჯარიმა გადახდილი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში, თუ ეს გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებული წინამდებარე კოდექსის შესაბამისად. თუ გასაჩივრების შედეგად პირს უნარჩუნდება ჯარიმის გადახდის ვალდებულება, ის გადახდილ უნდა იქნეს სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწვეტილების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში.
5. კლუბი პასუხისმგებელია ფიზიკური პირის მიერ ჯარიმის გადახდაზე, რომლის განაცხადშიც დისციპლინარული დარღვევის განხორციელების მომენტისთვის შეყვანილი იყო ეს ფიზიკური პირი, მას შემდეგ თუ ფიზიკური პირი ამ კოდექსით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არ გადაიხდის მასზე დაკისრებულ საჯარიმო სანქციას (თანხას). ის ფაქტი, რომ ფიზიკური პირი დატოვებს კლუბს არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან. იურიდიულ პირს უფლება აქვს ფიზიკური პირის სასარგებლოდ გადახდილი თანხა მოსთხოვოს ამ უკანასკნელს.

6. ყველა დაკისრებული ჯარიმა უნდა ჩაირიცხოს სფფ-ის ან შესაბამისი წევრი ორგანიზაციის ანგარიშზე თუ შეჯიბრების დებულებაში სხვა არ არის მითითებული.
7. დისციპლინარული დარღვევის განხორციელებისას ჯარიმის რაოდენობა მითითებულია წინამდებარე კოდექსის სპეციალური ნაწილის მუხლებში ან წინამდებარე კოდექსის დანართ №1-ში და განისაზღვრებიან შეჯიბრებებზე დამოკიდებულებით, რომლებშიც მონაწილეობას იღებს დისციპლინარული დარღვევის ჩამდენი პირი. კომიტეტს უფლება აქვს სფფ-ის წევრი ორგანიზაციის სადისციპლინო კოდექსის მიხედვით განსაზღვროს ჯარიმა იმ ჩემპიონატებში რომელიც ტარდება სფფ-ის ეგიდით და ჯარიმის ოდენობა არ არის განსაზღვრული წინამდებარე კოდექსში.

მუხლი 16. მოპოვებული ჯილდოს ჩამორთმევა

პირს, რომელსაც დაუწესდა სანქცია, უნდა ჩამოერთვას სანქციაში მითითებული ჯილდო, კერძოდ, ფულადი თანხა და სიმბოლური ნიშნები (მედალი, პრიზი და ა.შ.).

მუხლი 17. გაფრთხილება

1. გაფრთხილება არის სპორტული სანქცია, რომელსაც იყენებს მსაჯი მოთამაშის მიმართ, მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ თამაშის წესების შესაბამისად და გამოიხატება მოთამაშისათვის ყვითელი ბარათის ჩვენებაში.
2. მოთამაშის მიერ ერთ მატჩში მიღებულ ორ გაფრთხილებას მოყვება მისი გაძევება (არაპირდაპირი წითელი ბარათი) და შესაბამისად, იგი ავტომატურად ტოვებს მომდევნო მატჩს.
3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე სადისციპლინო კოდექსში სპორტული სანქციის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია გაფრთხილებების რაოდენობა, მოთამაშის მიერ ერთი მატჩის განმავლობაში ორი გაფრთხილების მიღება განიხილება, როგორც გაძევება და ასეთი გაფრთხილებები არ იქნება გათვალისწინებული გაფრთხილებების საერთო რაოდენობის დათვლისას. თუ მოთამაშე ერთიდაიმავე მატჩში ყვითელი

ბარათის მიღების შემდეგ სხვა დარღვევისათვის მიიღებს პირდაპირ წითელ ბარათს, მაშინ ყვითელი ბარათი ჩაითვლება მიღებული ყვითელი ბარათების საერთო რაოდენობაში, ხოლო პირდაპირ წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში მას მანამდე სხვა მატჩებში მიღებული ყვითელი ბარათები არ უუქმდება.

4. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატში მოთამაშე ყოველი 4 გაფრთხილების შემდეგ ტოვებს მომდევნო ტურის ერთ შეხვედრას, ხოლო მწვრთნელი ყოველი ორი გაფრთხილების შემდეგ ტოვებს ერთ შეხვედრას. საქართველოს თასის გათამაშებაში მოთამაშე და მწვრთნელი ყოველი 2 გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ თასის გათამაშების მომდევნო ერთ შეხვედრას, გარდა ფინალური მატჩისა.
5. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მიღებული გაფრთხილებები არ ვრცელდება საქართველოს თასის გათამაშების მატჩებში და პირიქით. თუ მატჩი არ ჩატარდა და დაფიქსირდა ტექნიკური შედეგი, მოთამაშის დისკვალიფიკაციის ვადა უცვლელი რჩება.
6. იმ შემთხვევაში თუ მატჩი რაიმე მიზეზით შეწყდა და მიღებულია გადაწყვეტილება შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების შესახებ, მაშინ ამ მატჩის დროს მიღებული ნებისმიერი გაფრთხილება ძალაშია.
7. მატჩის შედეგის გაუქმების შემთხვევაში:

- თუ მიღებულია გადაწყვეტილება მატჩის გადათამაშების შესახებ, მაშინ ამ მატჩის მსვლელობისას მიღებული გაფრთხილება გაუქმდება. თუ მოთამაშე დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა თავდაპირველ მატჩს, იგი გამოტოვებულად არ ჩაეთვლება.
- თუ მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიმე ან ორივე გუნდისთვის წაგების ჩათვლის შესახებ, მაშინ მატჩის მსვლელობისას მიღებული გაფრთხილება ძალაშია. ამ შემთხვევაში მოთამაშეს, რომელიც ზემოაღნიშნულ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ იღებდა მონაწილეობას, მატჩი ჩაეთვლება გამოტოვებულად.

8. იმ შემთხვევაში თუ გუნდი რაიმე მიზეზის გამო გამოეთიშა შეჯიბრებას, მაშინ ამ გუნდის მოთამაშეების მიერ მიღებული ყველა გაფრთხილება ძალაშია.
9. ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მსვლელობისას სხვა კლუბში გადასულ მოთამაშეებს თან გადაჰყვებათ გაფრთხილებები. რეგიონული ლიგის მოთამაშეებისთვის კი მოქმედებს განსხვავებული წესი: რეგიონული ლიგის გუნდიდან ყველა სხვა ლიგის გუნდში ან ყველა სხვა ლიგის გუნდიდან რეგიონული ლიგის გუნდში გადასულ მოთამაშეს მიღებული ყვითელი ბარათები არ გადაჰყვება, ხოლო რეგიონული ლიგის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას მიღებული ყვითელი ბარათები ძალაში დარჩება.
10. ერთი სეზონის მსვლელობისას მიღებული გაფრთხილებები არ გადადის მომდევნო სეზონზე.

მუხლი 18. გაძევება

1. გაძევება არის სპორტული სანქცია, რომელიც გამოიყენება მსაჯის მიერ მატჩის მონაწილეთა მიმართ, მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ, თამაშის წესების დარღვევისათვის და გამოიხატება მსაჯის მოთხოვნაში – დამრღვევმა პირმა დატოვოს საფეხბურთო მინდორი და მიმდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონის ჩათვლით). გაძევებულს შეიძლება მიეცეს ტრიბუნაზე დაჯდომის უფლება, თუ მას არ მიეთითება სტადიონის დატოვება.
2. მოთამაშის გაძევებისას მსაჯი მას უჩვენებს წითელ ბარათს. მატჩის მონაწილე სხვა პირების გაძევებისას მსაჯი სიტყვიერად უცხადებს გაძევებულ პირს დატოვოს მინდორი და მისი მიმდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონის ჩათვლით). გაძევება შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია გაძევება, როცა პირი იღებს პირდაპირ წითელ ბარათს, ხოლო არაპირდაპირი – როცა პირი ერთ თამაშში ღებულობს ორ ყვითელ ბარათს.
3. გაძევება ავტომატურად იწვევს მომდევნო თამაშის გამოტოვებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი მიღებულია იმ

მატჩში, რომელიც შემდგომ შეწყდა ან მისი შედეგი გაუქმდა. სადისციპლინო კომიტეტს შეუძლია გაზარდოს დისკვალიფიკაცია წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.

4. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებში მიღებული წითელი ბარათი მოქმედებს საქართველოს თასის გათამაშების მატჩებში და პირიქით.

მუხლი 19. სპორტული დისკვალიფიკაცია

1. სპორტული დისკვალიფიკაცია არის სპორტული სანქცია, რომელიც დაწესებულია იურიდიული ორგანოს მიერ, ავტომატური დისკვალიფიკაციის შემთხვევების გამოკლებით და გამოიხატება შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლების აკრძალვით.
2. დისკვალიფიკაცია გამოიყენება, როგორც მოთამაშეების, ასევე კლუბების ოფიციალური პირების მიართ.
3. დისკვალიფიცირებული პირი არ უნდა იყოს შეყვანილი მატჩის ოქმში. დისკვალიფიცირებულ ოფიციალურ პირს არ აქვს უფლება მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ შეასრულოს შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობები, ასევე ის არ უნდა იმყოფებოდეს ტექნიკურ ზონაში, გასახდელში და ტრიბუნის ქვეშ განთავსებულ შენობებში.
4. დისკვალიფიკაცია განისაზღვრება მატჩების და გარკვეული დროის (დღეები, თვეები ან წლები) ოდენობით, თუ წინამდებარე კოდექსში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, იგი არ უნდა აჭარბებდეს 24 მატჩს ან 2 წელს. ანტიდოპინგის წესების დარღვევისათვის ან გარიგებული მატჩების ორგანიზებისათვის დისკვალიფიკაცია შეიძლება იყოს სამუდამო.
5. თუ მატჩი არ დამთავრდა, ხოლო შედეგი ანულირებულ იქნა, ან ერთ-ერთ გუნდს ან ორივეს ჩაეთვალა წაგება, დისკვალიფიკაცია ჩაითვლება რეალიზებულად. იმ შემთხვევაში, თუ დაინიშნება გადათამაშება, ან მატჩი არ ჩატარდება, დისკვალიფიკაცია არ ითვლება რეალიზებულად.

6. მიმდინარე სპორტულ სეზონში განუხორციელებელი ან დაუსრულებელი დისკვალიფიკაცია (ავტომატური დისკვალიფიკაციის ჩათვლით) გადადის მომდევნო სპორტულ სეზონზე. ხოლო ყვითელი ბარათების გამო გამოწვეული სანქცია არ გადადის მომდევნო სპორტულ სეზონზე.
7. მოთამაშეებზე და ოფიციალურ პირებზე დაწესებული ყველა დისკვალიფიკაცია ძალაში რჩება მათი სხვა გუნდში გადასვლისას.
8. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი რაიმე მიზეზით გამოეთიშა ჩემპიონატს, მაშინ ამ გუნდის მოთამაშეების ყველა დისკვალიფიცია ძალაშია.
9. თუ მატჩის გამოტოვებასთან ერთად დაწესებულია ჯარიმა, მატჩის გამოტოვება შეიძლება გახანგრძლივდეს, ვიდრე არ მოხდება ჯარიმის მთლიანად გადახდა.
10. თუ სფფ-ის ეგიდით ჩატარებული ჩემპიონატების დებულებების მიხედვით მოთამაშეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ერთდროულად რამდენიმე ასეთ ჩემპიონატში, მიღებული სპორტული დისკვალიფიკაცია გავრცელდება თითოეულ მათგანზე. დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა განისაზღვრება იმ კონკრეტული ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით, სადაც მოთამაშეს დაეკისრა დისკვალიფიკაცია-შესაბამისად,სანამ იგი სრულად არ მოიხდის აღნიშნულ სახის სპორტულ სანქციას ამ ჩემპიონატში, ვერ მიიღებს მონაწილეობას რომელიმე სხვაში.

მუხლი 20. გასახდელში შესვლის და/ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა

გასახდელში შესვლის და/ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა არის სპორტული სანქცია, რომელიც ართმევს უფლებას პირს, შევიდეს გუნდის გასახდელში და/ან იმყოფებოდეს სათამაშო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ კი ტექნიკურ ზონაში.

მუხლი 21. სტადიონზე შესვლის აკრძალვა

სტადიონზე შესვლის აკრძალვა არის სპორტული სანქცია, როდესაც პირს არა აქვს ერთ ან რამოდენიმე სტადიონის ტერიტორიაზე შესვლის უფლება.

მუხლი 22. ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა

1. ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა არის სპორტული სანქცია, რომელიც იურიდიული ორგანოს მიერ არის დაწესებული და გამოიხატება პირის მიმართ განსაზღვრული დროით ან სამუდამოდ, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვაში.
2. პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება აღნიშნული სანქცია, არ შეიძლება შეყვანილი იყოს შეჯიბრების განაცხადში, მოთამაშის, მწვრთნელის, ხელმძღვანელის ან სხვა რანგში. მას არ შეუძლია განახორციელოს აგენტის, სამსაჯო და სადამკვირვებლო საქმიანობა, ასევე იყოს დელეგატი და აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა ფეხბურთის სუბიექ-ტებში ან ფეხბურთის სუბიექტების დავალებით.

მუხლი 23. ტრანსფერების აკრძალვა

ტრანსფერების აკრძალვა არის სპორტული სანქცია, როდესაც კლუბს ეკრძალება სატრანსფერო პერიოდში მოთამაშეების რეგისტრაცია.

მუხლი 24. მატჩის ჩატარება მაყურებლის გარეშე

1. მაყურებლის გარეშე მატჩის (მატჩების) ჩატარება არის სპორტული სანქცია, რომელსაც აწესებს იურიდიული ორგანო და გამოიხატება კლუბის ვალდებულებაში განსაზღვრული საშინაო მატჩი (მატჩები) ჩაატაროს მაყურებლის გარეშე. ასეთ მატჩზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ მატჩის ოფიციალურ პირებს, აკრედიტებულ ჟურნალისტებს, კლუბების თანამშრომლებს და სფფ-ს წარმომადგენლებს.

მუხლი 25. მატჩის ჩატარება სხვა ქალაქში ნეიტრალურ სტადიონზე

1. მატჩის ჩატარება სხვა ქალაქში ნეიტრალურ სტადიონზე არის სპორტული სანქცია, დაწესებული იურიდიული ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატულია კლუბის ვალდებულებაში საშინაო მატჩი (მატჩები) ჩაატაროს სხვა ქალაქში.

2. კლუბი, რომლის მიმართაც დაწესებულია აღნიშნული სანქცია, ვალდებულია ჩაატაროს მატჩი შეჯიბრების დებულების შესაბამისად.
3. აღნიშნული სანქციის დაწესებისას იურიდიული ორგანო განსაზღვრავს საშინაო თამაშების რაოდენობას, რომლებშიც ის უნდა განხორციელდეს, ამასთან აღნიშნული სპორტული სანქციის განხორციელება უნდა მოხდეს უახლოეს საშინაო მატჩებში, იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 26. მატჩის შედეგების გაუქმება

1. მატჩის შედეგების გაუქმება იურიდიული ორგანოს მიერ დაწესებული სპორტული სანქციაა, რომელიც გამოხატულია განსაზღვრული მატჩის შედეგების გაუქმებაში.
2. მატჩის შედეგების გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს გადათამაშების დანიშვნა, მატჩში მონაწილე ერთ-ერთი ან ორივე გუნდისათვის წაგების მინიჭება. მატჩის შედეგის გაუქმება ხორციელდება წინამდებარე კოდექსით ან შეჯიბრების დებულებით, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული მატჩის შედეგის გაუქმება – იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით.
3. მატჩის შედეგების გაუქმება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სფფ-ს მიერ შეჯიბრების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე, ასევე სფფ-ს მიერ შეჯიბრების საბოლოო შედეგების დამტკიცების შემდეგაც. თუ აღნიშნული სანქცია დაწესებულია სფფ-ს მიერ შეჯიბრების საბოლოო შედეგების დამტკიცების შემდეგ, მაშინ სფფ-ს უფლებამოსილ ორგანოს შეჯიბრების საბოლოო შედეგებში შეაქვს შესაბამისი ცვლილებები.

მუხლი 27. დამარცხების მინიჭება

1. დამარცხების მინიჭება არის სპორტული სანქცია, დაწესებული იურიდიული ორგანოს მიერ, რომელიც აუქმებს ნათამაშევი მატჩის შედეგს და გარკვეულ კლუბს უთვლის დამარცხებას ანგარიშით 0-3 ან სხვა ანგარიშით, რომელიც

გათვალისწინებულია წინამდებარე კოდექსით, თამაშის წესებით ან შეჯიბრების დებულებით, ხოლო თუ მატჩი არ შედგა, მაშინ გარკვეულ კლუბს უთვლის დამარცხებას 0-3 ან სხვა ანგარიშით, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კოდექსით, თამაშის წესებით ან შეჯიბრების დებულებით.

2. გუნდი, რომელსაც ენიჭება დამარცხება, ითვლება მატჩში წაგებულად, ხოლო მოწინააღმდეგე არის მოგებული, გარდა იმ შემთხვევისა როცა ორივე გუნდს მიენიჭება დამარცხება.
3. თუ, გუნდმა, რომელსაც მიენიჭა დამარცხება, მატჩი წააგო 0-3-ზე მეტი სხვაობით, მაშინ ფაქტიური ანგარიში ძალაშია.
4. გუნდისთვის დამარცხების მინიჭების შემთხვევაში, ძალაშია მატჩში მონაწილე მოთამაშეებისა და კლუბის ოფიციალური პირების მიმართ დაწესებული სპორტული სანქციები.

მუხლი 28. ქულების დაკლება

1. ქულების დაკლება არის სპორტული სანქცია, დაწესებული იურიდიული ორგანოს მიერ, რაც გამოიხატება კლუბის მიერ მოპოვებული ქულების ჩამორთმევაში, იმ შეჯიბრში, რომელშიც იგი იღებდა მონაწილეობას და რომელშიც დაკავებული ადგილების განაწილება ხორციელდება დაგროვილი ქულების შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება ქულების დაკლების შესახებ მიიღება შეჯიბრების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე, თუ წინამდებარე კოდექსში სხვა არ არის მითითებული.
3. თუ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქულების დაკლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შეჯიბრების საბოლოო შედეგების დამტკიცების შემდეგ და მომდევნო შეჯიბრების დაწყებამდე, იურიდიული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას კლუბისთვის ქულების დაკლების თაობაზე მომდევნო შეჯიბრში. აღნიშნული სანქციის დაწესება ხდება იმ შეჯიბრის დაწყებამდე, რომელშიც მონაწილეობას იღებს კლუბი.
4. სადისციპლინო ორგანო იყენებს კლუბისათვის 3 ქულის დაკლების სანქციას, სფფ-ს ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტის წარდგენით, თუ ადგილი აქვს ფეხბურთელთა სტატუსისა და

ტრანსფერის დებულებების დარღვევას, აგრეთვე მოქმედებს დამოუკიდებლად, თუ კლუბის მიერ დარღვეულ იქნა წინამდებარე ან სფფ-ს სხვა დებულებები და/ან წესდება.

მუხლი 29. შეჯიბრებებიდან გარიცხვა

– 1. შეჯიბრებებიდან გარიცხვა არის სპორტული სანქცია, დაწესებული იურიდიული ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატულია კლუბისთვის მონაწილეობის უფლების ჩამორთმევაში მიმდინარე და/ან მომავალ შეჯიბრებებში და გამოიყენება წინამდებარე კოდექსით და შეჯიბრებების დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
– 2. აღნიშნული სანქცია გამოიყენება იმ შეჯიბრებებთან მიმართებაში, რომელშიც განხორციელდა დისციპლინარული დარღვევა.
–
– **მუხლი 30. დაბალ დივიზიონში დაქვეითება**
– დაბალ დივიზიონში დაქვეითება არის სპორტული სანქცია, დაწე- სებული იურიდიული ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატულია კლუბის დაქვეითებაში დაბალ დივიზიონში სფფ-ს მიერ დამტკიცებული შეჯიბრებების სტრუქტურის შესაბამისად.
–

IV თავი. სპორტული სანქციების გამოყენების საერთო წესები

მუხლი 31 კომბინირებული სპორტული სანქციების გამოყენება

წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთი დისციპლინარული დარღვევის ჩადენისათვის იურიდიულ ორგანოს შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს რამდენიმე სპორტული სანქცია.

მუხლი 32. სპორტული სანქციების გამოყენება დისციპლინური დარღვევის ერთობლიობის დროს

1. წინამდებარე კოდექსის შესაბამისად დისციპლინარული დარღვევების ერთობლიობისას პირს ეკისრება სპორტული

პასუხისმგებლობა ჩადენილი თითოეული დისციპლინარული დარღვევისათვის.

2. დისციპლინარული დარღვევების ერთობლიობისას სპორტული სანქციები გამოიყენება გამორიცხვის მეთოდით – ნაკლებად მკაცრი სპორტული სანქციის უფრო მკაცრი სპორტული სანქციით შეცვლით და/ან გამოყენებული სპორტული სანქციების ნაწილობრივ ან სრული შეკრების გზით.
3. ნაკლებად მკაცრი სპორტული სანქციის უფრო მკაცრი სპორტული სანქციით შეცვლა და/ან გამოყენებული სპორტული სანქციების ნაწილობრივ ან სრული შეკრება შესაძლებელია მხოლოდ ერთი სახის სპორტულ სანქციასთან მიმართებაში.

მუხლი 33. პირობითი სპორტული პასუხისმგებლობის დაკისრება

1. თუ სპორტული სანქციის დაწესების დროს იურიდიული ორგანო, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მივა იმ დასკვნამდე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია რეალური განხორციელების გარეშე, ის ადგენს დანიშნული სპორტული სანქცია ჩაითვალოს პირობითად.
2. პირობითი სპორტული სანქცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებითი სანქციის სახით აუცილებელი ძირითადი სპორტული სანქციის გამოყენებით.
3. პირობითი სპორტული სანქციის გამოყენებისას იურიდიული ორგანო ითვალისწინებს ჩადენილი დისციპლინარული დარღვევის ხასიათს და საფრთხის ხარისხს, დამრღვევის პიროვნებას, მათ შორის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.
4. პირობითი სპორტული სანქციის დანიშვნისას იურიდიული ორგანო დამნაშავე პიროვნებას უწესებს გამოსასწორებელ ვადას 3 თვიდან 2 წლამდე, რომლის დროსაც აღნიშნულმა პირმა თავისი ქცევით უნდა დაამტკიცოს, რომ ის გამოსწორდა.
5. პირობით სპორტულ სანქციებად შეიძლება დაწესებულ იქნას შემდეგი სანქციები: დისკვალიფიკაცია, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა, მატჩის

ჩატარება მაყურებლის გარეშე, მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში. სხვა პირობითი სპორტული სანქციების დაწესება დაუშვებელია.

6. თუ პიროვნება, რომელსაც დაუწესდა სპორტული პასუხისმგებლობა, დისციპლინარული დარღვევის გამოსაცდელ ვადაში ჩაიდენს დარღვევას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია რომელიმე სპორტული სანქციის გამოყენების შესაძლებლობა (მითითებული ამ მუხლის მე-5 პუნქტში), გამოიწვევს სპორტული სანქციის პირობითი აღსრულების გაუქმებას და იურიდიული ორგანო გადაწყვეტს მის შემდგომ განხორციელებას.
7. ანტიდოპინგის წესების დარღვევისათვის პირობითი სანქციის დაწესება დაუშვებელია.

მუხლი 34. სპორტული სანქციების გადატანა შემდგომ სეზონზე

მიმდინარე სპორტულ სეზონში განუხორციელებელი ან დაუსრულებელი სპორტული სანქციები, მითითებული წინამდებარე კოდექსის მე-19 – 25-ე და 28-ე მუხლებში გადადის მომდევნო სეზონში.

მუხლი 35. ხანდაზმულობის პერიოდი

1. პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სპორტულ პასუხისმგებლობაში და მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპორტული სანქცია ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო. ხანდაზმულობის ვადა შედგება:

ა. 2 წელი – დისციპლინარული დარღვევებისას, რომელიც განხორციელებულია მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ.

ბ. 8 წელი – ანტიდოპინგური წესების დარღვევისას.

გ. სპორტული სამართლიანობის დარღვევებთან დაკავშირებით (როგორც ეს განისაზღვრება წინამდებარე დებულების 122-ე მუხლში), ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებს.

დ. 10 წელი – სხვა დისციპლინარული დარღვევებისას.

2. დისციპლინარული დარღვევებისას სპორტული სანქციების გამოყენების ხანდაზმულობის ვადა იწყება:ᵹ
α. დისციპლინარული დარღვევის შესრულების დღიდან.
β. დისციპლინარული დარღვევის არაერთხელ განხორციელების შემთხვევაში – უკანასკნელი დისციპლინარული დარღვევის განხორციელების დღიდან.
გ. ხანგრძლივი დისციპლინური დარღვევის განხორციელების შემთხვევაში – მისი დასრულების დღიდან.
3. დ. ხანდაზმულობის ვადა არ გამოიყენება, თუ იურიდიული ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

მუხლი 36. პასუხისმგებლობა მაყურებელთა ქცევაზე

1. მასპინძელი კლუბი წინამდებარე კოდექსის შესაბამისად პასუხისმგებელია დარღვევებზე, რომლებსაც ჩაიდენს მაყურებლები.
2. სტუმარი კლუბი, წინამდებარე კოდექსის შესაბამისად პასუხს აგებს მისი მხარდამჭერი მაყურებლების მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევებზე (შეჯიბრების დებულების შესაბამისად სტადიონზე ისინი უნდა იმყოფებოდნენ სტუმარი კლუბისათვის გამოყოფილ ადგილებზე).
3. მაყურებლები, რომლებიც შეჯიბრების დებულების შესაბამისად მასპინძელი კლუბის მიერ სტუმარი კლუბისთვის სტადიონზე გამოყოფილ ადგილებზე განთავსდებიან, ითვლებიან სტუმარი გუნდის გულშემატკივრებად, თუ სხვა არ მტკიცდება.
   მაყურებლები, რომლებიც შეჯიბრების დებულების შესაბამისად არ იმყოფებიან მასპინძელი კლუბის მიერ სტუმარი კლუბისთვის გამოყოფილ ადგილებზე, ითვლებიან მასპინძელი გუნდის გულშემატკივრებად, თუ სხვა არ მტკიცდება.
4. მესამე პირი (კლუბი) პასუხს აგებს მისი მხარდამჭერი მაყურებლების მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევაზე, რომელიც მიმართულია მასპინძელი ან სტუმარი გუნდის წინააღმდეგ.

V თავი. სპორტული სანქციების განხორციელება

მუხლი 37. სპორტული სანქციების განხორციელების ვალდებულება

1. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით გამოყენებული სპორტული სანქციის შესრულების ვალდებულება ეკისრება პირს, რომლის მიმართაც აღნიშნული სპორტული სანქცია იყო გამოყენებული, იმ შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც წინამდებარე კოდექსით არის გათვალისწინებული.
2. სპორტული სანქციის შესრულების ვალდებულება დგება იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.
3. ფიზიკური პირი, რომელსაც იურიდიული ორგანოს გადაწვეტილებით დაეკისრა ჯარიმის გადახდის ვალდებულება, ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი ჯარიმის გადახდაზე. კლუბი პასუხს აგებს ფიზიკური პირის მიერ ჯარიმის გადახდაზე წინამდებარე კოდექსის 15.5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 38. პასუხისმგებლობა სპორტული სანქციების შეუსრულებლობაზე

1. სპორტული სანქციის შეუსრულებლობისათვის დგება წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
2. თუ ოფიციალურ მატჩში გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობას მიიღებს მოთამაშე, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სპორტული სანქცია დისკვალიფიკაციის სახით ან აკრძალული ჰქონდა ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობა, გუნდს ჩაეთვლება წაგება.
3. წინამდებარე კოდექსით დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, იურიდიული ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს გადაუხდელი ჯარიმის ოდენობა არაუმეტეს 50%-ით გადახდის დადგენილი ვადის თითოეული დარღვევისათვის.
4. სხვა შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალიწინებული წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, იურიდიული

ორგანოს უფლება აქვს ასეთი პირის მიმართ გამოიყენოს შემდეგი:

- დააჯარიმოს თანხით, რომელიც არ აღემატება წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური ჯარიმის ოდენობას.
- გაზარდოს ადრე დაკისრებული სპორტული სანქცია, მაგრამ არაუმეტეს 2-ჯერ.
- დააკისროს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული უფრო მკაცრი სპორტული სანქცია.

მუხლი 153. სპორტული სანქციების შესრულების შეჩერება

1. სპორტული სანქციის შესრულება შეიძლება შეჩერებულ იქნეს იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით, თუ პირისთვის დაკისრებული სპორტული სანქციის ვადა შეადგენს არანაკლებ 2 მატჩს ან 1 თვეს და არაუმეტეს 5 მატჩს ან 6 თვეს და თუ ეს დასაშვებია საქმის გარემოებებით, კერძოდ, თუ Dდამრღვევი პირის წარსული მონაცემები იძლევა ამის საშუალებას.
2. დასაშვებია მხოლოდ შემდეგი სპორტული სანქციების შესრულების შეჩერება: დისკვალიფიკაცია, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების აკრძალვა, მატჩის ჩატარება მაყურებლის გარეშე, მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში.
3. სპორტული სანქციის შესრულების შეჩერება ხორციელდება მხოლოდ დაინტერესებული პირის შუამდგომლობით და დასაშვებია სასჯელის არანაკლებ ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ. იურიდიულ ორგანოს უფლება არ აქვს დამოუკიდებლად მოახდინოს სპორტული სანქციების შეჩერების ინიცირება.
4. სპორტული სანქციის შესრულების შეჩერება დაუშვებელია თუ პირის მიერ ჩადენილია წინამდებარე კოდექსის 122-ე მუხლში გათვალისწინებული დარღვევები.
5. სპორტული სანქციის შესრულების შეჩერებისას, იურიდიული ორგანო პირს, რომლის მიმართაც ხდება სპორტული სანქციის შეჩერება, უნიშნავს გამოსაცდელ ვადას 2 თვიდან 2 წლამდე.
6. თუ პირი, რომლის მიმართაც შეჩერებულია სპორტული სანქციის

შესრულება, გამოსაცდელ პერიოდში ჩაიდენს სხვა დარღვევას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ერთ-ერთი სპორტული სანქციის გამოყენების შესაძლებლობა (მითითებული წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში), გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში, შეჩერება ავტომატურად უქმდება და თავდაპირველ სანქციას დაემატება ახალი დარღვევისათვის გამოტანილი სანქცია.

7. თუ გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში, პირი რომლის მიმართაც შეჩერებულია სპორტული სანქციის შესრულება, არ ჩაიდენს დისციპლინარულ დარღვევას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ერთ-ერთი სპორტული სანქციის გამოყენების შესაძლებლობა (მითითებული წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში), მაშინ გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ შეჩერებული სპორტული სანქცია იხსნება.

მუხლი 40. სპორტული სანქციების შემდგომი შესრულებისგან გათავისუფლება

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით პირი შეიძლება გათავისუფლდეს სპორტული სანქციების შემდგომი შესრულებისგან, თუ ეს დასაშვებია საქმის გარემოებებიდან, კერძოდ სპორტული სანქცია დაკისრებული პირის დახასიათების გათვალისწინებით.
2. სპორტული სანქციის შემდგომი შესრულებისგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სპორტული სანქციის ფაქტიური განხორციელებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სანქცია სამუდამოა – დაკისრებული სპორტული სანქციის ფაქტიური რეალიზაციიდან 5 წლის შემდეგ.
3. დასაშვებია მხოლოდ შემდეგი სპორტული სანქციების შესრულებისგან გათავისუფლება: დისკვალიფიკაცია, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების აკრძალვა, მატჩის ჩატარება მაყურებლის გარეშე, მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში.

4. დაუშვებელია სპორტული სანქციის შემდგომი შესრულებისგან გათავისუფლება თუ პირს დაკისრებული აქვს სანქცია ანტიდოპინგის წესების დარღვევისათვის და გარიგებული მატჩების ორგანიზებისათვის.

III ნაწილი. იურიდიული ორგანოები
VI თავი. სპორტული სანქციების გამოყენების უფლებამოსილი ორგანოები

მუხლი 41. სფფ-ს სადისციპლინო სამსახური და იურიდიული ორგანოები

1. სფფ თავისი იურისდიქციის ფარგლებში პასუხიმგებელია ჩადენილი დარღვევების წინააღმდეგ სანქციების გატარებაზე;
2. დისციპლინარული დარღვევების მიმართ სპორტული სანქციების გამოყენება ხორციელდება სფფ-ს სადისციპლინო სამსახურის, სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების მიერ.
3. დისციპლინარულ დარღვევებს: 4 მატჩამდე ან ერთ თვემდე დისკვალიფიკაციას, კლუბებისათვის 5000 ლარამდე ჯარიმებს, ფიზიკური პირებისათვის 3000 ლარამდე ჯარიმებს, რომლების ამ კოდექსის მიხედვით არ ექვემდებარებიან გასაჩივრებას განიხილავს სფფ-ის სადისციპლინო სამსახური. სადისციპლინო სამსახურის წევრებს ნიშნავს სფფ-ის პრეზიდენტი.

მუხლი 42. საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი

1. სააპელაციო კომიტეტის მიერ მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სფფ-ს წესდებით განსაზღვრულ საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში.
2. სფფ-ს მიერ აღიარებული საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი უფლებამოსილია განიხილოს საბოლოო ინსტანციაში სფფ-ს წესდებებთან, დებულებებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა იმ დავებისა, რომელებიც დაკავშირებულია თამაშის

წესების დარღვევასთან, პირების 4 მატჩამდე ან 1 თვემდე დისკვალიფიკაციასთან და ტექნიკურ საკითხებთან.

3. სფფ, ფედერაციები, ლიგები, კლუბები, მოთამაშეები, ოფიციალური პირები, მატჩის ოფიციალური პირები და ფეხბურთის სხვა სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალი დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოდ და დაიცვან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

VII თავი. საერთო წესები იურიდიული ორგანოებისათვის

მუხლი 43. სფფ-ს იურიდიული ორგანოების შემადგენლობა

1. სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების წევრებს ოთხ-ოთხი წლით, სფფ-ს – პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი;
2. აღმასრულებელი კომიტეტი ნიშნავს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების თავმჯდომარეებს დანიშნული წევრებიდან;
3. თითოეული კომიტეტი სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეებს.
4. თითოეული კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება.

მუხლი 44. სხდომები

1. სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების სხდომები უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები თუ მას ესწრება სულ მცირე სამ-სამი წევრი;
2. თუ თავმჯდომარე არ ესწრება სხდომას, მას ცვლის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 45. დამოუკიდებლობა

1. სფფ-ს იურიდიული ორგანოები გადაწყვეტილებებს იღებენ აბსოლუტურად დამოუკიდებლად, სხვა ორგანოებისგან ინსტრუქციების გარეშე;

2. სფფ-ს სხვა ორგანოს წევრს არა უფლება დაესწროს იურიდიული ორგანოების განხილვებს თუ ის გამოძახებული არ არის სხდომაზე.
3. სფფ-ს იურიდიული ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების გამოტანის დროს სხდომათა დარბაზში შეიძლება იყვნენ მხოლოდ იურიდიული ორგანოს წევრები.

მუხლი 46. შეუთავსებლობა

სფფ-ს იურიდიული ორგანოების წევრები არ შეიძლება იყვნენ სფფ-ს სხვა იურიდიული კომიტეტების წევრები, ასევე სფფ-ს აღმასრულებელი და მუდმივმოქმედი კომიტეტების წევრები.

მუხლი 47. უარის თქმა

1. სფფ-ს იურიდიული ორგანოების წევრებმა უნდა განაცხადონ უარი ისეთ სხდომებში მონაწილეობაზე, რომელიც ეხება ისეთ საკითხს, სადაც სერიოზული საფუძველი არსებობს მათი ობიექტურობის მიმართ;
2. ეს ეხება შემთხვევებს თუ წევრი:
   ა. პირდაპირაა დაინტერესებული საქმის შედეგით;
   ბ. ასოცირდება რომელიმე მხარესთან;
3. წევრებმა, რომლებიც უარს განაცხადებენ სხდომაში მონაწილეობაზე რომელიმე ზემოთმოყვანილი მიზეზის გამო, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ამის შესახებ თავმჯდომარეს. მონაწილე მხარეებსაც შეუძლიათ უარი გამოთქვან წევრის მიმართ, რომლის ტენდენციურობაშიც დარწმუნებული არიან.
4. თავმჯდომარე მიიღებს გადაწყვეტილებას ტენდენციურობასთან დაკავშირებულ საჩივარზე.

მუხლი 48. კონფიდენციალობა

1. იურიდიული ორგანოების წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი საქმიანობის დროს აღმოჩენილი ყველა დეტალი დარჩეს კონფიდენციალურად (საქმის ფაქტები, განხილვის შინაარსი).
2. მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებების შინაარსი, რომელიც უკვე ეცნობათ მონაწილე მხარეებს შეიძლება გახდეს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

მუხლი 49. იურიდიული ორგანოს თავმჯდომარე

1. იურიდიული ორგანოს თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
ა. ხელმძღვანელობს იურიდიული ორგანოს მუშაობას.
ბ. ხელს აწერს იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებებს.
გ. აკონტროლებს იურიდიული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.
დ. იწვევს იურიდიული ორგანოს სხდომას და ხელმძღვანელობს მას.
ე. ამტკიცებს იურიდიული ორგანოს სხდომების დღის წესრიგს.
ვ. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.
2. იურიდიული ორგანოს თავმჯდომარის არ ყოფნის დროს მის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 50. იურიდიულ ორგანოთა გადაწყვეტილებების შენახვა

1. იურიდიული ორგანოების გადაწყვეტილებების შენახვაზე პასუხისმგებელია პასუხისმგებელი მდივანი
2. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებები ინახება, გადაწყვეტილებების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში.

VIII თავი. სფფ–ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების საქმიანობის სფერო

მუხლი 51. სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის ზოგადი იურისდიქცია

1. სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი განიხილავს, როგორც დისციპლინარულ დარღვევებს, ასევე ყველა სხვა საფეხბურთო დავას, როგორც პირველი ინსტანციის ორგანო.
2. სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი ჩადენილი დისციპლინარული დარღვევების მიმართ იყენებს წინამდებარე კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულ

სპორტულ სანქციებს. სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს უფლება აქვს შეამციროს ან გაზარდოს სადისციპლინო კოდექსით განსაზღვრული სანქციები. კონკრეტულ შემთხვევებში, კომიტეტს უფლება აქვს გამოიყენოს სფფ-ის წევრი ორგანიზაციის სადისციპლინო კოდექსში მითითებული სანქციები, ამ წევრი ასოციაციის/ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატთან მიმართებით.

მუხლი 52. სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის განსაკუთრებული იურისდიქცია

სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი უფლებამოსილია:

1. გამოიტანოს სპორტული სანქცია სერიოზული დისციპლი–ნარული დარღვევების დროს, რაც გამორჩა მატჩის ოფიციალურ პირს.
2. გამოასწოროს მსაჯის მიერ დაშვებული შემდეგი შეცდომები:

- მოთამაშის გაფრთხილება ან გაძევება შეცდომით სხვა მოთამაშის ნაცვლად.
- მოთამაშის არ გაძევება, მისთვის მატჩში მეორე გაფრთხილების ჩვენებისას.

3. მსაჯის მიერ გამოტანილი სასჯელის გარდა, პირის მიმართ გამოიყენოს დამატებითი სპორტული სანქციები
4. სფფ-ს ორგანოების გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისათვის გამოიყენოს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული სპორტული სანქციები.
5. განიხილოს წინამდებარე კოდექსის შესაბამისად შემოტანილი პროტესტები.

მუხლი 53. დისცილინარული სამართალ დარღვევისათვის საქმის წარმოების აღძვრის საფუძველი

1. დისციპლინარული სამართალ დარღვევისათვის საქმის წარმოების აღძვრის საფუძვლად ითვლება მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ სადისციპლინო დარღვევის არსებობაზე:

- მატჩის ოქმში.

- მატჩის დელეგატის, მსაჯების დამკვირვებლის და მსაჯების პატაკებში.
- კლუბების, მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირების და კლუბის ოფიციალური პირების წერილობითი განცხადებებში.
- ფებურთელთა სტატუსის კომიტეტის მიმართვაში.
- პროტესტში.

2. სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით აღძრას საქმის წარმოება დისციპლინარული დარღვევის შესახებ და გამოიყენოს სპორტული სანქციები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასალების ან სხვა საყოველთაოდ მისაწვდომი წყაროებიდან მიღებული მასალების საფუძველზე.

მუხლი 54. სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის ზოგადი იურისდიქცია

სფფ-ს სააპელაციო კომიტეტი პასუხისმგებელია მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრებზე, რომლებიც აღძრულია სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის ნებისმიერი გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

IV ნაწილი. პროცესუალური ნორმები
IX თავი. იურიდიული ორგანოების მიერ საქმის განხილვის ზოგადი წესები

მუხლი 55. ვადების გამოთვლა

1. წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ვადები შეიძლება გამოითვალოს მატჩების, დღეების, თვეების და წლების მიხედვით.
2. დღეების, თვეების და წლების მიხედვით გამოსათვლელი ვადა იწყება იმ თარიღის ან მოვლენის მომდევნო დღეს, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.
3. წლების მიხედვით გამოსათვლელი ვადა იწურება ვადის ბოლო წელიწადის შესაბამის თვეში და რიცხვში. თვეების მიხედვით გამოსათვლელი ვადა იწურება ვადის ბოლო თვის შესაბამის რიცხვში. იმ შემთხვევაში, თუკი თვეების მიხედვით გამოსათვლელი ვადის დასასრული ემთხვევა ისეთ თვეს,

რომელსაც შესაბამისი რიცხვი არ გააჩნია, მაშინ ვადა იწურება ამ თვის ბოლო დღეს.

4. პროცესუალური მოქმედება, რომლის შესასრულებლად დადგენილია განსაზღვრული ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი თარიღის 24 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივარი ან დოკუმენტები ჩაბარებულ იქნა საფოსტო ორგანიზაციაში ვადის უკანასკნელი თარიღის 24 საათამდე, ვადა გამოტოვებულად არ ითვლება.
5. იმ შემთხვევაში, თუკი პროცესუალური მოქმედება შეიძლება უშუალოდ იურიდიული ორგანოს ადგილმდებარეობის ადგილზე, ვადა იწურება იმ საათზე, როდესაც სფფ-ში დადგენილი წესის მიხედვით სრულდება სამუშაო დღე.
6. იმ შემთხვევაში, თუ პროცესუალური მოქმედების შესრულების უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ პროცესუალური მოქმედება უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 56. პროცესუალური ვადების გამოტოვების შედეგები

1. პროცესუალური მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება წინამდებარე რეგლამენტით ან იურიდიული ორგანოს მიერ დადგენილი პროცესუალური ვადის ამოწურვის შემდეგ.
2. პროცესუალური ვადის ამოწურვის შემდეგ შემოტანილი მიმართვები, საჩივრები და დოკუმენტები, თუ არ არის გამოცხადებული შუამდგომლობა გამოტოვებული პროცესუალური ვადების აღდგენის შესახებ, იურიდიული ორგანოს მიერ არ განიხილება და უბრუნდება იმ პირებს, რომელთა მიერ ისინი იქნა შეტანილი.

მუხლი 57. პროცესუალური ვადების აღდგენა და განახლება

1. იმ პირებს, რომლებმაც გამოტოვეს წინამდებარე კოდექსით დადგენილი ვადა მიზეზით, რომელიც იურიდიულმა ორგანომ აღიარა, როგორც საპატიო, გამოტოვებული ვადა შეიძლება აღდგენილ იქნეს.

2. განცხადების შეტანა გამოტოვებული ვადის შესახებ ხორციელდება იმ იურიდიულ ორგანოში, რომელშიც უნდა განხორციელებულიყო პროცესუალური მოქმედება და განიხილება სხდომაზე. საქმეში მონაწილე კლუბებს ეცნობებათ სხდომის თარიღი და დრო, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს შეფერხებას იურიდიული ორგანოსათვის დააყენოს საკითხი ვადის აღდგენის შესახებ.
3. გამოტოვებული ვადის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს აუცილებელი პროცესუალური მოქმედება (საჩივრის შემოტანა, დოკუმენტების წარდგენა), რომლის მიმართებითაც არის გამოტოვებული ვადა.
4. იურიდიული ორგანოს მიერ დანიშნული პროცესუალური ვადები შეიძლება გაგრძელდეს თვით იურიდიული ორგანოს მიერ.

მუხლი 58. იურიდიული ორგანოს სხდომაზე მონაწილეობის უფლება

1. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი უფლებამოსილია განხილვაზე მოიწვიოს და საქმის მასალები გადაუგზავნოს მხარეს ან მხარეებს, რომელთა მიმართაც წარმოებს საქმის განხილვა. აღნიშნულ შემთხვევაში პირებს შეუძლიათ დაესწრონ სხდომას და მისცენ განმარტებები. იურიდიულ ორგანოს არ აქვს უფლება ასეთ პირს უარი უთხრას სხდომაში მონაწილეობაზე.
2. საკითხის განხილვისას პირს, რომლის მიმართაც იურიდიული ორგანოს მიერ წარმოებს გარჩევა, უფლება აქვს:

α. მისცეს განმარტებები.

β. დაეყრდნოს საქმის მასალებს.

გ.წარადგინოს თავისი არგუმენტები, მტკიცებულებები.

დ. მოითხოვოს მტკიცებულებები.

ე. მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების წარმოდგენაში.

3. იურიდიული ორგანოს სხდომაზე იმ პირის არ დასწრება, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე, არ ახდენს გავლენას გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

მუხლი 59. სხდომაზე მოწვევა

1. საჭიროების შემთხვევაში იურიდიულ ორგანოს შეუძლია დაავალდებულოს პირი დაესწროს სხდომას. ამ შემთხვევაში პირს ეგზავნება წერილობითი მოწვევა.
2. პირს, რომელსაც გამოიძახებენ და არ გამოცხადდება იურიდიული ორგანოს სხდომაზე საპატიო მიზეზის გარეშე, შესაბამისმა იურიდულმა ორგანომ შეიძლება წაუყენოს სპორტული სანქცია ჯარიმის სახით, 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 60. იურიდიულ ორგანოებთან თანამშრომლობის ვალდებულება

1. ყველა პირი, რომელიც დაკავშირებულია განსახილველ საქმესთან, ვალდებულია ითანამშრომლოს იურიდიულ ორგანოებთან საქმის ყველა ვითარების დასადგენად, მათ შორის იურიდიული ორგანოს მოთხოვნით წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მასალა, ვიდეოჩანაწერი, განმარტება და სხვა არსებული ინფორმაცია. იურიდიული ორგანო ადგენს წარმოდგენის გონივრულ ვადას.
2. იმ პირის მიმართ, რომელიც თავს არიდებს იურიდიული ორგანოსთვის დოკუმენტების, მასალის, ვიდეოჩანაწერის, განმარტების და სხვა ინფორმაციის წარდგენას, შესაბამის იურიდიულ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს სპორტული სანქცია ჯარიმის სახით, 500 ლარის ოდენობით.
3. თუ რომელიმე პირი უარს ამბობს იურიდიულ ორგანოსთან თანამშრომლობაზე, ხოლო საჭირო ინფორმაციის მიღების სხვა ხერხი არ არსებობს, მაშინ იურიდიულ ორგანოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეზე არსებული მასალების საფუძველზე.

მუხლი 61. წარმომადგენლობა

1. ფიზიკური პირები მონაწილეობენ იურიდიული ორგანოს მიერ საქმის განხილვაში პირადად ან თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით (მინდობილობის საფუძველზე). ფიზიკური პირის საქმის განხილვაში პირადად მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი საქმეზე.

საჭიროების შემთხვევაში იურიდიული ორგანოს მოთხოვნით პირი ვალდებულია პირადად დაესწროს სხდომას.

2. იურიდიული პირები იურიდიული ორგანოს მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობენ იმ პირის მეშვეობით, რომლებსაც აქვთ უფლება იმოქმედონ იურიდიული პირის სახელით მინდობილობის გარეშე, ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს მინდობილობით.

მუხლი 62. წარმოების ენა

1. დისციპლინარული დარღვევების საქმეთა წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. იურიდიულ ორგანოში ყველა დოკუმენტის წარდგენა ხდება ქართულ ენაზე. თუ დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება უცხო ენაზე, მისი წარმომდგენი პირი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი.
2. პირი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას, ვალდებულია მოიწვიოს თარჯიმანი იურიდიული ორგანოს სხდომაზე.

მუხლი 63. გადაწყვეტილებაში მექანიკური შეცდომების შესწორება

1. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იურიდიულ ორგანოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, არა აქვს მისი გაუქმების ან შეცვლის უფლება, გარდა ახლად აღმოჩენილი გარემოებების მიხედვით გადაწყვეტილების გადახედვისა.
2. იურიდიულ ორგანოს თავისი გადაწყვეტილებით ან დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე შეუძლია შეასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული მექანიკური შეცდომები. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხი განიხილება სხდომაზე.

მუხლი 64. ახლად აღმოჩენილი გარემოებები

1. კანონიერ ძალაში შესული იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გადახედილ იქნეს დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ამგვარი პირის მიერ ისეთი გარემოებების, ფაქტებისა და მტკიცებულებების აღმოჩენისას, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაზე და რომლებიც ობიექტურად არ შეიძლებოდა წარდგენილი ყოფილიყო უფრო ადრე.

2 . ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო გადაწყვეტილების გადახედვაზე მოთხოვნის შეტანა ხდება შესაბამის იურიდულ ორგანოში გადახედვის საფუძვლის აღმოჩენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3. გადაწყვეტილების გადახედვის მიზნით განცხადების შეტანა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 65. ხარჯები

1. სფფ-ს იურიდიული ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაწევს სფფ.
2. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით ხარჯები შეიძლება გაიყოს თანაბრად (ან სხვა პროპორციით) საქმეში მონაწილე რამდენიმე პირს შორის, აგრეთვე დაკისრებულ იქნეს ერთ-ერთ მითითებულ პირზე.
3. იურიდიული ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საკითხის არსზე, განსაზღვრავს, თუ როგორ იქნება განაწილებული ხარჯები. თანხების დადგენა ხდება იურიდიული ორგანოს მიერ და ამგვარი გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

X თავი. მტკიცებულება

მუხლი 66. ცნება და მტკიცებულებების სახეები

1. ჩადენილი დისციპლინარული დარღვევების საქმეზე მტკიცებულებებად ითვლება ნებისმიერი ოფიციალური ცნობები, რომელთა საფუძველზე იურიდიული ორგანო ადგენს იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და რომელთა საფუძველზეც იურიდიული ორგანო იღებს გადაწყვეტილებებს.
2. მტკიცებულების სახით მიიღება:
   - მსაჯების, დელეგატის, მსაჯთა დამკვირვებლის პატაკები.
   - მატჩის ოქმი.
   - პირების, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება, მოწმეების და სხვა პირების განცხადებები და განმარტებები.

- აუდიო და ვიდეოჩანაწერები, ფოტოები.
- სპეციალისტების დასკვნები და განმარტებები.
- სხვა დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმესთან.
- ნივთობრივი მტკიცებულებები.

3. არ შეიძლება იმ მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც აშკარად არ შეესაბამებიან განსახილველ საქმეს.

მუხლი 67. მტკიცებულებების შეფასება

1. იურიდიული ორგანოები აფასებენ მტკიცებულებებს თავიანთი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, საქმის ყველა გარემოებებთან ერთობლიობაში.

მუხლი 68. მატჩის ოქმი და მატჩის ოფიციალური პირების პატაკები

1. მატჩის ოქმი და მატჩის ოფიციალური პირების პატაკები, ითვლება სარწმუნოდ, ვიდრე არ იქნება დამტკიცებული სხვა რამ.
2. იურიდიული ორგანო, დისციპლინარული დარღვევის შესახებ საქმის განხილვის მსვლელობისას შეისწავლის მტკიცებულებებს მატჩის ოქმში და ოფიციალური პირების პატაკებში ცნობების არასანდოობის შესახებ და ითვალისწინებს მათ დისციპლინარული დარღვევის ჩამდენი პირის ბრალეულობის განსაზღვრისას.
3. თუ არსებობს რაიმე შეუსაბამობა მატჩის სხვადასხვა ოფიციალური პირის პატაკებს შორის და არ არის სხვა საშუალება, ფაქტების სხვადასხვა ვერსიების დაზუსტებისა, უპირატესობა ენიჭება მსაჯის პატაკს იმ ინციდენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სათამაშო მოედანზე. მატჩის დელეგატის პატაკს ენიჭება უპირატესობა იმ ინციდენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სათამაშო მოედნის გარეთ.

მუხლი 69. მტკიცებულების ტვირთი

1. დისციპლინარული დარღვევის შესახებ საქმის განხილვის დროს იურიდიული ორგანო აგროვებს მტკიცებულებებს,

რომელთა საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ.

2. პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება და სხვა დაინტერესებული პირები ამტკიცებენ ფაქტებს, რომლებზეც ისინი მიუთითებენ.
3. ანტი-დოპინგის შესახებ წესების დარღვევის შემთხვევაში, მტკიცებულების ტვირთი ეკისრება ეჭვმიტანილს, რომელმაც წარმოადგინა საჭირო მტკიცებულება სანქციის შემცირების ან გაუქმების მიზნით. სანქციების შესამცირებლად, ეჭვმიტანილმა აგრეთვე უნდა დაამტკიცოს, თუ როგორ მოხვდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

XI თავი. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება

მუხლი 70. გადაწყვეტილების მიღება

1. იურიდიული ორგანო გადაწყვეტილებებს იღებს, სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.
2. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს სხდომაზე დამსწრე იურიდიული ორგანოს თითოეული წევრი, გარდა წინამდებარე კოდექსის 51-ე მუხლში მითითებული შემთხვევისა. დაუსწრებელი კენჭისყრა და კენჭისყრა მინდობილობით დაშვებული არ არის. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

მუხლი 71. გადაწყვეტილების შინაარსი

1. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებაში მიეთითება:

- სხდომაზე დამსწრე იურიდიული ორგანოს წევრები.
- პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება.
- ჩადენილი დისციპლინარული დარღვევის გარემოებების მოკლე შინაარსი.
- მითითება წინამდებარე კოდექსის ნორმაზე, რომლის შესაბამისად ხდება გადაწყვეტილების მიღება.
- რეზოლუციური ნაწილი.

- შეტყობინება გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.
- ჯარიმის გადახდის ვადა.

2. გადაწყვეტილებას ხელს აწერს იურიდიული ორგანოს თავმჯდომარე.

მუხლი 72. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

1. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის მიღების მომენტიდან.
2. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას ორგანო, რომელიც განიხილავს საჩივარს იმ პირის მიმართ, რომელზედაც გამოყენებულია სპორტული სანქცია, უფლება აქვს შეაჩეროს ამგვარი სპორტული სანქციის რეალიზაცია – დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

მუხლი 73. ადრესატები

1. პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სპორტული სანქცია, ეგზავნება იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილების ამონაწერი, მიღებიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერის მიღების შემდეგ პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სპორტული სანქცია, უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო იურიდიული ორგანო ვალდებულია წარმოადგინოს სრული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
2. იურიდიული ორგანოების გადაწყვეტილებების შეტყობინება ფაქსით, რეგისტრირებული წერილით ან ელექტრონული ფოსტით, მხარეებისთვის იურიდიულად სავალდებულოა.
3. თუ საჩივარი არ იქნა აღძრული განსაზღვრულ ვადაში, სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება დოპინგთან დაკავშირებით ეცნობება მსოფლიოს ანტი-დოპინგურ სააგენტოს. სააპელაციო კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დოპინგთან დაკავშირებით პარალელურად უნდა ეცნობოს მხარეებს და მსოფლიოს ანტი-დოპინგურ სააგენტოს. სფფ გამოაცხადებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევაზე 30 დღის განმავლობაში.

მუხლი 74. სპორტული სანქციების გაფართოება მსოფლიო მასშტაბებამდე

1. სფფ, ფიფას სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად აგზავნის ფიფაში შუამდგომლობას პირის მიმართ სპორტული სანქციების მსოფლიო მასშტაბებამდე გაფართოების შესახებ.
2. შუამდგომლობა წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების ასლი. მასში უნდა იყოს მითითებული დაჯარიმებული პირის ვინაობა, მისამართი, კლუბი და ასოციაცია;
3. თუ ფიფას იურიდიული ორგანოები ნახავენ, რომ ასოციაციებს, კონფედერაციებს და სხვა სპორტულ ორგანიზაციებს არ მოუთხოვიათ გადაწყვეტილების გაზრდა, რათა იქონიოს მსოფლიო მასშტაბის ეფექტი, ამ ორგანოებს შეუძლიათ თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება.

XII თავი. იურიდიული ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება

მუხლი 75. გასაჩივრების უფლება

1. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სპორტული სანქცია, აგრეთვე სხვა პირს, რომლის ინტერესებს უშუალოდ ეხება იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება.

მუხლი 76. საჩივრის განმხილველი ორგანოები

1. საჩივრები განიხილება სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის და სსფ-ს წესდებით დადგენილ საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული ტრიბუნალის მიერ.

მუხლი 77. საჩივრის შეტანა და მოთხოვნები საჩივრის მიმართ

1. საჩივრის შეტანა ხორციელდება უფლებამოსილ იურიდიულ ორგანოში.
2. საჩივარი უნდა მოიცავდეს:

- იმ იურიდიული ორგანოს დასახელებას, რომელშიც ხდება საჩივრის შეტანა.
- იურიდიული პირის სახელწოდება ან საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო მონაცემები.
- მითითებას გასასაჩივრებელ გადაწყვეტილებაზე.
- საჩივრის მოსაზრებებს.
- მტკიცებულებებს, რომელსაც იშველიებს საჩივრის შემომტანი პირი.
- საჩივრის შემომტანი პირის თხოვნას.
- საჩივარზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალს.

3. საჩივარს ხელს აწერს პირი, რომელსაც შემოაქვს საჩივარი ან მისი წარმომადგენელი. წარმომადგენლის საჩივარს თან უნდა ერთვოდეს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებებს.
4. სააპელაციო საჩივარს თან უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სააპელაციო შენატანის გადახდას.
5. პირი, რომელსაც შემოაქვს საჩივარი, შეუძლია გამოითხოვოს იგი ნებისმიერ მომენტში უფლებამოსილი იურიდიული ორგანოს მიერ საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 78. გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეიძლება გასაჩივრდეს

სააპელაციო კომიტეტში საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილი სანქცია არის:

1. დისკვალიფიკაცია 4 მატჩზე ნაკლები ოდენობით ან 1 თვემდე;
2. კლუბისათვის 5 000 ლარამდე ჯარიმა, ფიზიკური პირისთვის 3 000 ლარამდე ჯარიმა.

მუხლი 79. უარი საჩივრის განხილვაზე

1. საჩივარი უბრუნდება საჩივრის შემომტან პირს, შემდეგ შემთხვევებში:

- საჩივარი არ შეესაბამება წინამდებარე კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.
- სააპელაციო შენატანის გადაუხდელობის შემთხვევაში.

- საჩივარი შეტანილ იქნა იურიდიულ ორგანოში, რომელსაც არ გააჩნია შემოტანილი საჩივრის განხილვის უფლებამოსილება.
- საჩივარი შემოაქვს არასათანადო პირს.
- საჩივარი შემოდის გადაწყვეტილებაზე, რომელიც არ შეიძლება გასაჩივრდეს წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.
- საჩივრის შეტანა ხდება გასაჩივრებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

2. საჩივრის დაბრუნება ხორციელდება იმ იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელშიც ის იქნა შეტანილი. თუკი შესაძლებელია საჩივრის დაბრუნების საფუძვლის აღმოფხვრა მისი შემომტანი პირის მიერ, მაშინ დაბრუნებული საჩივარი ხელახლა უნდა იქნას შეტანილი, მაგრამ გასაჩივრებაზე დადგენილი ვადების ფარგლებში.

მუხლი 80. სააპელაციო საჩივრის ვადები

ნებისმიერმა მხარემ, რომელიც აპირებს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო კომიტეტში, საჩივარი უნდა შეიტანოს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 81. სააპელაციო შენატანი

1. ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს აპელაციის შეტანა უნდა გადარიცხოს სააპელაციო მოსაკრებელი სანქციით გათვალისწინებული თანხის 5%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა სფფ-ს საბანკო ანგარიშზე 7 დღიანი ვადის ამოწურვამდე. ამით საჩივარს მიეცემა ოფიციალური სახე;
2. თუ ეს მოთხოვნა არ იქნა შესრულებული საჩივარი არ განიხილება;
3. სააპელაციო თანხის დაბრუნება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- საჩივარი გამოთხოვილია მის განხილვამდე არანაკლებ 24 საათის ვადაში.
- საჩივარი დაკმაყოფილებულია.
- საჩივარი დაბრუნებულია წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 82. საჩივრის განხილვის ვადა

იურიდიულმა ორგანომ, რომელშიც შეტანილია საჩივარი ქვემდგომი იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, უნდა მიიღოს წარმოებაში და განიხილოს საჩივარი მიღების მომენტიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 83. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებები საჩივართან დაკავშირებით

1. იურიდიულ ორგანოს, რომელმაც განიხილა საჩივარი, უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილება:

- დატოვოს ძალაში ქვემდგომი იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება.
- შეცვალოს ქვემდგომი იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება.
- გააუქმოს ქვემდგომი იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება და მიმართოს საქმე ახალ განხილვაზე.
- გააუქმოს ქვემდგომი იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

2. იურიდიულ ორგანოს გადაწყვეტილება, რომელმაც განიხილა საჩივარი, უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული გადაწყვეტილების შედგენის ზოგად მოთხოვნებს.
3. იმ იურიდიული ორგანოს, რომელმაც განიხილა საჩივარი, უფლება აქვს, როგორც შეამციროს ასევე გაზარდოს ქვემდგომი იურიდიული ორგანოს მიერ დადგენილი სპორტული სანქციის ოდენობა.
4. იურიდიული ორგანოს – სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების ამონაწერი, მხარეებს ეგზავნებათ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერის მიღების შემდეგ პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სპორტული სანქცია, უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო იურიდიული ორგანო ვალდებულია წარმოადგინოს სრული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 84. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში, გადაწყვეტილების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

V ნაწილი. სპეციალური ნაწილი
XIII თავი. მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ დაშვებული დარღვევები

მუხლი 85. თამაშის წესების დარღვევა

თამაშის წესების დარღვევა ისჯება მსაჯის მიერ გაფრთხილებით ან გაძევებით ფიფას თამაშის წესების მე-12 პარაგრაფის შესაბამისად

მუხლი 86. მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობა

1. შეჯიბრის (საქართველოს თასის გარდა) მატჩზე გუნდის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას ჩაეთვლება წაგება 0-3 (მეტოქეს მოგება 3-0), მოიხსნება შეჯიბრებიდან, მომდევნო ჩემპიონატში დაქვეითდება ქვედა ლიგაში და დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 1-ის შესაბამისად.
2. საქართველოს თასის მატჩზე გუნდის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას ჩაეთვლება წაგება, მოიხსნება თასის გათამაშებიდან და დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 1-ის შესაბამისად.
3. წინამდებარე მუხლის 1 და 2-ე პუნქტების ქმედების ორგანიზატორ პირს აეკრძალოს 1 წლით ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა.

მუხლი 87. მატჩის დაწყების შეფერხება

1. მატჩის, დადგენილი დროით დაწყების შეფერხება გუნდის მიზეზით – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 2-ის შესაბამისად.
2. მატჩის, დადგენილი დროით დაწყების შეფერხება გუნდის

მიზეზით, რასაც მოჰყვა სატელევიზიო ტრანსლაციის ჩაგდება – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 88. უარი მატჩის გაგრძელებაზე

1. შეჯიბრის (საქართველოს თასის გარდა) მატჩის გაგრძელებაზე უარი, ანუ გუნდის თვითნებური წასვლა მინდვრიდან მსაჯის ნებართვის გარეშე და შემდგომი უარი მატჩის გაგრძელებაზე – ისჯება წაგების ჩათვლით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 4-ის შესაბამისად.
2. საქართველოს თასის მატჩის გაგრძელებაზე უარი – ისჯება წაგების ჩათვლით, გათამაშებიდან მოხსნით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 4-ის შესაბამისად.

მუხლი 89. მინდორზე გარეშე პირთა და ცხოველების გამოჩენა

1. მინდორზე გარეშე პირთა გამოჩენა, ანუ მინდორზე მსაჯის ნებართვის გარეშე შემოსვლა ისეთი პირებისა, რომლებიც თამაშის წესების თანახმად არ უნდა იმყოფებოდნენ იქ – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 5-ის შესაბამისად.

   შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუკი დადგენილია მინდორზე შემოსული პირის კუთვნილება ერთ-ერთი გუნდისადმი, მაშინ ჯარიმა გამოიყენება შესაბამისი კლუბის მიმართ. თუ ასეთი კუთვნილება არ არის დადგენილი, მაშინ ჯარიმა დაეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ მინდორზე უნებართვოდ შემოსული პირი არის სტუმართა კლუბის კუთვნილება, მაშინ ჯარიმა დაეკისრება სტუმართა კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.
2. მინდორზე ცხოველთა გამოჩენისას მასპინძელი კლუბი დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 6-ის შესაბამისად.

მუხლი 90. ტექნიკური ზონის ფარგლებს გარეთ გასვლა

1. მატჩის დროს ფიზიკური პირის გასვლა ტექნიკური ზონის ფარგლებს გარეთ, მსაჯის ნებართვის გარეშე – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 7-ის შესაბამისად.
2. პირის მიერ არაერთხელ (ორჯერ და მეტჯერ ორ და მეტ სხვადასხვა მატჩში), წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში მითითებული დისციპლინარული დარღვევის ჩადენისათვის, იურიდიულ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს ამ პირის მიმართ დისკვალიფიკაცია 2 მატჩამდე ვადით და დააჯარიმოს წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 8-ის შესაბამისად.

მუხლი 91. მოწევა ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე

1. მოწევა, მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ, მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 9-ის შესაბამისად.
2. პირის მიერ არაერთხელ (ორჯერ და მეტჯერ ორ და მეტ სხვადასხვა მატჩში), წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში მითითებული დისციპლინარული დარღვევის ჩადენვისთვის, იურიდიულ ორგანოს შეუძლია ასეთი პირის მიმართ გამოიყენოს დისკვალიფიკაცია 2 მატჩამდე ვადით და დააჯარიმოს წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 10-ის შესაბამისად.

მუხლი 92. ტექნიკურ ზონაში გარეშე პირთა ყოფნა

მატჩის დროს ტექნიკურ ზონაში იმ პირების ყოფნა, რომლებიც არ არიან შეყვანილი მატჩის ოქმში, გამოიწვევს გუნდის დაჯარიმებას წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 11-ის შესაბამისად.

მუხლი 93. მატჩის მსვლელობაში ჩარევა

მოთამაშის, რომელიც არ იმყოფება მინდორზე და კლუბის ოფიციალური პირის მიერ განზრახ მატჩის მსვლელობაში ჩარევა –

ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 12-ის შესაბამისად.

მუხლი 94. დარღვევები მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ მოთამაშეების და სხვა პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ მატჩის ოფიციალური პირებს

1. მოთამაშე, რომელიც ერთ მატჩში ორი გაფრთხილების გამო გაძევებული იქნება მინდვრიდან – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 13-ის შესაბამისად.
2. „ბოლო იმედის ჯარიმა“, ანუ მეტოქის მოთამაშისთვის თამაშის წესების დარღვევით ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობაში ხელის შეშლისთვის გაძევებული მოთამაშე – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 14-ის შესაბამისად.
3. მოთამაშის მიერ თამაშის წესების სერიოზული დარღვევა (უხეში თამაში), ანუ მოთამაშის მიერ მეტოქის მიმართ გადამეტებული ძალის ან სიხისტის გამოყენება ბურთისათვის ბრძოლისას, როცა ბურთი თამაშშია, მათ შორის ბიძგი, დარტყმა, რომელმაც არ გამოიწვია მეტოქის ტრავმა – ისჯება 2 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართ №1-ის პუნქტი 15-ის შესაბამისად.
4. მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის აგრესიული ქცევა მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, ანუ გადამეტებული ძალის ან სიხისტის გამოყენება მეტოქის წინააღმდეგ, არა ბურთის მოპოვებისათვის და/ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად, მათ შორის განზრახ ბიძგი, საგნების და ბურთის სროლა და სხვა აგრესიული ქცევა – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 16-ის შესაბამისად.
5. თუ წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულმა დარღვევამ გამოიწვია მეტოქის ტრავმა, ასეთი დარღვევა – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 17-ის შესაბამისად.

6. პირის მიერ არაერთხელ (ორჯერ და მეტჯერ ორ და მეტ სხვადასხვა მატჩში) იქნა ჩადენილი წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული დარღვევა, იურიდიულ ორგანოს უფლება აქვს ასეთი პირის მიმართ გამოიყენოს 4 მატჩიანი დისკვალიფიკაცია და დააჯარიმოს წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 18-ის შესაბამისად.
7. მოთამაშის მიერ მეტოქისთვის განზრახ ტრავმის მიყენება – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 19-ის შესაბამისად.
8. ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობა, ჩადენილი მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ, მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მეტოქის ან სხვა პირის მიმართ,რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 20-ის შესაბამისად.
9. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ, მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მეტოქის ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად – ისჯება 5 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 21–ს შესაბამისად.
10. შეფურთხება, ჩადენილი მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მეტოქის და სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 22-ის შესაბამისად.
11. მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის შეურაცხმყოფელი ქცევა მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, ანუ მიუღებელი ლექსიკის გამოყენება, შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამოთქმები, აგრეთვე შეურაცხმყოფელი ჟესტები მეტოქის და სხვა პირების მიმართ, რომლებიც არ ითვლებიან მატჩის ოფიციალურ პირებად – ისჯება 2 მატჩიანი დისკვალიფიკაციით

და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 23-ის შესაბამისად

12. მოთამაშეების მიერ „ფეარ-პლეის“ („სამართლიანი თამაში“) პრინციპების უხეში დარღვევა, რომელიც ნახსენები არ არის წინამდებარე მუხლში – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 24-ის შესაბამისად.

მუხლი 95. დარღვევები მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ

1. მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის შეურაცხმყოფელი ქცევა მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, ანუ მიუღებელი ლექსიკის გამოყენება, შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამოთქმები, აგრეთვე შეურაცხმყოფელი ჟესტები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 25-ის შესაბამისად.
2. შეფურთხება, ჩადენილი მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 6 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 26-ის შესაბამისად.
3. განზრახ ხელის კვრა, ჩადენილი მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 27-ის შესაბამისად.
4. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობა, ჩადენილი მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 28-ის შესაბამისად.
5. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება (განზრახ ხელის კვრის გარდა), მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება პირველ შემთხვევაში 10 მატჩიანი

დისკვალიფიკაციით, ხოლო განმეორების შემთხვევაში 12 თვიანი დისკვალიფიკაციით და დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 29-ის შესაბამისად.

მუხლი 96. არასპორტული საქციელი

არასპორტული საქციელი, მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების მიერ მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, რომელიც არ განეკუთვნება წინამდებარე კოდექსის სხვა დარღვევებს – ისჯება ჯარიმით, რომლის ოდენობასაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე განსაზღვრავს სადისციპლინო სამსახური ან სადისციპლინო კომიტეტი.

მუხლი 97. ჩხუბი

1. ჩხუბი, ანუ მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ რამოდენიმე პირის შეტაკება, რასაც თან ახლავს დარტყმების ურთიერთ მიყენება – ისჯება 5 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ს პუნქტი 31-ის შესაბამისად.
2. მასობრივი ჩხუბი, ანუ ჩხუბი ორზე მეტი პირის მონაწილეობით, რომლებიც არიან მოთამაშეები და/ან კლუბის ოფიციალურ პირები – ისჯება 6 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 32-ის შესაბამისად.

შენიშვნა: პირი, რომელიც ცდილობდა ჩხუბის თავიდან აცილებას, სხვების დაცვას ან ჩხუბში ჩართული სხვა პირების გაშველებას არ ისჯება.

3. თუ, ჩხუბის დროს შეუძლებელია დამრღვევი პირის ამოცნობა, იურიდიული ორგანო დასჯის კლუბს, რომელსაც დამრღვევები მიეკუთვნებიან.

მუხლი 98. გუნდის შეუსაბამო საქციელი

გუნდის შეუსაბამო საქციელი, ანუ გუნდიდან 5 და მეტი მოთამაშის გაფრთხილება ან 4 და მეტი გაფრთხილება პლუს 1 გაძევება ერთ მატჩში ან გუნდიდან 2 და მეტი ფეხბურთელის გაძევება ერთ მატჩში – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 33-ის შესაბამისად.

მუხლი 99. მატჩში არამართლზომიერი მონაწილეობა და ცვლილებების არამართლზომიერი გამოყენება

1. მატჩში არამართლზომიერი მონაწილეობა (ოქმში შეყვანა მონაწილეობას არ ნიშნავს), ანუ მატჩში ისეთი მოთამაშის მონაწილეობა რომელიც კლუბის განაცხადში (დამატებით განაცხადში) შეყვანილი იყო არასარწმუნო დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც არ იქნა გაფორმებული დადგენილი წესით, არ ჰქონდა მოქმედი შრომითი ხელშეკრულება (პროფესიონალ ფეხბურთელებთან მიმართებაში) ასევე იყო დისკვალიფიცირებული – ისჯება დამრღვევი კლუბისთვის წაგების მინიჭებით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 34-ის შესაბამისად.
2. კლუბის მიერ, წინამდებარე მუხლის 1 პუქტში მითითებული დარღვევის განმეორებით განხორციელების შემთხვევაში კლუბი გარიცხული იქნება იმ შეჯიბრებიდან რომელშიც მოხდა განმეორებითი დარღვევა ან გადაყვანილი იქნება დაბალ დივიზიონში.
3. მატჩში იმ ფეხბურთელების მონაწილეობა რომლის დარეგისტრირება მოხდა საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატის გარეშე ასევე დებულებით გათვალისწინებული ფეხბურთელების ცვლილებების წესის დარღვევა ისჯება დამრღვევი კლუბისთვის ჯარიმის დაწესებით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 34.1-ის შესაბამისად

მუხლი 100. მაყურებლის პროვოცირება

1. მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების პროვოკაციული მოქმედებები, რომლებიც ქმნიან სტადიონზე უწესრიგობის წარმოქმნის საფრთხეს – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 35-ის შესაბამისად.
2. მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების პროვოკაციული მოქმედებები, რომლებმაც გამოიწვიეს სტადიონზე უწესრიგობის წარმოქმნა – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 36-ის შესაბამისად.

მუხლი 101. საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის განუხორციელებლობა

1. მასპინძელი კლუბის მიერ სტადიონზე საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის განუხორციელებლობა, რამაც გამოიწვია მაყურებლების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, უწესრიგობა ან სტადიონზე მყოფი პირების უსაფრთხოების საფრთხის ქვეშ დაყენება – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 37-ის შესაბამისად.
2. თუ წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში მითითებული დარღვევებისას სერიოზული შედეგები იქნა მიღებული – კლუბი ისჯება მაყურებლის გარეშე 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 38-ის შესაბამისად.

მუხლი 102. მატჩის დროებით შეწყვეტა და/ან ჩაშლა

1. მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან მოთამაშეები და კლუბის ოფიციალური პირები, რამაც გამოიწვია მასიური უწესრიგობა, რის გამოც დროებით შეწყდა მატჩი, დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 39-ის შესაბამისად.
2. მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან მოთამაშეები და კლუბის ოფიციალური პირები, რამაც გამოიწვია მასიური უწესრიგობა, რის გამოც ჩაიშალა მატჩი, დამნაშავე კლუბი – ისჯება წაგების ჩათვლით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 40-ის შესაბამისად და/ან მაყურებლის გარეშე 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებმაც განახორციელეს მატჩის მსვლელობაში ჩარევა. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის მსვლელობაში ჩარევის

განმახორციელებელი პირების კუთვნილება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ მატჩის მსვლელობაში ჩარევა განახორციელეს პირებმა, რომლებიც წარმოადგენენ სტუმარი კლუბის კუთვნილებას, მაშინ ჯარიმა დაეკისრება სტუმარ კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

3. ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების უდისციპლინო ქცევა, რამაც გამოიწვია მატჩის დროებითი შეწყვეტა – ისჯება დამნაშავე კლუბისთვის ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 41-ის შესაბამისად.
4. ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების უდისციპლინო ქცევა, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა – ისჯება დამნაშავე კლუბისთვის წაგების ჩათვლით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 42-ის შესაბამისად.
5. ორივე გუნდის მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების უდისციპლინო ქცევა, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა – ისჯება ორივე გუნდისთვის წაგების ჩათვლით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 43-ის შესაბამისად.

XIV თავი. მატჩის ორგანიზების და შეჯიბრების დებულების მოთხოვნების დარღვევები

მუხლი 103. მატჩისწინა თათბირებზე გამოუცხადებლობა

მატჩისწინა თათბირებზე კლუბის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 44-ის შესაბამისად.

მუხლი 104. მატჩის ჩატარების პირობების არ უზრუნველყოფა

1. მასპინძელი კლუბის მიერ შეჯიბრების დებულების შესაბამისად მატჩის ჩატარების არ უზრუნველყოფა, მათ შორის სტუმარი გუნდისთვის სავარჯიშო მინდვრის არ წარდგენა, ბურთის მიმწოდებელი ბავშვების არ ყოფნა, მეტოქეების და მატჩის ოფიციალური პირების მიღების, განთავსების და გამგზავრების არ უზრუნველყოფა, სახანძრო მანქანის, სასწრაფო მანქანის და სამართალდამცავი ორგანოების მატჩის დაწყებამდე დაგვიანებით გამოცხადება, სტადიონზე საჭირო განათების უქონლობა, პრესკონფერენციებისა და ინტერვიუების ჩასატარებლად საჭირო პირობების არ შექმნა და შეჯიბრების დებულებით მატჩის ჩასატარებლად დადგენილი პირობების დარღვევების სხვა შემთხვევები – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 45-ის შესაბამისად.
2. მასპინძელი კლუბის მიერ შეჯიბრების დებულებით დადგენილი პირობების განზრახ შეუსრულებლობა, მატჩის დელეგატის იმ მოთხოვნების და მითითებების შეუსრულებლობა, რომელიც დაკავშირებულია მატჩის ორგანიზაციასთან და ჩატარებასთან მიმართებაში თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 46-ის შესაბამისად და/ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით.
3. მასპინძელი ან სტუმარი კლუბის მიერ შეჯიბრების დებულების თანახმად მატჩის ჩატარების პირობების არ უზრუნველყოფა, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა/შეწყვეტა – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 47-ის შესაბამისად და/ან წაგების ჩათვლით.

მუხლი 105. სავალდებულო კონფერენციებზე და/ან ინტერვიუებზე არ მონაწილეობა

მოთამაშის და კლუბის ოფიციალური პირის (მთავარი მწვრთნელი) მიერ სავალდებულო კონფერენციებზე და/ან ინტერვიუებზე არ მონაწილეობა, ასევე კლუბის მიერ სავალდებულო კონფერენციებზე

და/ან ინტერვიუებზე წარმომადგენლების არ გაგზავნა – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 48-ის შესაბამისად.

მუხლი 106. ვიდეოჩანაწერის დროულად წარმოუდგენლობა
შეჯიბრების დებულების თანახმად მატჩის ვიდეოჩანაწერის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 49-ის შესაბამისად.

მუხლი 107. საფეხბურთო დავების განმხილველი უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა
გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა გამორიცხულია.

მუხლი 108. შეჯიბრების დებულების სხვა დარღვევები
მოთამაშის, კლუბის და კლუბის ოფიციალური პირის მიერ შეჯიბრების დებულების დარღვევები, რომლებიც არ ჯდება წინამდებარე კოდექსის სხვა ნორმების ფარგლებში – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 50-ის შესაბამისად.

XV თავი. მატჩის მაყურებლების მიერ ჩადენილი დარღვევები

მუხლი 109. მაყურებლების მიერ მიუღებელი ლექსიკის და შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირება
მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ მაყურებლების მიერ სტადიონზე მიუღებელი ლექსიკის და/ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირება – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 51-ის შესაბამისად.
შენიშვნა: წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ მაყურებლების კუთვნილება, რომლებიც სტადიონზე მიუღებელი ლექსიკით და/ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით სკანდირებდნენ. თუ ამ მაყურებლების სკანდირება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დისციპლინარული დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ სკანდირებას

ახორციელებდნენ სტუმარი კლუბის მაყურებლები, მაშინ ჯარიმა დაეკისრება სტუმარ კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

მუხლი 110. მაყურებლების მიერ ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგნების სროლა

1. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე მაყურებლების მიერ ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგნების (პიროტექნიკური ნაკეთობების გარდა) სროლა – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 52-ის შესაბამისად.
2. მაყურებლების მიერ ნასროლი საგნების მოთამაშეებზე, კლუბის და მატჩის ოფიციალურ პირებზე, გულშემატკივრებზე მოხვედრის შემთხვევაში დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 53-ის შესაბამისად და/ან მაყურებლების გარეშე 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებმაც ისროლეს საგნები. იმ შემთხვევაში, თუ საგნების მსროლელი პირების კუთვნილება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ საგნების სროლას ახორციელებდნენ სტუმარი კლუბის მაყურებლები, მაშინ ჯარიმა დაეკისრება სტუმარ კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

მუხლი 111. მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება და სროლა

1. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე სროლის გარეშე – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 54-ის შესაბამისად.
2. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების სროლა

ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 55-ის შესაბამისად.

3. მაყურებლების მიერ ნასროლი პიროტექნიკური ნაკეთობების მოთამაშეებზე, კლუბის და მატჩის ოფიციალურ პირებზე, გულშემატკივრებზე მოხვედრის შემთხვევაში დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 56-ის შესაბამისად და/ან მაყურებლების გარეშე 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებმაც გამოიყენეს ან ისროლეს პიროტექნიკური ნაკეთობა. იმ შემთხვევაში, თუ პიროტექნიკური ნაკეთობების გამომყენებელი ან მსროლელი პირების კუთვნილება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დისციპლინარული დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებას და სროლას ახორციელებდნენ სტუმარი კლუბის მაყურებლები, მაშინ ჯარიმა დაეკისრება სტუმარ კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

მუხლი 112. უწესრიგობები სტადიონზე

მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე წარმოქმნილი უწესრიგობისას, რომელსაც თან ახლავს ჩხუბი, ძალადობა, დარბევა, ცეცხლის წაკიდება, ქონების დაზიანება, ხელთარსებული საშუალებების გამოყენება, რამაც არ გამოიწვია მატჩის ჩაშლა, დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 57-ის შესაბამისად და/ან მაყურებლებლის გარეშე 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებიც მონაწილეობდნენ უწესრიგობებში. იმ შემთხვევაში, თუ უწესრიგობებში მონაწილე პირების კუთვნილება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დისციპლინარული დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს.

თუ დადგინდა, რომ უწესრიგობებში მონაწილეობდნენ სტუმარი კლუბის მაყურებლები და წარმომადგენლები, მაშინ ჯარიმა დაეკისრება სტუმარ კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

მუხლი 113. მაყურებლების მიერ შეურაცხმყოფელი ხასიათის ან მიუღებელი ლექსიკის შემცველი საშუალებების დემონსტრირება

მაყურებლების მიერ სტადიონზე ბანერების, პლაკატების, ტრანსპარანტების და შეურაცხმყოფელი ხასიათის ან მიუღებელი ლექსიკის შემცველი სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირება – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 58-ის შესაბამისად.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებმაც განახორციელეს ზემოთაღნიშნული საშუალებების საჯარო დემონსტრირება. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე მუხლში მითითებული ქმედებების განმახორციელებელი პირების კუთვნილება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დისციპლინარული დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ აღნიშნულ დარღვევები განხორციელდა სტუმარი კლუბის მაყურებლების მიერ, მაშინჯარიმა დაეკისრება სტუმარ კლუბს, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

მუხლი 114. მაყურებლების არამართლზომიერი ქმედებები

მაყურებლების არამართლზომიერი ქმედებები, ანუ მაყურებლების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, რომლებიც არ ჯდება წინამდებარე კოდექსის სხვა ნორმების მოქმედების ფარგლებში – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 59-ის შესაბამისად, ხოლო სერიოზული შედეგების დადგომის შემთხვევაში – ისჯება მაყურებლების გარეშე 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით.

XVII თავი. დარღვევები პიროვნების, უფლებების და თავისუფლების წინააღმდეგ

მუხლი 115. მატჩის შედეგზე ზეგავლენის მიზნით მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე ზემოქმედება

1. მატჩის შედეგზე ზეგავლენის მიზნით მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება – ისჯება ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვით 1-დან 5 წლამდე და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 60-ის შესაბამისად.
2. მატჩის შედეგზე ზეგავლენის მიზნით მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება, რომელსაც თან ახლავს ზემოაღნიშნული პირების ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქონის რეალური საფრთხის შექმნა, რაც უთანაბრდება ზემოაღნიშნული პირების ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქონისადმი ზიანის მიყენებას – ისჯება ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების სამუდამო აკრძალვით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 61-ის შესაბამისად.

მუხლი 116. მატჩის შედეგზე ზეგავლენის გარეშე მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე ზემოქმედება

1. მატჩის შედეგზე ზეგავლენის გარეშე მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება ისჯება ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვით 1-დან 3 წლამდე და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 62-ის შესაბამისად.
2 მატჩის შედეგზე ზეგავლენის მიზნის გარეშე მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი

ზემოქმედება, რომელსაც თან ახლავს ზემოაღნიშნული პირების ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქონის რეალური საფრთხის შექმნა, რაც უთანაბრდება ზემოაღნიშნული პირების ნათესავებისა და ახლობების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქონისადმი ზიანის მიყენებას – ისჯება ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის სამუდამო აკრძალვით და წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 63-ის შესაბამისად.

მუხლი 117. ზიანის მიყენების საფრთხე

მოთამაშის, ოფიციალური პირების, კლუბის ოფიციალური პირების და მატჩის ოფიციალური პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 64-ის შესაბამისად.

მუხლი 118. დისკრიმინაცია და რასიზმი, ნაცისტური ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის საჯარო დემონსტრირება

1. მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, ენის, რელიგიის ან წარმომავლობის თვალსაზრისით სხვა პირის შეურაცხყოფა – ისჯება 5 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 65-ის შესაბამისად.
2. მაყურებლის მიერ რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, ენის, რელიგიის ან წარმომავლობის თვალსაზრისით რომელიმე პირის შეურაცხყოფის შემთხვევაში, დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 66-ის შესაბამისად და/ან მაყურებლის გარეშე 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით და/ან 3 ქულის დაკლებით.
3. მაყურებლის მიერ ნაცისტური ატრიბუტიკის სიმბოლიკის ან სხვა მსგავსი ატრიბუტიკის ან სიმბოლიკის, ასევე რასისტული ან დისკრიმინაციული ხასიათის მქონე ბანერების, პლაკატების და სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირების შემთხვევაში, დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 67-ის შესაბამისად და/ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩის ჩატარებით ან მაყურებლების გარეშე 1-დან 3 მატჩის ჩატარებით.

შენიშვნა:

ა. წინამდებარე მუხლში დამნაშავე კლუბად მიიჩნევა ის კლუბი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებმაც განახორციელეს წინამდებარე მუხლში მითითებული ქმედებები. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლში მითითებული ქმედებების განმახორციელებელი პირების კუთვნილება არ დაუდგინდა არცერთ კლუბს, მაშინ პასუხისმგებლობა ამგვარი დისციპლინარული დარღვევისათვის ეკისრება მასპინძელ კლუბს. თუ დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნული დარღვევები განახორციელა სტუმარი კლუბის მაყურებლებმა, მაშინ დაჯარიმდება სტუმარი კლუბი, ხოლო მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმის ნახევრის გადახდა.

ბ. პირი თავისუფლდება წინამდებარე მუხლში მითითებული ქმედებებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ დარღვევა ჩადენილი იქნა მესამე პირის მიერ მასზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

XVII თავი. დარღვევები ფეხბურთის მართვის წესის წინააღმდეგ

მუხლი 119. დოკუმენტების გაყალბება და ყალბი დოკუმენტების გამოყენება

1. სფფ-ში წარსადგენი დოკუმენტების გაყალბება, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას ყალბი დოკუმენტების გამოყენება, ასევე ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას კანონის დარღვევით მოპოვებული დოკუმენტების გამოყენება – ისჯება ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვით სულ მცირე 6 თვით. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით, პირი, რომელმაც განახორციელა გაყალბება და ფალსიფიკაცია – ისჯება ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 68-ის შესაბამისად.

2.

მუხლი 120. კლუბის მიერ ყალბი დოკუმენტების გამოყენება
კლუბის მიერ შეჯიბრებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ყალბი დოკუმენტების გამოყენება, სფფ-ში ყალბი დოკუმენტების წარდგენა, ასევე კანონის დარღვევით მოპოვებული დოკუმენტების გამოყენება – ისჯება, სულ მცირე 3 ქულის დაკლებით და ჯარიმით წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 69-ის შესაბამისად.

მუხლი 121. ანტიდოპინგური წესების დარღვევა
დოპინგის გამოყენება აკრძალულია. დოპინგი და ანტიდოპინგის კანონის დარღვევები განსაზღვრულია ფიფას დებულებებში ანტი-დოპინგის შესახებ და ისჯება ამ დებულებებისა და ფიფას სადისციპლინო კოდექსის მიხედვით.

მუხლი 122. მატჩების და შეჯიბრებების სამართლიანობა
პრეამბულა
ქვემოთ მოცემული პარაგრაფები მოქმედებს სპორტული სამართლიანობის საკითხებზე ყველა იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც აღიძრება წინამდებარე სადისციპლინო დებულებების ძალაში შესვლის შემდეგ და შეეხება ნებისმიერ საკითხს, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჰქონდა ადგილი განსახილველ საკითხს – დებულებების ძალაში შესვლამდე თუ მის შემდეგ.

ა. სპორტული სამართლიანობის დარღვევები და სანქციები

1. <u>სავარაუდო ქმედებები</u>

1.1. მატჩების და შეჯიბრებების სამართლიანობა ირღვევა, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქციაში შემავალი ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სავარაუდოდ:

ა) აქვს მცდელობა ან ახორციელებს ზეგავლენას მატჩის ან შეჯიბრის შედეგზე ან მსვლელობაზე (მაგალითად, მატჩის პერიპეტიებზე, როგორიცაა გაფრთხილება, გაძევება, კუთხური, აუტი, ჯარიმა, პენალტი, თამაშგარე მდგომარეობა და ა.შ), ორგანიზატორის ან მონაწილის სტატუსით, პირდაპირი ან ირიბი ფორმით, საკუთარი ან მესამე მხარის სასარგებლოდ.

ბ) პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს სფფ-ის შეჯიბრებების მატჩებზე ფსონების დადებაში ან მსგავს აქტივობებში ან აქვს ფინანსური თუ სხვა სახის ინტერესი ასეთ აქტივობებში.

გ) თავად იყენებს ან სხვას გადასცემს ინფორმაციას, რომელიც არ არის საჯარო და ეს ინფორმაცია მიღებულია მისი თანამდებობიდან / ფუნქციიდან გამომდინარე და ამით ზიანს აყენებს ან შეიძლება მიაყენოს მატჩების ან შეჯიბრებების სამართლიანობას.

დ) საკუთარი ნებით დაუყოვნებლივ არ აცნობებს სფფ-ს, თუ დაუკავშირდებიან იმ საქმის ჩასადენად, რომელიც მიზნად ისახავს მატჩის ან შეჯიბრის შედეგზე ან მსვლელობაზე უკანონოდ ან შეუფერებელი ფორმით ზეგავლენას; ან საკუთარი ნებით დაუყოვნებლივ არ აცნობებს სფფ-ს მისთვის ცნობილი ქმედების შესახებ, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე მუხლის საგანს.

1.2. ამ დარღვევებისას, შეიძლება დაწესდეს შემდეგი სანქციები:

- გაფრთხილება (მხოლოდ პირველი დარღვევისას);
- ფიზიკურ პირთათვის 5 000 დან 30 000 ლარამდე ჯარიმა;
- მოთამაშის დისკვალიფიკაცია 3 თვიდან 2 წლამდე;
- ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვა 3 თვიდან 2 წლამდე;
- იურიდიულ პირთათვის 10 000 ლარიდან 50 000 ლარამდე ჯარიმა;
- გუნდებისთვის 1-დან 9 ქულამდე დაკლება და /ან დაბალ დივიზიონში დაქვეითება და/ან შეჯიბრიდან დისკვალიფიკაცია.

2. <u>ფაქტებით დადასტურებული ქმედებები</u>

2.1. მატჩების და შეჯიბრებების სამართლიანობა ირღვევა, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურის-დიქციაში შემავალი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ 122 მუხლის ა.1.1. ნაწილში განსაზღვრული ქმედება მტკიცდება ფაქტებიდან გამომდინარე.

2.2. ამ დარღვევებისას, შეიძლება დაწესდეს შემდეგი სანქციები:

- ფიზიკურ პირთათვის 30 000 დან 100 000 ლარამდე ჯარიმა;
- მოთამაშის დისკვალიფიკაციით 1 წლიდან სამუდამო ვადამდე;

- ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვა 1 წლიდან სამუდამო ვადამდე;
- იურიდიულ პირთათვის 50 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე ჯარიმა;
- გუნდებისთვის 3-დან 15 ქულამდე დაკლება და /ან დაბალ დივიზიონში დაქვეითება და/ან შეჯიბრიდან დისკვალიფიკაცია;
- ფიზიკური პირებისა თუ კლუბებისთვის ტიტულების ჩამორთმევა.

3. <u>თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემის ანგარიშები (თფას ანგარიში)</u>

3.1. მატჩების და შეჯიბრებების სამართლიანობა ირღვევა, როდესაც იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან სფფ-ს მიეწოდება ანგარიში (თფას ანგარიში).

3.2. ამ დარღვევებისას, შეიძლება ყოველგვარი გამოძიების შედეგების და ფაქტების დადგენის გარეშე დაწესდეს შემდეგი სანქციები:

- ფიზიკური პირების მიმართ:
  - გაფრთხილება პირველ შემთხვევაში;
  - თანამდებობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების აკრძალვა (ე.ი. დისკვალიფიკაცია) 1-დან 6-თვემდე ვადით (ამ ვადის მოქმედება წყდება ნებისმიერი საჩემპიონატო ინტერვალით – სეზონებს შუა ან შესვენების პერიოდებში);
  - ფულადი ჯარიმა 500-დან 5 000 ლარის ოდენობით.
- იურიდიული პირების მიმართ:
  - გაფრთხილება;
  - გუნდისთვის 1-დან 6 ქულამდე დაკლება ჩემპიონატში;
  - დისკვალიფიკაცია თასის გათამაშებიდან;
  - ფულადი ჯარიმა 5 000-დან 15 000-მდე ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული სანქციები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სანქციის დაწესების ნაწილში. ასევე, აღნიშნული სანქციების დაწესება არ ზღუდავს იურიდიულ ორგანოებს დააწესონ დამატებითი სანქციები, დადგენილი პროცედურების შესაბამისად, საკითხის შესწავლის და გამოძიების შედეგად.

4. თუ სფფ-ის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოწმის სახით გამოძახებული პირი არღვევს წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მოწმის ვალდებულებებს (მაგ., არ ემორჩილება გამოძახებას, არ იძლევა მისთვის ცნობილ ინფორმაციას, ტყუის და ა.შ.), შეიძლება დაწესდეს შემდეგი სანქციები:

- ფიზიკური პირების მიმართ:
  - გაფრთხილება;
  - ჯარიმა 1 000-დან 10 000 ლარამდე;
  - 6 თვემდე დისკვალიფიკაცია.
- იურიდიული პირების მიმართ:
  - გაფრთხილება;
  - ჯარიმა 5 000-დან 20 000 ლარამდე.

5. იურიდიული პირი პასუხისმგებელია მისი სახელით გარკვეული ფუნქციის შესრულებაზე მის მიერ უფლებამინიჭებული პირების (სპორტულ-ტექნიკური, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვ.) და ფეხბურთელების მხრიდან სპორტული სამართლიანობის დაცვაზე და მათ მიერ წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დარღვევის შემთხვევაში, იურიდულ პირებს შესაძლებელია დაუწესდეს ანალოგიურ დარღვევებზე იურიდიული პირებისთვის დაწესებული სანქცია.

6. <u>რეციდივი</u>

6.1. წინამდებარე კოდექსის 122-ე ა.1. მუხლით განსაზღვრული სპორტული სამართლიანობის პრინციპების დარღვევის რეციდივი 10 წლის განმავლობაში წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.

6.2. რეციდივის შემთხვევაში გამოიყენება გამკაცრებული სანქციები:

- არანაკლებ ზემოთ 1-3 პარაგრაფებში განსაზღვრული სანქციებისა; და
- არანაკლებ დამნაშავის მიერ 122-ე მუხლის პირველად დარღვევისთვის დაწესებული სანქციის ორმაგი ოდენობისა.

7. ნებისმიერს, ვინც გამოაშკარავებს ანონიმური მოწმის იდენტობას ან რაიმე ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი იდენტიფიცირებისთვის, დაუწესდება

შემდეგი სადისციპლინო სანქციები:

- ფიზიკური პირების მიმართ:
  - გაფრთხილება;
  - ჯარიმა 1 000-დან 3 000 ლარამდე;

8. სპორტული სამართლიანობის საქმესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამჟაღავნებისთვის, დამნაშავე პირს შეიძლება დაუწესდეს
   - გაფრთხილება;
   - ჯარიმა 1 000-დან 5 000 ლარამდე;
9. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ-ცალკე ან კომბინირებულად, როგორც მიმდინარე სეზონში, ისე დამდეგი სეზონ(ებ)ის ფარგლებში.
10. თუ მატჩების გარიგებასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება შეჯიბრის შესაბამისი ეტაპის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისას და ახალი ეტაპის/ჩემპიონატის დაწყებამდე, სფფ-ის სადისციპლინო ორგანოების მიერ ამ მატჩ(ებ)ის გარიგების დადასტურების შემთხვევაში, მათი შედეგ(ებ)ი ანულირდება და გარიგების ორგანიზებაში დამნაშავე კლუბ(ებ)ის შესაბამის გუნდ(ებ)ს ჩაეთვლება წაგება 0-3 ან დისკვალიფიკაცია (თასის შემთხვევაში).
11. სადისციპლინო ორგანომ, რომელიც აწესებს სადისციპლინო სანქციის ტიპსა და ოდენობას, დარღვევის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების შესაბამისად, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყენოს საკუთარი დისკრეციული უფლება და შეამციროს ან გაზარდოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი სტანდარტული სანქციები, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საქმის გარემოებების საფუძველზე, ასევე, საერთოდ არ დააწესოს ან მოხსნას სანქცია, თუ მიიჩნევს, რომ ბრალდებული მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იყო გადამწყვეტი სფფ-ის წესების და დებულებების დარღვევის გახსნაში ან დადგენაში.

ბ. პროცედურები

1. სპორტული სამართლიანობის სისტემას ხელმძღვანელობს სფფ-ის სპორტული სამართლიანობის სამსახური (სსს), რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს სფფ-ის აღმასკომი და რომელიც:

1.1. მოქმედებს სფფ-ის წესდებისა და დებულებების თანახმად.

1.2. წარმოადგენს სფფ-ს სპორტული სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებულ განხილვებში სფფ-ის თუ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში.

1.3. შეუძლია:

ა) აღძრას სადისციპლინო პროცესი;

ბ) თფას ანგარიშების საფუძველზე, საქმე პირდაპირ გადასცეს სფფ-ის სადისციპლინო ორგანოებს, გადაწყვეტილების მისაღებად.

გ) გაასაჩივროს იურიდიული ორგანოების გადაწყვეტილებები სპორტული სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებით.

1.4. მათ კომპეტენციაში ასევე შედის სპორტული სამართლიანობის საკითხებზე შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ფიფა-უეფასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
- წინასწარი მოკვლევის ჩატარება, საკითხის მნიშვნელობის დასადგენად;
- საკითხის მომზადება იურიდიული ორგანოებისთვის წარსადგენად;
- სპორტული სამართლიანობის კუთხით სამართლებრივი ბაზის მოწესრიგების მიზნით, წინადადებების მომზადება და წარდგენა სფფ-ის საკანონმდებლო ორგანოებისთვის;
- შსს-თან ურთიერთობა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა.

1.5. სფფ სსს-ის განკარგულებაში გამოყოფს საოფისე ფართს და სათანადო აღჭურვილობას, შესაბამისი სამუშაოს ჩასატარებლად.

2. სპორტული სამართლიანობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პირველ ინსტანციას წარმოადგენს სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი.

თუმცა, საკითხის დაჩქარებული წესით გადაწყვეტის მიზნით, თუ ამას მოითხოვს შესაბამისი შეჯიბრის ფორმატი, საქმე შეიძლება პირდაპირ გადაეცეს მე-2 ინსტანციას (ანუ სფფ-ის სააპელაციო ორგანოს), საქმის აღმძვრელი მხარის მოთხოვნისა და პირველი ინსტანციის თავმჯდომარის თანხმობის საფუძველზე.

3. მხარეებს, რომლებსაც ეხება გადაწყვეტილება, ასევე სფფ-ს აქვს აპელაციის უფლება.
4. თუ დებულებები სხვაგვარად არ მიუთითებს, მხარეები და სფფ უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ წერილობითი განცხადებები, გაეცნონ საქმის მასალებს და მოითხოვონ მისი ასლი, გადაწყვეტილებების მიღებამდე. იურიდიულ ორგანოს აქვს უფლება, კონკრეტული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებამდე არ გასცეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ასლები.
5. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს, პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს, სადისციპლინო ორგანოებს და სსს-ს შეუძლიათ მოითხოვონ გამოძიების ჩატარება სფფ-ის ძალებით ან გარეშე ორგანოებთან თანამშრომლობით. მათი მოთხოვნის საფუძველზე, სფფ-ის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ შესაძლოა შექმნას დროებითი საგანგებო კომისია გამოძიებისა და/ან კვალიფიციური დასკვნის მოსამზადებლად. წინამდებარე დებულებების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის პირობით, კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების ჩართვა. ამ კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს დაინტერესებული მხარე, რომელმაც მოითხოვა საქმის შესწავლა/გამოძიება და რომელიც კომისიის კვალიფიციურ დასკვნას წარადგენს სფფ-ის შესაბამის იურიდიულ ორგანოებში. სფფ კომისიის განკარგულებაში გამოყოფს საოფისე ფართს და სათანადო აღჭურვილობას, შესაბამისი სამუშაოს ჩასატარებლად.
6. სსს ერთობლივად თუ მისი ცალკეული თანამშრომელი, ასევე კომისიის წევრები არ არიან პასუხისმგებელი სადისციპლინო პროცესთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედებებზე ან უმოქმედობაზე, სერიოზული გულგრილობის ან უკანონობის განზრახვის გამოკლებით.

7. პრინციპში, გამოძიებები ხორციელდება წერილობითი მოთხოვნებით, ხდება ინდივიდუალური პირების დაკითხვა, ადგილზე ვიზიტები, დოკუმენტაციის მოთხოვნა, ექსპერტის მოსაზრების მიღება და სხვა საგამომძიებო პროცედურები;
8. სპორტული სამართლიანობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას, სფფ-ის იურიდიული ორგანოები თავად ადგენენ დამტკიცების სტანდარტს, რომელიც მისაღებია კომკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.
9. გამოძიების და პროცესის მსვლელობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, იმის უზრუნველყოფით, რომ არ ილახება ადამიანის ღირსება. გამოძიებისა და პროცესის მსვლელობისას დასაშვები მტკიცებულების ფორმები მოიცავს ოფიციალურ ანგარიშებსა და ჩანაწერებს, მოწმეთა ჩვენებებს, მხარეთა და სფფ-ის ჩვენებებს, ადგილზე შემოწმებებს, საგანგებო კომისიის დასკვნებს თუ ცალკეულ ექსპერტთა მოსაზრებებს, სატელევიზიო და ვიდეო ჩანაწერებს, პირად აღიარებებს, სხვა ჩანაწერებსა და დოკუმენტებს.
10. თუ დაიკითხება პიროვნება, ინტერვიუ, ძირითადად, იწერება ელექტრონულად ან ფორმდება ოქმი, რომელსაც შემდგომ კითხულობს და ხელს აწერს დაკითხული.
11. ითვლება, რომ სფფ-ის ოფიციალურ ანგარიშებში (პატაკებში) აღნიშნული ფაქტები სწორია. თუმცა, შესაძლებელია მისი სიმცდარის მტკიცებულებების წარმოდგენა.
12. სფფ-ის იურისდიქციაქვემდებარე ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს სადისციპლინო ორგანოების, სსს-ის და/ან კომისიის მიერ მოწმის სახით გამოძახებას.
13. გამოძახებული პირი ვალდებულია თქვას სიმართლე და ჩამოყალიბებულად უპასუხოს მის მიმართ დასმულ ნებისმიერ შეკითხვას, ასევე, საქმესთან დაკავშირებით მიაწოდოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, დოკუმენტი, მონაცემის ჩანაწერები და ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები (ტექსტი, გამოსახულება, ხმა და ა.შ.).
14. თუ წინამდებარე დებულებების შესაბამისად აღძრულ სადისციპლინო პროცესზე მოწმის მიერ ჩვენების მიცემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის სიცოცხლეს ან ეს პირი ან მისი ოჯახი ან მისი მეგობრები შეიძლება დააყენოს ფიზიკური

საფრთხის ქვეშ, სსს-ს, ასევე სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარეს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ:

ა) არ მოხდეს მოწმის იდენტიფიცირება მხარეების (ან საჭიროების შემთხვევაში, სსს-ის) თანდასწრებით;

ბ) მოწმე არ გამოცხადდეს განხილვებზე;

გ) დოკუმენტაცია ან მისი ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოწმის დასადგენად, ჩაიდოს ცალკე კონფიდენციალურ საქაღალდეში.

15. ანონიმური მოწმეების შემთხვევაში, საერთო გარემოებების კუთხით (განსაკუთრებით, თუ სხვა მტკიცებულება არაა, რომ დადგინდეს ანონიმური მოწმე), და თუ ტექნიკურად შესაძლებელია, სსს-ს ან სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარეს შეუძლია, გამონაკლისის სახით, საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის ან სსს-ის მოთხოვნის შედეგად გადაწყვიტოს, რომ:

ა) დამახინჯდეს მოწმის ხმა;

ბ) დაიფაროს მოწმის სახე;

გ) მოწმე დაიკითხოს სასამართლო ოთახის გარეთ;

დ) მოწმე დაიკითხოს წერილობით სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

16. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ანონიმური მოწმეები იდენტიფიცირდებიან დახურულ კარს მიღმა, მხარეთა დაუსწრებლად (და, თუ საჭიროა, სსს-ის დაუსწრებლადაც). თუ მოწმეს დაკითხავს სადისციპლინო ორგანო, ეს ხორციელდება შესაბამისი სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარის მიერ ცალკე ან ყველა წევრის თანდასწრებით. ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ანონიმური მოწმე შეიძლება დაკითხოს სსს-მ. დაკითხვის დეტალები იწერება ოქმში, რომელიც მოიცავს მოწმის პირად მონაცემებს. ეს ოქმი არ მიეწოდება მხარეებს, რომლებიც მხოლოდ იღებენ მოკლე ცნობას, რომელიც:

ა) ადასტურებს, რომ მოხდა ანონიმური მოწმის იდენტიფიცირება;

ბ) არ შეიცავს მონაცემებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანონიმური მოწმის იდენტიფიცირებისთვის.

17. გამოძიება შეიძლება განახლდეს, თუ აღმოჩნდება ახალი

მტკიცებულებები ან ფაქტები, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დარღვევას, წინამდებარე მუხლთან დაკავშირებით.

18. მოთხოვნის შემთხვევაში, სადისციპლინო ორგანო ანახლებს პროცესს, როდესაც მხარე ან სფფ / სსს აცხადებს, რომ გააჩნია ახალი და არსებითი ფაქტები ან მტკიცებულებები. პროცესის განახლების განაცხადი უნდა მიეწოდოს სადისციპლინო ორგანოს, რომელმაც მიიღო სადავო გადაწყვეტილება.

19. როგორც გამოძიების, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დამოუკიდებლობის პრინციპები, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაწილე პირმა უნდა თქვას უარი იმ საქმეებზე, რომლებშიც მათი მხრიდან ირღვევა დამოუკიდებლობა.

20. სპორტული სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მასთან წვდომის მქონე პირები პასუხისმგებელი არიან ამის უზრუნველყოფაზე.

21. სპორტული სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება შეიძლება გამოაცხადოს და/ან ამასთან დაკავშირებით საჯარო კომენტარი გააკეთოს მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს თავმჯდომარემ ან სსს-ის პასუხისმგებელმა პირმა.

XVIII თავი. სხვადასხვა დარღვევები

მუხლი 123. შეჯიბრებების დისკრედიტაცია

მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების მიერ იმ შეჯიბრებების დისკრედიტაცია, რომელზედაც ვრცელდება წინამდებარე კოდექსის მოქმედება, ასევე სფფ-ს, მატჩის ოფიციალური პირების და კლუბების მიმართ პრესის, ტელევიზიის, სოციალური მედიისა და სხვა მასობრივი საშუალებებით და/ან საჯარო ფორმით არაკორექტული, შეურაცხმყოფელი და დაუსაბუთებელი განცხადებების გაკეთებისა და/ან პროვოკაციული აგიტაციის შემთხვევაში კლუბი – ისჯება ჯარიმით წინამდებარე

კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 70-ის შესაბამისად. მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში განცხადების უშუალო ავტორს ავტომატურად აეკრძალება ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა 1 წლის ვადით.

მუხლი 124. საქართველოს ნაკრებ გუნდებში გამოძახებული მოთამაშეების არგამოცხადება

სფფ-ს უფლება აქვს წლის განმავლობაში დადგენილი კალენდრის მიხედვით გამოიძახოს კლუბიდან მოთამაშე ნაკრებ გუნდებში. თითოეული მოწვევის დღეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოფიციალური და ამხანაგური მატჩების დროს – 4 დღეს. მოთამაშეები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ნაკრები გუნდების საწვრთნელ შეკრებებზე ან თამაშებზე, არ დაიშვებიან შეჯიბრებების მატჩებზე, დისციპლინარული ორგანოების მიერ საკითხის განხილვამდე. ნაკრებ გუნდებში არ გამოცხადებული მოთამაშეებისა და მათი კლუბების მიმართ სფფ-ს დისციპლინარული ორგანოები უფლებამოსილია მიიღოს მკაცრი ზომები. კლუბი, ნაკრებ გუნდებში არ გამოცხადებულ თითოეული მოთამაშეზე დაჯარიმდება წინამდებარე კოდექსის დანართი №1-ის პუნქტი 71-ის შესაბამისად.

XIX თავი. პროტესტების განხილვა

მუხლი 125. პროტესტების განხილვა

1. პროტესტის წარდგენა იმ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია თამაშის წესების და/ან მატჩის ჩატარების ნაწილში შეჯიბრების დებულების დაუცველობასთან, იწარმოება კლუბის მიერ. განცხადება იმ ფაქტების დაწვრილებითი აღწერით, რომელზეც წარედგინება პროტესტი, იგზავნება სფფ-ში მატჩის დამთავრებიდან 24 საათის განმავლობაში.
2. პროტესტის წარდგენის შემთხვევაში, პროტესტის წარმდგენი კლუბი ვალდებულია სფფ-ს ანგარიშზე შეიტანოს 2 000 ლარი მატჩის დამთავრებიდან 24 საათის განმავლობაში. თუ პროტესტის შემოტანისთვის და შესაბამისი პროცედურის შესრულებისთვის განსაზღვრული დღე ემთხვევა ოფიციალურ არასამუშაო დღეს, მაშინ პროტესტის შემოტანა და მისი

შესაბამისი პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება ვადის გადაცილებად. პროტესტის განხილვისთვის არადროულად გადახდილი შენატანი ექვემდებარება დაბრუნებას. პროტესტის განხილვისთვის შეტანილი თანხის დაბრუნება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- პროტესტის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- პროტესტის წარმდგენი კლუბის მიერ იურიდიული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღებამდე პროტესტის გამოთხოვების შემთხვევაში.

3. თამაშის წესებთან კარების ზომების და საფეხბურთო მოედნის ზომების შეუსაბამობის შესახებ პროტესტის წარდგენა იწარმოება იმ პირობით თუ მატჩამდე 1 საათით ადრე არბიტრს და მსაჯთა დამკვირვებელს წერილობით წარედგინა პრეტენზია.
4. პროტესტის განხილვა იწარმოება წინამდებარე კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი იურიდიული ორგანოს მიერ.
5. განსახილველად არ მიიღება პროტესტები:

ა. რომლებიც წარდგენილ იქნა არადროულად.

ბ. რომელთა განსახილველად არ იქნა ან არადროულად იქნა გადახდილი შენატანი.

გ. რომლებიც წარდგენილ იქნა თამაშთან დაკავშირებულ ფაქტებთან მსაჯების გადაწყვეტილებებთან მიმართებით, მათ შორის:

- დანიშნა თუ არ დანიშნა თავისუფალი, საჯარიმო ან თერთმეტმეტრიანი დარტყმა.
- დააფიქსირა თუ არ დააფიქსირა თამაშგარე.
- ბურთის გადასვლაზე ან არ გადასვლაზე მოედნის ფარგლებს გარეთ.
- ჩათვლილ ან არჩათვლილ გოლზე.
- გაფრთხილებაზე ან გაძევებაზე (პროტესტი განიხილება თუ მსაჯი დაუშვებს შეცდომას მოთამაშის ინდენტიფიკაციაში).

6. პროტესტის შინაარსში მითითებულ უნდა იქნეს მიზეზები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის წარდგენას, ასევე დაწვრილებით უნდა იქნეს ასახული გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია შეჯიბრების დებულების დარღვევასთან და/ ან თამაშის წესების დაუცველობასთან.

7. პროტესტის წარდგენის შესახებ მატჩის შემდეგ უნდა ეცნობოს მსაჯებს, დამკვირვებელს, დელეგატს და მეტოქის წარმომადგენელს.
8. პროტესტის განხილვა წარმოებს ყველა მასალის მიღებიდან, სულ მცირე 7 კალენდარული დღის ვადაში.
9. პროტესტის შინაარსი დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი მასალებით: მატჩის ვიდეო ჩანაწერით, დამკვირვებლის, დელეგატის, მსაჯების, სფფ-ს წარმომადგენლების პატაკებით და სხვა დოკუმენტებით, რომლებიც ხელს უწყობენ პროტესტის წარმოდგენასთან დაკავშირებული გარემოებების ობიექტურ შესწავლას.
10. პროტესტის განხილვისას დისციპლინური დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, იურიდიული ორგანო ღებულობს გადაწყვეტილებას წინამდებარე კოდექსის შესაბამისად დამნაშავე პირების მიმართ სპორტული სანქციების გამოყენების შესახებ.
11. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ იქნა, რომ იმ მატჩის ჩატარებისას, რომელზედაც წარდგენილ იქნა პროტესტი, ადგილი ჰქონდა თამაშის წესების და/ან შეჯიბრების დებულების დაუცველობას, რამაც ზეგავლენა იქონია მატჩის შედეგზე, იურიდიული ორგანო ღებულობს გადაწყვეტილებას მატჩის შედეგის გაუქმების და გადათამაშების ჩატარების შესახებ.
12. პროტესტის განხილვის შედეგების მიხედვით, თუ ადგილი ჰქონდა მატჩის ჩატარების ნაწილში თამაშის წესების და/ან შეჯიბრების დებულების დაუცველობას, რამაც ზეგავლენა იქონია მის შედეგზე, იურიდიულ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მატჩის შედეგის გაუქმების და მისი გადათამაშების ან წაგების ჩათვლის შესახებ.

VI ნაწილი. გარდამავალი დებულებები
XX თავი. გარდამავალი დებულებები

მუხლი 126. კოდექსის მასშტაბი, გამოტოვებები, წესები

1. ამ კოდექსით იმართება ყველა ის სუბიექტი, რომელსაც მიესადაგება ტექსტი ან ამ დებულებების მნიშვნელობა;

2. თუ კოდექსში რაიმეა გამოტოვებული, იურიდიული ორგანოები მიიღებენ გადაწყვეტილებას სფფ-ს კანონის მიხედვით ან კანონის არ არსებობის შემთხვევაში, იმ წესების შესაბამისად, რომელსაც დაადგენენ ისინი, როგორც კანონმდებლები.

მუხლი 127. ოფიციალური განმარტება

სადავო საკითხების წარმოქმნის შემთხვევაში, წინამდებარე კოდექსის ოფიციალური განმარტება იწარმოება სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

მუხლი 128. წინამდებარე კოდექსში ცვლილებების შეტანა

წინამდებარე კოდექსში ცვლილებების შეტანა იწარმოება სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

მუხლი 129. მიღება და ძალაში შესვლა

1. მიღებულია სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და ძალაშია მიღებისთანავე.

სფფ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი №1
დისციპლინარულ დარღვევაზე ჯარიმების ცხრილი. 2026 წ.

პუნქტი	დისციპლინარული დარღვევა	კოდექსის მუხლი	ეროვნული ლიგა	ეროვნული ლიგა 2	ლიგა 3	ლიგა 4	რეგიონული ლიგა, ასაკობრივი ლიგები
1	2	3	4	5	6	7	8
1	გუნდის გამოუცხადებლობა მატჩზე	მუხლი 86	5000 ლარი	3500 ლარი	1000 ლარი	800 ლარი	800 ლარი
2	მატჩის დაწყების შეფერხება	მუხლი 87, პუნქტი 1	1000 ლარი	700 ლარი	300 ლარი	250 ლარი	250 ლარი
3	მატჩის დაწყების შეფერხება, რამაც ჩაშალა სატელევიზიო რეპორტაჟი	მუხლი 87 პუნქტი 2	4000 ლარი	2800 ლარი	800 ლარი	600 ლარი	600 ლარი
4	უარი მატჩის გაგრძელებაზე	მუხლი 88	20000 ლარი	14000 ლარი	2000 ლარი	1500 ლარი	1500 ლარი
5	მინდორზე გარეშე პირთა გამოჩენა	მუხლი 89, პუქტი 1	1000 ლარი	700 ლარი	300 ლარი	250 ლარი	250 ლარი
6	მინდორზე ცხოველების გამოჩენა	მუხლი 89, პუნქტი 2	500 ლარი	350 ლარი	150 ლარი	100 ლარი	100 ლარი
7	ტექნიკური ზონის ფარგლებს გარეთ გასვლა	მუხლი 90, პუნქტი 1	300 ლარი	200 ლარი	100 ლარი	80 ლარი	80 ლარი

8	ტექნიკური ზონის ფარგლებს გარეთ გასვლა არაერთხელ	მუხლი 90, პუნქტი 2	500 ლარი	350 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
9	მოწევა ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე	მუხლი 91, პუნქტი 1	300 ლარი	200 ლარი	100 ლარი	100 ლარი	100 ლარი
10	მოწევა ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთხელ	მუხლი 91 პუნქტი 2	500 ლარი	350 ლარი	200 ლარი	200 ლარი	200 ლარი
11	ტექნიკურ ზონაში გარეშე პირთა ყოფნა	მუხლი 92	500 ლარი	350 ლარი	100 ლარი	80 ლარი	80 ლარი
12	მატჩის მსვლელობაში ჩარევა	მუხლი 93	1000 ლარი	700 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
13	გაძევება ორი გაფრთხილების გამო	მუხლი 94, პუნქტი 1	200 ლარი	150 ლარი	50 ლარი	40 ლარი	40 ლარი
14	გაძევება „ბოლო იმედის“ ჯარიმის გამო	მუხლი 94, პუნქტი 2	200 ლარი	150 ლარი	50 ლარი	40 ლარი	40 ლარი
15	მოთამაშის უხეში თამაში, რამაც არ გამოიწვია მეტოქის ტრავმა	მუხლი 94, პუნქტი 3	400 ლარი	300 ლარი	100 ლარი	80 ლარი	80 ლარი
16	მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის აგრესიული ქცევა მეტოქის და/ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად	მუხლი 94, პუნქტი 4	500 ლარი	350 ლარი	150 ლარი	120 ლარი	120 ლარი
17	მოთამაშის უხეში თამაში, რამაც გამოიწვია მეტოქის ტრავმა	მუხლი 94, პუნქტი 5	600 ლარი	400 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი

18	მოთამაშის უხეში თამაში არაერთხელ, რამაც გამოიწვია მეტოქის ტრავმა	მუხლი 94, პუნქტი 6	1000 ლარი	700 ლარი	300 ლარი	250 ლარი	250 ლარი
19	მოთამაშის მიერ მეტოქისთვის განზრახ ტრავმის მიყენება	მუხლი 94, პუნქტი 7	1000 ლარი	700 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
20	ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობა მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ, მეტოქის და სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად	მუხლი 94, პუნქტი 8	1000 ლარი	700 ლარი	300 ლარი	250 ლარი	250 ლარი
21	ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მეტოქის და სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალური პირად	მუხლი 94, პუნქტი 9	2000 ლარი	1400 ლარი	400 ლარი	120 ლარი	120 ლარი
22	შეფურთხება მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მეტოქის და სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად	მუხლი 94, პუნქტი 10	2000 ლარი	1400 ლარი	400 ლარი	300 ლარი	300 ლარი
23	მოთამაშის შეურაცხმყოფელი ქცევა მეტოქის და/ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად	მუხლი 94, პუნქტი 11	400 ლარი	200 ლარი	100 ლარი	80 ლარი	80 ლარი

	კლუბის ოფიციალური პირის შეურაცხმყოფელი ქცევა მეტოქის და/ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად	მუხლი 94, პუნქტი 11	1000 ლარი	700 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
24	მოთამაშეების მიერ „ფეარ-პლეის“ პრინციპების უხეში დარღვევა	მუხლი 94, პუნქტი 12	200 ლარი	150 ლარი	50 ლარი	40 ლარი	40 ლარი
25	მოთამაშის შეურაცხმყოფელი ქცევა მატჩის ოფიციალური პირების მიმართ	მუხლი 95, პუნქტი 1	800 ლარი	550 ლარი	150 ლარი	120 ლარი	120 ლარი
	კლუბის ოფიციალური პირის შეურაცხმყოფელი ქცევა მატჩის ოფიციალური პირების მიმართ	მუხლი 95, პუნქტი 1	1200 ლარი	750 ლარი	300 ლარი	250 ლარი	250 ლარი
26	შეფურთხება მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ	მუხლი 95, პუნქტი 2	2500 ლარი	1750 ლარი	600 ლარი	500 ლარი	500 ლარი
27	განზრახ ხელის კვრა მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ	მუხლი 95, პუნქტი 3	1000 ლარი	700 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი

28	ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობა მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ	მუხლი 95, პუნქტი 4	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა – 700 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1400 ლარი	პირველი დარღვევა – 250 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 400 ლარი	პირველი დარღვევა – 200 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 300 ლარი	პირველი დარღვევა – 200 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 300 ლარი
29	ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირების მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ	მუხლი 95, პუნქტი 5	პირველი დარღვევა – 5000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 10 000 ლარი	პირველი დარღვევა – 3500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 7000 ლარი	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში 1600 ლარი	პირველი დარღვევა 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში 1600 ლარი
30	მოთამაშეების ან კლუბის ოფიციალური პირების მიერ არასპორტული საქციელი	მუხლი 96	ჯარიმებს განსაზღვრავს სადისციპლინო კომიტეტი				
31	ჩხუბი მოთაშეების და კლუბის ოფიციალური პირების მონაწილეობით	მუხლი 97, პუნქტი 1	1500 ლარი	1000 ლარი	300 ლარი	250 ლარი	250 ლარი

32	მასობრივი ჩხუბი	მუხლი 97, პუნქტი 2	4000 ლარი	2800 ლარი	500 ლარი	400 ლარი	400 ლარი
33	გუნდის შეუსაბამო საქციელი	მუხლი 98	300 ლარი	200 ლარი	100 ლარი	80 ლარი	80 ლარი
34	მატჩში არამართლზომიერი მონაწილეობა	მუხლი 99, პუნქტი 1	ოქმში შეყვანა – 1000 ლარი, მონაწილეობა – 10000 ლარი	ოქმში შეყვანა – 700 ლარი, მონაწილეობა – 7000 ლარი	ოქმში შეყვანა – 200 ლარი, მონაწილეობა – 400 ლარი	ოქმში შეყვანა -150 ლარი, მონაწილეობა – 300 ლარი	ოქმში შეყვანა -150 ლარი, მონაწილეობა – 300 ლარი
34.1	სს სერტიფიკატის გარეშე მატჩში მონაწილეობა და ცვლილებების არამართლზომიერი გამოყენება	მუხლი 99, პუნქტი 3	15000 ლარი	10000 ლარი	5000 ლარი	3000 ლარი	3000 ლარი
35	მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების პროვოკაციული მოქმედებები, რომლებიც ქმნიან სტადიონზე უწესრიგობის წარმოქმნის საფრთხეს	მუხლი 100, პუნქტი 1	1500 ლარი	1000 ლარი	150 ლარი	120 ლარი	120 ლარი
36	მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების პროვოკაციული მოქმედებები, რომლებმაც გამოიწვიეს სტადიონზე უწესრიგობა	მუხლი 100, პუნქტი 2	2000 ლარი	1400 ლარი	500 ლარი	250 ლარი	250 ლარი

37	მასპინძელი კლუბის მიერ სტადიონზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის განუხორციელებლობა	მუხლი 101, პუნქტი 1	5000 ლარი	3500 ლარი	1000 ლარი	800 ლარი	800 ლარი
38	მასპინძელი კლუბის მიერ სტადიონზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის განუხორციელებლობა, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვა	მუხლი 101, პუნქტი 2	10000 ლარი	7000 ლარი	2000 ლარი	1500 ლარი	1500 ლარი
39	მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან მოთამაშეები და კლუბის ოფიციალური პირები, რამაც გამოიწვია მატჩის დროებით შეწყვეტა	მუხლი 102, პუნქტი 1	პირველი დარღვევა – 2000 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 4000 ლარი	პირველი დარღვევა – 1400 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 2800 ლარი	პირველი დარღვევა – 400 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 800 ლარი	პირველი დარღვევა – 300 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 600 ლარი	პირველი დარღვევა – 300 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 600 ლარი
40	მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან მოთამაშეები და კლუბის ოფიციალური პირები, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა	მუხლი 102, პუნქტი 2	პირველი დარღვევა – 10000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 20000 ლარი	პირველი დარღვევა – 7000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 14000 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი	პირველი დარღვევა – 500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1000 ლარი	პირველი დარღვევა – 500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1000 ლარი

41	ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების უდისციპლინო ქცევა, რამაც გამოიწვია მატჩის მატჩის დროებითი შეწყვეტა	მუხლი 102, პუნქტი 3	პირველი დარღვევა – 1500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 3000 ლარი	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა – 300 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 600 ლარი	პირველი დარღვევა – 250 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 500 ლარი	პირველი დარღვევა – 250 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 500 ლარი
42	ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების უდისციპლინო ქცევა, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა	მუხლი 102, პუნქტი 4	პირველი დარღვევა – 5000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 10000 ლარი	პირველი დარღვევა – 3500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 7000 ლარი	პირველი დარღვევა – 500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 800 ლარი	პირველი დარღვევა – 400 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 700 ლარი	პირველი დარღვევა – 400 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 700 ლარი
43	ორივე გუნდის მოთამაშეების და/ან კლუბის ოფიციალური პირების უდისციპლინო საქციელი, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა	მუხლი 102, პუნქტი 5	პირველი დარღვევა – 10000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 20000 ლარი	პირველი დარღვევა – 7000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 14000 ლარი	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა – 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში- 1600 ლარი	პირველი დარღვევა – 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში- 1600 ლარი

44	მატჩისწინა თათბირზე კლუბის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა	მუხლი 103	პირველი დარღვევა – 200 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 400 ლარი	პირველი დარღვევა – 150 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 300 ლარი	პირველი დარღვევა – 50 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 100 ლარი	პირველი დარღვევა – 40 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 80 ლარი	პირველი დარღვევა – 40 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 80 ლარი
45	მასპინძელი კლუბის მიერ შეჯიბრების დებულების შესაბამისად მატჩის ჩატარების პირობების არ უზრუნველყოფა	მუხლი 104, პუნქტი 1	500 ლარი	350 ლარი	150 ლარი	120 ლარი	120 ლარი
46	მასპინძელი კლუბის მიერ შეჯიბრების დებულებით დადგენილი პირობების განზრახ შეუსრულებლობა	მუხლი 104, პუნქტი 2	1000 ლარი	500 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
47	მასპინძელი კლუბის მიერ შეჯიბრების დებულების თანახმად მატჩის ჩატარების პირობების არ უზრუნველყოფა, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა	მუხლი 104, პუნქტი 3	2500 ლარი	1250 ლარი	400 ლარი	300 ლარი	300 ლარი
48	მოთამაშის და კლუბის ოფიციალური პირის (მთავარი მწვრთნელი) მიერ სავალდებულო პრესკონფერენციებზე და/ან ინტერვიუებზე არ მონაწილეობა	მუხლი 105	პირველი დარღვევა – 500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 100 ლარი	პირველი დარღვევა – 200 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 400 ლარი	პირველი დარღვევა – 100 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 200 ლარი		

49	მატჩის ვიდეოჩანაწერის წარმოუდგენლობა	მუხლი 106	პირველი დარღვევა – 300 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 600 ლარი	პირველი დარღვევა – 200 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 400 ლარი	პირველი დარღვევა – 100 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 200 ლარი		
50	მოთამაშის და კლუბის ოფიციალური პირის მიერ შეჯიბრების დებულების სხვა დარღვევები	მუხლი 108	300 ლარი	200 ლარი	100 ლარი	80 ლარი	80 ლარი
51	მაყურებლების მიერ სტადიონზე მიუღებელი ლექსიკის და/ ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირება	მუხლი 109	პირველი დარღვევა – 5000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 10000 ლარი	პირველი დარღვევა – 3500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 7000 ლარი	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი
52	მაყურებლების მიერ ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგნების სროლა	მუხლი 110, პუნქტი 1	პირველი დარღვევა – 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1500 ლარი	პირველი დარღვევა – 500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1000 ლარი	პირველი დარღვევა – 200 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 400 ლარი	პირველი დარღვევა – 150 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 300 ლარი	პირველი დარღვევა – 150 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 300 ლარი

53	მაყურებლების მიერ ნასროლი საგნების მოთამაშეებზე, კლუბის და მატჩის ოფიციალურ პირებზე, გულშემატკივრებზე მოხვედრა	მუხლი 110, პუნქტი 2	პირველი დარღვევა – 1500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 3000 ლარი	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა – 300 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 600 ლარი	პირველი დარღვევა – 250 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 500 ლარი	პირველი დარღვევა – 250 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 500 ლარი
54	სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება	მუხლი 111, პუნქტი 1	არაალებადი ფერადი კვამლი – 300 ლარი, დანარჩენი სხვა – 1000 ლარი	არაალებადი ფერადი კვამლი – 200 ლარი, დანარჩენი სხვა – 700 ლარი	არაალებადი ფერადი კვამლი – 100 ლარი, დანარჩენი სხვა – 200 ლარი	არაალებადი ფერადი კვამლი – 80 ლარი, დანარჩენი სხვა – 150 ლარი	არაალებადი ფერადი კვამლი – 80 ლარი, დანარჩენი სხვა – 150 ლარი
55	სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების სროლა ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე	მუხლი 111, პუნქტი 2	2000 ლარი	1400 ლარი	400 ლარი	300 ლარი	300 ლარი
56	სტადიონზე მაყურებლების მიერ ნასროლი პიროტექნიკური ნაკეთობების მოთამაშეებზე, კლუბის და მატჩის ოფიციალურ პირებზე, გულშემატკივრებზე მოხვედრა	მუხლი 111, პუნქტი 3	3000 ლარი	2000 ლარი	600 ლარი	500 ლარი	500 ლარი

57	უწესრიგობები სტადიონზე	მუხლი 112	3000 ლარი	2000 ლარი	700 ლარი	600 ლარი	600 ლარი
58	მაყურებლებლის მიერ სტადიონზე ბანერების, პლაკატების, ტრანსპარანტების და შერაცხმყოფელი ხასიათის ან მიუღებელი ლექსიკის შემცველი სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირება	მუხლი 113	1000 ლარი	700 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
59	მაყურებლების არამართლზომიერი ქმედებები	მუხლი 114	2000 ლარი	1400 ლარი	400 ლარი	300 ლარი	300 ლარი
60	მატჩის შედეგზე ზეგავლენის მიზნით მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება	მუხლი 115, პუნქტი 1	10000 ლარი	7000 ლარი	1000 ლარი	800 ლარი	800 ლარი
61	მატჩის შედეგზე ზეგავლენის მიზნით მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება, რასაც თან ახლავს ზემოაღნიშნული პირების ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქონის რეალური საფრთხის შექმნა	მუხლი 115, პუნქტი 2	20000 ლარი	14000 ლარი	2000 ლარი	1500 ლარი	1500 ლარი

62	მატჩის შედეგზე ზეგავლენის გარეშე მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება	მუხლი 116, პუნქტი 1	3000 ლარი	2000 ლარი	700 ლარი	600 ლარი	600 ლარი
63	მატჩის შედეგზე ზეგავლენის გარეშე მოთამაშეებზე, ოფიციალურ პირებზე, კლუბის ოფიციალურ პირებზე და მატჩის ოფიციალურ პირებზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედება, რასაც თან ახლავს ზემოაღნიშნული პირების ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქონის რეალური საფრთხის შექმნა	მუხლი 116, პუნქტი 2	6000 ლარი	4000 ლარი	1000 ლარი	800 ლარი	800 ლარი
64	ზიანის მიყენების საფრთხე	მუხლი 117	1000 ლარი	700 ლარი	200 ლარი	150 ლარი	150 ლარი
65	მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის მიერ რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, ენის, რელიგიის ან წარმომავლობის თვალსაზრისით სხვა პირის შეურაცხყოფა	მუხლი 118, პუნქტი 1	პირველი დარღვევა – 5000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 10 000 ლარი	პირველი დარღვევა – 3500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 7000 ლარი	პირველი დარღვევა – 750 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1500 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი

66	მაყურებლების მიერ რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, ენის, რელიგიის ან წარმომავლობის თვალსაზრისით რომელიმე პირის შეურაცხყოფა	მუხლი 118, პუნქტი 2	პირველი დარღვევა – 5000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 10 000 ლარი	პირველი დარღვევა – 3500 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 7000 ლარი	პირველი დარღვევა – 750 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1500 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი	პირველი დარღვევა – 600 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 1200 ლარი
67	მაყურებლების მიერ ნაცისტური ატრიბუტიკის, სიმბოლიკის ან სხვა მსგავსი ატრიბუტიკის ან სიმბოლიკის, ასევე რასისტული ან დისკრიმინაციული ხასიათის მქონე ბანერების, პლაკატების და სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირება	მუხლი 118, პუნქტი 3	პირველი დარღვევა – 7000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 15 000 ლარი	პირველი დარღვევა – 5000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 10500 ლარი	პირველი დარღვევა – 1000 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში – 2000 ლარი	პირველი დარღვევა – 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში- 1600 ლარი	პირველი დარღვევა – 800 ლარი, განმეორებითი დარღვევა სხვა მატჩში- 1600 ლარი
68	დოკუმენტების გაყალბება და ყალბი დოკუმენტების გამოყენება	მუხლი 119	3000 ლარი	2000 ლარი	700 ლარი	600 ლარი	600 ლარი
69	კლუბის მიერ ყალბი დოკუმენტების გამოყენება	მუხლი 120	5000 ლარი	3500 ლარი	1000 ლარი	800 ლარი	800 ლარი

70	მოთამაშეების და კლუბის ოფიციალური პირების მიერ შეჯიბრებების დისკრედიტაცია	მუხლი 123	პირველი დარღვევა -3500 ლარი, განმეორებითი დარღვევა -7000 ლარი	პირველი დარღვევა – 2500 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 5000 ლარი	პირველი დარღვევა – 500 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 1500 ლარი	პირველი დარღვევა – 400 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 1200 ლარი	პირველი დარღვევა – 400 ლარი, განმეორებითი დარღვევა – 1200 ლარი
71	საქართველოს ნაკრებ გუნდებში გამოძახებული მოთამაშეების არ გამოცხადება	მუხლი 124	თითოეული ფეხბურთელი – 15000 ლარი	თითოეული ფეხბურთელი – 3500 ლარი	თითოეული ფეხბურთელი – 1500	თითოეული ფეხბურთელი – 1200 ლარი	თითოეული ფეხბურთელი – 1200 ლარი

სარჩევი

საქართველოს 2026 წლის XXXVIII ჩემპიონატი
ეროვნული ლიგა, ეროვნული ლიგა 2, ლიგა 3 და ლიგა 4.....3
1. მიზანი და ამოცანები 3
2. შეჯიბრებების ორგანიზატორი 3
3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა 4
4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები 12
5. გუნდების განაცხადების გაფორმება 26
6. მოთამაშეების ტრანსფერი.....29
7. შეჯიბრების ჩატარების ადგილი 34
8. მსაჯობა.....39
9. დელეგატი.....42
10. მსაჯთა დამკვირვებელი.....43
11. ურთიერთობა მედიასთან.....44
12. დაჯილდოება 46
საქართველოს 2026 წლის დავით ყიფიანის სახელობის
თასის XXXVII გათამაშება 47
საქართველოს სუპერთასი.....55
რეგიონული ლიგა.....56
1. მიზანი და ამოცანები 56
2. შეჯიბრებების ორგანიზატორი 56
3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა 57
4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები 59
5. გუნდების განაცხადების გაფორმება 69
6. მოთამაშის ტრანსფერი.....71
7. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა 73
8. მსაჯობა.....78
9. დელეგატი.....80
10. მსაჯთა დამკვირებელი 82
11. ურთიერთობა მედიასთან.....83
ქალთა ეროვნული ლიგა და ქალთა ეროვნული ლიგა 2 85
1. მიზანი და ამოცანები 85

2. შეჯიბრებების ორგანიზატორი 85
3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა 86
4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები 89
5. გუნდების განაცხადების გაფორმება 98
6. მოთამაშეების ტრანსფერი 101
7. შეჯიბრების ჩატარების ადგილი 104
8. მსაჯობა 109
9. დელეგატი 111
10. მსაჯთა დამკვირვებელი 113
11. ურთიერთობა მედიასთან 114
12. დაჯილდოება 115
19, 17 და 15-წლამდელთა ასაკობრივი ლიგების
2026 წლის გათამაშება 116
1. მიზანი და ამოცანები 116
2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა 116
3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა 116
4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები 123
5. გუნდების განაცხადების გაფორმება 126
6. შეჯიბრების ჩატარების ადგილი 128
საქართველოს 2026 წლის 19 წლამდელთა
თასის გათამაშება 131
დანართი 1
მოთხოვნები ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის,
ლიგა 3-ის და ლიგა 4-ის კლუბების სტადიონებისადმი 133
სფფ-ის სადისციპლინო კოდექსი
I ნაწილი. შესავალი
I თავი. წინამდებარე კოდექსის რეგულირების სფერო
და საქმიანობა 143
II ნაწილი. ზოგადი ნაწილი 146
II თავი. პირობები სანქციებისათვის 146
III თავი. სპორტული სანქციები 147
IV თავი. სპორტული სანქციების გამოყენების 158
საერთო წესები 158

V თავი. სპორტული სანქციების განხორციელება..... 162
III ნაწილი. იურიდიული ორგანოები..... 165
VI თავი. სპორტული სანქციების გამოყენების
უფლებამოსილი ორგანოები..... 165
VII თავი. საერთო წესები იურიდიული ორგანოებისათვის 166
VIII თავი. სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო
დავების განმხილველი და სააპელაციო კომიტეტების
საქმიანობის სფერო 168
IV ნაწილი. პროცესუალური ნორმები..... 170
IX თავი. იურიდიული ორგანოების მიერ საქმის
განხილვის ზოგადი წესები..... 170
X თავი. მტკიცებულება..... 175
XI თავი. იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილება..... 177
XII თავი. იურიდიული ორგანოების
გადაწყვეტილებების გასაჩივრება..... 179
V ნაწილი. სპეციალური ნაწილი 183
XIII თავი. მატჩამდე, მატჩის დროს და
მატჩის შემდეგ დაშვებული დარღვევები..... 183
XIV თავი. მატჩის ორგანიზების და
შეჯიბრების დებულების მოთხოვნების დარღვევები 192
XV თავი. მატჩის მაყურებლების მიერ ჩადენილი
დარღვევები..... 194
XVII თავი. დარღვევები პიროვნების,
უფლებების და თავისუფლების წინააღმდეგ 198
XVII თავი. დარღვევები ფეხბურთის
მართვის წესის წინააღმდეგ..... 200
XVIII თავი. სხვადასხვა დარღვევები..... 210
XIX თავი. პროტესტების განხილვა..... 211
VI ნაწილი. გარდამავალი დებულებები 213
XX თავი. გარდამავალი დებულებები 213
სფფ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი №1.....
დისციპლინარულ დარღვევაზე ჯარიმების ტაბულა. 2026 წ. .. 215